

776  
1986

ISSN 0206—5746

ଓଡ଼ିଆ  
ଓଡ଼ିଆ

# କୁଳପତ୍ର

୨୧  
୫୭୬

3  
1986

# ପ୍ରକାଶନ

(32)

୧ ଜାନୁଆରୀ ୧୯୮୬

ଶ୍ରୀକରଣବ୍ୟାଲ୍ପିନୀ ଅବସାନିତି

୧୯୮୦ ମେସାହି ମାର୍ଚ୍ଚିନୀ

ପ୍ରକାଶନ

□ □ □



୦୩୬୦୬୦

**୩ (୫୮)**  
**୧୯୮୬**



ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ ପାଠ୍ୟପତ୍ର

მთავარი რელაქტორი: ელიზბარ ჯავალიშვილი

სარელაქციო კოლეგია: პარადი გეზერელია, პარადი ვასაქი, ჯუმბარ თითმარია, ტობა იმედაშვილი, ემზარ ტბიტაიშვილი, გიორგი მერაბილაძე, თამაზ ნატროვაშვილი, გახტანგ როდონია (მ. მე. მლივანი), პლეჩსანდრე სამსონია, რევაზ სირაძე, ვლანიშვილ ზვინარია, ნავა ჯუსოითი.

ମିଶନରୀଟାଙ୍କ: ୩୫୦୦୦୮. ତଥିଲିର, ହୃଦାଯେଲିବ ପରିଷକ୍ଷେତ୍ର, ୫୨,  
ଟ୍ରେଲ. ୨୩-୨୨-୮୫

© აკმანახო „კრიტიკა“

70 5000.-89

64-81

M 604 (13)—81

# ლიტერატურა, ცხოვრება კრიტიკა

□ □ □

263  
2  
1

## პზრისა და ზნორბის ტყვევები

□  
ცოდარ გრიგალაშვილი  
□

პიროვნების მიზანი თვითმყოფადობის შენარჩუნებაა. ადამიანი ერ იქნება სრულყოფილი ინდივიდი, თუ იგი ვინმეს, ან რაიმეს შარიონეტია. „რომელიმე ორებას თავისი თავი მხოლოდ მაშინ მიაჩნია დამოუკიდებლად, — წერდა კ. მარქსი, — როცა ის დგას საკუთარ ფეხებზე“. ადამიანი უმაღლეს ღირებულებას დამოუკიდებლობისა და თავისუფლების განხორციელებაში ხედავს. ერთი სწავლულის შენიშვნით კი „თავისუფლება არაა მყუდრო ნავსადგური, რომელშიც ერთხელ რომ მიაღწევ, შეგიძლია განისვენო. იგი ყოველთვის წინაა, შუღამ ისაა, რაც კერ კიდევ უნდა მოიპოვო“. ამის გამო პიროვნება, რაღაცით მუღამ უქმნაყოფილო, მარად გარჯაში, მოქმედებასა და მოძრაობაში. თავისუფლების მიღწევა პიროვნებას სწორედ საზოგადოებაში სურს და არა იზოლირებულად,

რაღაც ასამიანი ბიოლოგიურთან ერთად. სოციალურებულებრივია, დამიანის სოციალურობა კი უპირველესდ მის კომუნიკაციურობას გულისხმობს. ივარაუდება, რომ პიროვნება და კავშირებულია საზოგადოებისთან და სურს საზოგადოების სრულუფლებიან წევრად გრძნობდეს თავს. პიროვნების სასიცოცხლო საზრისს გარესამყაროსთან ჰარმონიული ურთიერთობა განსაზღვრავს. ეს პარმონია სულტანი ისაა, რომ პიროვნება ცნობს და ემსახურება საზოგადოების მიზანლისახულობას. თავის მხრივ, საზოგადოებაც ცნობს პიროვნებას, ადასტურებს მის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას.

აღმიანი განსაზღვრულ ადგილსა და დროს რომ იძალება, ამით ნიმუში ამ თბრივ უკვე გადაწყვეტილია მისი ცხოვრების, მისი უამაღლეობის გზა და ბედი: თუ სასურველ, დამაკმაყოფილებელ გარემოცვაში უხდება კაცი არსებობა და მოღვაწეობა, იგი ცხოვრობს სამყიროში, როგორც საკუთარ სახლში. მაგრამ, როცა ირლევა ურთიერთობათა ჰარმონია, როდესაც საზოგადოებასა და პიროვნებას შორის კონფლიქტური სიტუაცია იქმნება, ეს უკანასკნელი იწირება სულიერი მარტობისათვის. იგი ემსგაესება საკუთარი სახლიდან გამოგდებულს, ეულს, რომელსაც „გაშლილ ველზე კარგის სამაგრი ვერ მოუნახავს“ (ბებერი). მარტოკაცი, ზოგიცად, ტრაგიული თუ არა, უბედურია (აქ არ ვგულისხმობ საკუთარ თავთან დარჩენის მედიტაციურ იქტს). საზოგადოებისთან კონფლიქტში შეოთი პიროვნების მიმართ შეგნებულიდ მივმართავ ასეთ ფორმულირებებს: „სულიერი მარტობისათვის ვაძლირული“, „მარტოკაცი“ და არა, ვთქვათ, „საზოგადოებისაგან განდევილი“, რადგან ეს კნებები მკეთრად განსხვავდებიან ერთურთისაგან. რაოდენ პირი დადოქსულადაც უნდა ელერდეს, მარტოკაცი, რომელიც საზოგადოებაში ცხოვრობს, უფრო მარტოსულია, ვიდრე საზოგადოების მოწყვეტილი, კლასური ამოკვეთილ ქვაბულსა თუ სიყდარს წეფარებული განდევილი. რადგან პირველ შემთხვევაში დარღვეული ან გაშვეტილია კავშირი ადამიანსა და „სოფელს“ შორის, (აღმიანი ფიზიკურად არა, მაგრამ სულიერად განმარტოებულია) მეორე შემთხვევაში კი აღდგენილია კავშირი პიროვნებისა ზეშთასოფელთან (აღმიანი ფიზიკურად კი, მაგრამ სულიერად არ არის ეული).

ერთი სიტყვით, მარტოკაცობა, მარტოსულობა აღამიანისათვის



კრიზისულია. მარტობა, თუ იგი შემთხვევითობით არ არის პრინციპული „რობინზონ კუუზო“), საზოგადოებისადმი პროტესტის გაშოხეტვის თავისებურ ფორმას წარმოადგენს. მარტობა შურის-ძების ქვესაც შეიძლება გულისხმობდეს, შესაძლოა გადარჩენის თუ თავის შეცოდების მომენტითაც იყოს განპირობებული და ა. შ.

აյავი ბაქრაძე ერთგან შენიშვნას: „ნდობა აღამიანური გრძნობაა, უნდობლობა კი არაადამიანური“. ეს აზრი პირდაპირი მნიშვნელობით მცდარია, რადგან ხენდასან უნდობლობაც, როგორც თავდაცვის იმპულსი, აღამიანს აღამიანურობის შესანარჩუნებლად სჭირდება. ამდენად ისიც აღამიანური გრძნობა ყოფილა. მაგრამ აღნიშნული ფრაზის დიალექტიკური გააჩრება ასეთ სახეს მიიღებს: უნდობლობა შართლაც არაადამიანური გრძნობაა, რადგან იდეალურ ვითარებაში, ნამდვილ აღამიანურ ურთიერთობებში მისთვის საფუძველი არ რჩება. ამ აზრის ანალიგით არც მარტობა (ანუ პროტესტის, შურისძების, გადარჩენისა თუ თავის შეცოდების თავისებური ფორმა) შეიძლება იყოს აღამიანური აქტი. აღამიანი არ იბაჟება პროტესტი, შურისმაძიებელი. აღამიანი არ იბაჟება მარტობისათვის. იგი, როგორც სოციალური ასება, მსგავსისკენ იღტვის. პიროვნება შეიძლება გახდეს პროტესტი, მარტოსული და შურისმაძიებელი.

შწერლობისათვის დომინანტური თემაა ასეთი აღამიანების ბედის ჩენება. ეს თემა და მისთან დაკავშირებული საკითხები, რომლებზედაც ნაწილობრივ ზემოთ ვმსჯელობდით, წარმმართველია ხოდარ წულეისკირის შემოქმედებაში.

ხოდარ წულეისკირის თხზულებათა მთავარი გმირები (ე. წ. დადებითი პერსონაჟები) საზოგადოებასთან პარმონიულ ურთიერთობაზე ოცნებობენ. მათ უყვართ ადამიანები. გარშემო მყოფთვის ცხოვრობენ, ფიქრობენ, დარღობენ, ოცნებობენ. მათი ცხოვრების ფინალი კი რექვიემივით სრულდება. ეს პერსონაჟები — გიორგი („თუთარჩელა“), აბო და იოანე („წამება და მარტვილობა იბოსი და იოანესი“), ზესნახე („ზესნახესი და ბუძგურის სიყვარულის ამბავი“), პანტე („დავით აღმაშენებლის ქვა“) და სხვა. — აზრისა და ზნეობის ტყვევები არიან. ტყვევები ამ სიტყვის პირდაპირი გაებით. თუმცა არც ნებაყოფლობით ემონებიან აზრისა და ზნეობას და არც იძულებით. მათ წინაშე არ დგება არჩევანის საკითხი. ისი-



წი არ ორჭოფობენ, თუ ვის უგდონ ყური — ღვთიური ჩემის აუზ  
დემონურს. მათში ბუნებრივად ჩქეფს, ბუნებრივად გამოვლინდება  
კეთილი საწყისი, გმირთა ქმედება სიკეთის სუბტანციითაა დასაზღ-  
ვრული და სხვაგვარად ცხოვრება არ ძალუდთ. მათვის სიმართლის,  
სიკეთის „სიყვარული ზეგარღმო გაღმოსული სათნოებაა, თანდაყო-  
ლილია, ვთარცა ბედისწერა“, „მისჯილი“, როგორც წერამწერალის  
ძიერ ზეშთასოფელში გაღაწყვეტილი უაპელაციო განაჩენი. იმგვარ-  
მა განცხადებამ შესაძლოა მკითხველის წარმოდგენაში შექმნას იღუ-  
ზია ნ. წულეისკირის ნაწარმოებების გმირთა სქემატურობის შესა-  
ხებ. ამიტომ აქვე განვაცხადებ: მწერლის კონცეფციისათვის, ჩემის  
აზრით, შთავარია არა ის, თუ როგორ ყალიბდება თანდათანობით  
სიმართლისა და სიკეთის ადამიანური ძალები, არამედ, როგორ გამო-  
ვლინდებიან ეს უკანასკნელნი წინააღმდეგობებთან შეჯახებისას.  
უფრო სწორედ, ჩვეულებრივ, ყოფიერ ცხოვრებაში, რეალურ სი-  
ტუაციებში დევალვაციის რა საშიშროება ემუქრება მათ, რა მოწა-  
მებრივ გზას გადის ადამიანი ადამიანურობის შესანარჩუნებლად.

ადამიანი მონისტური არსებაა. მისი სუბსტანცია კეთილია და  
ამდენად საინტერესოა არა ის, თუ როგორ იზრდება და ყოვლის-  
მომცველი ხდება მასში სიკეთე, არამედ როგორ გადაიჩება ეს უკა-  
ნასკნელი „ნაკლულოვან სიკეთესთან“ ურთიერთობისას. 1500 წლის  
წინათ დაიწერა სიტყვები: „ცოდვა ბოროტება კი არ არის, სიკეთის  
უქმარისობაა“. ადამიანის არსის გააზრებისას მწერლისათვის,  
ვფიქრობ, ასეთია მსოფლიმედველობრივი საფუძვლი. ალბათ ამის  
გამოა, რომ მის ნაწარმოებთა უარყოფითი პერსონაჟები სიძულვი-  
ლით კი არა, — ზიზღნარევი სიბრალულით განვაწყობენ.

დავუბრუნდეთ ზემორე ნათქვაშს. მწერლის ე. წ. დადებითი  
პერსონაჟები სიკეთესა და სიმართლეს და რაც მთავარია, აქტიურ  
სიმართლეს განასახიერებენ. მზად არიან მოძმის სამსახურად. მოძ-  
მეთავან კი გარიყულნი და განაპირებულნი რჩებიან. (მიზეზზე ქვე-  
შოთ გვექნება საუბარი) ამ გმირებისათვის „სასიცოცხლო ტერიტო-  
რიის“ მიღმა დარჩენა ულიდეს ტრაგედიად აღიქმება და მათი ცხოვ-  
რება აკი ტრაგედით სრულდება ძილეც, რაც უპირატესად განსაზღ-  
ვრულია შემდეგი ვთარებით: იმ გარემოში, რომელშიც უხდებათ  
ყოფნა, მათვან განსხვავებული ინტერესებით, განსხვავებუ-  
ლი ენებათა ღელვით, მათი ზნეობისათვის შეუთავსებელი ნორ-



ეგბით ცხოვრობენ ადამიანები. ორიდან ერთია საჭირო, შემოწმებული ქომპრომისი (რაც ზეობრივ სიკედილს ნიშნავს მათთვის), ან განვითარებას თავისთვალის მიმართების გარეშე. როგორც ერთ-ერთი ფილოსოფოსი აღნიშნავს, ჩვენს ემპირულ ცხოვრებას მთელთან კავშირის გარეშე ისევე არა აქვს საზრისი, როგორც არა აქვს დამოუკიდებელი მნიშვნელობა წიგნილან ამოხეულ ფურცელს. ინდივიდუუმის ცხოვრებას შეიძლება საზრისი ჰქონდეს მხოლოდ სოციალური ერთობის ცხოვრებასთან კავშირში. სოციალური ერთობის გარეშე ჩვენ ვერ განვახორციელებთ ჩვენს თავს. როგორც ფორმები იკვებება ხის ტანიდან, ასევე ვსაზრდოობთ ჩვენც მთელის მაცოცხლებელი წვენით და ვაჭრებით, თუ მთელი უსიცოცხლა". (იხ. წიგნში. ე. კოდუა ისტორიის საზრისის საკითხები. 1976 წ. გვ. 30).

ერთი სიტყვით, აღნიშნული გმირებისათვის გამოუვალი მდგომარეობა იქმნება. თუ შეურიგდებიან ეითარებას და კომპრომისზე წავლენ, ისინიც „უსიცოცხლო მთელის“ ნაწილად იქცევიან, ანუ, როგორც ითქვა, ზეობრივი სიკვდილი ელით. წინააღმდეგ შემთხვევაში კი მოკვეთილნი, გარიყულნი აღმოჩნდებიან, მარტო კაცები ხდებიან და თავშესაფარს ყველაზე ღიღ მარტოობაში — სიკვდილში პარაფებენ. ასეთ გამოუვალ სიტუაციას უწოდებდა ჰეგელი ჰეშმარიტად ტრაგიულს.

ვიდრე ნ. წულეისირის ახალ რომანს, „ზესნახესა და ბუძგურიას სიყვარულის ამბავს“ განვიხილავდე, შევეხები მის ორ მოთხოვნას.

ფეხბურთის მატჩი. ორმოცდათი ათასი გულათროლებული, დაძაბული შაყურებელი. ორმოცდათი ათასი გული ერთ დიდ გულად ქცეულა და გასკდომამდე ფეხქავს. უეცრად საჯარიმო მოედანზე კოთახაშე დაეცა. მსაჯმა არ დაინიშნა თერთმეტმეტრიანი. ტრიბუნები აიფოფრა, აიზღარბა, გამაყრუებელი სტანა, ყვირილი, უშტების ქნევა, გნიასი, გნება. ატყდა ბოთლების სროლა, ხერვაულობისეგან ადაშიანებს ყბები მოექცათ. აჯანყდნენ და აღარ ცხრესიან. ამ დროს ხდება უცნაური ამბავი.

ერთი ქომაგთაგანი ჩუმად ზის და თამაშს გაფაციცებით ადევნიბის თვალს. „არ იყო თერთმეტმეტრიანი, ტყუილუბრალოდ ყვი-



რის ეს ხალხი? — რამდენიმეჯერ თქვა ვანომ, (ვანო ამჟაფნაური კაცის სახელი გახლავთ — ნ. გ.). მაგრამ მისი ხმა არავის ესმოდა. ძაშინ ვანო ფეხზე წამოდგა და ხელალმართულ ახალგაზრდას ყურ-ში ჩასძახა: „არ იყო თერთმეტმეტრიანი, რა გაძვირეთ საქმე, დაჭე-ჭით!“

ახალგაზრდამ თვალები გადმოქაჩა.

— არ იყოო, ნახე, შენ რა თქვა? ამისთანებია საქმეს რომ გვი-ფუჭებენ!

— ჩააფარე და გაჩუმდება! — იქუხა ვიღაცამ უკან.

— არ გეთანხმებით, არა ხართ მართიალი! — არ დაომო ვანომ, უკან მიბრუნდა ბიჭებთან საკამათოდ.

დატრიალდა, მაგრამ რა დატრიალდა! მოხვდა მუჭი ცხვირში. შეტბლში. ვიღაცამ კისერშიც კი დაჰკრა და მერე აღარათერი ახ-სოდა...“

ეს „სიუჟეტი“ ერთი პატარა მოთხრობიდან („ციცერონი“) ამოვ-წერე. ვანო, რომელიც ასე დაისაჭა, საკუთარი გუნდის ყველაზე თავგამოდებული გულშემატკიცარი გახლდათ, მაგრამ, რაღგანაც სიმართლე მსახის მხარეზე დაიგულა, ამ უზარმაზარი აუდიტორის უსამართლობამ აღაშფოთა. გულმა აღარ მოუთმინა და სათქმელი ხმამაღლა თქვა კიდევ.

ნ. წულეისკირი დეტალის, ნიუანსის ზედმიწევნითი სიზუსტით ჩვენების, დამაჯერებლად ასახვის ოსტატია. ვანოს (ზედმეტსახე-ლად ციცერონა შეურქმევიათ მისთვის) აკვიატებულად უყვარს სი-მართლე. „ცხინის შეკაზმვაზე“ ანუ შედეგზე კი წინასწარ არ ფიქ-ჩობს. ამიტომ დონ კიხოტივით მუდამ გაწბილებული რჩება. შე-დეგზე უიქრი მერე იწყება, როცა სიტყვა უკვე ნათქვამია, როცა სითქმელი გამეღავნებულია. მაგრამ უკანდახევაც აღარ შეუძლია, რევერანსის ვეღარ აკეთებს, რადგან სინდისის ტყევა და არა გონი-სა. გონება ასეთ შემთხვევაში აწვდის გმირს მოსალოდნელი ფათე-რაქის შესახებ ინფორმაციას, მაგრამ ციცერონა „უძლურია“ თავის დაცვისათვის, ანუ „უძლურია“ სინდისის ტყევობიდან თავის გა-მოსახსნელად. ამ „უძლურებაშია“ ნ. წულეისკირის ზემოჩამოთ-კლილ გმირთა ძალაც და სისუსტეც. გვითხველის მათდამი თა-ნაგრძნობასა და თანავანცდას ეს „უძლურება“ განაპირობებს. გხახოთ, ორიოდე ფრაზით როგორ ახერხებს მწერალი ასეთი



ხასიათის ჩვენებას, როგორი ნიუანსებით წარმოგვიდგენს სულის თითქოსლა შეუმჩნეველ მოძრაობას. „არ იყო თერთმეტეტრიანი, ტუშილუბრალოდ ყვირის ეს ხალხი?“ ამ წინადაღების ბოლოს კითხვის ნიშანია და არა ძალისა. ეს მცირე დეტალი კი დიდად მნიშვნელოვანია. ციცერონი თვეღაპირებული კი არა, გავკირვებულია. მას გულუბრყვილოდ აცვიფრებს—როგორ შეიძლება ამდენი ხალხი იმის გამო რომ „ასე აწყობს“, უსამართლოდ იქცეოდეს? ეს აზრი თანდათანობით აღაშფოთებს. შესაბამისად იცვლება მისი ლექსიკაცა და ინტონაციაც. დაუფიქრებულად დგება და ახალგაზრდას ყურში ჩასძახებს: „არ იყო თერთმეტეტრიანი, რა გააჭირეთ საქმე, დაჯექით!“ ამის თქმა იყო და ციცერონი გაბოროტებული მასის მსხვერპლად იქცა.

— ჩააფარე და გაჩუმდება! — იქცა ვილაცამ უკან.

ციცერონის გერ კიდევ შეუძლია თავის გადარჩენა. მობოლიშება, უკან დახვაა საჭირო. გონიერამ გადასცა კიდეც საამისო იმპულსი. მხოლოდ ახლა განსაჭა ის, რაც თქვა. ეს მოხდა წამის უმცირეს ნაწილში. ციცერონი უკვე შემინებული, შეცდუნებულია, რაც მისი შემდგომი ფრაზის ახალ, განსხვავებულ ლექსიკასა და ინტონაციაში გამოიხატა. — „არ გეთანხმებით, არ ხართ მართალი!“

„რა გააჭირეთ საქმე“ — ამ სიტყვებს აღშფოთებული კაცი იძობს.

„არ გეთანხმებით, არ ხართ მართალი“ — ამს კი შემინებული, ხაფანგში გამომწყვდიული უკით აწრიალებული. აზრი კი იგივე დარჩა. რაც ადრე თქვა, იგივე გაიმეორა. ციცერონამ აზრის შეცდა გერ შეძლო. რაც სწამდა, ვერ გადათქვა, არ დაანება სინდისტა. თავდაცვისათვის უძლური აღმოჩნდა. ამ უძლურებაშია მასი, როგორც პიროვნების, ძალა.

კონკრეტული სიტუაციისათვის მნიშვნელობა არ აქვს, ობიექტურად ვის მხარეზე იყო ჭეშმარიტება, ერთისა თუ ათასების. მთავარია, რომ საკუთარ სიმართლეში მტკიცედ დარწმუნებულმა კიცმა-კაბედა და ამ უზარმაზარი, აღშფოთებული და გაბოროტებული მასის წინაშე თავისი გაღიზიანება, თავისი პოზიცია გამოხატა. ეს აქტი, ერთი შეხედვით, გმირობის ტოლფასია. მეორეს მხრივ,— გულუბრყვილობა და უახრობაც. მოთხოვთ გმირისათვის კი არც ერთია და არც მეორე. სიმართლე და, რაც უმთავრესია, აქტიური



სიმართლე მისი ცხოვრების წესს განსაზღვრავს. ვანოს სულიერი არა რა უსამართლობა. ხმა უნდა აიმაღლოს. უბრალოდ, სხვაგვარად არ ძალუას. სხვაგვარად ვერ გაძლებს, როგორც უპარისტოდ, უპუროდ, უწყლოდ.

მაყურებელიც მართალია თავის მხრივ. მაყურებელიც „უსაშართლობამ“ აღაშფოთა, განარისხა, მაგრამ ისინი, ვინც ვანოს უწყალოდ სცემენ, არ შეიძლება არ გრძნობდნენ, რომ იგი არ არის საცემი კაცი. გრძნობენ და ამით უფრო ხელდებიან, უფრო მყაცრდებიან, უფრო გამეტებით უბათქუნებენ „მოწინააღმდეგეს“. ასეთია მასის „თანადგომის“ ფსიქიკა და ლოგიკა. გალათი უფრო სასოწარკვეთილია ასეთ დროს, ვიდრე მსხვერპლი. სასოწარკვეთილების კომპენსაციას კი მსხვერპლისადმი მეტი სიმკაცრითა და გაბოროტებით ახდენს (ეს აქტი ვირტუოზულად გვიჩვენა ვაჟა-ფშაველამ ზეიადაურის სიკვდილის სცენაში).

ვანოს უსამართლოდ შეურაცხყოფენ. შეურაცხების ფორმით კი თავს ინუგეშებს იმით, რომ სიმართლის სახელით ირჩება. ერთ მხარეზეა პიროვნება, მეორეზე — მასა, ერთ მხარეზეა პიროვნების შეუვალი, აქტიური სიმართლე, მეორეზე — მასის პრაგმატულ-უტილიტარული სიმართლე. ისინი ერთად ვერ თავსდებიან, როგორც ერთ ქარქაშში ორი ხმალი. ერთ-ერთი უნდა გაიწიროს!

ამ მხრივ განსაუთრებით საყურადღებოა მწერლის მოთხრობა „დავით აღმაშენებლის ქვა“.

„დავით აღმაშენებლის ქვაში“ სოფლის პედაგოგის, პანტე ჭავას, ზნეობრივი სისპერიაკით განთებული და სულიერი ტკივილებით შეძრული ცხოვრების შესახებ მოგვითხრობს მწერალი. ნოდარ წულეისკირი სოფელს ხატავს რეალისტურალ, ნათლად, მკაფიოდ. თხზულების ქსოვილში თანდათანობით მეღლავნდება სურათი, რომელიც ადამიანთა ყოფას, მათ მოსაწყენ ცხოვრებისა და წვრილმანიზმებს, ცბიერებასა და გაუტანლობას აღმეჭდავს. აქვე ჩანს ატორიაქებული, მაგრამ საკუთარი ძალების რწმენითა და პატიოსნებით ძალამიცემული მართალი კაცის სახება.

მოთხრობის გმირი პანტე ჭავაგა სოფლის სკოლაში მასწავლებლად მსახურობდა. პანტეს სულიერი აგტონომიის ხელყოფა არავის შეეძლო. მას ვერავინ უკარნახებდა, მის ნებას ვერავინ წარმართავდა. სკოლა კი თავისი ცხოვრებით ცხოვრობდა. ვიღაცას ნიშანს



უმატებდნენ, რაღვან ასე იყო საჭირო... ვიღაცის არ უმატებდუნებოთა  
რაღვან ობიექტურობა იყო საჭირო... და ა. შ. და ა. შ. ამაში უჩ-  
ვეულოსა და საგანგაშოს ვერავინ ხედავდა. პანტე კი, ეს „აკვიატე-  
ბულად“ სიმართლის მოყვარული პანტე, ზედმეტი იყო ასეთი კო-  
ლექტივისათვის და სკოლას ტოვებს. განათლების განყოფილებაც  
„ეხმარება“ ამ ნაბიჯის გადასადგმელად.

არც სოფლის ხელშძლვანელობას უყვარს ეს ხანდაზმული კაცო-  
სოფელში დიდი ცაცხვის ხე მოჭრეს. პანტემ ოთარაანთ ქვრივივით-  
რენის ქალმანი ჩაიცვა და ქვეყანა „შეაწეხა“ სოფლის თავკაცთა-  
მკრეხელობის გამო. შედეგი კი ის იყო, რომ მთელი დუნია გადაი-  
კიდა „არამკითხეობისათვის“.

შეზობლებსაც ათვალშუნებული ჰყავდათ იგი. მოხუცი თანა-  
სოფლელთა დასახმარებლად მეურნეობაში წავიდა, მაგრამ იქ ხალხს  
„კამათი და დავა აუტეხა, ასე თოხნა არ შეიძლება, ვენახს დაღუპავ-  
თო. აჟყვნენ, დაჟყვნენ და საქმე იქამდე მივიღა, საცა პანტე თოხს-  
დაპრეცვდა, იმ არემარეს აქლოს არავინ ეკარებოდა“. „არამკითხე-  
ობისათვის“ შეზობლებმაც გაინაპირეს ყოფილი პედაგოგი.

სკოლიდან წამოსვლის შემდეგ პანტე ოხვამექარის მიტოვებულ  
ულკებისას უვლის, პატრონობს. საყდრის ეზოში დავიო აღმაშენებლის  
ხელმონაკიდი, უზარმაზარი ქვა აგდია. იგი ერთ დროს თვით და-  
ვითს ჩაუშენებია ეკლესის კედელში და ახლა, დროთა ბრუნვის  
გამო, ძირს ჩამოვარდნილა. ეს ქვა რაიონის „ბობოლას“, დათივო  
ვასილიჩის, ბუხრის მოსაპირკეთებლად სჭირდება და მის მოგზავნილ  
ძაცებს პანტემ არ დაანება. დათივო ვასილიჩი „საჭირო“ კაცი  
იყო. დათივო ვასილიჩთან უარით მისვლა არ შეიძლებოდა. ამიტო-  
მაც, პანტეს მტკიცე უარმა გადარია, გააბოროტა გაწმილებული.

— „ამის!... უნ, ამის!...

— ეს თხობელი! ეს ინტრიგანი!.. ეს სოფლის მუწუკი! — გაძ-  
ჟვირიან ისინი და „საჭირო“ კაცის გულისათვის მზად ირიან ყელი  
გამოლადრონ ეკლესის „არამკითხე“ მცველს. „ვინ არიან ესენი?“ —  
სევდიანად ფაქტობს მოქუცი პანტე.

— ყაჩალები? — არა.

უსაქმურები? — არა.

კეთილსინდისიერი მშრომელები? — არა.

ხულიგნები? — არა“.



მართლაცდა ვინ არის ეს ხალხი? რა ჰქეია პანტეს თანამომულებებს? არც ყაჩაღობენ, არც უსაქმურობენ, არც ხულიგნობენ, არც კეთილსინდისიერად შრომობენ!.. მაშ, რა, რა ჰქეია მათ სხელიდ? პანტეს თანასოფლელები, „საშუალო“ ადამიანები არიან. თითოეული სხვებისაგან არაფრით გამოირჩევა. თითოეული ისეთივეა, როგორც ჯველა. თითოეული მათგანი მტერია გახსაკუთრებულობის, განირჩეულობის, სხვაგვარობისა. თითოეული „არის ნიველირების განმახორციელებელი და ოვითოხაც ნიველირებული“. პანტე ჯავას „დანაშაული“ კი ის არის, რომ იგი ყველას არ ჰგავს, იგი პიროვნებაა და მდებარების ნიველირება ძნელი ხდება. ანიტომაც, ძერჯანტილური მისწრავებებით მცხოვრები მეზობლები მას უცხო სხეულად იღიქვამენ. თაგის მხრივ, ფილისტერულ გარემოში სულ ეხუთება მოხუც პედაგოგს.

ერთადერთი იდგილი ოჯახია, სადაც პანტეს თანამოაზრე და თანაძლევი უნდა ჰყავდეს, სადაც უნდა იმაყობდნენ კიდეც მისი პრინციპულობით, შისი სიმართლით, პატიოსნებით. მაგრამ არა! ოჯახის სიმშევიდისათვისაც ამაფორიაქებელი გხიდა პანტე ჯავას ცხოვრების წესი. დათიკო ვასილიშის განაწყენების შიში თავზარდამცემად მოქმედებს პანტეს ვაჟზე ინდრიიზე. ანდრის დაწინაურება უნდა, ანდრის გზა გადაეკრიტიკა, ანდრი ილუპება.

„— ვინა ხირ შენ? ძეგლის მცველი ხარ? ძეგლთა დაცვის საჩივაჭოების თავმჯდომარე ხარ? კულტურის განყოფილების გამგე ხარ თუ მხერეთმცოდნეობის მუხუმის დირექტორი? ვინ დაგავალა ოხვამექარის მოვლა?...—“ ყვირის გაცეცხლებული ანდრი. პანტე არ გატყდა. არ დათმო დავით აღმაშენებლის ქვა ვიღაცის ბუხრის მოსამარტინუბლად და გაბოროტებულმა შეიღმაც უღალატა მამას. ისიც თანასოფლელებს მიემხრო.

ადამიანი, რომლის თანაგრძნობის იმედიც აქვს პანტეს, ნითელაა, შისი შეულეულე. აი, ერთ დილით საცდარში განმარტოებულ შობუცი მეუღლებ მიაკითხა. პანტემ ხელი ჩაძკიდა და მიტოვებული საღოცავის ეზო-ყურე შეტოატარა. ბავშვივით იყო ატაცებული. წინაპრის ხელმონაკიდ ქვასთონ, როგორც ფასდაუდებელ საგანძურთან, ფრთხილად მიიყვანა. „ნათელა ქვას მიუცუცქდა, აქედან გახედა, იქიდან გახედა, გარს შემოუარა.“

— ყვითელი ქვა არის უბრალო... რა არის მეტი? — ჰქითხა ქმარს.



— უბრალო? — პანტე დაიხარა და ცოლს ქვის ჩამონაზე მუშაობა  
აჩვენა.

— უი, შიგნით წითელი ყოფილა! — გაიკვირვა ნათელამ...

პანტე ცოლს გამარჯვებული უყურებდა, ვითომ მთლად უაზრო  
კი არაა ჩემი ბრძოლით...

— მით უფრო, თუ კარგი ქვაა, ამ ტყე-ლრეში უქმად რატომ  
უნდა ეგდოს?

— იმიტომ რომ წინაპრის ხელმონაკიდია, მისი მოტანილი და  
შონაგარია. ეს არ მთხოვოთ, ნათო, და რაც გინდათ. ის მთხოვეთ...

ნათო... პანტემ იხალგაზრდული სახელი გაუხსენა მეუღლეს. გა-  
უხსენა არა მხოლოდ მოფერებისათვის, მოსათუთებისათვის, არა! უფრო მეტი გრძნობით გაათბო მოხუცებ ეს სახელი. თანაგრძნობის,  
თანამაზრეობის, მოკავშირეობის მუდარა ისმოდა ამ სიტყვაში.  
ერთ მხარეს იდგა მთელი სოფელი, შეორე მხარეს პანტე. „ნათო“...  
მარტო დარჩენილი კაცის გაბზარული, მავედრებელი ხმა იყო ეს.  
ცოლმაც ვარ გაუგო. ცოლმაც საკუთარ სიმართლეს შეატოვა ქმარი.

ერთი სიტყვით, პანტე ჭავე გარიყული, ზედმეტი აღმოჩნდა სკო-  
ლისათვის, მეზობლებისათვის, სოფლისა და რაიონის ხელმძღვანე-  
ლობისათვის. ზედმეტი აღმოჩნდა საკუთარ ოჯახშიც და იგი ოხვა-  
მეგარის საყდარში მოძებნის თავშესაფარს, დაბოლოს, სიკვდილ-  
საც.

XIX და XX საუკუნეების მწერლობაში გამოიყვეთა ე. წ. „ზედ-  
მეტი ადამიანის“ სახეები. „ზედმეტი ადამიანის“ სახელით ვიცნობთ  
ისეთ პერსონაჟებს, როგორიცაა პუშკინის ონეგინი, ლერმონტოვის  
პერიონი, ტურგენევის ლავრეცი, გიორგი ერისთავის ივანე ლილე-  
ბულიძე, მიხეილ ჭავახიშვილის თეიმურაზ ხევისთავი, კონსტანტი-  
ნე გამსახურდიას თარაშ ემსვარი, კონსტანტინე საგარსამიძე და  
სხვა.

ეს პერსონაჟები ტიპოლოგიურად განსხვავებული არიან და  
მაინც მათ საერთო, „ზედმეტი ადამიანის“ სახელით მოიხსენიებენ  
ხოლმე. განმაზოგადებელი ნიშანი, რითაც აღნიშნული გმირები  
ხასიათდებიან, თვით „ზედმეტი ადამიანის“ ცნებაში მოიაზრება. (ეს  
ცნებაც, ცხადია, გარკვეული პირობითობის შემცველია, რადგან ბუ-  
ნებაში არაფერი და, მით უფრო, არავინ შეიძლება იყოს „ზედმე-



ტი“. XIX საუკუნის ქართულმა სინამდვილემ წარმოშვა გამჭვედმტები აღამიანები“, რომელთა ცოდნა, განათლება, მიზნები, ოცნებები და იდეალები უნაყოფო იყო. ისინი მოსწყდნენ პრაქტიკას, სინამდვილეს და იმავე სინამდვილის ულმობელმა ლოგიკამ ოცნებაში ჩამონაკვთული მათი სამყარო, მათი ილუზიები სასაცილოდ საკოდავი გახდა. (ამგვარ პიროვნებათა ლიტერატურული ხატია ივანე ღილებულიძე).

იმავე XIX საუკუნის ქართულმა სინამდვილემ მოვცეცა ისეთი ტიპის „ჰედვიგი ადამიანები“, რომელთა სახეები აკაის „რუსეთუ-შეში“ და „ღამურაში“ აირეკლა. რამდენიმე თეოული წლის შემდეგ ქართულმა ლიტერატურამ „ზედმეტი ადამიანის სხვაგვარი ტიპი გამოკვეთა. XX საუკუნის დასაწყისში ინტელიგენცია იბრძოდა და-ლი შემართებითა და მრნდომებით. მაგრამ, როცა თვით ხალხი მო-ექცა ბრძოლის ავანგარდში, ინტელიგენციის ერთი ნაწილი, რო-მელიც ადრე იღვწოდა „ხალხისათვის და არა ხალხთან ურთად“, ბრძოლას გამოეთმა, გაირიყა. საერთო ბრძოლის შედეგში წილი აღარ ედოთ, ზედმეტ ადამიანებად იქცნენ (თეიმურაზ ხევისთავი). აღარაფერს ვამბობ დავით კლდიაშვილის აზნაურებზე, რომელთა ცხოვრებაში კრიზისული სიტუაცია დგება და ისტორიის ლოგიკა მზის ქვეშ აღილს აცლის.

ერთი სიტყვით, სხვადასხვა ეპოქაში პიროვნების ზედმეტ ადა-მიანად ქცევას განსხვავებული ობიექტური საფუძველი განაპირო-ბებს.

ნოდარ წულეისკირის მოთხრობის, „დავით აღმაშენებლის ქვა“, შთავარი გმირიც ზედმეტი აღამიანი, სოფლისაგან გარიყული კაცია. ერთ მხარეზე დგას პანტე, მეორე მხარეს—თანასოფლელები. სოფელ-ში ყველა ერთმანეთს ხელს ბანს, ყველა „თავის ჭამს ჩასცერის“ და ასე უფრო უკეთ ძლებენ. სოფელს თავისი სიმართლეც აქვს: „რა მოხდა, ატესტატში ნიშანს ვუმატებ, ხომ არ ვაკლებ. ბავშვს გამოა-დგება“. „რა მოხდა, მეურნეობის ვენახს ვთოხნი, (ვაფუჭებ) უენ-სას ხომ არა“, „რა მოხდა, შენ ცალხეს ზომ არ ვჭრი“. „რა მოხდა, ქვაა, ოქრო ხომ არა“. სოფლის სიმართლე მოკლედ ისეა ფორმუ-ლირებული: „არ შემეხები—არ შეგეხები“. სოფლის სიმართლე უტი-ლიტერატული სიმართლეა. რაც მას გამოადგება, რაც მის ინტერესს,

წარმომადგენლობის, სიმართლეც ის არის. სოფლის პრინციპი — უპრეზენტაცია პობაა.

სოფელს ღიღი იდეალებიც გააჩნია, მაგრამ ამ იდეალებსაც თავისი კერძო ინტერესებისათვის იყენებს, — ხან ფარად და ხანაც შახვილად. პანტეს თანასოფლელნი არავის არ ებრძვიან, ისინი გულგრილნი და ინდიფერენტულნი არიან. პირიქით, პანტესთანები არ ისვენებენ, შფოთავენ და სოფელიც იძულებულია, ან დაიმსგავსოს ყოველი „არამკითხე“, ანდა მოიკვეთოს.

რა უდევს საფუძვლად „დავით ალმაშენებლის ქვის“ მთავარი გმირის კონფლიქტის თანასოფლელებთან, მის გარიყებას, მის მარტოვაცად, გნებავთ, „ზედმეტ ადამიანად“ ქცევას? რევოლუციამდელ ლიტერატურაში მსგავსი სიტუაციების ახსნა იდეილად შეიძლებოდა საზოგადოებრივი სტრუქტურის, სინამდვილის, ცხოვრების ანტაგონისტური ხასიათის გათვალისწინებით. 6. წულეისკირის თანაბეჭდოვების ამსახველ მოთხოვნებსა და რომანებში კონფლიქტური სიტუაციების ასახსნელად მსგავს მომენტებს, ცხადია, ვერ შევხვდებით. მწერალი თითოეულ თხზულებაში ადამიანთა ზნეობრივი საწყაოს მეტ-ნაკლებობაზე ამანებილებს ყურადღებას და კონფლიქტური სიტუაციებისა თუ წინააღმდეგობათა განმაპირობებლად ამ უკანასკნელს მიიჩნევს. ერთი კრიტიკოსის სიტყვებს დავვეს ხები: „წინააღმდეგობანი და კონფლიქტები ცხოვრებასა და მის განვითარებაში სოციალიზმის ეპოქასაც ახასიათებს. მხოლოდ სინამდვილის „შემლამაზებლებს“ შეუძლიათ დახუჭონ თვალი კონფლიქტებსა და წინააღმდეგობებზე, არ ღაინახონ ისინი.

ვ. ი. ლენინი გარკვევით მიუთითებდა, რომ ანტაგონიზმი და წინააღმდეგობა სრულიადაც ერთი და იგივე არ არის. პირველი გაქრება, მეორე დარჩება სოციალიზმის დროს“.

6. წულეისკირი, როგორც პირუთვნელი მწერალი და მოქალაქე, ცდილობს არ „შეალიაბაზოს“, არ დაამახინჯოს ჩექნი ცხოვრების უსა თუ ის მხარე. მწერლის ახალი რომანიც, „ზესნახესა და ბურგურიას სიყვარულის ამბავი“, ამ პათოსითაა გაუღენთილი. აღნიშნულ რომანში კიდევ ერთხელ გამუღავნდა 6. წულეისკირის ზნეობრივი და ლიტერატურული მრწამსი — სწორად ასახული სინამდვილის მეშვეობით ზემოქმედება მოახდინოს სინამდვილეზე.

\* \* \*



დროის მდინარება ახალი და ახალი ფაქტებით ავსებს ჩვენს ყოფიერებას. აღამიანო ჩვეულებრივ, თითქოსდა არაფრით გამორჩეულ ცხოვრებას ისეთი იდუმალება ახლავს, ფაქტების კონგლომერატში ისეთი სილრმე და ურთიერთგანპირობებულობაა, ხოლო სინამდვილეში მომხდარი ამბები იმდენად დრამატული, რომ შესაძლოა დოსტოევსკისა და შექსპირის ნაწარმოებთა სინაფრენესაც გაღიაჭიათ. რეალურად მომხდარი ამბავთა იდუმალებასა და სილრმეზე აკი დოსტოევსკიც ამარკილებდა ყურადღებას „მწერლის დღიურში“. ოღონდ ეს არის, ჩვეულებრივი, ყოფითი ფაქტების მთელი სისავსიონ აღქმას, ყოველდღიურობაში არაჩვეულებრივის შემჩნევას, არაჩვეულებრივი თვალი სცირდება.

ყველაფერი ჩვეულებრივად დაიწყო. მწერალი მიკლინებაში წავიდა. შენდებოდა ენგურჭესის კაშხალი. მშენებლობა გრანდიოზული კი იყო, მაგრამ ჩვენი დროისათვის არც ეს ჩაითვლება არაჩვეულებრივ მოვლენად. მით უფრო, „ყველა მშენებლობა ძირითადად ჰგავს ერთმანეთს, კაშხალის აგების წესიც ყველგან ერთნაირია. მხოლოდ აღამიანური ურთიერთობებია თავისებური“, — აზუსტებს ნოდარ წულეისკირი და მი ფრაზით უკვე შესავალშივე გვიმედავნებს თავის გამოკიდებულებას ხელოვნების საგნისალმი. მწერალს არ დაუწერია ე. წ. „რომანი ენგურჭესზე“ და მისი მიზანი არც ყოფილა ამა თუ ის მშენებლობისათვის ძეგლი აეგო, რაღაც ლიტერატურის საგანი აღამიანია და, თუ მაინცა და მაინც, — მწერალი აღამიანს უკებს ძეგლს. ეს ანბანური ჭეშმარიტება, სამწუხაროდ, ზოგჯერ არ გვახსენლება.

ამ საკითხზე ერთი შიზეზის გამო შევაჩერე მკითხველის ყურადღება. შართალია, ნ. წულეისკირის რომანი, როგორც ახალი, ასე მოვიხსენიე, მაგრამ შევნიშნავ, რომ ნაწარმოებს უძვე თავისი ბიოგრაფია აქვს. პირველი ნაწილი, „ზესნახე“, ამ თაობდე წლის წინათ გამოკვეყნდა. სალიტერატურო კრიტიკამ შეაფასა კიდეც. ვ. ბათო-აშვილის წერილში ვკითხულობთ (კრიტიკა № 3, 1976 წ.): ნოდარ წულეისკირი გვიამბობს „ჩვენი დროის მეტად მნიშვნელოვან იდამიანებზე, წერს მნიშვნელოვან მოვლენაზე. ლიტერატურულ ქმნილებას კი ის თავისებურება ახასიათებს, რომ შეიძლება მან თავის უფასოს ძეგლი ჩვენი დროის თავისთვის და ჩინებულ ძეგლს — ენგურ-



პესს“. (გვ. 65). კრიტიკოსი აქ იმავე შეცდომას უშვებს, რაზეც ჩე—  
მოთ გვქონდა სატბარი. მხატვრული ტილო არ იწერება იმისათვის, რომ მშენებლობას ძეგლი აუგოს. მხატვრული ნაწარმოების სპეცი—  
ფიკა სხვაა, დოკუმენტური თუ პუბლიცისტური ნაწარმოებისა კი—  
სხვა. 6. წულეისკირს არც „ჩვენი დროის მეტად მნიშვნელოვან  
ძალაშიანებზე“ დაუწერია რომანი. პირიქით, წინათქმაში იგი ხაზგა—  
მით აღნიშნავს, რომ გამოუჩინებელი, უბრალო აღამიანების ცხოვ—  
რება უნდა აღწეროს, რის გამო საყვედურობენ კიდეც. „აქ დიდი  
მშენებლობათ ამისსნეს, — ჩამომიოვალეს მთავარი ინჟინრის, მი—  
სი მოადგილეების, სამშართველოთა უფროსების, სოციალისტური  
შრომის გმირების, უმაღლესი საბჭოს დეპუტატების სახელები, ზეს—  
ნახე და ბუძგერია რას მიქვიან, თუ მწერალი ხართ, იმათი შრომა  
წარმოაჩინე, ვინც ენგურპესს ნამდვილად აშენებსო“. როგორც  
ცხედავთ, მწერალი ერთს წერს, კრიტიკოსი კი სხვას გვიმტკიცებს.  
მსგავსი წინააღმდეგობანი წერილში სხვაგანაც გვხვდება, რაც იმ  
უბრალო შიზეზით იასსნება, რომ კრიტიკოსი აღრე გაისარჯა და  
რომანის დასრულებას არ დაელოდა. ნაჩარევად გამოიტანა უარ—  
ყოფითი დასკვნებიც. დაუმთავრებელ ნაწარმოებზე მსჯელობამ კი  
ლიტერატურული მკითხაობის სახე მიიღო.

ასე შაგალითად, გ. ბათიაშვილი წერს: „ერთი წუთით დაგუშ—  
ვათ, რომ ზესნახე ენგურპესზე არ მოხვედრილიყო, რა მოხდებოდა  
მაშინ? შეიძლება მას ინსტიტუტიც დაემთავრებინა, მერე სოფელ—  
შიც დაბრუნებულიყო, კეთილსინდისიერად ემუშავნა; ერთი  
სიტყვით, იგი იარსებებდა, ასე თუ ისე, მეტნაკლები წარმატებით გა—  
ლევდა ცხოვრების გზას, მაგრამ იგი გერასოდეს ვერ ჩამოყალიბ—  
დებოდა პიროვნებად. ენგურპესმა კი იგი სწორედ პიროვნებად  
აქცია“. (გვ. 52) კრიტიკოსი, რბილად რომ ვთქვათ, უცნაურად  
შეჯელობს. ჯერ ერთი, რამდენად მიზანშეწონილია მხატვრული ნა—  
წარმოების განხილვისას საკითხის ასე დასმა: გმირს სხვაგარად რომ  
ეცხოვრა, რა მოხდებოდა მაშინ? მოკვდავთაგან არავის შეუძლია  
ასეთ კითხვაზე პასუხის გაცემა, გ. ბათიაშვილმა კი კითხვაც დასვა  
და პასუხიც სახელდახელოდ შემოგვთავაზა. თურმე ზესნახე ენ—  
გურპესის მუშა რომ არ გამხდარიყო, პიროვნებად ვერასოდეს ჩამო—  
ულიბდებოდა. შეიძლება „ინსტიტუტიც დაემთავრებინა, მერე სო—  
ცელშიც დაბრუნებულიყო, კეთილსინდისიერად ემუშავნა; ერთი  
2. კრიტიკა № 3

სიტყვით, იარსებებდა“. აი, პიროვნებად კი ვერა და ვერ ჰქონდა კრიტიკოსმა მისდა უნებურად არასასურველი როლი მიუჩინა ყველა არაენგურჲესელს. თუმცა რაღა უნებლიერ, იგი გარკვევით წერს: „ზესნახესნაირები ბევრნი არიან ჩვენს დაბა-სოფლებში და იმის გამო, რომ თავის თაყზე ვერ ამაღლებულან; თავისი პიროვნული ნაკლი ვერ დაუძლევიათ, (რადგან, სოფლიდან ფეხი არ მოიცვალეს.—ნ. გ.) მათ ნოქაეს ცხოვრების ორომტრიალი, მათი რიგებიდან გამოიყვანა ნ. წულეისკირმა თავისი რომანის პერსონაჟი და გვიჩვენა მისი ცხოვრების გზა“ (გვ. 50). კრიტიკოსს ავიწყდება, რომ შრომა ყველგან საპატიოა, ყანაშიც და დიდ შშენებლობაზეც. ხოლო ადამიანის პიროვნებად ქცევას შშენებლობის მასშტაბი არ განსაზღვრავს.

ნოდარ წულეისკირმა კარგად უწყის, რა უნდა აქციოს თანა-შეღროვე ადამიანის ფიქრისა და განსჯის სავნად, სად ფეოქავს ის ნერვი, რომელსაც მკითხველი გულისთვებს აუწყობს.

იი, ენგურჲესის შშენებელთა შორის შეყვარებული ქალიშვილი ცხოვრობს. ჩვეულებრივი გოგონას თვალებში მწერალმა არაჩვეულებრივი ნათელი დაინიახა. ეს „ნათელი“ დაედო საფუძვლად რომანის „ზესნახესა და ბუძგურიას სიყვარულის ამბავი“. წინათვემა გვამცნობს, „ზესნახესა და ბუძგურიას სიყვარულში, როგორც სარკე-ში, ჩანს ცხოვრება, ჩანან ადამიანები სრულად; თავიანთი ავჭარ-ვით“. რომანის სიუჟეტური მდინარება ამ აზრის მხატვრულ ხორც-შესხმად გვევლინება.

„იღუმალ სიჩუბეში ხმელი ფიჩხი გატყდა, ორლობეში ვიღაც აილანდა. ეს ამირან დარასელია იქნება, მეტსახელად ბუძგურია, გა-გარივით აშლილი და მუდამ გაბურძგნული ქოჩრის გამო სოფელმა შეარქვა ბუძგურია.“

ბუძგურია შეყვარებულია. ზესნახე უყვარს, უყვარს კი არა მზე და მოვარე ამოსდის და ღლეცა და ღამეც მის სახლს გარს უვლის, სულ იქნა, იმ არემარეში, ზესნახესთან ახლოს, ყოველ წუთს უნდა შისი ნახვა. ძილშიც სულ თავისი მზეთუნახავი ესიზმრება, ზესნახე ხომ მზეთუნახავს ნიშნავს.

თუთარჩელაში ზესნახეს სახლის უკან სხვა ვინ იქნება თუ არა ბუძგურია.

შოურიიან ღამეში ბუძგურიას რა დააძინებს. არც ზესნახეს



სძინავს", — ასეთი ნაზი, სათუთი, ულამაზესი გრძნობით აღვხულა დად წარმოვიდგინა მშერალმა რომანის დასაწყისში თავისი გმირები. ჩვიდმეტ-ოვრამეტი წლის ახალგაზრდები ერთმანეთის სიყვარულით იღამაზებენ ცხოვრებას. სამყაროს დასაწყისიცა და დასასრულიც მათვის ამ სიყვარულშია ჩატეული, დავანებული. სიყვარულის ნებას აყოლილი წყვილი სოფლიდან იპარება. ვის მინდობილი ზესნახე ჩედალუდან ენგურჰესის მშენებლობაზე მიდის. წმინდაა მთაი სიყვარული, პირველი თოვლივით სუფთაა ზესნახეს უმანკო გული.

გავიდა დრო, გავიდა თვეები. თითქმის მთელი წელი, ენგურჰესის საერთო საცხოვრებელში გვერდიგვერდ მცხოვრები შეყვარებულებისათვის უსამანოდ დიდი დრო გავიდა იმისათვის, რომ ზესნახესა და ბუძგურიას სიყვარული „უბიშო ცოდვით“ დაგვირგვინებულიყო. იმ დღიდან დაიწყო ზესნახეს ახალი, საშინელი ტრაგედიით იღსავს ცხოვრება. ბუძგურია არ აღმოჩნდა სიყვარულისთვის დაბადებული კაცი. პირველსავე დღეს გუდა-ნაბადი იირა და ბედს შეატოვა ქალი. პირველყოფილი უბრალოებითა და სიწმინდით, სიკეთითა და სათნოებით გულსავსე ზესნახეს პირველი და საშინელი დარტყმა აგება ცხოვრებამ.

ზესნახე არც კი იყო გამორკვეული, არ სჯეროდა, საყვარელ ადამიანს ასე უბრალოდ თუ შეეძლო მისი განწირვა, რომ უბედურებას უბედურება მიესართა. ბარაკებში, ნახევრად დანგრეულ ოთახში, სადაც გაუბედურებულ გოგოს შეეფარებინა თავი, ბუძგურია გამოცხალდა ახალ „შეყვარებულთან“ ერთად. ზესნახეს კიდევ ერთხელ მოუკლეს გული. ქალი, რომელიც ბუძგურიას ახლდა, ლენა ბელოვა, მისი მეგობარი იყო... „ზესნახეს სულში რა ჭილიკონიც ტრიალებდა, რა ტანჯვა აღბეჭდოდა გოგონას სახეზე, ღამის სტუმართა თვალი ამას ვერასოდეს დაინახავდა. ამის არც უნარი გააჩნდა და სურვილიც არ ჰქონდათ“.

„ბუძგურია, სულ არ გრცხვენია?“ — სუსტი ქალური ხმით იქვა ზესნახემ. შეურაცხყოფილი ქალის ხმა იყო ეს, მაგრამ იმ ქალისა, რომელსაც სჯერა, რომ მის წინ ადამიანი დგას. რომ ადამიანობა არსებობს ქვეყნად, მაშინადამე, სიყვარულიც არსებობს. „კვლავ მიყვარხარ“, — ამას გულისხმობდა ბუძგურიას დამუნათებით. „გაპატიებ“, — ესეც ითქვა იმ ერთ ფრაზაში. ზესნახეს ჯერ



კიდევ აქეს რწმენა სიყვარულისა, ზესნახე შეურაცხყოფილიჭეოფა  
უაგრძო ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე უბეღური აღამიანი. ზესნა-  
ხეს კვლავ შეუძლია იოცნებოს, შეუძლია იცხვროს სიკეთის მო-  
ლოდინით. გოგონას სხერა, რომ საქმრო საბოლიშოდ არის მოსუ-  
ლი. ბედი კი ახალ საშინელების უმზადებს ქალს. ბურღურია და ლე-  
ნა ბელოვა ძალივით გარეთ გააგდებენ გოგონას.

შუალემისის, ქარსა და წვიმაში დარჩენილი, თავშესაფრის ძებნას  
იწყებს ზესნახე. მას ბურღურის მეგობრები, თანამშრომელი ბიჭე-  
ბი შეიფარებენ — გვერ, ლუდა და გური არქანია. ოთახში, სადაც  
ზესნახე მოათავსეს, იმ ღამეს სიავე დატრიალდა. ზესნახე ზნეობ-  
რივად მოკლეს. ლიტერატურაში ქალხე ძალიდობის არაერთი ფაქ-  
ტი ასხეული, მიგრამ იშვიათია ისეთი საზარელი და გულისმომკვლე-  
ლი სურათის ანალოგია, როგორსაც ნოდარ წულეისკირი გვიხატავს.  
საილუსტრაციოდ ცოტა ვრცელ ციტატას ამოვწერ: „გალშელონე-  
ბული ეგლო ქალი ქუჩებიან ქვეშაგებში და ფხრეწისა და გლეჭის  
ხმა ჩაესმოდა... გვამში ჩარჩენილი იღუმალი ძალით, მისდა უნებუ-  
რად, მოძალუდეს ალბათ მანიც არ ემორჩილებოდა, რადგან ვრძნობ-  
და რომ მკლავებს უგრეხდნენ, წელში ტეხლნენ, კბენდნენ კიდეც...“

არ იყო ეს გური არქანია; ვისთანაც თითქმის მთელი ერთი წე-  
ლი ბუშაობდა, კეოილად ესაბმებოდა და ხანდახან ქათინაურსაც კი  
ამეტებდა... დაუმორჩილებელს როცა ის ერთი გარტყმა არ ეყო,  
ზესნახემ ყელში მამაკაცის მძლავრი ხელის წაჭერაც იგრძნო.  
„ღმერთო, ნუთუ მახრჩობს“... წამით გაივლო გუნებაში, იმის გა-  
ფიქრებაც მოასწრო „რა დაეცუშავეთი?...“

დაბნელდა მთლიან, საბოლოოდ დაბნელდა... შემდეგ არაფერი  
ახსოვს რა მოხდა... არც გლეჭისა და ფხრეწის ხმა გაუგონა და  
არც არავითარი ხმა მიწიერი.

ასე ეგონა, მთელი საუკუნე იწვა უკუნეთსა და სიმწუხარეში.  
შეიძლება რამდენიმე მკვდრული წუთი მოეჩვენა საუკუნეო, რად-  
გან სეზარელმა ხმაურმა გამოაღვიძა და კვლავ მიწაზე ჩამოიყვანა,  
კვლავ იქ, იმ ოთახში, იმ საწოლზე იწვა, ოღონდ ამ სახლისაკუნ და  
ამ ოჯახისაკუნ გოჭოხეთური ხმაურით ტანკი მოჰქონდა, გარშემო  
ყველაფერს ლეწვედა და პირდაპირ ზესნახეს საწოლისაკუნ მოექა-  
ნებოდა. აპა, კარიც შემოანგრია და კალელიც, ჭერიც ჩიმოაქცა,  
იატაკიც ვაგლიჯა, საწოლზე გულალმა მწოლ შიშველ ქალს მიაღვა



რეინის შავი შუხლუხებით, წამით შეყოვნდა, თითქოს ძალა მოიკრისტიანული არიალი იგრიალა და ოთხ ბარძაყებზე შავი შუხლუხები შეაყენა.

წყვდიადში ჩაინთქა ზესნახე, გრიალ-გრიალში, ჭოჭოხეთურ ხმაურში გარკვევით გაიგონა გური არქანის ხმა: „ბუძგურის ხომ კარგდ დაუწევი“.

ამ სიტყვებმა ჩანთქა წყვდიადში, ყოველგვარ ტანკზე უცრია და- დი ტანკი იყო ეს გესლიანი სიტყვები.

გადიგრიალა ტანკმა. დაგლეჭილ-დაფლეთილი ქალის სხეული და სული დატოვა საწოლზე.

„ბარაკები ხომ გააძლე, მე რას მიძალიანდები!...“

კვლავ ჩეგსმა ზესნახეს გრიალ-ზრიალში, ეს ღუდას ხმა იყო!... გველურ სისინს უფრო ჰგავდა, ვიდრე მამაკაცის ჩურჩულს ყურ- თან.

ტანკი კვლავ ბრდღვინავდა და ბობოქრობდა ოთახში, ლეწავდა გარშემო ყველაფერს, საწოლზე უსასოოდ მივდებულ გოგოს დაუნ- დობლად თელავდა შავი შუხლუხებით.

„ვითომ ანგელოზი ხარ, ვთომ ახლა, აქ ჩემს თვალწინ, გურის- თან და ღუდასთან არ წოლილხარ!“ — ეს გეგის ხმა იყო.

გათავდა, დაღმდა საბოლოოდ, დაიბურა მთელი ქვეყნიერება, წყვდიადში ჩაიძირა ყოველი“.

შემთხვევით არა რომანის მთავარი გმირის სახელი შერჩეული. (ზესნახე-მხეთუნახევი). ზესნახე გამორჩეული პერსონაჟია. განს- ხვავებული ყველასაგან თავისი სილამაზით, სულის სიღიადით. ზესნახე ზნეობის ხორცშესხმული ხატებაა. მის გარშემო კი უზნეო ადამიანები ცხოვრობენ. უზნეობამ გათვლა, მიწასთან გაასწორა ზნე- ობა. ზესნახე ან უნდა შეეგუოს ყოველივე იმას, რაც თავს ძალადო- ბით გადახდა, ანდა სიცოცხლე მოისწრაფოს. ზესნახეს წინაშე არ- ჩევანი არ დამდგარა, მას არ შეუძლია იცხოვროს მის გარშემო მყოფ ადამიანებთან, არ შეუძლია შეურიგდეს ბედს და ცხოვრებას, რო- მელმაც ასე უდანაშაულოდ დასახა იგი. ზესნახე ცხოვრებას ლი- რებულებადა არგულად თვლის, რადგან შეუგინეს, გაუთელეს ის, რაც მისი ცხოვრების საფუძველს წარმოადგენდა — ზნეობა. სიცოცხ- ლე მისთვის უაზრო ხდება, მაგრამ აქ იფეოქებს შერისძიების დაუ- რკებელი წყურვილი, რაც საზრისს აძლევს მის შემდგომ ცხოვრებას.

აქაც დამარცხდა ზესნახე. ენგურჰესის უდიდეს მშენებლობაში თავითონ გაუბედურებული გოგოს „სადევნად“ ორავის ეცალა. გულთან ლურიდონ ფიფის გარდა) ორავინ მიიტანა მისი ტკივილი. ოვითონ გადაწყვეტა სამართლის აღსრულება. ვერ მოახერხა. მუშტად შეკრული ბოროტების წინააღმდეგ უძლური აღმოჩნდა ზესნახე. ზნეობამ უზნეობის წინააღმდეგ ბრძოლაში ვერაფერი გააწყო. ერთ მხარეს დარჩა ჩელალური გოგონა, მეორე მხარეს — „მთელი ქვეყანა“. სიცოცხლის დიდ ნადიმზე ზესნახესათვის აღვილი არ დარჩა და მან ოვითმკვლელობა გადაწყვიტა. ერთიადერთი გამოსავალი, რითაც მთელს ქვენიერებაზე შურისძიება შეეძლო გოგონას, თვითმკვლელობა ცუ. ეს აზრი მოეწონა, გაიშინაირსა, სიკვდილს ღირებულება მიეცა მისთვის.

ბარაკებში, ჩამონჯრეულ ოთახში, უქვეშაგებო რკინის ცივ საწოლზე ცხოვრებისაგან გათელილი მზეთუნახავი იწვა და ფიქრობდა: „შიმშილით მოვკვდები და ბუძგურიას ამით მაიც დავსჯი“. „არა შარტო ბუძგურიას, ყველა ენგურჰესელ ბუძგურიას გამოეუტან საშინელ განახენს: მკვლელები ხართ თქვენ, აგრე, ბარაკებში, უდანაშაულო გოგო თქვენ მოქალით“... „მაშ, შიმშილით სიკვდილი მთელი მსოფლიოს ბუძგურიების დასასჯელად!“...

„რახან სიკვდილს აზრი მოუძებნა, გულზე მოეფონა, სიმწვიდე მოპგვრა და ბეჭს დამორჩილდა“. მაგრამ ამ უკანასკნელმა გამრძოლებამაც ამაოდ ჩაიარა. ზესნახეს თავგანწირვამ ვერავის გაუდნო კულში ყინული. ოვითმკვლელობა არავის აღუქვამს უმწეო ქალის პროტესტად და შურისძიებად. „ბუძგურიას ზესნახეს სიკვდილით წარბიც არ შეტოკებია“. — ეს არის რომანის ყველაზე სევდიანი ეკორდი. მაგრამ აქ არ მთავრდება ნაწარმოები. ზესნახეს გულშკვდარი დედა და ჩელალური გლეხეცეცები მკვდრის სულის „წასაყვანად“ ჩავლენ ენგურჰესში. ზესნახეს სული არ გაეკარება ადამიანებს...

მიუხედავად იმისა, რომ რომანს სათაურად ჰქვია „ზესნახესა და ბუძგურიას სიყვარულის ამბავი“, მიუხედავად იმისა, რომ ნოდარ წულეისკირი ნაწარმოებში თითქმის სულ ზესნახესა და ბუძგურიას „სასიყვარულო“ ურთიერთობის შესახებ მოგვითხრობს, ეს თემა მხოლოდ ფონად შეიძლება ჩაითვალოს ნაწარმოების მთავარი სათქმელის გამოსაკვეთად, რაც სქემატურად ასე შეიძლება



თქვეს: აღამიანები, დიდ საქმეებს, დიდ მშენებლობებს შეჭრულებული, ზოგჯერ ვივიწყებთ იმას, ვისთვისაც ყოველგვარი მშენებლობა წამოწყებულა მძველნად, — აღამიანს, ინდივიდს.

\* \* \*

ეს წერილი ერთი ფრანგი მწერლის სიტყვებით მინდა ლავას-რულია: „ჩვენი სიტყვა, ჩვენი საქმე უკეთლოდ არ ქრება, მეტნაკლებად ღრმა კვალს ტოვებს, ამიტომ უნდა ვეცაღოთ, რომ ჩვენს შემდეგ იღრინდელზე ცოტა უფრო ნათელი, ცოტა უკეთესი სამყარო დაცტოვოთ. მაშინაც კი, თუ ეს სამყარო ერთს უკანა მხარეა, ანდა საკუჭხაოა. თუ „სანუკვარი მოგონებების“ პასაუმა გაულეტილ სპილოებზე ერთ მდიდარ უსაქმირს მაინც გადაათვირებინა აფრიკაში სპილოებზე სანადიროდ წასვლა, ან ერთ ქალს მინც ათვე-ვინა უარი სპილოს ძვლის სამკაულის შეძენაზე, მიმაჩნია, რომ ამ ნაწარმოებმა გაამართლა“.

ღრმად მწამს, ნოდარ წულეისკირის ახალი რომანი, უბედური ჰესხახეს დაუკისწყარი ხატება, მრავალ აღამიანს იხსნის არადღამიანურობისაგან. „ამაზე მეტი, წესით და რიგით, ერთ მწერალს იღარ შოთხოვება“.

□ □



# განცხადის ხიდიან

## □ ალექო გაგალაძე □

„ინტელექტუალურ სფეროში არ არსებობს უფრო ამაღლებული ტრაგიზმით აღბეჭდილი სანახობა, ეიდრე ჭერეტა იმისა, თუ როგორ მიღის ცნობიერების ყველა უნარი... არყოფნასა და ოვითუარყოფამდე, სწორედ აქა სიმარტოვისა და გამოუგალი სიცხადის ჰეშმარიტი საუფლო“, — წერდა პოლ ვალერი. ამ სიმარტოვისა და გამოუგალი სიცხადის ჰეშმარიტ სუფლოში იწყება ინდივიდის არსებობის მედიტაციური კრიზი და ცნობიერებაში იწყება შთელი გახვლილი გზის ხელისხმლი გადათახების ეფექტული წარლვნა. ამ კრიზიულ სიტუაციაში აშკარად ვლინდება უფსაკრული ნაღდსა და შესაძლებელ აჩარებობის შორის.

ასეთ ვითარებაში ვხვდებით გურამ ფანჯიკიძის მოთხოვნის გმირს აკადემიკოს დავით იაშვილს („ქვეშის სითო“). სიკვდილის სარეცელს მიჯაჭვული აკადემიკოსა ბურუსისა და წყვდიადის სიბლანტეში, როგორც „შუქჩამქრალ ფოტოლაბორატორიაში წეეს, ხოლო გარე სინამდვილის გიგანტური სტრუქტურები დანადებივით უჩინარების ინიციატივა: „დავითმა ჩათელიმა. უფრო სწორად, ძილი მოერთა, ორითოდე წერთით თითქოს გამოეთაშა კიდევ საყიდოს, მაგრამ შემდეგ კალავ ფიქრები შემოესია. იყი თითქოს ხედავდა კიდეც რუს ფიქრებს, მგლებივით რომ მოისწრაფოდნენ ყოველი მხრიდან.“

ეს წყვდიადი უკუკ სიცარიელისა და არყოფნის ზღვირია, საიდაც იწყება სუბიექტის ყოფიერებისა და არყოფნის ჯველაზე დიდი გზაჯვარედინი, სადაც ნათლად იკვეთება პიროვნების არასრულყოფილება, მისი უიმედობა, საერთოდ, ადამიანური ყოფის უმწეობი და არამდგრადობა.

შარცხი, ხელმოცარვა, იმედის მსხვრევა, შეცდომა, დაცემა და



ა. შ. — გარდასულ სინამდვილეთა კორექტივებია. სიკვდილის წილი შემცირდების მდგრადი დავით იაშვილის ბოლო წუთები მარტოლდენ განსჯა: და შეფასება განვლილი სიცოცხლის, ანალიზი და ფიქრია წარსულზე. მაგრამ... „ლირს კი წარსულზე ფიქრი?“

სიკვდილის ზღურბლიდან აშკარად ჩანს დაშვებული შეცდომები: „ფიქრი ფიქრს ენაცვლებოდა. ენაცვლებოდა საშინელი სისტრაფით. თავისი ცხოვრების შორეულ ეპიზოდებსაც კი ნათლად ხელავდა, დაშვებული შეცდომები ახლა, სიკვდილის წინ სოცრად გამოვცეთილად და ნათლად მოჩანდა“. ტრავედია ხომ ერთადერთი შესძლებელი ოორმაა, სადაც მკაფიოდ იყვეტება აღმიანის პიროვნული ღირებულება. რამდენიდაც ინდივიდის არსებობა პიროვნული „მე“-ს შექმნა, სრულყოფა და დამკუიდრება, მდევნად მისი ამსოლუტური სრულყოფა აუცილებლად ორი — როგორც მატერიალური, ისე სულიერი მხარეების გათვალისწინებით უნდა მიმდინარეობდეს.

შეერალი გურამ ფანჯიკიძე მოთხრობაში „ქვიშის საათი“ თავისი გმირის ამ ორ მხარეს სიმბოლურად ორ — ბიოლოგიურ (მატერიალურ) და სულიერ მემკვიდრეთა პლანით ხსნის. მიუხედავად სიზოგადოებრივ ცხოვრებაში მიღწეული მდგომარეობისა, სიკვდილის წინ ნათლად მეღავნდება იყალებიყოსის როგორც ერთი, ისე შეორუ მხარის არასრულყოფილება და სილატაკე. ცნობილია, რომ არასრულყოფილების გრძნობა აიძულებს აღმიანს მუდმივი ალტერნატივის წინაშე დგომას. ეს უკეთესობისაც სწრაფებაც ნიშნავს. დავით იაშვილიც, როცა გაიცნობიერებს შვილის უნიათობას; და უხერხემლობას, ხარაიშვილის (სულიერი მემკვიდრის) მლიქვნელურ, ფლიდ, უკეთურ ბუნებას, სულიერ სილატაკესა და დაცემას, ხვდება, რომ მთელი სიცოცხლე, რომელიც საკუთარი თავის სრულყოფას შეალია, დაიმსხრა, იგი არასრულყოფილებიდან ისევ არასრულყოფილებაში აღმოჩნდა და მთელი გზაც მხოლოდ ამ შონაცვლეობის ჩარადიული შეკუმშვა-განთვენილობა ყოფილა თურმე... მაგრამ... „ლირს კი წარსულზე ფიქრი“ — ფიქრი იმ წარსულზე, რომლის იმანენტურ რეალობას მხოლოდ დევალვირებული და გაყალბებული ღირებულებები წარმოადგენენ? თუმცა... უკვე გვიანაა მორიგი არჩევინის წინაშე დგომა და წარმოუდგენელი სიცოცხლისათვის ბრძოლის ხელახალი და-



წყება. ეს შესაძლებელი რომც გამხდარიყო. თვით მას და მის წბენის წებას უნდა განვეცადა მეტამორფოზა და თავად ემპირულ სინამდვილეშიც უნდა შეცვლილიყო ყოველივე. რადგან ეს შეუქლებელი გახლდათ, მანაც უბრალოდ დათმო, გულწრფელად შეუნდო და აპატია ერთსაც და მეორესაც. უფრო სწორად რომ ვთქვათ, საკუთარ თავს შეუნდო და აპატია, რადგანაც თავად იყო ამ ღირებულებათა ერთადერთი და რეალური შემოქმედი, მათში განსახიერდა საკუთარი „მე“-ს ჭეშმარიტი, მაგრამ შენიღბული სულიერი ღვრიტა.

დავით იაშვილი აგონიაშია. თითქოს აგონიას უნდა დაესრულებინა მისი სულიერი ტანგვა და მარტვილობა. და რომელიდაც მოშენტში მართლაც იგრძნო რაღაც შინაგანი, აუქსენელი სიმშვიდე და სულიერი წონასწორობა, თითქოს თვით სიყვდილსაც დაპარაგვყდეს თავისი საზარლობის კოშმარული სიღიადე; ღაბლაგვებული შიში გულგრილი, ნიველირებული წარსულისა და აუქსენელი მომავლისაც. „ნუთუ სულ ეს ორის სიყვდილის მოლოდინი?“ მის (დავით იაშვილის, — ა. გ.) გონებაში ელექტრონაპერწყალივით გაიტკაცუნა ამ სიტყვებმა! „არა, ამ მოლოდინს ჩემი უძლურება აიოლებს, ფეხზე ადგომის, მოძრაობის, მუშაობის თავი რომ აღარა მაქვს, ის აიოლებს... ტკივილი აიოლებს“.

„იმდენად უმწეო ვარ, რომ საშინელების შეგრძნების უნარიც კი ღამიქვეითდა. იმის თავიც აღარა მაქვს, წარმოვიდგინო, რა მე-ლის“

ერთ აღმოსავლელ ბრძენკაცს უთქვამს: „ვინც აღივსო სიცარიელით: აღივსო უდიდესი სიმშვიდით. ყოველი ორი მშვიდიდ იშვის. მშვიდად შეერთვის თავის დასაბამს“ (ლაო ძი).

მაგრამ აგონია ჭერ ხომ არ ნიშნავს დასაბამს? იგი დასაბამია დასაბამისა, ზღვარი ზღვარისა, საწყისი საწყისისა. დავით იაშვილის ერთი სინამდვილე ჭერ არ ვასრულებულა და სიყვდილი, დასაბამთან შერწყმის ეს უკანასკნელი ფაზა, კიდევ ერთ საზარელ კითხვას სვამს: რა იქნება შემდეგ? რა ტკივილს ტოვებ აქ? და გმირისეული გაურკვეველი სიმშვიდე თანდათან „მომდევნო დროის“ გაცნობიერებულ ტანგვაში გადადის: ნეტავ გულწრფელად ვის ეწყინება, ან ვის გაეხარდება მისი სიყვდილი?...

„ამ შეკითხვისა ეშინოდა. იგი დიდი ხანია ტრიალებდა დავითის



ირგვლივ. თთქმის იმ დღიდან, საავადმყოფოში რომ სასწაულო დახმარების მანქანით მოიყვანეს, მძიმე, მოშავო და სველი ფიქრი ჯიუტად ცდილობდა დავით იაშვილის სულსა და გონიერებიში შეეღწია. აკადემიკოსი ებრძოდა ამ ფიქრს, გონიერებდე არ უშვებდა. იცოდა, ამ თემაზე ფიქრი უკვე სიკვდილთან შეგუებს უდრიდა. მას კი თავდაპირველად ერთი წუთითაც არ გაუვლია აზრად, რომ შეიძლება მომკვდარიყო“.

ახლა კი სასიკვდილო სარეცელს მიჯაჭვული აკადემიკოსის სული გარდასულ სინამდვილეთა მარტოლდენ ნანგრევებია. იქნება ჯერაც შეიძლება ამ ნანგრევებიდან ხელახლი ტაძრის აგება? ეს წარმოუდგენელია, რადგან ფიზიკურ სიკვდილმდე რამდენიმე ხნით აღრე, ღირებულებათა გადაფასების კრიტიკულ ზღვაზე, აუღერდა მისი დაკოდილი სულის უკანასკნელი რეკვიემი: „უხოერება იღირ განმეორდება, რაც მოხდა, მოხდა“.

როგორც ამბობენ, ტანჯვის „შეწყვეტა ბეღნიერების, მოძრაობის, სიცოცხლის წყურვილის შეწყვეტაა, ყოველგვარი ვნების დაოკებაა, სურვილთა აღკვეთა და უარყოფაა. აკადემიკოსისათვის ჯერ არ შემწყდარა წყურვილი სიცოცხლისა, ჯერაც იბრძვის მასში სურვილის დემონი. შექმნილი სიტუაციის ნეთლად წარმოჩნდისათვის გვინდა ერთი ასეთი ფაქტი გავიხსენოთ. უილიამ ფოლკნერი „ხმაურისა და მძვინვარების“ თაობაზე გამართულ სეუბარში აღნიშნავდა: „... რადგან ქვერტინმა იცის, რომ უნდა მოკვდეს, მოვდენებს მაშინაც კი ანიჭებს დიდ მნიშვნელობას, მას სრულიადაც რომ არ ეხებოდეს“. აკადემიკოსიც დარწმუნებულია, რომ მისი სიცოცხლე უკანასკნელ წამებს ითვლის. მაშ რაღა აზრი აქვს, დაკრძალვის დღეებში გაიმართება თებებურთი თუ არა, იწვიმებს თუ დარი იქნება, ინსტიტუტის დირექტორად ვინ დაინიშნება, ვინ მოვა დაკრძალვაზე, ვის ეწყინება გულით ან ვის გეებარდება მისი სიკვდილი, ვინ მოაწერს ხელს ნეკროლოგს? იქნება, სწორედ ეს გახლავთ წარმავლობასთან უკონი ჭიდილი და მარადისობის კარიბჭეზე საკუთარი არსებობის შესახებ თრსიტყვიანი, მშრალი ინფორმაციის ამოკვეთა — „ამ წლიდან ამ წლამდე....!!!“

ეს ბუნებრივიცაა! უკვდავებასა და მარადისობაზე ყველაზე მეტად მაშინ ვფიქრობთ, როცა სიკვდილთან პირისპირ ვრჩებით. მხოლოდ ამ მოშენტში ვუყურებთ საკუთარ თავს როგორც კაცს, რო-

გორუ ადამიანს. აკადემიკოსი იაშვილი კი იმ წუთამდე თბეგის თხელს უყურებდა არა როგორც უშუალოდ კაცს, — თუ რა იყო იგი, — არამედ, როგორც რაღაცის საფუძველს და რაღაცის მიზანს. მას ვერ წარმოედგინა, მის გონიერის ვერ შეეგნო, რომ ერთ მშვენიერ დღეს უნდა მოძვიდარიყო; ვერ გაიცნობიერა ის ფაქტი, რომ იგი მხოლოდ უმნიშვნელო დეტალი ყოფილა იმ ცხოვრებისა, რომელმაც ჩაიარა და რომელზეც ახლი ფიქრიც კი ზედმეტი გახლდათ.

თვით მოთხრობის სათაური — „ქვიშის საათი“ აკადემიკოსის მთელი სიცოცხლის სიმბოლო და ფარული მინიშნებაა. ქვიშის იმ შემთხვევაში, როგორც კობო ახესთან (რომანი „ქალი ქვიშრობში“), თავისებური ფილოსოფიური და სიმბოლური გავება იქნება. იგი გაგებულია, როგორც სასტიკი ცხოვრება და უსახო საზოგადოებრივი ძალები. იგი მარად მედინია, ეუფლება და შლის ყოველივეს, ერთ ფორმაში კვეთს ყველაფერს, ყველაფერს, რასაც ქვეს ინდივიდუალური სახე, ამბლუა, სტილი. ქვიშა აქ, თავისთვალ, ეტროფირებული, უსახო საზოგადოებისა და უფორმო, უნაყოფო სიცოცხლის სახეა. უფრო მეტიც: აქ ოკითხს სიცოცხლეა გაიგივებული უდაბნოსთან. მოძრაობა, ქმნადობა, დინამიკა — თუნდაც უაზრო და უმიზნო — არსებობის უპირველესი, ძირითადი პირობაა. უმოქმედობა და უძრაობა სტატიური ერთსახეობაში გაქრობის საშიშროებას ქმნის. დინამიკური სუბტრატილან სტატიკურში გადასცლის მომენტში გონება იმაოდ ეძებს გემოსახვალს — გადარჩენის შანსი ამოწურულია, რადგან აღმოჩნდა, რომ თვით სიცდილა ყოფილა მოძრაობით, მოქმედებით განპირობებული; — ხოლო ჩაისცერ ნისლში, დეფორმირებულ სახეებს, უსახურ ლანდებსა და ნევატივებს შორის, სადაც წაშლილია ზღვირი დღისა და ღმის, ამიერქობურ რეალობებასა და სუბიექტურ სინაცვლილეს შორის, უდაბნოში დაცემული შოციქული დაბნეული უსმენს ირონიის ღმერთს: გვიანია ნანგრევებიდან ხელისალი ტაძრის აგება — „რაც მოხდა, მოხდა“!...

\* \* \*

თუ მოთხრობაში „ქვიშის საათი“ მწერალი სიცოცხლის ფილოსოფიური საზრისის ანალიზს აკეთებს, მოთხრობა „რეკვერმი“ ცხოვრების წმინდა ფსიქოლოგიური ჭვრეტაა (იზ შეიძლება ვიდავოთ



სიცოცხლისა და ცხოვრების ცნებათა იგივეობაზე. სიცოცხლეს უწყვეტესობა ცნებაა და ცხოვრება — სხვა, მაგრამ უნდა აღინიშნოს; რომ პირველი უეჭველად, მოიცავს შეორეს, მაგრამ მეორე კი ზოგჯერ არ მოიცავს პირველს. ამის გარეულება არ არის ჩვენი წერილის მიზანი).

ხშირად მსმენია: „რევიუმი“ ფანჯიქიძის ერთ-ერთი თვალსაჩინო ნაწარმოებია, რადგან მასში ომგადახდილი აღამიანის ფსიქიკაონიაჩვენები. არადა ნაწარმოების ყოველი ახალი წაკითხვის შემდეგ ომი, მკითხეელის წარმოდგენაში თანდათან უკანა პლანზე იწევს. აյ არ არის ომის შიშველი სინამდვილის, მისი ტრაგედიის ანალიზი; ომი აქ უამრავი პათოლოგიურ გადახრიდან მწერლის მიერ შერჩეული ერთ-ერთი სინამდვილეა, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს კველაზე საშინელი რამ — ტრაგედია „ისტორიული“ და „კონკრეტული“ მორალის დაპირისპირებისა. სწორედ აქ უნდა ვეძიოთ ნაწარმოების ცენტრალური აზრობრივი სილრმე და თვით გმირის ცხოვრების ტრაგიზმის პირველი საწყისებიც.

ბიბლიიდან დღემდე საყოველთაო მორალი ღალადებს: „არა კაც კლა!“ — ეს შეგონება ისე გაჭდა ფსიქიკაში, რომ აღამიანის კვლა ყველაზე ღიღი ცოდვა და ბოროტებაა. ამიტომაცა, აღამიანის მკვლელს ყველაზე დიდ მორალურ და ფიზიკურ სასჯელს რომ უზღავენ ხოლმე.

თორჩი კე გელაშვილიც მკვლელია!

მკვლელი, მაგრამ ... ცხორრობს უშფოთეველად. ყოველგვარი პიროვნული და სახოგადოებრივი მორალის, სინდისის ქვების, ყოველგვარი პასუხისმგებლური გრძნობის გარეშე. არა და მკვლელია საყოველთაო, „ისტორიული“ მორალის თვალსაზრისით, მაგრამ ომის ფსიქოლოგია სხვანაირად საზღვრავს და ხსნის ამ დიდი, განუსაზღვრელი დანაშაულის ისტორიულ გავებას:

„ომში კაცს არ კლავენ, შვილო! — დაიწყო უცებ მოტეხილი ჩმით თორხიკე გელაშვილმა, — როცა შენი მამა-პაპის სისხლით მორწყულ მიწის იცავ, როცა შენი წინაპრების ძვლებს იცავ, მაშინ არ ხერ კაცის მკვლელი, კაცს ის კლავს, ეინც სხვისი ქვეყნის დასაპყრობად მიდის...“

თორნიკე გელაშვილის ეს სიტყვები არც თვითდამშვიდებაა და არც ცოდვილი სულის კათარზისითაა გამოწვეული. იგი ომის მიერ შექმნილი „მომენტალური“ მორალია. აქედან გამომდინარე, იმ დასა-



კენამდე მივდივართ, რომ მორალს აუცილებლად გარკვეული შემთხვევაში მორალის ფირდობითური პრინციპიც, თუმცა ზოგად მორალთან მიბრუნებით, სადღაც, „ისტორიული“ და „მომენტალური“ მორალის შეჯახების ზღვარზე, იწყება სუბიექტის ტრაგიკული ყოფნა, ცხოვრების გარკვეული მონაკვეთის უარყოფა და მისგან გაქცევა. პრინციპში ეს არ არის ადამიანის ექზისტენციის ჯინვი, იგი მორალის, ზნეობის, სინდისის ამბოხებაა საუკუნეთა მანძილზე ჩამოყალიბებული და გაბატონებული ფსიქიკის უეცარი რღვევისა და გადახის წინააღმდეგ.

როგორ და რა სიტუაციაში ხდება პიროვნების მიძინებული „ისტორიული“ მორალის გამოფხიზლება?

რა თქმა უნდა, თორნიკე გელაშვილი თავად ვერ შეძლებს ამას, რადგან მან თვითონ შექმნა ეს „მომენტალური“ მორალი და თავადაა ამ პიროვნების გადახრის უშუალო მონაწილე. ერთი მისი შეილი და რძალი შეძლებინებს მას საყოველთაო მორალისაკენ მობრუნებს, რადგან ისინიც ამ „სერობაში“ გაიხარინენ და ჩამოყალიბდნენ. მაში, სად როის ის ძალა, რომელიც ამ გადახრებს გაასწორხაზოვნებს და ყველაფერს ისტორიულ ადგილს შეუჩენს?

მოგეხსენებათ, ახალი გზაჭვარედინით, საერთოდ, ყოველგვარი სიახლით იწყება ძველი, ყოველგვარი ღირებულების გადაფასება. აქ, მწერალი გურამ ფანჯიიძე ნაწარმოების ფილოსოფიური და მხატვრული გადაწყვეტის შესანიშნავ რჩევანს აკეთებს შემოჰყავს ბაგშვი — ყოველგვარი სიახლის დასაწყისი და სიმბოლო. ხოლო კითხვა მისი ანაზღეული, გარდასული ცხოვრების ზარზე უნებური შემოკვრაა და მთავარი გმირის, თორნიკე გელაშვილის, რეკვიეშის თავისებური აქლერებაც:

„— ბაბუ, რამდენი კაცი გყავს მოკლული? — ჰეითხა თორნიკე პატარა შვილიშვილმა და ნაჭრილობევ სახეზე ხელი ჩამოსუვა. თორნიკემ იგრძნო, მილიონმა წვრილმა და ყინულივით ციფრა ბურლბა როგორ გაუხვრიტა გული. სახეზე მწვანე ფერი დაედო, თვალები ჩაულამდა. ჩანგლიანი ხელი ჰაერში გაუშეშდა.

...მძიმე სიჩუმე ჩამოწვა. დავითსა და მის მეუღლეს (საუბარის მთავარი გმირის, თორნიკე გელაშვილის რძალსა და შეილზე — ა. გ.) პოზა არ შეუცვლიათ, ისევ ისე იყენენ გაშეშებულნი, როგორც



პირველსავე წამს, პატარა თორნიკემ რომ ჰყითხა ბაბუას, რომელიც მაცი გუაგს მოკლულია.

სიჩუმეში თითქოს საგანგებოდ გამოიკვეთა ძველებური საათის ხშა, თორნიკეს პირდაპირ მხარეს რომ ეკიდა. მისი გრძელი და შრგვალბოლობიანი ენის რიტმული ხმა თითქოს შეერწყა თორნიკეს გულისცემას, მერე როგორც მწყობრში აირევა ხოლმე ფეხი, თავისუფლად სიარულის ბრძანებას რომ გასცემენ, ისე აირია საათის ეხასთან შეწყობილი გულისცემის რიტმი, თორნიკეს მოეჩვენა, რომ გული ჩამორჩა საათს. იგრძნო საათი მისი სიცოცხლის წუთებს ითვლიდა“.

ბევრი! საათი!

სრულდება ერთი, იწყება მეორე! შესაბამისად ქვეცნობიერში შედუბისავრთ შეირჩევა „ისტორიული“ მორალი და იწყება „ქონკრეტული“ მორალის მეტამორფოზა. მთავარი მოქმედი პირიც სრულიად რეალური გარე სინამდვილიდან იწყებს ილუზის რეალობაში გადასახლებას და მთელი მოთხრობაც იმ პირობითი სინამდვილის ხერვეისკენ სწრაფვა და მისი დილემის დაძლევის კოშმარია.

რაძლენადაც ადამიანის მთელი ცხოვრება და გზა სუბიექტურისა და ობიექტურის ტრაგიული შერწყმაა, იმდენად წარმოუდგენელი და შეუძლებელი რომელიმე მხარის იგნორირება. იგი ორივეს მოიცავს და ორივე მხარე მეტნაკლებად ტოლფასოვან როლს თანაშობს, მეტნაკლებად დომინირებს. თორნიკე გელაშვილიც გაორებულია და ერთნაირად განიცდის ორივე მხარის მოწოდებას.

გმირის წარმოსახვის რაღიავალური ტრანსფორმაცია თანდაონ პალუცინაციურ ხედვაში გადადის და რეალობის ნიღბით იწყება სხალი გარემოს სასიცოცხელო პულსაცია. ეს ანგარიშგასაწევი სინამდვილეა, რადგან ცხოვრება, თავისი ბუნებით, წარმოსახვის თამაშითაცაა განპირობებული. ამდენად თორნიკე გელაშვილის რეალობად ქცეული ილუზია უფრო მართალი და ნამდვილი ჩანს, ვინემ მისიერ წარმოშობელი შიშველი სინამდვილე.

თორნიკე გელაშვილის ფსიქიკაში ადამიანის მკვლელობით გამოწეული მძიე სულიერი ტრაგმა დრომ და ყოველდღიურმა უმტკიცნეულო მოვლენებმა მიაძინეს. მიაძინეს სინდის მოდარაჭე არგუსი, მხოლოდ არა სამუდამოდ. გარკვეული დროით კონსერვაციის შემდეგ გარე მიზეზთა გამო მოხდა „აფეთქება“ და „მშვიდი“ სამ-

უაროს ანაზღეული დაქცევა. უკაცრიელ ჭუჩაში გამოფხილებულს განკითხვის ზარივით ფეხდაფეხ მისდევეს ახალი სიცოცლის შემაშეფოთებელი ხმა: „რამდენი კაცი გყავს მოკლელი?!?!“

იწყება სულიერი რყევა, ჭიდილი კოშმარულ ჭალსოან, საღაცერთამანეთში აირევა ნაღდი და მოჩვენებით, ცხოვრება და მასში შემოჭრილი გარდაცვლილთა ლანდი — საღარბაზოს კიბეებთან შემოფენებული საში ჭაბუქი, უცნაურად ანთებული ხელებით, ჭაცი მერხზე — სქელმინიანი შავი რქის სათვალით, დასიებული უპეებით, საძინებელ ოთაბში შემოტანილი კუბო ცხედრით. კველაფერი ეს აღრჩობს, ხელ-ფეხს უბორკავს, სუნთქვას უშლის, ავიუებს... იბადება გაქცევის საბელაყრილი და დაუკეცებელი ფინი, გერგაქცევის, გერგაღწევის ჭკუის შემშლელი და გამანადგურებელი შიში. ბოროტმოქმედის აღაპტირებული ფსიქიკა პატიკური შიშით აწყდება კედლებს, ჭერს, იატაქს... მხოლოდ ეს შიშია ერთაღერთი ნიშინი ნორმალურობისა ჰალუცინაციურ სინამდვილეში და...

გასროლის ხმა! გაისროლეს ორჭერ, ზედიზედ, ერთიმეორის მიაღმლებით, თითქოს გრძელი, უსასრულო გასროლა ყოფილიყოს!...

საბოლოოდ კიდევ ერთხელ სცადა კოშმარილიან გამოსვლა, „კიდევ ერთხელ სცადა გაბრიოლება“, ჩასუნთქვა, წამოდგომა, დაყვირება... მერე „ერთი ღრმად ძმისუნთქა, ენიო აუწერელი შევბაიგრძნო, მთელი სხეული ნეტარებით იევსო და იატაკზე გაიშხლართა“.

სამი ჭაბუქი დაინახა თვალგახელილმა. „ისინი თრთოდნენ და უჩვეულოდ იწელებოდნენ, სახეებიც ებრიცებოდათ, მერე ისევ პრორდებოდნენ და კვლავ კუშტად იცქირებოდნენ...“

და უცებ იგრძნო, როგორ ჩაინგრა განსაციიფრებელ დუმილში მისი სახლის კედლები, ნთელი შენობა, უხმაუროდ, უჩქამდ.

„პირველად ეგონა, შენობის ჩანგრევის შემდეგ ფეხქვეშ იატაკი გამომეცალა, გვინა, თვითონაც უფსკრულში ჩაინთქმებოდა, მაგრამ უცებ მიხვდა, მაღლა მიფრინავდა და წინ ის სამი ჭაბუქი მიუძღლდა... ერთხელ კიდევ ჩაიხდა, დაინახა რომ ჭერ ჭალაქი, მერე მთელი ბლანეტა საშინელი სისწრაფით მიექინებოდა უფსკრულისაკენ...“



არ აპატიეს, რა თქმა უნდა, არ აპატიეს — არგუსივით მომართლებული რაჯე საკუთარმა სინდისმა, ბავშვმა — ახალმა ცხოვრებამ, „ისტორიულმა“, საყოველთაო მორალმა და არც წარსულმა გარდასული ლანდებით...

„არა კაც ჰყლა!“ — ღალადებს ადამიანთა უმაღლესი მორალი, ხოლო მოთხრობისეული კონცეფციით არ აჩვებობს არავითარი გამართლებული ქცევა, რომლის მაქსიმასაც დანაშაული წარმოადგენს. კეთილი იქნება მხოლოდ ის სურვილი, რომლის ზნეობრივი შცევის განმსაზღვრელ მოტივს, სუბიექტურ პრინციპს არ გააჩნია სხვა შინაარსი გარდა იმისა, რომ თანხვდებოდეს კანონს, რომელსაც ყოველი დროის ყველა გონიერი არსებისათვის მქაცრი საყოველთაო მნიშვნელობა აქვს.

\*.  
\* \*

ერთი შეხედვით, გ. ფანჯიკიძის მოთხრობების მთავარი მოქმედი პირები — დავით იაშვილი და თორნიკე გელაშვილი სრულიად განსხვავებული ტიპები არიან. მათ მხოლოდ ერთი რამ აერთიანებთ — ნალდი, რეალური ყოფისა და შესაძლებელი არსებობის შეაცრი გათიშულობა; რომ ცხოვრება სუბიექტური „ნდომისა“ და ობიექტური „აუცილებლის“ დაუძლეველი დილემაა. „განწმენდის ხიდთან“, ყოფნისა და არყოფნის ზრუბლოთან გამოჩნდა მათი ნამდვილი სახეები, რომ ისინი ვერ გახდნენ ისინი, რანც უნდა ყოფილიყვნენ და მხოლოდ „აუცილებელის“ უმნიშვნელო დეტალები ყოფილან.

□ □

# తానామాణికానీ హారతుల్ని లొకిక్యుల్ని కార్యాలయ



ఇంగ్లా దింబాషికిల్లి



(టోంరించుల్ని ఆశ్చర్యక్రియాల్ని)

తానామాణికానీ హారతుల్ని లొకిక్యుల్ని ప్రోఫెసర్ సామాజికాని వ్యుత్పి-  
డాన్ వ్యాధి డాయిట్ అందా క్రాంతికారికాని మొఘల్లేనా అండ తరంబల్లే-  
ణిస, అండ గమిణిస దా అండ స్ట్రోమీట్రురిస త్వాల్సాథ్రిసింట.

ఎప్పల్లేంద్ర మొవ్వుల్నితా డానాథగిసా దా లభ్యమిస కృతక్కె, మిమార్తుంగ్  
ధర్మసంసారి దా సిగ్రిచ్యుసంసారి, ఎప్పల్లేంద్ర అధర్యుసాస్తిస ట్యున్క్యుసి దా మిసి  
ప్రెపల్లిల్లి మింట్రువ్రుల్లి ట్రేప్సిసి ర్యూఎల్చింధ్రెండ్రిషిం. మొవ్వుల్లి, తరంబల్లేమ్పెం  
ధ్యేరొం, ప్రింసుల్లా త్వార్మించుల్లి తరంబల్లేమ్పెం, ర్యూమ్పుల్లేపొం క్వాల్చ్యువసి లె-  
ప్పించుందిస, డాసమ్ముల్లి కుత్సువ్వెంది, ర్యూమ్పుల్లేపొం ప్రింసుల్లి ఉన్డు గాంచ్యుస.

ఎమ్మెర్చాండ నీర తరంబల్లేమ్పెం శ్యేఖ్రీరఙ్గెందిత—ధర్మసంసారి దా సిగ్రిచ్యుసి  
సాయంత్రిక్యు లింట్రిష్యుల్ ప్రోఫెసిం దా మింట్రువ్రుల్లి ట్రేప్సిసిసా దా అధర్య-  
సిసిస ప్రాంతికారితమించుండిక్కె.

**ధర్మ దా సిగ్రిచ్యు లొకిక్యుల్ ప్రోఫెసిం**

నీర అందిస ధర్మ దా నీర మిమార్తుంగ్ బాసిందించి నీరమించిన మాంతాని, సాంతింగ  
ట్రు ప్రెంటిక గానీసాంబ్రువ్రుల్లి ధర్మ తాంబువ్వెంది ట్రు అందా స్యుబ్యెక్ట్రువ్  
ధర్మసి దా నీర గానీసుక్యాగ్వెందా మాం శ్యెంటిసి, దా బొంలుసి, ర్యూఫుసి మింట్రువ్రు-  
ప్రెందా ర్యూఎలుంగి ట్యుప్తుం (గ. ఓ. ధర్మసి నీర మింట్రువ్వెంటి), ర్యూఫుసి దా  
మిసి బిల్పుల్లి బ్లుస్యెంబుం శ్యెంట్రుదా, ట్రు ర్యూఫుసి మిసి అంబుసి ధా-  
ంగించ్చా త్వాంబా క్రాంతికా స్యుబ్యెక్ట్రుమా? ఏ ర్యూపుల్లి కుత్సువ్వెంది దా మాస్టిక్  
అంబుప్పురుంగి ప్రాంతికా గాచ్యుమా అండు క్రెండి మింటింగి, మింత ప్రాంతి.

რომ კითხვებს ბევრი კუთხი ქვეს აქვს და პასუხებიც სხვადასხვა დისკიპლინის სპეციალისტს გულისხმობს.

ყოველი ადამიანი თავის ობიექტურ დროში ცხოვრობს, „აქ და ახლა,“ მაგრამ მისი მახსოვრობა, მისი შთაბეჭდილებანი, მისი ცოდნა, არაცხობიერში დალექილი ფრაგმენტები უკვე მომხდარისა თუ განცდილისა, გამონაგონისა თუ წაკითხულისა სუბიექტის აწმყო დროში არსებობენ, სწორედ სუბიექტის დროში შეიძლება „გადაიკვეთოს“ პარალელური ხაზები და, თუ ამ თვალსაზრისით შევქედავთ დროს, სუბიექტურ დროში იგი მუდმივია და უკიდევანო სივრცეში განვითარდება.

სანამ სიტყვა გრაფიკულად გაფორმდება ან ითქმება, მისი შინაარსი ობიექტურად უკვე მოაზრებულია, ამღენად — წარსულია, მაგრამ მსატვრულ დროს თავისი კანონები აქვს, წარსული, აწმყო და შომავალი მასში ობიექტური სიჩამდვილის კანონებს არ ემორჩილება. ყოველ შემთხვევაში, თანამედროვე მწერლობა სავსებით სამართლიანად მკვეთრად არ გაძლიერდება დროის ამ მონაკვეთებს ერთმანეთისაგან, რადგან ადამიანში ყოველივე ეს ერთმანეთის გვერდით არსებობს. აქ ბევრსა ხსნის უილიამ ფოლქნერის დაკვირვება (თუმცალა, მკვეთრად ინდივიდუალური) იმის თაობაზე, „რომ არ არსებობს „იყო“, რომ დრო „არის“ და თუ არსებობს „იყო“, მაშინ არ იარსებებს ისეთი რამ, როგორიც „იქნება“. დრო არაა გყინული, დრო არის ერთგვარი არსი ყველა ადამიანის გაერთიანებული სიბრძნისა, ყველასი, ვინც იმ წუთს სუნთქვას“.!

ხელოვნება და, განსაკუთრებით, სიტყვაკაზმული მწერლობა იძლევა საშუალებას დროის ქრონოლოგიის ნაცვლად წარმოსახული ქრისტიანული დრო და სწორედ ამიტომაა, რომ დროის პრიმობლება ყველა ნაწარმოებში დგას (როგორც სტრუქტურის მაწესრიგებელი კომპონენტი — ყოველთვის, ხოლო როგორც კონცეფცია ავტორისა თუ გმირისა — ზოგჯერ). მხატვრულ ტექსტში დროის ორი დერძი კვეთს ერთმანეთს: ერთი, რომლის დროსაც აღიწერება მოვლენები და მეორე — რომელშიც განვითარდა მსატვრული რეალობა ანუ მსატვრული დრო. ყოველივე ეს მოლიანდება იმ დროში, როცა აღიქმება ტექსტი, რაც ქმნის რეცეპციის სამ განზომილებიან დროს: დრო შექმნისა — დრო მოქმედებისა — დრო აღქმისა. დრო



აღქმისა, რა თქმა უნდა, ტექსტის გარეთ ძევს, მაგრამ მხატვრული ტექსტის პოტენციის სრულად გამოვლენისთვის, ტექსტის მხატვრული დასრულებისთვის მას უდავოდ აქვს მნიშვნელობა.

ნუ დავვაკიწყდება, რომ ადრესანტი და ადრესატი ორივე ადამიანია თავისი სუბიექტური დროით, ეს კი ვლინდება როგორც ტექსტის შექმნის დროს, ისე მხატვრული ტექსტის აღქმის დროსაც.

„მწერლები, ფილოსოფოსები, ფსიქოლოგები, ლიტერატურის, ხელოვნების თეორეტიკოსები ერთხმად აღიარებენ, რომ მეოცე საუკუნის აზროვნებაში მეტისტეტად დაშორდა სუბიექტური, ადამიანური, პირადი განცდის დრო ობიექტურ, რეალურ, ფიზიკურ დროს.“<sup>2</sup> მკვლევარები („დროის“) ყოვლისმომცველ სუბიექტივიზაციის „მიწეზს „უზისიკაში დროის კონცეფციის ახალი განსაზღვრების, ე. წ. „მეოთხე განზომილების“ ზეგავლენითაც კი ხსნიან, თუნდალა ეს ფენომენი, „დროის სუბიექტივიზაცია“ მეოცე საუკუნემდევ შეიძინება ლიტერატურაში, კერძოდ, რომანტიზმის ლიტერატურაში, რომელიც, როგორც ცნობილია, პიროვნებასა და ყოველივე პიროვნეულს აყენებდა წინა ადგილზე. გასაღებიც დღევანდელი „დროის ყოვლისმომცველი სუბიექტივიზაციის“ ეტყობა აქ უნდა ვეძებოთ: პიროვნებისადმი, სუბიექტისადმი გაძლიერებულ ყურადღებაში, და იქნებ, არათუ იშვიათად პიროვნების დეპერსონალიზაციაში, შეეჭვებაში, სამყაროს მოდელის სუბიექტური აღქმის ფრაგმენტულობაში და ა. შ. რაც შენიშვნული ძევს კიდევ ზემოთ დამოწმებულ წიგნის აგტორს. ნაგრამ ტენდენციას — დროსთინ და სივრცესთან თავისუფალი დამოკიდებულებისა — უშუალო ტრადიცია, ვიშეორებთ, რომანტიზმში აქვს. რაც აღნიშვნული ძევს კიდევ ძ. მეცნახს თავის შრომაში.<sup>3</sup>

რეალისტმა აითვისა და გაითავისა რომანტიზმის კონცეფციები და სტილისტური მიგნებანი დროისა და სივრცის ინტერპრეტაციისა და ასახვაში. მეტიც, მეოცე საუკუნის მწერლობამ არათუ განავითარა რეალიზმის ზოგი მონაპოვარი, არამედ ბევრ რამეს სრულობდე ახალი კუთხით შეხედა, როდესაც არაცნობიერებისადმი განხრდილი ინტერესის გამო მთელმა რიგმა სკოლებმა, „განსაკუთრებით ფსიქოალიტიკურმა თეორიებმა ყურადღება გაამახვილეს განცდის, მეცნიერების, ფსიქოლოგიურ დროზე და გამოიწვიეს ობიექტური დროის კონცეფციის რევოლუციაზე მისწრაფება“<sup>4</sup>. ამ თეორიის



ბის თანახმად, არაცნობიერი გამოვლინებანი არ ემორჩილება და მომავალი ის დინების ობიექტურ კანონზომიერებას, არ ლავდება სწორხაზოგნად, არ იცვლება, არ ვითარდება დროის დინების მიხედვით“ (იქვე, 55).

შეოცე საუკუნის დიდი მწერლები, რომლებიც ობიექტური და სუბიექტური დროის თავის მოდელს ჰქმნიან, იქნება ეს მარსელ პრუსტი („დაკარგული დროის ძიებაში“), თომას მანი („გადოსნური შთა“), ჯეიმს ჭოისი („ულისეს“), ვირჯ ნია ვულფი („ორლანდო“), თომას ელიოტი („ოთხი კვარტეტი“), ფრანც კაფკა („პროცესი“) უილიამ ფოლკნერი („ხმაური და მძვინვარება“) თუ ეგზისტენციალისტები, — ყველგან და ყოველთვის სუბიექტის პოზიციის ითვალისწინებენ. ზოგჯერ ეს პიროვნება დარღვეული და გასრესილია დროის მიერ, ზოგჯერ მრავალგანზომილებიანი, მრავალმხრივი და შორსმიმსწრაფი, მომავლის მქონე, მაგრამ დრო სუბიექტისა დრასოდეს არ რჩება მათი ყურადღების გარეშე.

სუბიექტური დრო და დროის პრობლემის რელიეფურად წარძობენა სოციალისტური რეალიზმის მწერლობისთვისაც ერთ-ერთ ძეტუალურ პრობლემად რჩება. ამ ტენდენციამ განსაკუთრებით იჩინა თავი სამოციანი წლებიდან, რაშიც თანამედროვე ადამიანის ყოფა და შეხედულებანიც გამოვლინდა. მართალია, ჩვენთან ბევრი რამ სხვა იდეოლოგიური პოზიციებიდან არის შეფასებული და წარმოსახული, ბაგრამ პრობლემა იმდენად ძეტუალურია და საერთო, რომ ჩვენი მწერლობა მსოფლიოს ხელოვნების ამ ტოტალური ტენდენციის მიღმა არ დარჩენილა. არ დარჩენილა ამ ტენდენციის შილმა არც 60-80-იანი წლების ქართული ლირიკული პოემა, მითუფრთ, რომ მისი ყურადღების ცენტრში პიროვნების-მიმართება დგას გარე სამყაროსთან, ამდენად, დროის სამივე განზომილებასთან, როგორც სისრულ, ისე უსასრულო დროსთან. აქვე უნდა შენიშნოთ, რომ დროისა და სივრცის პრობლემის კვლევა მხატვრულ ტექსტში, რაც დღეს მეტად ინტენსიურად წარმოებს, მეთოდისა და კვლევის ხერხების სიმრავლითა და პოზიციათა ხშირად დიამეტრალური სხვადასხვაობით ხასიათდება, იქნება ეს სტრუქტურალისტური შიდგომა ტექსტისადმი თუ კომპლექსური კვლევა ტექსტისა. მართალია, ყველაფრის გაზიარება შეუძლებელია და არაგონიერუ-



ლი, მაგრამ ასევე შეუძლებელი და არაგონიერული იქნებოდა ყველივეს ხელაღებით უარყოფაც.

დროსთან მიმართების თვალსაზრისით ლირიკულ პოემაში ორი ასპექტი უნდა გამოვყოთ: 1. ღროის აღრესანტის უცული კონცეფცია და 2. თავიდ ტექსტში განცენილი ღროის გავება.

თეორიული თვალსაზრისით, უფრო მეორე ასპექტია ჩვენთვის საინტერესო, მით უფრო, რამ იგი ტექსტის სტრუქტურაში ვლინდება. გაღვენის ანდენს ლირიკული პოემის სიუჟეტურ ღრავობაზე, გარეული თვალსაზრისით სიუჟეტურაც კი წარმოგვიღვება.

სამწუხაროდ, ლირიკულ პოემაში ღრობების რაობა და ფუნქცია სპეციალურად ჭერი არაა გამოკვლეული, მცველევარები, როგორც წესი, მხოლოდ ეპიზოდური შენიშვნებით კრაიოფილდებიან, მაშინ, როდესაც პროზაში ღროის ფუნქცია საკმაოდაა შესწავლილი. ეს გასაგებიცაა, იგი უფრო დიდ და რთულ მასალას იძლევა, მაგრამ ერთი რამეც ნუ გამოვგრჩება მხედველობიდან: ლირიკულ პოემაზი აქცენტირებული პიროვნებისეული შეფასება ობიექტური რეალობისა, განსჯა, მედიტაცია, ცნობიერისა თუ არაცნობიერის დონეზე საყიაროს ფრაგმენტულ სურათთა გამთლიანება. ლირიკულ პოემაში ღროის მეტად საინტერესო ასპექტებს წარმოაჩენს, მხატვრულ ღროს მეტად რთულ და საინტერესო ფენომენად წარმოგვიღვენს.

თუმცა ერთი კიდ, მართალია, თანამედროვე ქართული ლირიკული პოემა ერთ ღროსა და ერთ აღგილზე იქმნება, მისი წარმომჩენი უმთავრესი მიზეზი ერთია, ავტორები ხომ მაინც სხევადასხევანი არიან, ამდენად პოზიციაც ღროის მიმართ, მხატვრული ღროის წარმოსახევისა ხომ სხევადასხევა იქნება. განა შეიძლება იმ ღროს ვილაპარაკოთ ლირიკული პოემის ქრონოტოპზე? შეიძლება, რაღაც დამოკიდებულება სუბიექტთან, სუბიექტურ ღროსთან, დამოკიდებულება ობიექტურ ღროსთან და სივრცესთან და შექმნის ღრო და აღგილი ქმნის იმ საერთოს, რაც ახასიათებს ყველა ლირიკულ პოემს, მათ შორის არსებული სხვაობის მიუხედავად.

ღროის ავტორისეული კონცეფცია რელიეფურად არის წარმოჩენილი ოთარ ჭილაძის ლირიკულ პოემებში (ხელო შემდეგ — რომანებშიც), რაც ჩვენი ლიტერატურათმცოდნეობის წინაშე სვამი შეტად საინტერესო პრობლემას, რომ ამ კუთხით იქნას შესწავლი-



ლი როგორც პოეზია, ისე პროზა ამ მეტად მნიშვნელოვანი ტექსტების შედროვე შემოქმედისა. ამჯერად ჩვენ მხოლოდ ლიტერატულ პოემებზე შევჩერდებით.

დრო ოთარ ჭილაძისათვის სუბიექტურია:

„ხოლო ის წელი, ის ერთი წელი,  
რომელიც უკვე უკუნეს ერთვის,  
ჩემთვის გავიდა ძალიან ნელა  
და ღმერთმა იცის, რა იყო შენთვის“ —

წერს იგი პოემაში „სინათლის წელიწადი“ (1965). სხვათა შორის, ამ პოემაში გაცხადებულია დროის ამა თუ იმ სპექტის ავტორისეული ინტერპრეტაცია, დროისა და სივრცისა, რომელთა მიმირთაც ადამიანი შეიძლება უგრძნობელიც იყოს, ერ აღიქვას იგი: „მე კედლებს შორის აღმოვჩნდი ისევ და დაიბრუნა სხეულმა წინა და უგრძნობლობაც დროის და სივრცის გაქრა უკვალოდ.“ თუმცა და იგივე ვარემო აქტიურად ზემოქმედებს სუბიექტზე („ზღვა კი თანდათან შეც მაღვივებდა“).

შავრამ სივრცე ჩარჩოც არის სუბიექტისთვის, მისი არსებობის შეზღუდვით: „ის მთელი წელი ბრძან ფრინველივით ეხეოქებოდა უცნაურ კედლებს სიმარტივისა და სიცივისა,“ „და მთელი წელი ბრძან ფრინველივით ეხეოქებოდა უცნაურ კედლებს უძლურებისა და დუშილისა.“ „შერე კედლებმაც გამოიღვიძეს, ჩემქენ გაღმოდგეს თითო ნაბიჯი“ „ვერც დაგვიტევლნენ ალბათ კედლები“ „ჩვენ გამოვედით ისევ ქუჩაში და ისიც დაგვხვდა კედლავ ცარიელი და შეთქმულივით ჩუმი და ბნელი“, „ხოლო სამყარო თავისთვის იყო და ცივი იყო, როგორც ნიღაბი“.

სუბიექტი იკავშირებს ერთმანეთთან თითქოს დაუკავშირებელ შოვლენებს, ამდენად აძლევს დროისა და სივრცის არსებობას იზრს:

„მე ვანთვებდი და ჩემს სინათლეს ვაფენდი  
ირგვლივ გარინდულ საგნებს და საგნებს შორის  
კელავ მყარდებოდა მტკაცე კავშირი, რაც და —  
ერლვა დროებით წყვდიადს“.

სუბიექტი აერთებს სხვადასხვა დროში განფენილ მოვლენებს სუბიექტურ აჭმყოში: „და ყველაფერი თავს იყრის ერთად, რაც

განვიცხდე ათი წლის ბევრება“ . „შენ მოიგონე და მეთაურობ ამ დილ სიმშვიდეს და სიჩუმესაც“.

მაღრამ სუბიექტს შეუძლია უარყოს სივრცე, გააჩეროს დრო (ექ შეიძლება პარალელი გავავლოთ სინამდვილის კინემატოგრაფიულ ხედვასთან):

„მხოლოდ მე და შენ ვიყავოთ მაშინ, არ აჩებობდა სხვა არაფერი. დაცარიელდა თითქოს ქალაქი, ან თითქოს უცებ გაქვედა შურით“.

მეტიც, დათრგუნოს იგი: „თითქოს შეშინდნენ და თეთრ თაროებს აშორეთარნენ შევი კედლები“.

სუბიექტური თვალსაზრისით „დრო ჩვენ შევქმენით, რათა გავიგო რამდენ ხანს გასტანს ეს განუორება. ხოლო ცხოვრების ასაჩქარებლად დაგაქუცმაცეთ იგი წამებად.“

დრო ჩვენ ვართ თვითონ, რადგან ჩვენს მერე ისიც გაჭრება, ან გაჩერდება“.

დრო, სივრცე, სუბიექტი არის მხოლოდ ნაწილი ბუნებისა, რომელიც არის საწყისიც და დასასრულიც, იგიც კვდება, როგორც ყველა მოკვდავი, მაგრამ მას ძალუს აღსდგეს მკვდრეთით, სიკვდილ-სიცოცხლე მისთვის ერთია, აღაშიანი მხოლოდ ნაწილია მისი, შაგრამ ადაშიანის გარეშეც იგი ვერ იქნება ყოვლისმომცველი და სრულყოფილი, ერთადერთია იგი და ყველაზე მაღლა მდგომი, ყოვლისმომცველი ბუნება.

ამავე პოემაში არის სიმბოლო სამარადისოდ გაჩერებული ობიექტური დროსი (როგორც გაუქმებული და არასაჭირო რაიმესი, რადგან ირგვლივ სუბიექტური დრო აძლევს ყოველივეს აზრს), ამურებიანი საათი, რომელიც შემდეგ ოთარ ჭილაძისავე პროზაში შეასრულებს სიმბოლურ ფუნქციას:

„მე ჯერ შეგნიშნე დიდი საათი, სამარადისოდ დაღუმებული. საათის თავზე იჯდა ამური და მარმარილოს თეთრი სხეული წამოეგდო და გვიღიმოდა მართლა ზაგვური გულებრყილობით“.

სუბიექტი არა მხოლოდ წარმოსახულ დროში აერთიანებს დროსა და სიურცეს, აკაგშირებს ერთმანეთთან წარსულს, აწმყოსა და მომავალს, არამედ ობიექტურ სინამდვილეშიც:

„გზა დაწყებული წინაპრის ქოხთან,  
დღეს შენი გზაა და შენთვის მოდის,  
შენ არ გეხება, რაც ადრე მოხდა:  
დრო მდინარეა,  
ჭალი კი — ხიდი“

(„თავო და ზაჩი“)

აქვე, ამავე პოემაში დროთა კავშირი წარმოსახულ სინამდვილე-  
შიც მოჩანს, სუბიექტის განცდაში:

„და რავი ერთხელ პერნდა ნაკისრი,  
გადაიტანა ბევრი ანისი,  
ბევრი დმანისი,  
ბევრი კრწანისი,  
ბევრი ქელები და პარაკლისი“.

დროის ასეთივე ვანცდა მოჩანს შოთა ნიშნიანიძის „რიკოშეტის  
ფილოსოფიაში“:

„წინაპრისათვის ნაძგერი შუბი  
მეც მომხედრია არაპირდაპირ.  
უფელა მარამდას, გარნისს თუ უბისს  
ისე განვიცდი, ვით ხე ბირდაბირს“.

### შოვლენები განმეორებადია.

„რაც უნდა მოხდეს დიდი ხნის მერე, ბევრჯერ მომხდარა დი-  
დი ხნის წინათ“ („თიხის სამი ფირფიტა“), „მე ერთხელ უკვე ვიყი-  
ვი ქვეყნად“ („იტალიური რვეული“). მართალია, „იცვლება კაცე  
და თავის გზაზე ყდელაფერს უცვლის სახეს და სახეს“ („იტალიური  
რვეული“), მაგრამ ყოველივე ეს მაინც ერთ მარალიულ, დაუსიბა-  
მო და უსასრულო სიმყაროში არის განფენილი, მართლა ობი-  
ექტური დრო შეუბრალებლად ებრძვის ყოველივე წარმავალს („რი-  
თაც ოდესაც იყავ მდიდარი, — დროს წარმავალი უკვე სრულებით“  
(„თიხის სამი ფირფიტა“)), მაგრამ მაინც არის მარალიული და ცუცი-  
ლებელი სიდიდეები, რომელსაც დრო ვერ ეხება: „და აი, დიდი წი-  
ნაპრის ლანდი დღესაც ჩევნს შორის ცოცხლობს და დადის: (მა-  
რალიული სინათლის. სვეტი,) მარალიული სიმართლის წევთი,  
(შეძრწუნებული გონების ბედით,) შეწუხებული სულის ჭრილო-



ბით, (გესლით, სიბნელით და გულგრილობით...) და მაინც მდევრობება — „სიყვარულის პოემა“.

დროის ჭილაძისეულ კონცეფციას ბევრი აქვს საერთო შითოპო-ეტერ დროსთან, თანამედროვე თუ ისტორიული სუბიექტი თითქოს ებრძვის სივრცისა და დროის შეზღუდულობას, რაც ფაქტიურად აღამიანის ინდივიდუალური ორსებობის შეზღუდულობის დაძლევის ცდაა, არცთუ ხშირად წარმატებითი, მიუხედავად იმისა, რომ უდიდესი, პრინციპული სხვობა არის მითის შემქმნელსა და თანამედროვე ადამიანს შორის.

ემზარ გეიტაიშვილისთვის პოემაში „ხე ცხოვრებისა“ წარმოსა-ხული სამყარო — დამიარხული დროის სასაფლაო — მთხრობელის არაცნობიერის ფსევრზეა დალექილი. მთავარი სუბიექტური დროა:

„რაა საწყენი. ზღვამ იცის ისე  
ჩემი დღეებიც გულდაგულ მარხა.  
არ ვიხედები ნაბიჯის ხმაზე.  
სხვა რა მოხდება; იყავი — არ ხარ“

პოეტი მიმართავს სივრცის და დროის შისტიფიკაციას: „ზემოთ აღწერილი არ იყო მოჩვენება, დაბანგული გონების მირაე. არაფერი გადამიშარბებია, დაკლებით ბევრი დავაგლო. გავლენ წლები (ეს მათი თვისება) და ვინმე კვლავ იხილავს ამ ულმობელ, მწუხა-რე პროცესიას“.

დაკარგული წარსული დაკარგული მომავლის ხატია, რადგან იგი მომავალში განშეორდება სხვა სუბიექტისთვის, მაგრამ ისე, როგორც უკვე იყო. ეს გარდუვალია:

„შენიც მოგვედება ტანზე გენია,  
დაიფერფლები, რა დაგრჩენია“.

ეს არაა მხოლოდ მოგონებები, ამდენად არც მხოლოდ წარსუ-ლია, თუმცადა ილუზია ისეთია, თითქოს მომხდარს გვიყვებოდეს მთხრობელი, თუმცადა ეს მომხდარი ობიექტურ სინამდვილეში კი არ მომხდარა, არამედ სუბიექტის წარმოსახვაში — ამიტომაცად იგი ფრაგმენტული და მხოლოდ სუბიექტის პოზიციით დაკავშირებული ერთმანეთთან. წარსული და აწმყო ჯე ერთ დროს ქმნის, ერთმანეთ-

ში გადადის, რადგან მოჩვენებანი „ერთი წამითაც ნუ გელნებათ, რომ გაგვეცალონ. აქვე არიან. ლოდებით, რკინით ამოშენებულ კედლებში ატანს მათი გუვუნი“. ღროსთან თავისუფალი დამოკიდებულება, მისი შეუზღუდველობა ხერხია ავტორის, რათა შოვლენათა ტიპიურობა და ზოგადობა მიგვანიშნოს, შენიშნავს კიდევ თვითვე:

„დამლლიდა და არც საჭირო იყო მეტის მოწერა.  
 იცოდეთ — განგებ არ დაფაწერე დლე, მისამართი,  
 თავად მორიგლით — რომელი რომელს შეგვაძლებათ“.

გივი გეგეშეკორისთვისც დრო და სივრცე თავად სუბიექტშია განვითარებული, ამდენად ერთიანია და განუყოფელი („მზიანი დღე“ — 1962):

„ჩემს შუბლზე ფეოქავს ცისფერი ძარღვი და ყვალაფერი იმ ძარღვში ფეოქავს,  
 ხმაურობს სისხლის პატარა არხი და ეს ხმაური თავს იყრის ერთვან...  
 ...„ის რეგავს, იბრძვის, ფეოქავს და არხებს მზეს, დედმიწის,  
 დროსა და სივრცეს,  
 იმ ძარღვში ფეოქავს იმითი ძარღვიც ვისაც მე ალბათ სიცოცხლეს მივციმ“...

შემთხვევითი არა, რომ მითემა „მდინარე“ გივი გეგეშეკორის ამ პოემაში მნიშვნელოვან როლს თვალშემსრულდეს, სუბიექტის არსებობა შდინარის, მუღმიყი და ცვალებადი მდინარის არსებობასთან არის გაიგივებული („მდინარე — სული“ გვხვდება ტარიელ ჭანტურიასთანც — „თეთრი ლაბირინთი“):

„მე სხვა ვარ, მაგრამ მე მაინც მე ვარ და რაც ვიყიდი, მე მაინც ას ვარ“...

აქედან მოდის უკვდავების, ამდენად დროის მარადიულობის გავებაც, რომელიც ამ ცვალებად, შავრამ მუღმა არსებულ სიცოცხლეს უკავშირდება, როგორც მისი თვისება: „მე ვარ უკვდავი“...

ასევე სუბიექტშია მოქცეული უკიდევანო სამყარო: „მე ვარ ნათელი და ჩემს მზერაში მოქცეულია მთელი სამყარო“.

თუმცა, გივი გეგეშეკორთან სხვა დროც ჩანს, ობიექტური, ანტა-გონისტური სუბიექტისადმი, მსწრაფლმავალი და ყველაფრის დამთრგუნველი („სეზარ გაიღე“):



„დრო მიღის. დრო!.. დიღხას ვიცადე,  
ხიცრმემ დამტოვა და თავს უშეელა“...  
....„დრო მიღის! ჩუმი და უბადრუები  
ცვლავ ეამის ტყვე გრ და ჟამი მისწრეპს“...  
....„დრო მიღის. დროის!.. ბარგი შევდარი,  
ვარ მოლოდინის წამებით სავსე,  
ღრის ულმობელი სათის რეაგი  
ყინულის თორჩერ ნაწილად ამსევრევს“.

ასევე „შეუცნობი და ბევრი კითხვით სავსე არის სივრცე („მე-თხუთმეტე პალატა“): „რა გველოდება? რა არის ქით, სადაც მივ-დივართ და რას გვიქანის? შეადარე ტარიელ ჭანტურიას — „სამ-ჭარო — უცხოც და მანლობელიც — ვერ შევიცანი, ისე მივდი-ვარ“). მაგრამ ეს შიში ვერ შეცხობისა დაძლეულია სუბიექტის მიერ. ჯებირი გაუცხოებისა — ვალიანული:

„თათქოს მოვიდა და შემანჯდრია  
და გამაღიძია ქალაქმა ბუკით,  
შეცმომანია ღილი ფანჯრებია,  
ვით აღზნებული თვალების შექი“.

სივრცე ისევ ექცევა სუბიექტის გამგებლობაში და მთავარი შისი აღქმის სუბიექტისეული კუთხე ხდება:

„რა არ ვფიქრობდი, რა თქვეს წინადღეს, —  
იღბათ ის მითხრეს, რაც მოვისმინე,  
ან ის მაჩვენეს, რაც დავინახე“.

დროც გათავისებულია, ჩატეული სუბიექტის ცნობიერსა თუ არაცნობდერში:

„წარსული ისევ მე მემხრობოდა  
და კველაფერი იყო უცელელი“...  
....„ეს ერთ ღიმეში ათასწლეულის  
ნახევს ეცსწუებდი და თასწლეულს  
უდრიდა ღმე და იმ ღმეში  
შისღოდა, დროისთვის რომ გადამესწრო“.

ოთარ ჭილაძის, ემზარ კეიტაიშეილის, გივი გეგეშკორის პოე-შები, მიუხედავად ინდივიდუალური სხვაობისა, ერთი ტიპის პოე-



შებია: მთში სამოქმედო არე სუბიექტის სული და ვონებაზ, ცნობიერსა და არაცნობიერში გათამაშებული დრამის ანარეკლი, ამდენად ასეთი პოემების ქრონოტობი („დრო — სივრცე“ მ. მ. ბახტინის მიხედვით) ერთგვარია ტიპოლოგიური თვალსაზრისით — განსაზღვრული სუბიექტის შინა სამყაროთი, სუბიექტური დროით. მართალია, წარსული, აშშყო და მომავალი აქ ერთმანეთში გადადის, მაგრამ მაინც არსებობს ერთი ძირითადი დრო — აშშყო, როცა სდება კველა ხედვა, ყველა გახსენება, სივრცეც სუბიექტურ თვალსაწიერს თანხვდება, სუბიექტური ჰორიზონტი საზღვრავს ამ სივრცეს, თუ შეიძლება ასე ითქვას. და სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ადგილზე მოქმედი პერსონაჟები თავად ლირიკული გმირია, მისი ხასიათი დაშლილია ამ პერსონაჟებად, ხასიათი ინტერიორიზებულია, კობა იმედაშვილის ტერმინს თუ ვიხმარო: „სწორედ პიროვნების ეს გაორება, რაც ადამიანის მიერ საკუთარი აზრის, განცდის, სურვილისა თუ თვისების მოჩვენებით პერსონაზე გადატანაში ვლინდება, მხატვრულ ნაწარმოებში გაღმოცემა ხასიათის თავისებური სტრუქტურის უქმნით, მისი ექსტერიორიზებული (exterior — გარე) და ინტერიორიზებულ (interior — ზიდა) პერსონაჟებად დაშლით.“<sup>55</sup>

ქრონოტოპი ამ პოემებში სუბიექტის მიხედვით ორიენტირებული ქრონოტოპია, თუმცა აშვიათად, როგორც არავანმისაზღვრელი ფაქტორი, გვხვდება შერეული ქრონოტოპიც (გივი გეგეჭვორის „მეთხუთმეტე პალატა“ ნაწილობრივ, მურმან ლებანიძის „მამა, ბავშვობა, გოგოლის ქუჩა“).

პოლიფონიური პოემის ქრონოტოპი განსხვავდება პომოვონირი პოემის ქრონოტოპისაგან სწორედ ხასიათის ექსტერიორიზებით. ტიპიური მაგალითი ამისა ჯანსულ ჩარკვიანის პოემებია, სადაც, მართალია, ასევე სუბიექტის მიერაა განსაზღვრული დროცა და სივრცეც, მაგრამ ყოველივე ეს — პერსონაჟები, მათი სამოქმედო არე სუბიექტის გარეთაა გატანილი, უფრო მეტი ევტონომიურობა აქვთ „ხმებს“. ქრონოტოპი ასეთ პოემებში ხაზგასმით რთულია — სიუჟეტურია, მაშინ როდესაც პომოვონიურ პოემებში, თუ ერთხმიან პოემებში ქრონოტოპის ეს სირთულე მკვეთრად თვალში საცემი იარა.

პოლიფონიურ პოემებშიც ასევე უპირისპირდება სუბიექტური



დრო ობიექტურს, სუბიექტში ასევეა ჩამარხული წარსული და  
ცწყება მომავალი. გარემოსაც ასევე უპირისპირდება სუბიექტი  
(ჯანსულ ჩარკვიანი, „მეექვსე დღე“), მაგრამ მისი სამოქმედო არე  
თითქოს უფრო ვრცელია, პორიზონტი უფრო შორს ჩანს, ერთი  
კია, პარალელური ხაზები ისევ და ისევ სუბიექტის დროში და სუ-  
ბიექტის სიერცეში კვეთენ ერთმანეთს, მოკლედ იქცე ქრონოტოპი  
სუბიექტის მიხედვით არის ორიენტირებული.

დრო პოლიფონიურ პოემაში სიუჟეტის ორგანიზების ფუნქციას  
კისრულობს, იგი ხაზს უსვამს „ხმათა“ ანუ ტექსტის ავტონომიურ  
ნაწილთა კონტრაპუნქტულობას ჯანსულ ჩარკვიანის პოემაში „პა-  
რალელური ხაზები“: იაკობი, პაატა, პომპეუსი და ა. შ. სხვადასხვა  
დროში არსებობენ, როგორც ამ ტექსტში, ისე ცხოვრებისეულ სი-  
ნამდვილეში, ისინი ხომ ყველასათვის ცნობილი და გარკვეული  
აზრის მქონე სიმბოლოებია. მაგრამ პოემის ტექსტში ისინი თანა-  
არსებობენ ერთმანეთით აქ და ახლა, რაც ხაზს უს-  
ვამს იმ აზრთა მდგრადობას, მუდმივობას, რაც მითვის საერთოს.

ეს გადახილი ხერხია აღრესატის გამომწვევი და თავის მხრი-  
ვაც, სწორედ დროის გადამდინარები. ასე მხატვრული, წარმოსახული  
დრო უპირისპირდება რეალურ დროს, მუდმივობა სჯაბნის წარმავ-  
ლობას.

ჯანსულ ჩარკვიანის პიროვნების დრო ეყრდნობა ერის დროს,  
დროის კონცეფცია ერის არსებობით არის განპირობებული, თუმ-  
ც ეს მხალეოდ ჯანსულ ჩარკვიანისთვის არაა დამახასიათებელი, მაგ-  
რამ მის პოემებში მაინც უფრო მკვეთრად ჩანს.

სწორედ ეს თანაზიარობა ერის მუდმივ არსებობასთან, ამდენად  
კაცობრიობის მუდმივ არსებობასთანაც, არის უშუალო საწყისი  
შიოოსურ-პოეტური დროის შემოქმედებითი ათვისებისა, რომელიც  
შეიმჩნევა ჯერ ლირიკულ პოემებში, ხოლო შემდევ ქართულ პრო-  
ზაშიც, მიუხედავად იმისა, რომ დროისა და სივრცის თანამედროვე  
კატეგორიებს ძალზე ცოტა აქვთ საერთო სხვა ეპოქის ადამიანთა  
დროისა და სივრცის აღქმასთან.

სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურაში მისი განვითა-  
რების თანამედროვე ეტაპზე, განსაკუთრებით კი 60-იანი წლებიდან,  
იგრძნობა პიროვნების ბედის თანაზიარობის გამოვლენა ისტორი-  
ულ პროცესთან, ერის ბედთან. პიროვნების ბედ-იღბალს ფატალუ-



რა აუცილებლობა არ განსაზღვრავს, მაგრამ იგი მნიშვნელოვნებულია განპირობებული ისტორიით: არა მარტო წარსულით, არამედ მომენტითაც. სწორედ ამიტომაც, რომ პოეზიასა და პროზაში წინა პლანზე დადგი ისტორიული ეპოქების, მითოსისა თუ ლეგენდების გადააზრება, წარსულის შეთანაბრება აქმყოსთან, მომავლის განვერტა სწორედ ამ ტრიადის ერთიანობით — წარსული — აქმყო — პომიდვალი. სხვათაშორის ამ ტენდენციამ, კფიქტობო, პოეზიაში, ლირიკულ პოემაში უფრო ადრე იჩინა თავი, ვიდრე პროზაში. ეტიკობა, სწორედ ლირიკის მოქნილობის, ოპერატიულობის გამო. გვინდსენოთ მითოსთან, ზღაპართან თუ ლეგენდასთან მიმართება თავარ ჭილაძის, ტარიელ ჭანტურიას, ემზარ კვირაშვილის პოემებში, წარსულისა და თანამედროვეობის გმირების ერთ სიბრტყეზე დაყენება ჯანსულ ჩარკვიანის არაერთ პოემაში. ყოველივე ამაზე დირს დაწვრილებით ლაპარაკი.

რა თქმა უნდა, თანამედროვე ადამიანი თვისებრივად განსხვავდება მითოსის გმირისა თუ კოლექტიური ეფტორისაგან, მაგრამ, მიუხედავად თავისი ცოდნისა და სიძლიერისა, იგი მაინც დაუცვილია, მარტოა, ეშინია, დაბნეულია, და ექვებს გამოწვდილ ხელს, იმედოვნებს, რომ რადგან ყველაფერი ერთხელ უკვე იყო, სამყაროს არსებობას წერტილი დღეს არ დაესმის. სწორედ ამიტომ იგი „აცოცხლებს“ მითს, მაგრამ პრინციპული განსხვავებით: მითოსური აზროვნება აქტორნულ სინამდვილეში არსებობდა, მითოსის ეპოქის აღამიანი მართლა გრე ასხვავებდა აქმყოს, წარსულსა და მომავალს ერთმანეთისგან. თანამედროვე აზროვნება დროობა გადაკვეთის საზღვარზე არსებობს, დღევანდელი ადამიანი ობიექტური და სუბიექტური დროის დაპირისპირებაში ცხოვრობს, თუ მითოსური აზროვნებისთვის სამყაროს ცენტრი გარკვეული იყო და საზღვრები ლოკალიზებული, თანამედროვე აზროვნებისთვის სამყარო უსაზღვრო გახდა, ცენტრი სამყაროსი — თავის პიროვნება.

შითოსურ აზროვნებას სჯეროდა სამყაროს მისეული მოდელის რეალურად არსებობა, თანამედროვე აზროვნებისთვის სინამდვილის მისეული მოდელი მხატვრული რეალობაა, რომლისაც მას „ვითოშ“ სჯერა, იქ რეალური იყო ყველაფერი, იქ ყველაფერი წარმოსახულია. ეს პრინციპული სხვაობაა, რაც მითოსთან სიახლოვეს მეტაო პირობითად ხდის.



რა შეიძლება ითქვას დასკვნის სახით?

ლირიკული პოემის ქრონოტოპი უპირატესად სიუჟეტურდა ქრონოპაზია, იშვიათად ვხვდებით მარტივ ქრონოტოპსაც, როცა სიუჟეტი და ფაბულა ერთმანეთს ემთხვევა, პოლო ხანებში შეიმჩნევა ტენდენცია შერეული ქრონოტოპისა.

ქრონოტოპული დრო და ქრონოტოპული სივრცე ყოველთვის სუბიექტის მიხედვით არის ორიენტირებული, ამდენად გაბატონებული დრო ლირიკულ პოემაში აწმყოა, რომელიც მოიცავს თავის თავში წარსულსაც და მომავალსაც, როცა ლირიკული პოემის დრო თავის ახლობლობას ავლენს „მითურ-პოეტურ დროსთან“, იმ პრინციპული სხვაობით, რომ დროის ერთიანობა აქ გააზრებულია სხვა, ძხატვრულ დონეზე და არა მითოსური აზროვნების დონეზე.

ასეთი პოემის აღქმის დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება აღრესატის მზაობას, თავად რეცეპციის პროცესის სრულყოფილებას, რადგან ტექსტში განთვენილი ობიექტური წარსული, აწმყო და მოშავალი თავის მხატვრულ რაობას „ახლა“ ტექსტის აღქმის დროს იქნენს, აღრესატის აწმყოში ავლენს თავის ფუნქციას. წარსული და შომავალი ერთ სიბრტყეზე არსებობენ, აწმყოში და არა ერთმანეთის მომდევნოდ, როგორც ეს ობიექტურ დროს ახასიათებს.

### თესტი და აღრესატი

სანამ ლირიკული პოემის ანალიზს დავიწყებდე ტექსტისა და ადრესატის ურთიერთმიმართების თვალსაზრისით, უნდა აღინიშნოს, რომ მხატვრული ტექსტი ობიექტურად არსებული რეალობაა, მაგრამ თავის ფუნქციას იგი მხოლოდ სუბიექტთან მიმართებაში ივლენს, რადგან მხოლოდ რეციპიენტის აღქმაში ხდება ტექსტის, როგორც მხატვრული ფენომენის რეალიზება.

ერთი მაგალითი: რეალურად არსებულ ხელნაწერებში ასოებით ჩაწერილი „ვეფხისტყაოსნის“ სიტყვები: „ნახეს მზისა შესაყრელად გამოეშვა მთვარე გველსა“ მხატვრულ ტექსტად იქცევა შხოლოდ შაშინ, როდესაც რეციპიენტის მიერ იგი მეტაფორად წაიკითხება და არა მისი ბუკვალური მნიშვნელობით. თუ რეციპიენტი ის აღრესატი არაა, რომელსაც ტექსტის შექმნის დროს გაც-



ნობიერებულად, თუ გაუცნობიერებლად გულისხმობდა ივტორიფასა  
ტექსტი ვერ ამოიკითხება, ვერ მიაღწევს მხატვრულ ეფექტს.

თუ კიდევ, არსებობს მეტ-ნაკლები სირთულის მხატვრული  
ტექსტები, რეცეფციის შესაბამისი სირთულით და ადრესატის შეტ-  
ნაკლები მნიშვნელობით მხატვრული ტექსტის დასრულებაში.

ლირიკული პოემა რთული მხატვრული ტექსტია, რომელიც საუ-  
შაოდ ხშირად შინაგანი ფორმალური ლოგიკით სისიათდება, ამ ლო-  
გიკის მივლევა, შესაბამისი კოდის მოძებნა და ტექსტის ადეკვა-  
ტური ამოკითხვა ადრესატს რთულ ამოცანას უყენებს წინ, იმდე-  
ნად რთულს, რომ ტრიადაში ადრესანტი — შეტყობინება — ად-  
რესატი (ან სხვა ტერმინოლოგიით: ავტორი — ტექსტი — მკითხვე-  
ლი) ადრესატს თანაშემოქმედის ფუნქცია ეკისრება. სხვათა შორის,  
ყოველივე ამაზი მხოლოდ ლირიკული პოემის თავისებურება კი არ  
ვლინდება, არამედ, საერთოდ, თანამედროვე ხელოგნებისა: მუსიკის,  
შხატვრობის, კინოს, თეატრის, ლიტერატურის... იგულისხმება ის  
უცილობელი ფაქტი, რომ რეციპიენტი ალარ წარმოიდგინება პა-  
სიურ აღმქმელად. იგი არა მარტო „ყურს უგდებს,“ „უცქერის“ თუ  
„კიოჩულობს“, არამედ იგი აერთიანებს სინამდვილის, ხშირ შემთხ-  
ვევაში, ფრაგმენტულ სურათებს, ამთლიანებს „დაშლილ სამყაროს“.

პრობლემა ადრესატისა შემოქმედების ფსიქოლოგიისა თუ ლი-  
ტერატურის თეორიის ურთულესი პრობლემი გახლვთ, ქართულ  
სინამდვილეში ამ პრობლემის ერთი ასპექტი გამოქვლეულია აკად  
გასაბის მეტად საინტერესო სადოქტორო დისერტაციაში, ხოლო  
რაც შეეხება ლირიკული პოემის აღქმაში ადრესატის ფუნქციას.  
ამაზე ფაქტურად ცოტა მასალა, მხედველობაში მცქვს რეგიზ  
მიშველაძის წიგნიდ და კობა იმედაშვილის წერილი ლირიკულ პო-  
ემანე, <sup>7</sup> ამდენად ჩვენს თეორიულ კლევაში უპრატესად რუს თუ  
უცხოელ მეცნიერთა ნაშრომებს უნდა დავეყყრდნოთ.

ნებისმიერი მხატვრული ტექსტი მხოლოდ კითხვის პროცესში  
ავლენს თავის პოტენციას. მანამდე კი, ვიღრე მკითხველი აღიქვამ-  
დეს, მხატვრული ტექსტი მხოლოდ „პოტენციური სტრუქტურაა.“  
მხატვრული ტექსტის აღქმის თავისებურების საკითხი უშუალოდ  
უკავშირდება მწერლის ჩანაფიქრსა და კითხვის პროცესში მისი რე-  
ალიზაციის ურთიერთდამოკიდებულების პრობლემას. იგი გულისხ-  
მობს მკითხველის შემოქმედებით დამოკიდებულებას ნაწარმოები-

სადმი. ასევეა ლირიკულ პოემაშიც, სადაც ამგვარი თანავეტორობა  
ტექსტის აღწმის ღროს კიდევ უფრო ნათლად ჩანს.

ადრესატს უნდა ჰქონდეს გარკვეული გამოცდილება, რათა შე-  
ავსოს ტექსტი და უკეთ გასსნას ავტორის ჩანაფიქრი.

მეორეს მხრივ, ავტორი ითვალისწინებს თავის აუდიტორიას,  
შეითხველს. ისინი ან შეიტანენ ამ ნაწარმოებს თავისი მოლოდინის  
პორტონტონტი ანდა უარყოფეს მას, რითაც იმოქმედებენ მისი შემ-  
დგომი ნაწარმოების (ტექსტის) ხასიათზე, რადგან ავტორი ტექს-  
ტის შექმნის ღროს მკითხველიც არის, რომელსაც მიემართება ეს  
ტექსტი, და ამიტომაც სამკუთხედში ავტორი-ნაწარმოები-პუბლიკა,  
უკანასკნელი სრულიადაც არ წარმოადგენს პასიურ მხარეს.

შეცნიერმა მაიკლ რიფარტერმა შემოიტანა ახალი ტერმინი —  
სუპერჟიოთხველი.<sup>8</sup>

სუპერჟიოთხვა წარმოადგენს საშუალო სტატისტიკურ ერთეულს,  
რომელიც გამომდინარეობს ნაწარმოების მრავალგზის წაყითხვიდან.  
იმ წაყითხვიდან, რომელსაც დაგილი ჰქონდა ნაწარმოების ის-  
ტორიული არსებობის მანძილზე და იმ წაყითხვიდან რომელიც არ-  
სებობს დღესაც. სწორედ ეს ერთეული გვიქმნის დასრულებულ  
წარმოდგენას ნაწარმოების ესთეტიკური ღირებულების შესახებ.

რა თქმა უნდა, ბევრია დამოკიდებული იმაზე, თუ რა გახტყობით  
შეია მკითხველი პოლიფონიურ თუ პომიფონიურ, ნებისმიერ  
შხატვრულ ტექსტობან. კონცენტრირებულია თუ არა მთელი მისი ყუ-  
რადღება ტექსტის მიმართ. ფსიქოლოგიური ესთეტიკა ამ საკითხს  
განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა — ნაწარმოები მხოლოდ  
ფსიქოლოგიურ ფუნდამენტზე უნდა იგებულიყო. დომინირებულ  
როლს თამაშობდა გრძნობა, ამ გრძნობის ხასიათი კი აღმქმელი სუ-  
ნიექტის წარმოდგენის შინაარსზეა დამოკიდებული:

ერთის მხრივ, ლაპარაკია თავად რეციპიენტის ემოციებზე, რო-  
მელსაც ამაღლებული განწყობილება აქვს, განიცდის ორწოლის,  
შეებას და ა. შ., ხოლო, მეორეს მხრივ, იმ ემოციებზე, რომელიც  
უშუალოდ აღსავმელ საგანს უკავშირდება.<sup>9</sup>

ამგვარად, ფსიქოლოგიური მომენტის გათვალისწინების გარეშე  
წარმოუღენელია ავტორის, შხატვრული ტექსტისა და მკითხველის  
ერთიერთობა.

შხატვრული რეცეპცია მეტად რთული პროცესი გახლავთ, მისი



რაობა ვიგოდსკის აქვს მნიშვნელოვნად გარკვეული: მისთვის კრებულის წერტილი გმირია. გმირის მეშვეობით გვაცნობს ავტორი სხვა: მოქმედ პირებს, გვიჩვენებს მომხდარ მოვლენებს. ავტორი (შექს-პირი) ტრაგედიას ორ პლანში აღიქვამს. ერთის მხრივ, იგი ყველა-ფერს ჰამლეტის თვალით ხედავს, მეორეს მხრივ, იგი თვით ჰამლეტს ხედავს თვისი საკუთარი თვალებით. ასე რომ ყოველი მაყურებელი ერთდროულად ჰამლეტიცა და მისი აღმქმელიც.<sup>10</sup>

ერთხმიან ლირიკულ პოეზიაში სწორედ ამგვარი რამ ხდება, როდესაც მკითხველის თვალთახედგის კუთხე მერყეობს აღქმულსა და აღსავმელს შორის. ამგვარ პოემებში ან გმირის ან ავტორის ხმა ისმის, ეს აღსარება მონოლოგია თვისი ხასიათით, ხოლო ერთხმიანი თვისი ფორმით.

ასეთი პოემაა ოთარ ჭილაძის „კაცი გაზეთის სვეტში“. პოემა ჭრონიკის ცნობით იწყება: „პანაშის არხის ზონაში მომხდარი სისხლისმღვრელი შეტაქების დროს დაღუბულ ჯარისკაცთაგან ერთი თვისიანებმა მოკლეს. მან არ ინდომა მონაწილეობა მიეღო პანაშელ პატრიოტების დასჯაში, გაზეთებიდან...“

ეს ცნობა მკითხველისათვის მხოლოდ „მკვდარ“ ინფორმაციად რომ არ დარჩეს, ავტორი მის გავრცელილ პოეტურ ვარიაციას გვაწვდის: „ამერიკელი ჯარისკაცი კრუს სიმენესი გუბეში აგდია პირქვე. ჯერ არ შემწყდარა ექი სროლისა და ირევიან ცაში ჩიტები, მავთულებიდან აფრენილები. ამერიკელი ჯარისკაცებიც და პანაშელი პატრიოტებიც დაბნეულები ირიან ოდნავ, მაგრამ ყველანი გრძნობენ გუმბანით, რომ დიდი ამბის გახდნენ მოწმენი.“

მზეზე ბრჭყვიალებს პანაშის არხი, არხზე — ბუქსირი, ხოლო ჩაპირონ დვანინ პალმები და ამწევები“.

ამ ორი ეპიგრაფით (რომლებიც იღვნებურნი არ არიან, მეორეში ჭრონიკა გაცოცხლებულია, შექმნილია შესაბამისი ფონი განცდისათვის, მეღიტაციისათვის) რეციპიგნტი დებულობს დასრულებულ ინფორმაციას „მომხდარი“ ამბის შესახებ. შემდეგ იწყება დაპრილი ჯარისკაცის მონოლოგი. მაგრამ სანამ მკითხველი ნაწარმოების აზრსა და ღირებულებას ჩასწვდებოდეს, მასზე სხვა რამ მოქმედებს — კერძოდ, ნაწარმოების ინტონაციურ-ემოციური მხარე.

ასე რომ, ერთხმიანი ლირიკული პოემა აღრესატისათვის შედარებით „იოლ“ მხატვრულ ტექსტს წარმოადგენს. მკითხველის აზროვ-



ნების რიტმი, განწყობა, მზაობა მხოლოდ ერთი მიმართულებისას  
წირმართული. იგი ყურადღებას არ ფანტავს სხვადასხვა ხმების  
შეკავშირებაზე, სივრცისა და დროის გამთლიანებაზე. შეიძლება  
ითქვას, რომ მქითხველსა და ავტორს შორის ერთი ნაბიჯია.

ერთხმიანი მოხოლოგური ლირიკული პოემიდან შევვიძლია  
ცალკე გამოვყოთ ისეთი პოემები, საღაც ივტორისა თუ გმირის  
შონოლოგში დაუფარავად ჩანს დიალოგი აღრესატთან — ლიალო-  
გური ერთხმიანი ლირიკული პოემა.

„ვთქვა,  
გერასოდეს ვერ გავიყრებით,  
მეძარი, მიხმობ  
და გზებს ძისახავ,  
შეც უსახელო დღეებს მიყყვები,  
ზაჟესს ცეცებ თუ  
ყამირ მიწას უხნავ.  
ახლა ჩემს ძეირფას  
კოლხეთს დივჭირდა  
მის უსახელო დღეებს ვჰიჩდები,  
ოღონდ აყვავდი,  
ოღონდ გამდიღრდი  
ავით შეუძლებელს  
შევეჭიდები.“

„კოლხეთისაკენ ბიჭებო“ — ჩანსულ ჩარკვიანის პოემა მოწო-  
დებაა (ყრთხმიანი პოემა) და ამავე დროს, პოემა დიალოგია. ლია-  
ლოგი კონკრეტულ აღრესატთან — რომელიც მთელი ნაწარმოების  
მანძილზე იგრძნობა, საშუალებას აძლევს მკითხველს თავად მიიღოს  
შოხაწილეობა ავტორის განსჯაში: მომხდარი უაქტი სათაურით იწყე-  
ბა და... იქვე მთავრდება. იდრესატისთვის მთავარი ავტორისეული  
მითითება, ორიენტირება — გარკვეულობა გახლავთ. სწორედ ეს  
შითითება, ეს მიმართვა აძლევს საშუალებას აღრესატს არამარტო  
უკეთ აღიქვას შხატვრული ტექსტი, არამედ ცხოვრებისეული ორი-  
გნტიციაც განსაზღვროს.

„მიწა კი არა,  
ლექსიც დატორეს,  
დამრჩა ლირიკა

ჩოგორც შისტია  
და ძრავას ხელი  
ექსკავატორებს  
ჩაფუფდო ჩემი პუბლიცისტიკა.

აქ განსაკუთრებულად, რელიეფურად ჩანს, რომ ავტორის ეულ  
თვალთახედვის კუთხეს, განსჯის კუთხეს მხატვრული ტექსტის აღქ-  
მის პროცესში დიდი მნიშვნელობა აქვს, რაღაც სწორედ იგი აქ-  
ცეს ტექსტს მხატვრულ ტექსტად. ფაქტები ხომ მხატვრულ ტექ-  
სტში თავისთავად არ არსებობენ, ისინი ჩვენამდე (მკითხველამდე)  
გარდენული კუთხით დანახული და აღქმულნი აღწევენ. ლირიკული  
პოემისათვის იმ ფაქტორს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რად-  
გან იგი არა მომხდარი ფაქტის გადმომცემი, არამედ მისი შეფასე-  
ბის, განსჯის პოემაა. ერთხმიან ლირიკულ პოემაში ეს განსაკუთ-  
რებით თვალნათლივ ჩანს. აღრესატისათვის კი „თვალთახედვის  
კუთხე“ კიდევ ერთი დამხმარე საშუალებაა მხატვრული ტექსტის  
აღქმისა, მოხსნისა და სწორად გაგებისათვის.

ტექსტი: ამბავი — განსჯა, მონოლოგის ფორმით გადმოცემუ-  
ლი, რეციპიენტის პასიურ როლს გულისხმობს, იგი მხოლოდ „მსმე-  
ნელია“ და არა თანაშემოქმედი, მაგრამ „როლი“ მნიშვნელოვნად  
იცვლება, როდესაც სტრუქტურა ტექსტისა პოემაში მრავალგზის  
შეიძლება. ერთი მაგალითი: ემზარ კიტაიშვილის „ხე ცრკერები-  
სა“, სადაც პოემის ნაწილებში პროზაული და პოეტური ტექსტი  
ენაცვლება ერთმანეთს: პროზაულში ამბავია გაცხადებული, პოე-  
ტურში კი გაგრძელებული, გაცოცხლებულია ეს ამბავი, გამზარ-  
გრულებულია, მაგრამ მთავარი მაინც აღრესატის შიერ ამ ანტინო-  
მისის, პროზისა და პოეზიის ანტინომიის აღქმა და იმ ანტინომიის-  
თვის მხატვრული ფუნქციის მინიჭებაა.

აღრესატისათვის რთულია იმ პოემის აღქმა, სადაც ერთმანეთს  
უპირისაპირდება პროზაული და პოეტური ნაწილი, ვლინდება პრო-  
ზისა და პოეზიის ანტინომია. ეს ნაწილები ერთმანეთს უპირისაპირ-  
დებიან არა მარტო ფორმალურად, არამედ შინაარსობრივადაც. აქ  
პროზის ფუნქცია შედარებით მეორე პლანის მოქმედების გამო-  
ჰატვაა, ხოლო ლექსისა — ძირითადის და მნიშვნელოვანის.



„განათლებულ სცენაზე დაბალი, ჩასუქებული, შუა წანებ გადაცილებული მაშავაცი გამოვიდა, გადასლექილ თმაზე ორივე ხელი გადაისვა და ხალხს ანიშნა, გაჩუმებულიყო, ჩახველა, მიკროფონი შეაჭანჭდარა და საქმეს შეუდგა.

„მთავარი აღმინისტრატორი  
არავითარი აინი, ხრიკი...  
მაურებელი ბევრად მეტი,  
ვიდრე ადგილი, თუმც იმედია,  
ცველამ მონახა თავისი რიგი.“

ადრესატი ახალ, განსხვავებულ და მისთვის თავიღანვე ძნელად ელსაშეს მხატვრულ ტექსტს დებულობს. მისთვის უცხოა ამგვარ მოდელი, დასავაგშირებლად რთულია სხვადასხვა რითმით შესრულებული ნაწილები. მკითხველამდე ჯერ არ მისულა ავტორისეული ინფორმაცია, ამიტომაც მისთვის ძნელია შესაბამისი კოდის მონახვა.

„ცალკეულ მსახიობებსა და ნომრებზე სილაპარაკოლ, რასაკვირველია, ვერავინ მოიცლის, მაგრამ ზოგიერთი რამ მაინც უნდა ითქვას. განსაკუთრებით შემეცოდა ერთი ქონდრისკაცი, რომელიც მოულოდნელად აღელდა და პროგრამით გათვალისწინებული გზიდან გადაუხვია; სასტიკად დაისახა.“

„ერთად ანთო სანთელი სამი...  
და პისტოლეტმაც დაიტკაცუნა  
ზედინედ, საჭკრ... დაუღეს სკამი,  
სკამზე ამაღად შედგა კაცუნა.“

ადრესატი მხოლოდ ნაწირმოების ბოლოს არკვევს, რომ მომხდარი ამბები წარმოსახულ სამყაროში დანახული სურათებია. ასე რომ პროზაც პოეტური პირობითობა ახსიათებს.

მაგრამ საბოლოო ჯამში ტექსტი მაინც ნაწილობრივად ამოკითხული რჩება /რადგან მხატვრული ტექსტის ამოწურვა შეუძლებელია/. ერთი რიტმიდან /პროზა/მეორეზე/პოეზია/ გადასცლა მკითხველისათვის სირთულეს წარმოადგენს, რადგან ყოველი მათგანი ცალ-ცალკე შესაბამის კოდს და ახსნას მოითხოვს, ეს ართულებს ადრესატის



მხატვრულ ამოცანას, აღიდებს ადრესატის ფუნქციას ტექსტის გადასაზღვრავად  
მხატვრულ დასრულებაში.

ასეთივე ფუნქცია ენიჭება ადრესატს ოთარ ჭილაძის პოემის „თიხის სამი ფირფიტა“ იღების ღროს. თუმცალა იგი ადრესატისგან უფრო შეტ მომზადებას მოითხოვს, „სხვა ტექსტის“ ცოდნისაც.

პოემა წარმოადგენს სამ გარიაციას სამ მოცემულ თემაზე. ყოველ ნაწილს წინ უღლის რიტმული პროზით შესრულებული გილგამეშის მოტივებიდან აღებული სტილიზებული თემა, შემდეგ მოდის ამ თემის პოეტური კომენტარი /ადრესატი უნდა იცნობდეს ითს — „სხვა ტექსტს“/

„ავალ შეიძლება განახლდეს ისე,  
რაც დღეს საოცრად მცვლია უცვე  
და ისევ გახდეს სიცოცხლის ღირსი  
და გაახილოს თვალები უკეთ.“

ასიც უნდა ითქვას, რომ მიახლება მითთან დამახსიათებელია არამარტო ლირიკული პოემისათვის, არამედ მთელი დღევანდელი ლიტერატურისათვის, რომელმაც ეპიკურობა შეინარჩუნა მხატვრული ეხის ინტენსიფიკაციის, მითოლოგიური და ისტორიული სიმბოლოების რეარანჟირებისა, სივრცისა და ღროის საზღვრების წაშლის მეშვეობით. თავისთვად ამგვარი მხატვრული ტექსტი განსაკუთრებით მომზადებულ მყითხველს მოითხოვს, რომელმაც უნდა იცოდეს ამ მითემებისა თუ სიმბოლოების კანონიკური მნიშვნელობანი. მაგალითად, ჯანსულ ჩარკვიანის „პარალელურ ხაზებში“ ყველა ისტორიული პირი, იქნება ეს გიორგი საკაძე, იაკობ ჭულაშვილი, ალექსანდრე მაკედონელი და სხვანი, არა მარტო გარკვეულ ისტორიულ ფაქტებთან დაკავშირებით არიან მოხსენიებული. არამედ ტექსტში გვევლინებინ როგორც სიმბოლოები. იგივე შეიძლება ითქვას ნიღბების შესახებაც, სადაც ისინი უსახელო, ანონიშური სიმბოლოებია, ხედვითი სიმბოლოები.

ასეთივე თარა ჭილაძის პოემაშიც ადრესატისათვის მკვეთრად არის განიჭნული მითოლოგიური და არამითოლოგიური პლანი. გამიჯნულია ვერსიონიკაციულად. გილგამეშის მონოლოგები თეთრი ლექსით არის დაწერილი, ავტორის სამი კომენტარი — გარითმუ-

ლი ლექსით. მკითხველი გაორებულ მონოლოგს ისმენს ჭრაკითხულობს, ორ პოეტურ ხშას, რომლებიც თანაბარმნიშვნელოვანია.

„და რასაც ფიქრობ, ყველას აჩვენე  
ან ვისთან რა გაეს დასამალაგი.  
სიჩრუ ზოგჯერ სისუსტეს უდრის  
და შენც გახსენი შენი ფიქრები,  
რომ პატიოსნად, ღილხახს და შეუძროდ  
იცხოვორ, როცა ალარ იქნები.“

შეითხველისათვის მოუხელოთებელია ავტორი, იგი მხოლოდ პო-  
ეტურ ხმის ისმენს /თუმცადა, განა ამ „ხმის“ უკან ავტორი არ  
ჰგას?/.

აღმის მნიშვნელოვან დამხმარე მომენტს წარმოადგენს ეგრეთ-  
წოდებული სინესტეზია—მხედველობის, სმენის და სხვა გრძნობადი  
ელემენტების ურთიერთკავშირი. ლირიკული პოემის კითხვის დროს  
იდრესატის ფუნქცია მარტო „ხმების“ დაქავშირებით, მათი პოლი-  
ფონური ხმოვანების „მოსმენით“ არ ამოიწურება.

ტეგუ მებურიშვილს პოემაში „ხოლო რომელი ცხოველ არს /ანუ ხახარს გადარჩენილი. ლექსები/“ მცედელობითი გრძნობადო-  
ბა არა მარტო დამსმარეს, არამედ განსახლვრულ როლს თამაშობს.  
რადგან იგი განაწყობს აღრესატს, პირველ ბიძგს აძლევს მას. მკითხ-  
ველი თავიდანვე ხედავს, რომ ლექსი ისეა გრაფიკულად განლაგე-  
ბული, რომ მას გარკვეული ადგილები ყვლია. იგი თავიდანვე მზად  
არის ამ გამოტოვებული ადგილების შესახებად. თავიდანვე გამ-  
ულებულია ხერხი მხატვრული ტექსტის აგებისა, მკითხველმა  
უკვე იცის რომელი კოდი უნდა მოიაზოს მოცემულ ინფორმაციას.

ავტორის სიტყვებიდან ისიც ჩანს /მეორე მინაწერში/, რომ პო-  
ემა „სანახევროდ დახუცმაცებული გამოვიდა“, რათაც  
იგი მცუთილებს, პირდაპირ დავალებას აძლევს აღრესატს, რომ  
1) მან უნდა „აღაღინოს“, იგულისხმოს „დაქარგული“, რეალურად  
არსებული ტექსტი; 2) აღადგინოს, გამთლიანოს მხატვრული  
ტექსტი, ტექსტის გარეშე არსებული რეალური კონტექსტით. (ნაც-  
ნობი ფრაზა, მხოლოდ ფრაგმენტით არის წარმოდგენილი. აღმის  
შომენტში იგი მოლიანდება, ავსებს და ამთავრებს მხატვრულ

ტექსტს). იქმნება შხატვრული მოჩვენებითობა იმისა, რომ თითქოს ციონხველს ავტორზე უკეთ უნდა ესმოდეს ნაწარმოები.

შლეიერმახერს ეკუთვნის გერმენევტიპული ფორმულა — ინტერპრეტატორმა უკეთ უნდა გაუგოს ავტორს, ვიდრე ის უგებდა საკუთარ თავს.

აანვიხილოთ უშუალოდ პოემის ტრაგმენტი:

„...შაპთან მეზღვებით  
...და თვალდათხრილი,  
...და არც ლექსებით,  
...ენით შახვილის.  
გარნის უცხო მოტივზე ნდერის  
ზოლხისის გაზებს თათარი ხარდავს  
სხვა ვერაფერი მოარჩეს ერის  
წყლულება — შტრის სისხლის მალამოს გარდა.  
სანამ ურემა...  
თოთხე ჭრენანი...  
შართალი გითხრა...  
ყურიღან ბაიბას...“

პირველი ოთხბრწყარედის დასაწყისი ციონხველმა არ იცის, მაგრამ მის მახსოვრობაში ცოცხლობს ამ ბწყარედთან დაკავშირებული ისტორიული ანალოგიები. მაგრამ შემდგომი ამგვარი გაგრძელებით შხატვრული ტექსტი გაძუნდოვანდება, ვაძნელდება ან მთლიად შეუძლებელი გახდება მისი ამოკითხვა. ამიტომაც მას მოყვება „შემდგომში“ აღდგენილი ოთხბრწყარედი, ერის ტრაგიკული ყოფის ამახველი:

გარნის უცხო მოტივზე მღერის,  
ბოლნისის ვაზებს თათარი ხარდავ,  
სხვა ვერაფერი მოარჩეს ერის  
წყლულებს — შტრის სისხლის მალამოს გარდა.

ეს ოთხბრწყარედი არის შედეგი პირველ ოთხბრწყარედში ასახული ანელი ბრძოლის, და რომ ისტორიული ტრაგედია ხელახლა აღირ განშეორდეს, შესამე ოთხბრწყარედი გაფრთხილებად ისმის.



სწორედ ამიტომ მისი ოთხივე ბრძარი ჩვენს მახსოვრობაში აღადგენს ერის ძნელბედობაში დაბადებულ ანდაზებსა თუ ფრაზებს.

„სახამ ურემი...  
თითზე კბენანი...  
მართალი გითხარ...  
ყურიდან ბამბას...“

მკითხველი შიფრავს ამ სინტაგმებს (და ამდენად აქცევს ფაგურებად):

- 1) „სახამ ურემი“ (გადაბრუნდება. „როცა ურემი გადაბრუნდება გზაც მერე გამოჩნდებაო“).
2. „თითზე კბენანი“ (თორებ გვიანდა იქნება თითზე კბენანი).
3. „მართალი გითხარ“ („მირთალი გითხარი გული მოგიყალი“).
4. „ყურიდან ბამბას“ (შეკითხვა — „როდის გამოიღებო ყურიდან ბამბას?“).

როგორც ვხედავთ, აღნიშნული ტექსტის სრული აღჭმისათვის, მისი შხატვრული დასრულებისათვის აღრესატმა გარკვეული შეტოქმედებითი მუშაობა უნდა გასწიოს. უფრო მეტიც, მან უნდა იცოდეს ტექსტის გარეთ შდგომი სინამდვილე, ეს სინამდვილე ვა ის „სხვა ტექსტები“ [მოცემული მხატვრული ტექსტის გარეთ შდგომი]. რომელსაც გულისხმობს ავტორი, როდესაც მიმართავს ბრძებატს. პირველ ოთხბრძარედში აღსაღენია მახამდე. შემორჩენილ სიტყვებამდე [უფრო სწორად, მო ვ ლ ე ნ ე ბ ა მ დ ე] არსებული ტექსტი, ხოლო მესამე ოთხბრძარედში აღსაღენია შემორჩენილი სენტენციების [უფრო სწორად, „სხვა ტექსტების“] დაკარგული ფრაგმენტები. ტექსტის გრაფიკას აქ ზუსტად განსაზღვრული შნიშვნელობა აქვს, ხოლო „დაკარგული ტექსტის“ ცარიელ ადგილს — მხატვრული ფუნქცია. აქ იგრძნობა შორეული მსგავსება „გრაფიკულ პოზისთან“.

ასე წარიმართება ლირიკულ პოემაში დიალოგი იგტორსა და აღრესატს შორის. მექანიზმი იმ დიალოგისა შემოქმედების ფსიქოლოგიაშია საძიებელი, ტექნიკის კითხვის იმ თავისებურებაში, რაც გამოკვლეული აქვს თავის წიგნებში და წერილებში ა. მოლს.<sup>11</sup>

რომელსაც აღრესატის მზარდშა ფუნქციაშ მხატვრული ტექსტის დასრულებისას მისცა უფლება საქამათო დასკვნისა: დადგა დრო გამორჩეული იქნას ახალი შესაძლებლობანი ახალი ტიპის ნაწარმოებთა შექმნისა, რომელნიც მრავალჯერადი არსებობისათვის იქნებიან განკუთხნილნი, დადგა დრო ასეთი ნაწარმოებების საერთო მქემის შემუშავებისა.<sup>12</sup>

ურთიერთობა მკითხველსა და მხატვრულ ტექსტს შორის რთულია.

სტენლი ფიში ოვლის, რომ ტექსტის ობიექტურად არსებობა შხოლოდ ილუზია და შემოქვება. ტერმინი — „ინფორმირებული და კომპეტენტური მკითხველი“, რომელმაც უნდა განსაზღვროს კონკრეტული ნაწარმოების ლიტერატურული დონე.<sup>13</sup>

უორჟ პულე არ ასხვავებს ავტორსა და მკითხველს, აეტორისა და მკითხველის შემეცნების და შოთხოვს იდენტიფიკაციური ესთეტიკის შექმნას.<sup>14</sup>

არავისოფერია ახალი ის ფაქტი, რომ ლიტერატურა გადმოსცემს იხფორმაციას, ინფორმაციას მცტ-ნაკლებად თრიგინალურს. ინ ინფორმაციას იგი გადასცემს ავტორის (ან ავტორთა კოლექტივის) მეშვეობით შექმნება. მაგრამ გადის დრო, იცვლება ადამიანის მოთხოვნილებები, ცხოვრების რიტმი, იცვლება ადამიანის აზროვნება. წარმოიქმნება მკითხველთა ახალი წრე, ტექნიკური პროგრესის გავლენით იცვლება ადამიანი. ლიტერატურა იძულებულია უპასუხოს ყოველივე მას თვისი სიახლით.<sup>15</sup> ამგვარ სიახლედ გამოჩნდა ქართულ ლირიკულ პოემაში ვერლიბრი.

„პირისულები შტკიურულ ტანი  
იოდის ჯავილებს დამატიან  
და ნარკოზის თეთრი ცხენები  
ჭრის გადაღმა გამძებროლებენ  
შხვდორი სადაც იჩრდება შხოლოდ ბერწი ჩეები,  
ხოლო მიწათვე ვაშლის კაშკაშა ბირთვები ყრაა...“.

ეს ნაწყვეტი ლია სტურუას პოემიდანაა. „არსენის წრეში“ — ასე ქვია ამ პოემას. სტრუქტურული თვალსაზრისით ეს ნაწარმოები — პოემა შონოლოგია, აღსარება პოეტისა, ერთმიანი ურიოთმორჩიტატივი.



ჟეითხველი ღებულობს გრაფიკულად ლექსიდ ჩამოყალიბებულ  
პოემას, რომელშიც რიტმის ფუნქცია მეორადია და ამიტომაც მეტ-  
რიც არ ავლენს რაიმე მდგრად კანონზომიერებას. მკითხველის მო-  
ლოდინი სხვა მიმართულებით იყო წარმართული. აქ კი მას ორმა-  
გი სირთულე ელოდება. სირთულე მხატვრული ტექსტისა და სირ-  
თულე ერლიბრისა. ზოგიერთ შემთხვევაში მას თვითონ უწევს  
აუტორის სახით გამოსვლა, მან თვითონ უნდა აქციოს ლექსიდ გარ-  
კვეული ნაწყვეტი.

„მოვადნის წრეში მომწყვდეული პაერი  
ღვიძისფერი ფოთლებით აივსო,  
ხოლო მახერხის ნიადაგზე მოიწვერა სონეტის ტოტი,  
ოქროსფერი და უზაკელი...“

ნუ დაგივიწყებთ იმასაც, რომ უველა შეტყობინება შეიცავს  
კრომანეთზე დადებულ თუ სხვადასხვა სახის ინფორმაციას. პირ-  
ველი სემანტიკური ინფორმაცია გახლავთ, მას კი უოველოვის ემა-  
ტება ესთეტიკური ინფორმაცია.<sup>16</sup>

მაგრამ მკითხველის დროც და მოთმინებაც შეზღუდულია. მას  
არც ერთი ყოფნის და არც მეორე ესთეტიკური ინცორმაციის მისა-  
ლებად, რადგან მთელ თავის გამოცდილებას ხარჯავს სემანტიკური  
ინფორმაციის მიღებაზე.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ავტორი სპეციალურად, საესებით  
შეგნებულად მიმართავს რამდენიმე პოეტური ხატის ვირაციის —  
„ღვიძის ფოთლები“, „იოდის ყვავილები“, „ნარკოზის თეთრი ცქე-  
ნები“, „ოქროსფერი და უზაკელი ბახი“. მიმართავს რათა ხელვითა  
ვახადოს მხატვრული სახეები. ბევრის აღმის ფერადოვანი ასპექ-  
ტი ერთი დამხმარე ფსიქოფიზიკური მოშენტია მხატვრული რეცე-  
ციისა.

მაგრამ იგი დამსახურე მომენტია და არა განმსაზღვრელი, ყოველ  
შემთხვევაში, სენინებულ მხატვრულ ტექსტთან მიმართებაში. უმე-  
ტეს შემთხვევაში კი, ვერლიბრული მხატვრული ტექსტის სირთუ-  
ლის გამო ბევრის ფერადოვნება აღრესატისათვის ბუნდოვანი და  
ირაბოლომდე აღქმული რჩება.

მხატვრული ტექსტის, ავტორისა და მკითხველის დამოკიდებუ-  
ლება, როგორც გამოჩნდა, რთულია. რთულია, აგრეთვე აღქმის მე-



ქანიზმის გარკვევა, ამ პროცესის ფიქსირება. მაგრამ ერთი უდირესა, აცტორი ითვალისწინებს, საფუთარი ნაწარმოების აუდიტორიას, პუბლიკის, ცალკეულ მკითხველის. თავისთვის მკითხველიც მომზადებული უნდა იყოს, პენნდეს სათანადო ცოდნა, კულტურული დონე და ინტელექტი. წარმოუდგენელია, რომ ყველა მკითხველი ერთნაირად იყოს მომზადებული. ჩოგიერთისათვის მისაწყდომი იქნება გარკვეული მხატვრული ტექსტი, ზოგიერთისათვის შეტ-ნაკლებად, ზოგისთვისაც საერთოდ ვერა.

ხელოვნების ხალხურობა ხელმისაწვდომობის სიხონიძი არ გახდავთ. ჭეშმარიტი ხელოვნება მარტო იმით კი არ ფასდება თუ რამდენად შიიღო იგი მასამ, არამედ იმითაც თუ პოტენციურად რა შადალ იდეურ-მხატვრულ ღირებულებას შეიცავს იგი.

როგორც ზემოთ მოხმობილი მაგალითების განხილვამ გვიჩვნა, ლირიკული პოემის სხვადასხვა ფორმის კონკვის დროს (მრავალმიანი თუ ერთხმიანი პოემის, კონვენციური ლექსითა თუ გერლიბრით დაწერილი, მითოლოგიურებული თუ არამითოლოგიურებული ტექსტის) როლი ერთნაირი არ ირის, რთული სტრუქტურის კითხვის დროს რეციპიენტი ავტორის თანაშემოქმედად გვევლინება, რაშიც თავს იჩენს თანამედროვე ხელოვნების (და არა მარტო მწერლობის) ტენდენცია „ჩაითრიოს“ ადრესატი შემოქმედებით პროცესში. ბურუჟაზიული მკვლევარების მტკიცების საპირისპიროდ ეს ნიშნავს არა ხელოვნების ელიტარულობისადმი მიღრებილებას, არამედ რეციპიენტის კულტურის, ცოდნის, მზაობის, ნიჭიერების ხარისხის ამოღლებას.

ტრიადაში — აცტორი — ტექსტი — ადრესატი ლაპის რომ თახაბარი წევრია, ყოველშემთხვევაში მის გარეშე ტექსტის მხატვრული რეალიზება შეუძლებელია, მხოლოდ ადრესატის აღქმითი ხდება იმ სუპერტექსტის შექმნა, რომელიც აგტორის შეირჩებულ ტექსტთან ავლენს იდენტურობას. ყოველივე ამისათვის კი ადრესატს უნდა ვახჩნდეს შესაბამისი ცოდნა, ვაწყობა, ინტუიცია, მხატვრული პროცენტის უნარი, შემოქმედებითი ანუ ახლის შექმნის ნიჭი და თან პროცესი აღქმისა ხდებოდეს შესაბამის ვარემოსა და დროში. მაგრამ ყოველივე ეს უკვე მხატვრული ტექსტის აღქმის ზოგადი კანონზომიერების ვამოვლენაა და არა მხო-

ლოდ ლირიკული პოემისა, თუმცა, ლირიკული პოემის ოქტის დროს ეს კანონზომიერებანი მაინც უფრო მეტი სიმძაფრით ვლინდება.

რეციპიენტის იდიოლექტზე — ესთეტურ ტეზიურუსსა, ოქტის ძალისა და წინაშიარ განწყობაზე დიდად არის დამოკიდებული ლირიკული პოემის ტექსტის შხატვრული დასრულება, მისი ცალკეული „ხმების“ გაერთიანება, სიმბოლოთა, არქეტიპთა თუ „საერთო ადგილების ინტერპრეტაცია, „ლია ტექსტის“ შეცვება სქემის ფარგლებში.

ტრიადის, — ავტორი — ტექსტი — ადრესატი, ბოლო წევრს ვასხავუთრებული შეიშვნელობა ენიჭება მაშინ, როდესაც ლირიკული პოემი პოლიფონიურია, მრავალგანზომილებიანი და მრავალბლასტიანი. ამ შემთხვევაში მყითხველი (თუ მსმენელი) ტექსტის რჩ ინტერპრეტატორად გვევლინება, რომლის წერმოდგენაში ხუდა ავტორის ჩანაფიქრის სრული რეალიზება.

ქმნადობის პროცესში აგტორი ცხოვერად თუ არაცნობიერად ყოველთვის გულისხმობს ასეთ აღმქმედს. ასე რომ რეციპიენტი არა მხოლოდ ოქტის დროს მონაწილეობს ტექსტის რეალიზაციაში, აღამედ ტექსტის შექმნის დროსაც, რადგან იგი განსაზღვრავს ავტორის შესაბამის მოლოდინ-მოთხოვნას (ატიტუტს). იმაზე, თუ რამდენად შეესაბამება რეალური რეციპიენტი ავტორის მიერ წარმოსხულ იდერესატს, დიდად არის დამოკიდებული შხატვრული ტექსტის შესაბამისი დასრულება, მისი პოტენციური რენდენციების რეალიზება.

ტექსტის ამკითხვა მხოლოდ ერთადერთი კოდით შეიძლება, ეს კოდი კი წამკითხველმა უნდა იცოდეს. კოდის შეცვლა იწვევს ტექსტის მცდარ წარითხებს.

რეციპიენტის, როგორც მხატვრული ტექსტის დამამოავრებლის უუნქცია განსაკუთრებით გაიზარდა თანამედროვე ხელოვნებასა და მწერლობაში, გიოზარდა თვით რეციპიენტის მომზადების დონეც. ლირიკული პოემა თავისი ფრაგმენტულობით, სიმბოლოების გამოყენებით, კოლეჯით, პროზაული და პოეტური ტექსტების ანტიონშიით აუცილებლად გულისხმობს ასეთ მომზადებულ მკითხ-



ევლს, რომელიც ამ სირთულეში კავშირებს დაძებნის, კანონშირმტკულობას მონახავს და ტექსტს გაამოლიანებს.

მხატვრული ტექსტი ყოველთვის, თუმ შექმნის პროცესშიც კი, გულისხმობს აღრესატის მოლოდინ-მოთხოვნას (ატისტუტს), თუმ-ცალა, ფუნქცია აღრესატისა ტრიადაში: აღრესანტი — ტექსტი — აღრესატი (ანუ, თუ მხატვრულ ლიტერატურას მიკუსადაგებთ: მწერალი — მხატვრული ნაწარმოები — მკითხეელი) სხვადასხვაა: აღრესატის ფუნქციის სხვადასხვაობის საფუძველია ტექსტის ფან-რული თავისებურებანი, მისი მხატვრული დასრულებულობა-დაუ-სრულებლობა (რაც Non finito-ს პრობლემაში მულავნდება), მხატვ-რული ტექსტის ფუნქცია საზოგადოების თუ აღრესატის ცხოვრე-ბაში... როდესაც ილია ჭავჭავაძე თავის ლირიკულ პოემაში „აჩრდილი“ ბრძანებს: „შრომისა ახსნა ეს არის ტვირთი ძლევამო-სილის ამ საუკუნის“, აქ აღრესატის ფუნქცია ერთია, მან უნდა ირწმუხოს თავისი წინამდობლის მოწოდება, იგი პასიური მსმენე-ლია და პოტენციური ომსრულებელი ამ მოწოდებისა. აღრესატის ეს ფუნქცია სავსებით შეესაბამებოდა ილია ჭავჭავაძის მოლოდინ-მოთხოვნას (ატიტუტს) მკითხეულზე. გავიხსენოთ თუნდაც მისი „პო-ეტი“ („ღმერთთან მისთვის ვლაბარაკობ, რომ წირვუძღვე წინა ერ-სა“), ეტიობა, ეს ატიტუტი განსაზღვრა ისტორიულად არსებულმა მკითხეულის მაშინდელმა ტიპმა, მისმა დოხემ, მისშა საზოგადოებ-რივმა პასიურობა-მ.

თანამედროვე ლირიკულ პოემაში აღრესატის ფუნქცია სხვა-გვარია, ისევე, როგორც სხვავებირია მისი ფუნქცია, სერტოდ, უა-ხამედროვე ლიტერატურაში (მხედველობაში მაქვს მითოლოგირე-ბული თუ პარაბოლური ბრონე): აღრესატმა უნდა შეავ-სოს ან ალადგიხოს დაუმთავრებელი ტექსტი (აღრესატი თანამემო-ქმედია ივორისა), გაერთიანოს დროსა და სივრცეში განთვენილი აბარილელური ხაზები“, (ამდენად, მას კომპოზიციური ფუნქციაც აკისრება, რაც არ უნდა პარადოქსულად ისმოდეს), განსას სიმბო-ლოები, მითემები და არსებულ ტექსტს მიანიჭოს ის „ზე-მნიშვნელო-ბა“ (აქ კი იგი ინტენცირებატორია), რაც მთავარი იყო შემოქმედი-სათვის (აღრესანტისათვის). ასეთ შემთხვევაში აღრესატის მხაობა-ტიქსტის წაკითხვისას მეტად დიდია, გადამწყვეტიც კი. თუ აღრესა-

ტის ცოდნის მარაგი (ინდივიდუალური იდიოლექტი) არასაკმარისია, ფსიქოლოგიური წინასწარგანწყობა არაშესაბამისი და თანაშემოქმედების უნარი მწირი, მხატვრული ტექსტი მხოლოდ ნაწილობრივ, ზედაპირულად ცნება წაგითხული, იგი ერ მიაღწევს იმ შხატვრულ დასრულებულობას, რაც შემოქმედის ჩანაფიქრში იგულისხმებოდა, როგორც შემოქმედების საბოლოო მიზანი, როგორც შხატვრული ტექსტის შემოქმედებითი პოტენციის სრული რეალიზება.

შემოქმედების ფსიქოლოგიაში მეტად აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს როგორც კოდირების, ისე დეკოდირების პრობლემა. ამჯერად, ჩვენ სწორედ ეს მეორე პრობლემა გვაინტერესებს, მით უფრო, რომ ლიტერატურის თეორიას უპირველესად ლიტერატურული ნაწარმოების დეკოდირება აინტერესებს, რომელიც უფრო რთული პროცესია, ვიდრე ლინგვისტური დეკოდირება, რადგან ლიტერატურაში (განსხვავებით ლინგვისტიკისგან) საქმე არა გვაქვს სტატიკურ კოდთან. და ჩვენ არ შეგვიძლია ავტორისა და მკითხველის კოდის იდენტურობაზე ვილაპარაკოთ. მკითხველის კოდი სისტემაა, რომელიც ვითარდება მიღების დროს (კითხვისა და სმენის დროს). შკითხველი მაგალითად აღიქვამს იმ ბრწყარის შინაარსს, რომელსაც ის კითხულობს, მაგრამ, ამავე დროს, იგი 1. ელოდება გაგრძელებას. 2. კითხვის პროცესში ეს მოლოდინი ან შართლდება, ან არა.<sup>18</sup>

„მოლოდინის გაცრუებაც“ შეიძლება წინასწარ, ავტორის მიერ გამოვლილი ხერხი იყოს, ცნება ეს მეტრული მოლოდინი, სემანტიკური თუ სხვა, რაც იმას მოწმობს, ირეც ლევის მტკიცების საწინააღმდეგოდ, რომ შემოქმედებითი პროცესი „ობიექტური რეალობის ულემენტებისა და სუბიექტური გამოცდილების“ პასიურ ასახვას კი არ წარმოადგენს<sup>19</sup> არამედ საგსებით წინასწარგანზრახულსა და მიზანმიმართულ აქტს (თუმცალა, არა ყოველთვის).

ლირიკული პოემა მხატვრული ტექსტია, რომელიც ვითარდება, რთულდება და ზოგი რამ ამ დაკვირვებიდან ახალ ტექსტთან მიძართებაში შეიძლება არც იყოს გამართლებული; თუმცა ლიტერატურის თეორია მაინც უკვე არსებულს ეყრდნობა ძირითადად. და ეს დაკვირვებებიც იმ არსებულის განზოგადებაა, იმ ლირიკულ პოემაზე დაკვირვების შედეგია, რომელიც დღეს გაბატონებულია ქართულ ეპიკურ პოეზიაში.



გამოყენებული ლიტერატურის ხია:

1. ფოლკნერი ულიამ, საუბრები; ნაკადული, 1984. გვ. 125.
2. ოთფურიძე ეთერ. უილიამ ფოლკნერის რომანის პოეტიკა, საბჭოთა საქართველო, თბილისი, 1984, გვ. 54.
3. Менлах Б. С. Проблемы ритма, пространства и времени в комплексном изучении творчества. — Сб.: Ритм, пространство и время в литературе и искусстве. «Наука». Л-д., 1974, гв. 8.
4. ოთფურიძე ე. ულიამ ფოლკნერის... გვ. 55.
5. მედაშვილი კობა, ოცდაათი წლის შემდეგ, საბჭოთა საქართველო, თბილისი, 1977. გვ. 108.
6. მიშველაძე რევაზ, თანამედროვე ქართული პოემა, მერანი, თბილისი, 1975.
7. მედაშვილი კობა, მონოლოგები და ღიალოვები, მერანი, თბილისი, 1982.
8. Riffaterre M. Describing Poetic Structures. Two Approaches to Baudelaire's «Le chats» — *Uole French Studies*. 1966, N 36/37. გვ. 215.
9. Барк К. К критике буржуазных концепций восприятия литературы. — Сб.: Общество — Литература. Чтение. Восприятие литературы в теоретическом аспекте. «Прогресс». М., 1978 г., гв. 105—106.
10. Выготский А. С. Психология искусства. М., 1968 г., გვ. 242.
11. Моль А. Искусство и ЭВМ. — Сб.: А. Моль, В. Фукс, М. Каслер. Искусство и ЭВМ. «Мир». М., 1975 г.
12. იბ. 11. გვ. 137.
13. Fish, S. E. Literature in the Reader. Affective Stilistics. «New Literary History», 1970, N 1, V. 2. გვ. 146.
14. Poulet G. Phenomenology of Reading. «New Literary history». 1969, vol. 1. გვ. 53—68.
15. Моль А. Искусство и ЭВМ..., გვ. 137.
16. Моль А. Искусство и ЭВМ..., გვ. 35.
17. Борев Ю. Эстетика. «Политическая литература». М., 1981 г., გვ. 205.
18. Выготский А. С. «Психология...», გვ. 286.
19. Левый И. Теория информации и литературный процесс. Сб.: Структурализм «за» и «против». М., 1975 г.

ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ

□ □ □

## ՁԱՆ ՆՈՏԿԱՅ, ՋԱԾՈ

□

(სალიკერატურო ქართულის განვითარების რამდენიმე საკითხი)

მწერლები, მთარგმნელები, კრიტიკოსები, ლიტერატურის მეცნიერები და გულშემატყვრები არცთუ იშვიათად წერენ ქართული ენის სიწმინდეზე. სამწუხაროდ, მსჯელობა ქართული ენის ზედამზე იმგვარ თეორიულ წერილებში, უმეტესწილად, მხოლოდ აკრძალების ხასიათს ატარებს ხოლმე. ავტორები გვეუბნებიან, რა არ უნდა ვჭიროთ (ჩომელი სიტყვები და გამოთქმები არ უნდა ვიხმაროთ), მაგრამ არაფერს (უკით: ვერაუერს) გვეუბნებიან იმაზე, თუ რა უნდა მოვიმოქმედოთ, რა უნდა კიღონოთ იმისათვის, რომ ქართული ენა ძლიერი და თავის როულ აძიგანათა შესაფერი იყოს. მათი ერთადერთი პოზიტიური მოთხოვნა, როგორც წესი, იდიომატური გამოთქმების რაც შეიძლება უნდი ქმარებაა (ესეებ, თაყისთავად, მცდარი მოწოდებაა. ანაზე ქვემოთ), რაც საკითხის არსებით მხარეს არ ენება.



ეს ოთხიული ბოზიცია დამახსინებელია მთარგმნელთა შტატის მტკიცითვისაც. ჩეგნმა მთარგმნელებმა ძალიან ხშირად სუსტად იციან ქართული ენა, ვერ იყენებენ მის რესურსებს ვერც ლექსივის მხრივ, ვერც გრამატიკული სტრუქტურის მხრივ. მთარგმნელის ენა, ტიპითმარივ შემთხვევაში, იმ საშუალო თბილისელი მოქადა-  
ქის ენაა ხოლმე, რომელიც არასდროს სპეციალურად არ დაინტე-  
რესებული ქართული ენის ბუნებით, არ დაუხარჯავს ენერგია  
ქართული ენის სტრუქტურის სილრმეში ჩასახედავად, თავისი ქარ-  
თულის გასამდიდრებლად, დევლი ქართულიდან, დიალექტებიდან,  
ქართველ მწერალთა ნაწერმოქმებებიდან პირადად თავის თ-  
ვის ახალი სიტყვებისა და გამოთქმების მოსაკრეფად. ამ  
ენის ლექსიკური სილატიკის ილუსტრაციის, ცხადია, დიდი  
დრო და აღილი უნდა. ამიტომ მოვიყვანთ ერთ ნიმუშს გრა-  
მატიკის სფეროდან.

დღეგანდელ ქართულს სულ 11 გრამატიკული „დრო“ (უფრო  
ზუსტად, „დრო და კილო“, აგ. შანიძის ტერმინით — „მწერივი“),  
აქვს. ამათვას სამი ეკუთვნის ე. წ. „დრო-კილოთა მესამე სერიას“  
ანუ თერმეობითთა სერიას, ესენია:

თურმეობითი პირები: უთქვამს, უქნია, წასულა...

თურმეობითი მეორე: ეთქვა, ექნა, წასულიყო...

კავშირებითი მესამე: ეთქვას, ექნას, წასულიყოს... .

ქართულში ეს დროები ძალიან დიდ როლს ასრულებენ. მათ  
მრავალგვარი გრამატიკული მნიშვნელობები ქვეთ და ქართული  
ენის სტრუქტურის ერთ-ერთ არსებით ნაწილს შეადგენენ. ყვე-  
ლა კარგი ქართველი მწერალი მათ უხვედ ხმარობს, ევროპული  
ენებიდან მთარგმნელნი კი... ძალიან იშვიათად (გარდა თურმეობი-  
თი მეორისა. იმასაც მხლოოდ რამდენიმე კონტექსტში იყენებენ).  
რატომ? ცოცხალ მეტყველებაშიც, ისევე როგორც ლიტერატურა-  
ში, ეს დროები ხშირად იხმარება. ევროპულ ენებშიც მათ თავი-  
ანთი შესატყეისი აქვთ (ე. წ. „პერფექტის“ დროები). საქმე ისაა,  
რომ ეს დროები რუსულში არაა და მთარგმნელებს, როგორც  
წესი, თავისინთი დედაენის იმდენი ანალიზის უნარი არ შესწევთ,  
რომ შიგ ინგლისური, ფარნგული და გერმანული კონსტრუქციე-  
ბის გადმოტანის ისეთი საშუალება იპოვნონ, რომელიც მათ არ  
ასწავლეს უნივერსიტეტში, სადაც ისინი, ძირითადად, რუსულენო-

ეანი სტუდენტებისათვის შედგენილი სახელმძღვანელო მოთხოვანებულებოდენ ევროპული ენების გრამატიკის. ეს კურსოზულმ ფუნქციი დიდად დამახსათებელია. იგი მოწმობს, როგორი გაღარიბებული ქართულია ხოლმე ჩიეულებრივ გამოყენებული ჩვენ მთარგმნელთა პრაქტიკაში კაცობრიობის კულტურის შედევრთა გადმოსატანად.

დედანის ნამდვილი ცოდნა თავისით როდი მოდის. ენას  
შტუდირება (შესწავლა) უნდა და ესეც მხოლოდ იმ შემ-  
თქვევაში იძლევა სიტყვის ოსტატობას, როცა შეძლებულის ბუ-  
ნებით სათანადო ძარღვი მოსდევს. მხატვრული თარგმნა კი,  
უთუოდ, სიტყვის ოსტატობაა (კონკრეტულად — დედანის სიტ-  
ყვისა). ცხადია, „ინგლისური ენის სპეციალისტის“ ან „გერმანუ-  
ლი ენის სპეციალისტის“ დიპლომი ამგვარი ოსტატობის გარან-  
ტიის არ იძლევა. თუმცა მთარგმნელისთვის აუცილებელია ორი-  
გინალის ენის კარგი ცოდნა, მისთვის უპირველესი მოთხოვნაა მა-  
ინც დედაენის ალორ, დედაენის ლრმა და ნათელი ცოდ-  
ნა.

დედაენის ცუდი, ზერელე ფლობა — აი, ერთ-ერთი მთავარი ხარვეზი ჩეკენ მთარგმნელთა მუშაობაში (ეს ქცება არა მარტო მხატვრულ თარგმანებს, არამედ თარგმანებს საერთოდ). ღატავი ენა უარესია დანაგვიანებულ ენაზე (თუნდაც დავთანხმოთ ზემოხსენებულ „თეორეტიკოსებს“ იმაში, რომ მათ შეირ დაწუნებული ყოველი სიტყვა და გამოთქმა მართლაც ენის დანაგვიანებაა). დანაგვიანებული ენის გაწმენდა შეიძლება რედაქტორების პროცესში, ღატავის გამდიდრება კი — არა. კვალიფიციური საყუდეური წარგმნელის ენისადმი მხოლოდ ასეთი შეიძლება იყოს. — რატომ არ გამოიყენეთ აქ (ამ აღვილის თარგმნისას) ესა და ეს ქართული სიტყვა, ესა და ეს კონსტრუქცია, რომელიც ოქვესს მიერ გამოყენებულს სხობია?“ (და არა ასეთი: „როგორ გაბედეთ ამა და ამ სიტყვის, ამა და ამ კონსტრუქციის გამოყენება, რომელსაც ჩემი ყური ჩვეული არა!“). ასეთ საყვედურს ჩვენი თარგმანები წამდასწუმ იმსახურებს, მაგრამ კრიტიკაში და რეცენზიებში მათ თითქმის ვერ ახორებთ.

የጊዜዎች የጊዜ የጥቅምት ተስፋል ስለሚከተሉ የሚገኘውን የሚከተሉት የሚያሳይ



ნის ცოდნას სიფართოვეც აკლია და სიღრმეც. სიფართოვე აჭლიდა და იმდენად, რამდენადაც ისინი ძალიან ცოტა სიტყვებს ხმარობნების გადასაცავის შეზღუდული დიაპაზონისას (თანამედროვე ქართულ თარგმანთა სიტყვის მარაგი სტატისტიკურად არ შესწავლილა, მაგრამ დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ, თუ იგი შეისწავლება, ეს მეტისმეტად სავალილო ციტრებს გამოავლენს). სიღრმე კი მას აკლია იმ აზრით, რომ მთარგმელნი ჩახედულნი არ არიან ქართული ენის შინაგან სტრუქტურაში (სინტაქსის, მორფოლოგიური კატეგორიების, სიტყვათწარმოების სემანტიკის მხრივ). და ერ გრძნობენ, რა შინაგანი შესაძლებლობები ია მოცემული ააგლის გამოსწორება არააკლებენელი, ვიდრე წინამდებარე შენიშვნების პირველ პუნქტში აღნიშნულია.

საქმეს ხელს უშლის, რაღა თქმა უნდა, თარგმნის არასწორი პრინციპებიც ენის დარღვევი. თუმცა ხსენებულ ოეთრიულ წერილებშიც და თარგმნის პრაქტიკაშიც გაბატონებულია ქართულის სიწმინდის დაცვის ლოზუნგი, მაგრამ, როგორც წესი, მა ლოზუნგის დამცველნი ფაქტურად ქართულ ენას შერყვნისაგან კი არ იცავენ, არამედ განვითარებისაგან, გამდიდრებისაგან, ახალ შინაგრძლებისაგან! (მხედველობაში გვაქვს როგორც

1. ზოგჯერ სულ სხვაგვარ მსჯელობასაც ვევხედებით ამ საკითხებზე (მაგ. მოპასუხენი „ცისკრის“ მიერ გამართულ დისკუსიაში ენის შესახებ, გ. წიმიანაშვილი „კიოტიკაში“, დ. კუკაია — ფანჯივიძე „საერნგეში“ და „ცისკარიში“). მით უფრო განსხვავდება ზემოხსენებული სტილის წერილებისაგან ისეთი პირიური და, მიღენად, ნაყოფიერი მიღვომა ქართული ლექსიების საგანძურისადმი, როგორიც უნარეთ გ. შატერაშეილის წერილებში „თვალადური ქართულის ჟაშნიერი“, სადაც აეტორმა მიზნად ჰისიახა ხალხური მეტყველების იმ ელემენტთა რაც შეიძლება სრული და მიმზიდებული აღნუსხვა, რაც ლიტერატურულ ენას, მისი დაკავირვებით, გარეთ დარჩეონდა. მაგრამ ზემოხსენებული „ამქრალავი“ ტიპის წერილებს შეუდარებლად მეტი გასაცილი აქვთ. შესაძლოა (თუმცა აძალ დაწმუნებით ვერავინ იღევის), რომ ამ მოვლენას წმინდა ფსიქოლოგიური საცუდევლიც ქმორდეს: პირველი ტიპის წერილთა აყოლა ადვილია, რადგანაც ისინი მკითხველისაგან (და დაწერისაგანც). მხოლოდ სხვისი ხელმოცარვის (ან „ხელმოცარვის“) დაგმობას მთითხოვნ. მეორე ტანისაძი კი მას შერმისავენ, ძიებისენ, სულ ცოტა — უემთავაზებულ სიტყვათა და თეორიულ პეშმარიტებათა და ას თომებისაკენ მაინც მოუწოდებენ.

ლექსიგით გამოხატული, ისე სინტაქსური და სხვა გრამირტიკული მოვლენებით გამოხატული შინაარსები). რეცენზენტები ემტერების არა მარტო ბარბარიზმებს, როგორიცაა „ფანჯარა“ (თუმცა ეს უკანასკნელი ქართული „სატყმლისაგან“ უკვე განსხვავდა და მასზე ხელის აღება დაუშევებელია) ან ისეთ კალვებს, რომლებიც ჭობდა, რა შემოსულიყო, მაგრამ შემოვიდა, როგორიცაა, მაგალითად, „ეს ავტობუსი მაწყობს“ (მასზედაც ვეღარ ავიღებთ ხელს, რაღაც იგი ჟადე სტილის ტურად განსხვავდა ყველა თავისი სემანტიკური ფარდისაგან: „ხელს მაძლევს“, „ჩემთვის ხელსაყრელია“, „ხელს გყრია“...), არაენდ, ფაქტობრივად, ყოველ ენობრივ სიმინდის ზოგი დამცული თავისი თეორიულ მოსახრებებში და თარგმნითს პრეჩტიკაში სდენის ან, ყოველ შემთხვევაში, ცდალობს განდევნოს ყოველი როგორი (სხვადასხვა კუნძულითა კომბინაციით აგებული) ცნება, ყოველი რთული სინტაქსური კონსტრუქცია,

1. თუ „ხელს მაძლევს“ ძეველი თბილისის, შეა ბაზრისა და სარფიანი ვაჭრობის ასოციაციებს იწყებს და შესაფერის აქტოსფერობაც წმინდა, „მაწყობს“ თანამედროვე ციფრალიზაციის (ენ, თუ გნებავთ, ფეედო-ციფრიზაციის) სამყაროს გვიცოცხლებს და ყრთა ჟერმას საცელად ვრკ კიბირთ. ისევე როგორც ვერ ვიმიროთ ვერც ვერთ მათგანს. ვთქვათ, საბასუსისებების ლუდირობისი მინიჭის ბეჭუნი შეკილმის ჟროს (აქ უნდა ყისმიროთ ერთადერთი საკე ება და ლიტერატურული ცორმა „ეს ჩვენთვის ხელსაყრელია“). თორემ სტალინისტური მამეცნიერი თუ უგულუკებელუფასთ, რა გვიწლის უტევთ „ამ აეტობუსს ხელვარი“, როგორც პოეტი ამბობს „რას ხელ-ურის ბატის ნაზი ბულბულია“<sup>9</sup>. ამ უბრეტური „მაწყობს“-ის ესოდეს პრანედული შტრობა ენათმეცნიერების არა ელემენტარული კანონის გაუცვალისწინებლობის ემყარება:

ა) რომ ამა თუ იმ სტატიგის ას გამოთქმის ადგილსა და ფუსტელის ენის სასტრუმებისთვის სრულებათაც ვერ განასაზღვრავს მისი წარმოშობა და სიციურობა და,

ბ) რომ სტატიგის და გმოთქმის მნიშვნელობა არ მითიშვრება იმით, თუ რა საგანგმეო შიგითითებს იგი, არამედ მნიშვნელობაში წედის ისიც, რა ასოციაციები იხლავს მას, რა სოციალურ გარემონტე მიკვითობებს, სალაბარაკო ენისაა თუ ოფიციალურისა და ა. შ...

ასე გასინჯეთ, ისეთი ჩიქორთული გამოთქმაც კი, როგორიცაა „ცნობა ეძლევა მასზეც, რომ...“ რაღაცით მიდიდრებს ენს, რადგან იგი განუმეორებელია და მცველონ საკინ ცელ ბრიო სტილისტურ ელემენტების იღება: როგორც მდიდრებდა ენის არსენილს თავის დროზე ცხელო-ძნიგნობრული გამოთქმა რომელიცა რომა...“, რომელიც ი. ჭავჭავაძემ მოსე გრძელიას ტიპიური სასის შესაქმნელიდ გამოიყენა.



რომელიც კი მას ღლებდე არ შეპხედრია ქართულ ტექსტებით, იმავე მაგრამ შეპხედრია სხვა ენისაში. საბუთი? საბუთი ერთაღერთია: ეს ქართული არ არისო. მაგრამ მათ არ ესმით, რომ ქართული მხოლოდ ის როდია, რაც დღემდე ვამოყენებული ჩვენს სალაპარაკო პრაქტიკაში ან ამა თუ იმ ქართველი ავტორის შემოქმედებაში. ქართულია ისიც, რაც პოტენციურად არის ჩვენს ენაში, რისი გამოხატვის საშუალებაც ჩვენ გვაძვს ჩვენი დედაენის რესურსებით, თუ ამ რესურსებს სათანადოდ გამოყენებო, თუ ჩვენს ლექსიფურ და გრამატიკულ საშუალებებს, ასე ფოქტო, მაქსიმალურად დავძაბაჭოთ, თუ მთ, სათანადო ენობრივი ალოსა და ცოდნის გმოყენებით, ახლებურ კომბინაციაში მოვაწყეთ. ამგვარ თეორეტიკოსებს ავტოფლებათ, რომ „როული“, „უჩვეულო“ სიტყვები, გამოთქმები და სიტაქსური კონსტრუქციები, რომლებსაც ისინი სხვა (არაიართული) ენების ტექსტებში ჰქონდებიან, ამ ენების ლედის მუკლით არ დაჰყოლიათ, იქცევს ცნებები და კონსტრუქციები გამომუშავდნ ისტორიული განვითარების პროცესში, მათში ადამიანის (როგორც მთელი ხალხის, ისე კალეჭული ავტორების) შემოქმედება ურუკია. ინთურო ავტოფლებათ მათ ის, რომ არც ერთ თანამედროვე განვითარებულ ენის ეს ცნებები და კონსტრუქციები, მათს მთლიანობაში იღებული, დამოუკიდებლად არ შეუქმნია. ამ ცნებათა და გამოოქმათა გამომუშავების პროცესში — სხვა სიტყვებით რომ ფოქტო, თანამედროვე კულტურულ ენათა განვითარების პროცესში — უზარმაზარ როლს ასრულებდა სესხება, უფრო კონკრეტულად — კალიგრება სხვა განვითარებული ენებილან. თუ ქართულს განვითარების ამ ვზას ხელოვნურად დავუხშობთ, ეს იმას ნიშნავს, რომ ქართული უძმედოდ ხამორჩება სხვა ენებს და ეს ხემორჩენა წლიდან წლამდე გაიზრდება.

თუ რა უკიდურესობამდე მიღის ქართულის განვითარების შემზღვევულველთა ასეთი მსჯელობა, ამის საილუსტრაციო შეიძლება ორი ფაზიტი მოვიყენოთ. ერთი ისაა, რომ რეცენზიებშიც, ზეპირ განხილვებშიც და პირად საუბრებშიც ხშირად შეხვდებით ამა თუ იმ სიტყვის ან გამოთქმის დაწუნებას შემდევი მოტივით:



უქართველი გლეხი ასე არ იტყვისო". ცხადია, „გლეხშეუძლებელი თრეტიკოსები გულისხმობენ ისეთ კაცს, რომელსაც სწავლა-განა-ოლება არ შეჰქებია!“ ასეთი კაცი მართლაც არ იტყვის ბევრ ისეთ რამეს, რისი თქმაც მწერლობისათვის აუცილებელია. მაგრამ განა ეს იმას ნიშნავს, რომ მწერლობის ლექსიკონი, მისი სინტაქ-სი და სხვა გამომხატველი საშუალებები ჩვენი ყოველდღიური, „საყველპურო“ მეტყველებით შევზღუდოთ? ეს ოორუეტიკოსე-ბი თუ გვეტყვიან, „ქართველი გლეხიც იტყვის იმას, მაგრამ უკე-თესად იტყვის, მაგალითად, ამა და ამ სიტყვას და ამა და ამ სინ-ტაქსურ კონსტრუქციის გამოიყენებსო“, მაშინ მათი შენიშვნა სა-მართლიანი იქნება. მაგრამ ამას ისინი, როგორც წესი, უერ გვეტ-ტყვიან, რადგან ასეთი რჩევის მოცემას პოზიტიური ცოდნა, ქარ-თულის რესურსების უფრო ღრმა ცოდნა სჭირდება.

მეორე ფაქტი ისაა, რომ ხელვებულ ოორუეტიკოსთა ნააზრევ-ში ხშირად შეხვდებით ასეთ დებულებას: „ქართულ ენას მოკლე წინადაღებები უყვარს, გრძელი წინადაღებები არაქართულია, უცხ ენათა გაყლენის შედეგია“. სინამდვილეში მოკლე წინადაღებები ქართულს კი არ უყვარს, არამედ განუვითარებელ ენას უყვარს, განუვითარებელი ადამიანის ენას უყვარს ან, თუ გნებაგო, განათ-ლებული კაცის ენას უყვარს მაშინ, როცა იგი მარტივ საყველპურო ომებზე ლაპარაკობს. ამ მხრივ ქართული არაურით განსხვავდება სხვა თანამედროვე განვითარებული ენებისაგან. საუკეთესო ქარ-თველი სტილისტები — „ერუსალემის წარტყუევნის“ მთარგმ-ნელიდან, გიორგი მერჩულიდან და დავით აღმაშენებლიდან დაწ-აებული და კ. გამსახურდიათი და რ. ინანიშვილის ბოლო დროის შინიატურებით დამთავრებული (ამ უკანასკნელს იმიტომ ვახსე-ნებ, რომ მისი ენა თვალში საცემად ბუნებრივი, უგვილენ ქარ-თულია), ძალიან უხვად ხმარობენ გრძელ წინადაღებებს და რთულ სინტაქსურ კონსტრუქციებს. ისიც უნდა აღინიშნოს ფრჩხილებში, რომ როდესაც ლინგვისტი აყენებს თეზისს — „შუშანიკის წამე-ბა“ პირველი ქართული ნაწარმოები უერ იქნება, მას სხვა თხეუ-ლებები უსწრებდათ“, მისი ძირითადი არგუმენტი ისაა, რომ

<sup>1</sup> რომ ასეთი კაცი დღეს თითქმის არაა და, თუ არის, მწერლობა ოჩიენ-ტაციას მასზე უერ თიღებს, ამაზე აჯ აღარ ვლაპარაკობთ.

იაკობ ხუცესის ენაში განვითარებული პიპოტაქსი (ქვეწყობისა და მინადადება) მკაფიოდ ჩანს.

დასასრულ, კიდევ ერთი მომენტი. ზემოთ ვთქვით, რომ ერთა-დერთი პოზიტიური რეკომენდაცია, რომელსაც ზემოხსენებული თეორეტიკოსები იძლევიან ქართული სალიტერატურო ენის განვითარებისათვის, ისაა, რომ რაც შეიძლება უხვად იქნეს გამოყენებული ქართული იდიომები<sup>1</sup>. მაგრამ მათი პოზიცია აქაც მცდარია. რა თქმა უნდა, იდიომები ენის სიმღიდრის ერთ-ერთ კომპონენტია. მაგრამ მხოლოდ ერთ-ერთი და არა ერთადერთი ან ძირითადი. სალიტერატურო ენაში გამოყენებისას, გრძელებით კი მაშინ, როცა სერიოზულ, მსოფლიშედველობრივი შასშტაპის ლიტერატურისთვის გვაქვს საქმე და არა, ვთქვათ, უანტრულ სცენებთან, პუმორისტულ კოლორიტულ მოთხოვნასთან და ა. შ., — იდიომებს ძალიან მკაცრი და დაფიქტებული ვაცხრილვა სჭირდება. სალიტერატურო ენის ოქროს ფონდში დაიშვება მხოლოდ ის იღიომები, რომელთა მნიშვნელობა აბსოლუტურად ნათელია (ყველასთვის ცნობილია) როგორც პირდაპირი და გადატანითი აზრის მხრივ, ისე სტილისტური ელფერისა და ყველა თანმხელები ასოციაციების მხრივ. ყველა იდიომი ასეთი როდია. მაგრამ იდიომთა საუკეთესო ნიმუშებიც რომ აყილოთ (გნებავთ ქართული, გნებავთ სხვა ენისა), მათი ხმარება სალიტერატურო ენაში მანც შეზღუდულია. როგორც ქართულში, ისე ყველა სხვა განვითარებულ ენაშიც იდიომთა უხვი ხმარება თავისთავად (განურჩევილი მათი შინაგარსისა), როგორც წესი, ფამილიარული მეტყველების, ყოველდღიური. მეტყველების, ემპირიულ, ყოფით თემებზე შეტყველების დამახასიათებელია. შესაბამისად, მწერლის მიერ იდიომების უხვი ხმარება გარკვეულ სტილისტურ ხერხს წარმოადგენს, რომელსაც თავისი გარკვეული კონკრეტული მიზანი აქვს. მაგრამ სასაცილოა რაგინდარა ბრწყინვალე იდიომებით მოფრქვეული მეტყველება მაშინ, როდესაც, ვთქვათ, სახელმწიფოს ბედილბალზე ვლაპარაკობთ საპასუხისმგებლო აუდიტორიაში, ან როდესაც როულ, საარსებო ომებს, მსოფლმხედველობრივ თემებს, იდემიანის მთელი გონიერი და სულიერი ძალების დამდა-



ბავ თემებს უქებით,<sup>2</sup> იდიოზი ვერ ცვლის ცნებულების გადატყიშვილის რო კონკრეტულად რომ ვთქვათ, იღიომთა სიუხვე ენაში ვე აანაზღაურებს მასში ცნებათა სიმცირეს. ენის წინსელა და გამდიდრება პირველ რიგში მის ცნებებით გამდიდრებას ნიშნავს, ხოლო თეთმიზნური სწრაფვა იდიომებისაკენ მხოლოდ შინაარსის გუბრალოებას, გაღარიბებას იწევს.

რა იმაღება ამ მცდარი პრინციპების უკან? სამწუხაროდ, ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მეტად იდვილია; მთ უკან იმაღება დაბალი მომთხოვნელობა სალიტერატურო ქართულისადმი, რომელიც ქართულის ზოგადებულტურული ამოცანების მეტად არასრული, დაქვეითებული გაგებიდან წარმოსლება. ვინც მოითხოვს სალიტერატურო ქართული ენის და, კერძოდ, თარგმანთა ენის შეზღუდვას ამგვარი მცდარი პრინციპებით, ის იმთავითვე გულისხმობს, რომ ქართული წიგნის (და, კერძოდ, ქართული თარგმანის) მკითხველი დაბალი დონის მკითხველია და ქართული სალიტერატურო ენაც — არასრულფასოვანი ენა, განვითარების თანამედროვე დონესთან შედარებით დაბლი მდგომი ენაა. ცხადია, ამგვარ პრინციპებთან შერიგება არ შეიძლება!

ერთ-ერთ დისკუსიაში სალიტერატურო ქართულის საყითხებზე, რომელიც პრესის ფურცლებზე წარმოებდა, ერთ-ერთმა მონაწილემ სამართლიანად იქმირა ასეთი ზოგადი ფრაზა: „პრიმიტიულ ლიტერატორებს პრიმიტიული ენა აქმაყოფილებთ“. შესაძლოა, რომელიმე ლიტერატორს თავისი სულიერი სამყაროს გამოსხივადად ჰყოფნის კიდეც მეტად მარტივი, განუვითარებული ენა არ უნდა იყოს, რთულ ცნებებსა და რთულ სინტაქსურ კონსტრუქციებს მოყლებული ენა. მაგრამ ასეთი ენა არ ჰყოფნის ორც თანამედროვე, არც

<sup>2</sup> შექსიბირის გმირები, თუთ პამლეტის ჩათვლით, უხვად ხმარობენ იდიომებს და საერთოდ, ხატოვან გამოთქმებს, მაგრამ მონოლოგში „უიცნა? არყოფნა?“ იდიომები არაა. ბარათაშვილმა, აღბათ, ჩექეს თეორეტიკოსებზე არანაკლებად იკოდა ქართული იდიომატიკა და სხვა ხეტვები გამოთქმები, მაგრამ არც „მერანში“, არც „შემოლამებაში მთაწმინდაზე“, არც სხვა ფილოსოფიურ ლექსებში მათვის თითვის არ მიუმართავს. „კაცია დოდიანი“ და ილია ჭავავაძის მრავალი სატირულ-პოლემიკური წერილი მოცურვებულია იდიომებით, მაგრამ იგი დიდად ერიცხვა დაიმატიკის, როდესაც „ოთარანთ ქვრივის“ ბოლო თავებში სიკედილ-სიცოცხლის „წევლა-კრულუან საყითხავს“ მიადგენა.



კლასიკური სულიერი კულტურის რთულ შინაარსთა გამოხატვის შემთხვევაში ქართველი მკითხველი კი სწორედ ამ მაღალი სულიერი კულტურის მონაცილე არის, უნდა იყოს და იქნება. მას გაუბრალოებული, გამარტივებული, რამდენიმე საფეხურით „ჩამოქვეითებული“ ლიტერატურით საზრდოობა არ ეკადრება.

\* \* \*

მკითხველს ვთხოვთ გვერწმუნოს, რომ ჩვენ ვითვალისწინებთ ყველა იმ წერილთა არგუმენტაციას და სულიერებას — როგორც „შევიდობიანისას“, აյე პოლემიკურისას — რაც ქართული ენისა და სტილისტიკის ძირეულ საკითხებს მისძღვნია ამ ოცი-ოცდათი წლის მანძილზე. მაგრამ თავს ნებას მივცემთ, კონკრეტული და დიტალური განხილვა უპირველესად იმ ტიპი ბრიტი შემოვფირებულოთ, რაც განსახიერებულია თარგმნის ერთ-ერთი უველავე ნაყოფიერი პრაქტიკოსის ვ. ჭელიძის აერტიულ წერილებში სალიტერატურო ქართულის თაობაზე.<sup>1</sup>

რას ნიშნებს ენის დაცვა? წერილის „საშვილიშვილო საგან-ტური“ (გვ. 56—82) პირველივე წინადადება — ჩვენმა დიდმა წინაპრებმა XIX საუკუნეში თავიანთი მაღლიანი მოღვაწეობა ენის სიწმინდის დაცვით დაწყებო — სეჭმის ყოვლად გაუძრთლებელ გაუძრავის შეიცავს. დიახ, ი. ჭავჭავაძე და მისი თანამოსებრენი ფხიზლად იდგნენ ენის საღარაჯონე და ილიას დებიუტიც, როგორც პუბლიცისტისა, ქართულის დამახინჯებასთან იყო დაკავშირებული. მაგრამ ვანა ენის სიწმინდის დაცვა (ანუ მისი გაწმენდა არასასურველი მასალისგან და უხეირო სტილისტთა ჩარევისებან) ერთადერთი ან მთავარი შემადგენელი ნაწილი იყო ენის დაცვისათვის ბრძოლაში? ვანა ი. ჭავჭავაძის დროს ვინმე წერდა უფრო „წმინდა“, კალკებისაგან თავისუფალი ქართულით, ვიდრე ქართველი სამღვდელოება, დარბისელი თავად-აზნაურობა და შინ განხოლებული მანდილოსნები, რომელიც „იოტებსა“ და „ხარებს“ ხმარობდნენ, მშვენიერი ჟერლი ქართულის სინტაქსურ კონსტრუქციებს ეტრფოდნენ და სტილის იდეალად ანტონ კათოლიკოსის „წყობილიტყვობის“ ნორმები პქონდათ? მიუხე-

<sup>1</sup> ვ. ჭელიძე, „ფიქრები ხვალინდელ დღეზე“, თბილისი, 1975.



დავიდ ანისა, ი. ჭავჭავაძის ენობრივი პოლიტიკა მხოლოდ მხედვების გავიქნიე, ცეხის ტიპის მოქართულეთა წინააღმდეგ კი არ იყო მიმართული (იხ. მისი წერილი რ. ერისთავის თარგმანზე), არამედ ამ ფრიად პატივსაცემი მწიგნობრების წინააღმდეგაც. რატომ? იმიტომ, რომ ი. ჭავჭავაძის მიზანი იყო არა ქართული ენის სიწმინდის დაცვა თავისთავად, არამედ მისი სიცოცხლის უნარიანობის, მისი სილიკის, სისხლის, ბრჭოლის უნარიანობის, რომელიც ჩვენს დედამიწის XIX საუკუნეში შეექმნა. ენის სიწმინდის დაცვა მხოლოდ მეორეული, იმ პირველი, მთავარი მიზნიდან გამომდინარე მიზანი იყო: იმისთვის, რომ ქართულ ენას შეძლებოდა კონკურენცია სხვა ენებთან საზოგადოებრივ ცხოვრებაში, პრესაში, ლიტერატურაში გამოყენების მხრივ, იგი გასაგები, საყოველთაოდ მოსახმარი უნდა ყოფილიყო. აქედან — ლიტერატურული ენის მოდერნიზაციის, ხელხის ენასთან დაახლოების (მეგრომ არა გაიგვიყების) ლოგუნები. იმისთვის, რომ ახალი ლიტერატურული ენა მდიდარი ყოფილიყო, რომ მას შეძლებოდა ახალი ცხოვრების შექმნა მოტანილი ყოველი შინაარსის გამოხატვა, საჭირო იყო მისი უზრუნველყოფა სპეციალური ტერმინოლოგით, იმ დროს სხვა ენებში არსებული კონკრეტული და განკუნებული ცნებებით. ამან განაპირობა ი. ჭავჭავაძის თავგამოდებული შრომა ქართული ტერმინოლოგიის შექმნისათვის (და, აგრეთვე, ქართული სალიტერატურო ენის ნორმირებისათვის); იმისთვის, რომ პრესისა და ლიტერატურის ენას და სტილს არ დაჰქარგოდა მკითხველის გულთან მისვლის, მასზე ცხოველი ემოციური ზემოქმედების უნარი, საჭირო იყო ყოველდღიური ზრუნვა იმაზე, რომ პრესისა და ლიტერატურის მოხსოვნა ავტორთა ენისადმი მაღალი ყოფილიყო, რომ დატავი, არაფრისმთქმელი ან არაბუნებრივი გამოთქმები და კონსტრუქციები პრესაში არ შეპარულიყო, რომ შეითხვეს ქართული განერაციისას მხოლოდ შეთი ლოგიკური შინაარსი კი არ გაევო, არამედ იმ ენის მომხიბლავი ძალაც ეგრძნო, რომლითაც ეს შინაარსი იყო გამოხატული და რომელშიც ერთვნული გონი ცოცხლობს. ამან და მხოლოდ ამან გამოიწვია ი. ჭავჭავაძის ბრძოლა ენის სიწმინდისათვის.

ი. ჭავჭავაძის პოზიცია ენის საკითხში სავსებით ჩააღისტუ-

რი და ბრძნული იყო. ი. ჭავჭავაძეს ძალიან კარგად ესმოდა, რომ  
 ენის ბედის პირველი გადამწყვეტია ის, თუ რამდენად ის მარე-  
 ბა ენა და არა ის, თუ რამდენად „ლამაზია“ იგი. თუ ენა ის მა-  
 რება და თუ მისი მოხმარების სფერო ფართო (იგი განვითარე-  
 ბულ, დოფერენცირებულ საზოგადოებას ემსახურება: იხმარება,  
 ვოქვათ, სოფელში, ქალაქში, მეცნიერებაში, არმიაში, სალონში და  
 ა. შ.), მაშინ იგი ვითარდება კიდეც და „ლამაზიცა“, რადგან ენის  
 სილამაზეს მისი გამომხატველობის უნარი ქმნის, ამ უნარს კი —  
 მისი განვითარება. თუ ენა არ იხმარება, იგი კვდება. თუ ენა იხ-  
 მარება, მაგრამ ნაკლებად (მაგალითად, თუ იხმარება ცხოვრების  
 ზოგ სფეროში და არ იხმარება სხვა სფეროებში), მაშინ იგი ჭკნე-  
 ბა, მცლევდება, ღარიბდება და, საბოლოო ჯამში, სხვა ენებს ჩა-  
 მორჩება თავის განვითარებაში. ილია ჭავჭავაძეს ისიც ძალიან  
 კარგად ესმოდა, რომ იმ პირობებშიც კი, როცა ქართულ ენას  
 დაჭლექება ელოდა მისი გამოყენების შეზღუდვის გამო, ერთის  
 შვილს არ ჰქმართებდა გულხელდაკრეფილს ეცქირა ამ პროცე-  
 სისათვის: მას არა მარტო უნდა ებრძოლა ენის მოხმარების სფე-  
 როს შეზღუდვის წინააღმდეგ, არამედ იმას აც უნდა ცდი-  
 ლიყო, რომ, ძნელი პირობების მიუხედავად, თავისი ენა არ  
 ჩამოერჩინა სხვა ერთა ენების ათვის; რომ, თუ  
 დედაენაში ბუნებრივად არ გამომუშავდა (ამ ენის გამოყენების  
 სფეროს სივიწროვის გამო) სპეციალური ტერმინოლოგია, ახა-  
 ლი რთული შინაარსების გამომხატველი გამოოქმები და კონსტ-  
 რუქციები, ერთს კულტურის მუშაქს თავისი ნიჭი, ფანტაზია და  
 ენობრივი ალლო უნდა მოეხმარებინა ამ ენობრივი საშუალებების  
 შექმნის ათვის, გამოგონებისა და სხვა ენებიდან თარგმ-  
 ნის ათვის, ანუ კალკირების ათვის. ენის მეურვისა და  
 მოჭირნახულის (ძირითადად, რა თქმა უნდა, ლიტერატორის) ეს  
 ძოლური პოზიტიური, შემოქმედებითი და არა ნე-  
 გატიური, აკრძალვითი. აკრძალვითი ხსიათის ამოცანა მხოლოდ  
 მის შემდეგ დგება. რადგან ენის გამდიდრება-განვითარებისკენ  
 მიმართული შრომა რთულია, მაში გარდუვალია შეცდომებიც და  
 ზოგჯერ — რა დასამალია — საქმისადმი იოლი დამოკიდებულე-  
 ბაც. ენის მოჭირნახულე ფხიზლად უნდა იდგეს საგუშაგოზე და  
 სეთ შეცდომებს ენის შერყვნის საშუალება არ უნდა მისცეს.



ვისაც ეჭვი ეპარება, რომ ი. ჭავჭავაძის პოზიცია ენტელექტურის სწორედ ასეთი იყო, მას ეურჩევთ, დათვალის, რამდენჯერ და რა სიმწვავით ლაპარაკობს ი. ჭავჭავაძე ენიდან ამა თუ იმ სიტყვის ან გამოთქმის განლევნაზე(ან მის არშემოშეგებაზე) და რამდენჯერ — ამა თუ იმ სიტყვის შემოლებაზე, თანამედროვე კულტურული ენების ამა თუ იმ სიტყვისთვის ქართული ტოლფარდის შექმნაზე. მკითხველს ერთი ცნობილი ფაქტიც უნდა შევასენოთ. მამათა და შვილთა პაექტობაში ი. ჭავჭავაძეს თავისი მოწინააღმდეგავბისოვის ენის შერყენის, დანაგვიანების ბრალდება არ წაჟურნებია. მას, კამათის ამ უმაღლეს პრინციპულ ღონეზე ასულს, ამ შედარებით მეორე ული საკითხისთვის არ მოუცლია და, რომ მოეცალა, ეს სამართლიანიც არ იქნებოდა, რადგან მას მოწინააღმდეგად ქართული სიტყვის ერთი დიდი ოსტატი მაინც — გრ. ორბელიანი პყავდა. ენის შერყენის ბრალდება სწორედ ი. ჭავჭავაძეს და მის თანამებრძოლებს წამოუყენეს „მამებმა“, რომელთაც მათი რეფორმები არ მოეწონათ.

ენა მაღალი,  
მის ძალი, მაღლი  
უწყალოდ წახდა უწმინდურთ ხელში.

რა დაუპირისპირა ი. ჭავჭავაძემ ამ ბრალდებას? არგუმენტაცია, რომ ახალი სალიტერატურო ენა ანტონ კათოლიკოსისას სჭიბია, რომ იგი ენის შერყენას კი არა, მის განვითარებასა და გაუმჯობესებას წარმოადგენდა? არა, ი. ჭავჭავაძემ ამ თემაზე დისკუსია საჭიროდ არ სცნო. მან ბრალდებას დაუპირისპირა მომაკვდინებელი ბრალდება, რომელმაც კამათი სულ სხვა, ყველაზე მნიშვნელოვან და ერთადერთ გადამწყვეტი მნიშვნელობა:

ის არ ხართ თქვენა,  
რომ ღვიძლი ენა  
ბრძანებით დასთმეთ აღმოსავეთად?!  
შიშით არც სახლში  
და ალარც კარში  
მას არა ხმარობა თქვენდა სარცხვენად!  
ენა მდიდარი,  
მის სიღრმე, ძალი

ჩვენებან კი არა, ოქვენებან წამხდარა.  
 პირველ თქვენებანმა  
 იმა ბედშავმა  
 მას ჰკველის სულარა გადააფარა

ეს „აღმოსაკუეთად დათბობილი“ ენა მშენიერი, ძარღვიანი და მაღლიანი ქართული იყო, რომელიც ვჩ. ორბელიანის თაობის ჩინმედლებიანმა თავად-აჩნაურობამ მშენივრად იცოდა. მაგრამ მა ძარღვიანობამ და მაღლიანობამ ვერ შეუშალა ხელი მის აღმოკუეთას იმ აღამიანთა შორის, ვისაც მის დასაცავად გამშეღაობა და თავდაცება არ აღმოაჩნდათ. ი. ჭავჭავაძემ პირუთვნელი მოაგონა მათ ის ჭეშმარიტება, რომ ენის დაცვის პირველი ამოცანა მისი ხმარებიდან არამოკუეთიათვის ბრძოლა იყო. მეორე ამოცანა, როგორც უკვე ეფქვით, იყო შემოქმედებებითი ბრძოლა ენის სრულყოფისათვის. მხოლოდ ამის შემდეგ დგებოდა და უნდა დამდგარიყო მესამე ამოცანა — სიწმინდის, ცულისა და ზედმეტისგან ენის განტვირთვის ამოცანა.

არა გვერთია, ვინმემ კამათი დაიწყოს იმაზე, რომ ი. ჭავჭავაძის პოზიცია ენის საკითხში სწორედ ასეთი იყო. მაგრამ თუ ასეა, მაშინ ენისათვის ი. ჭავჭავაძის ბრძოლის ძარითადი პათოსის დანახვა მისი სიწმინდისათვის ბრძოლაში ი. ჭავჭავაძის ტაქტიკისა და სტრატეგიის დაუშეებელ გაუბრალოებას ნიშნავს, ხოლო მისი ავტორიტეტის დამოწმება იმისთვის, რომ ენაზე ზრუნვა მასში ამა თუ იმ სტრუქტურა თუ გამოტქმის აკრძალვის ლონისძიებებით უეჭირულოთ — რთული საკითხის ყოვლად შეუწყნარებელ გაიოლებას.

გ. ჭელიძე, პირიქით, ენის „სიწმინდის“ სახელით სწორედ აკრძალვას, მხოლოდდამხოლოდ აკრძალვას მოითხოვს. მართალია, წერილში არის რამდენიმე ფრაზა იმის შესახებ, რომ თუ დედანში მელა „მორბის“, თარგმანში იგი უნდა „ცენცულებდეს“, ხოლო თუ რომელიმე „გაუმაძლარი ტაპის“ (სტილი ვ. ჭელიძისა) კვების პროცესს. აღვწერო, „შეჭამა“ კი არ უნდა გიხმაროო, როკვების პროცესს. აღვწერო, „შეჭამა“ კი არ ეხება, სლა“ (გვ. 67-68). მაგრამ ეს „შემოქმედება“ ენის კი არ ეხება, როგორც გამომხატველ საწულებათა სისტემას, არამედ მხოლოდ

კონტექსტს; იქ ენას ორაფერს ვძენთ, არამედ მხოლოდ მაგრამ ნებთ მას კონტექსტისადა მიხედვით.

რას კრძალავს ვ. ჭელიძე? იგი კრძალავს: а) უცხო სიტყვა ბის სესხებას, თუმცა ასეთი დაუფარავი ბარბარიზმი ენისათვის ნაკლებ საშიშად მიაჩნია (ზოგი სიტყვისათვის იგი გამონაკლის უშვებს — „ზედმეტი პურიზმი“ შეცდომაა), б) უცხო სიტყვების ხელოვნურ გადმო ქართულებას (თუმცა ამ „ხელოვნურობის“ ვერავითარ საზომის ვერ გვაძლევს) და, რაც უმთავრესი და ყველაზე მოძყველინებელი ცოდვაა, გ) კალკირებას ანუ უცხო სიტყვებისა და გამოთქმების ქართულად გადმოთარებნას, ქართული მასალით იმავე აზრობრივი სტრუქტურის აგებას, რაც უცხო ენაში გვაქვს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში გამონაკლისი აღარ არსებობს. კალკი ყველა განსაღევნია. მაგალითები ავტორს უხვად მოჰყავს — და საყმაოდ უსისტემოდაც ვნიხოო რამდენიმე:

ვ. ჭელიძე წერს: „ისეთი სიტყვების გაცემება-შეკოწაწება ან, მით უმეტეს, გამოგონება, რაც ჩვენი ენის ბუნებისათვის არ არის დამახასიათებელი, ვაუმირთლებელია და ვერც აიტანს ჩვენი ენა (ფრჩხილებში შეცნიშნავთ, რომ ამას ვერც ერთი ენა ვერ აიტანს, და არა მარტო ჩვენი — ნ. ნ.), როგორც ვერ აიტანა „სატუცარი“ (კალოშის ნაცვლად) ანდა „ორთვალა“ (ველოსიპედის ნაცვლად)“ (გვ. 59).

ამ ტავტოლოგიის (ხელოვნური სიტყვები ხელოვნურია, ენისათვის აუტანელია) აზრი გასაგები ხდება ცოტა ქვემოთ მოყვანილი მაგალითიდან: თურმე, ავტორს მხედველობაში აქვს ისეთი ტიპის „გაუმართლებელი გამოგონება“, როგორიცაა ვინმე რეცეციენტის ცდა, „აკომპანიმენტის“ ნაცვლად „თანხლება“ ექმარა.

სამართლიანია ეს მსჯელობა? „თანხლება“ ამ მნიშვნელობით, აღმართ, მართლაც არ დამკვიდრდება ჩვენს ენაში, მაგრამ თუ ამ ფაქტიდან რაღაც დასკვნის გამოტანა გვსურს, მაშინ ჯერ თვით ფაქტის ანალიზი უნდა შეგვეძლოს. რითაა ეს ტერმინი „ხელოვნურად შეკოწაწებული“ (გვ. 59) ან რატომ არ „დაპკრავს მას ქართული ელფერი“ (იქვე)? ამაზე ავტორი ვერაფერს ამბობს. ვერც იტყვის, რადგან ეს სავსებით უსაფუძვლო ბრალდებაა. „თანხლება“ იმდენადვე ბუნებრივი ქართული სიტყვაა, რამდენადაც ნე-



ბისმიერი სხვა სიტყვა. მაგრამ იგი, ალბათ, არ დამკვიდრულებდა იმიტომ, რომ ჩვენი ენა (ისევე როგორც სხვა კულტურული ენები) არ ცდილობს მაინც ამაინც მუსიკალური ტერმინოლოგიის სრულად თარგმნას, ხოლო „თანხლება“ „მუსიკალური თანხლების“, „აკომპანიმენტის“ აზრით სწორედ ამ სფეროს ლექსიკას ეკუთვნის. სხვა ღარებში, რომელთა ტერმინოლოგიასაც ჩვენი ენა, როგორც წესი, თარგმნის, ასეთ ბუნებრივ ქართულ სიტყვას ვერაცერი გადაუკეტავს გზას ენაში დამკვიდრებისავენ. მაგ. სიტყვა „კუთხური“ ან „თამაშებრე მდგომარეობა“ არაფრით არაა უფრო „შეუკორიცებელი“ ქართული, ვიდრე „თანხლება“, მაგრამ ამ სიტყვებს მტკიცე დღილი უკავია ჩვენს ლექსიკონში (სხვათა შორის, ფეხბურთის კომენტატორთა მშვენიერი ტრადიციის წყალობითაც, რომელიც ე. მახჯალაძემ დაიწყო).

ასევე გვამდებარება ანალიზს „სატუცარის“ და „ორთვალის“ ბეღიც ჭერ ერთი, „სატუცარი“ ცუდად შერჩეული სიტყვაა იმ მხრივ, რომ „ტუცვა“ („წაყოფა“) კარგად ვერ გამოხატავს საგნის თვალსაჩინო ბუნებას (კალოშს ზოგჯერ წვალებითაც იცვამეს წოლმე), მეორეც, ზმინ „ტუცვეს“ იმთავითევ კომიური ელფერისათ და ეს ელფერი „სატუცარშიც“ გადმოჰყება. „ორთვალა“ კი იმიტომ არ ვარგა, რომ ქართულში ეს სიტყვა სხვას ნიშნავს (ორთვალაში ცხენს აბამენ). ეს არის და ეს. როგორც ვხედავთ, საქმის გარკვევებს სულ მცირე და ელემენტარული ანალიზი უხდოდა. ხოლო სანამ ეს ანალიზი არ მოგვიხდენია, ესოდენ საპასუხისმგებლო რეკომენდაციებისავან თვით უნდა შევიტავოთ.

კიდევ ერთი ნიმუში. გ. პელიძე ოწუნებს გამოთქმას „მამული სიყვარულმა გააძლენინა“ (ეს „არ არის ქართულით“, უნდათ „მამულის სიყვარულმა“). ჭერ ერთი, ორივე გამოთქმა ქართულია, ქართული მნიშვნელისაგან ქართულის ნორმებით აგებული. მეორეც, ორივე აუცილებელია, რადგან მათ შორის სემანტიკური (აზრობრივი) სხვაობაა: „რაღაცისადმი“ სიყვარული ამ „რაღაცის“ გაპიროვნების გულისხმობს და ამიტომათ, რომ, მაგალითად, მამულის სიყვარულზე ღაპარაკისას ვიხმართ ორსავე ფორმას („მამულისადმი“ და „მამულის“), ხინკალზე ლაპარაკისას კი ვერ ვიტყვით „ხინკლისადმი სიყვარული“. მაშასადამე, როდესაც ვამბობთ „მამულისადმი სიყვარული“ და არა „მამულის სიყვარულისადმი სიყვარული“.

ვარული“, დმით „მამულს“, თითქოს, ვასულიერებთ, მას საყვარელ  
არსებად, ინდივიდად ვაქცევთ.



მექანიკური კალკირება და, რაც მთავარია, კალკირება  
ისეთ შემთხვევაში, როდესაც მის გარეშეც ბუ-  
ნებრივი ქართული გამოთქმა გვაქვს, მართლაც  
აღმაშენებელია და მას ყველა საშუალებით უნდა ვებრძო-  
ლოთ. დაუშვებელია, მაგალითად, ფეხბურთის კომენტატორის  
მუტყველებაში „დარტყმა კარის მიმართულებით“ და არ „დარ-  
ტყმა კარის კვენა“<sup>1</sup>. საუკუთა „ხორცის ნაწარმი“ (ნაცვლად „ხორცეულ-  
ისა“)<sup>2</sup> და უამრავი სხვა. მაგრამ გაოცებას იწვევს, როდესაც ვ. ჭელი-  
ძე ლიტონი განცხადებით — ეს „არ არის ქართული სიტყვაონ“ (გვ.  
62) უარყოფს თანამედროვე განვითარებული ენო-  
სათვის ისეთ აუცილებელ სიტყვებს, გამოთქმა  
კონსტრუქციებს, როგორიცაა, მაგალითად, „არ და-  
ვ უშვათ ელექტროენერგიის გადახარჯვა“. ნიშანდობლივია, რომ  
ვ. ჭელიძეს არავითარი სხვა გამოთქმა არ მოჰყავს. რომელიც, ში-  
ხი აზრით, ამ „დაშვების“ ნაცვლად უნდა ვეხმარა. ვერც მოიყ-  
ვინს, რადგან ასეთი გამოთქმა არ ირსებობს! გარდა ამისა, რა-  
ტომ მიუჩნევია მას, რომ ეს „არაა ქართული სიტყვა?“ თუ ჰე-  
ნია, რომ „დაშვება“ რუსული ზმნის (დოკუმენტი) კალკია, რაღაცის  
ნებართვის, წაყრუების მნიშვნელობით გამოყენებულის, იგი  
ცდება. ასე რომ იყოს, მაშინ ქართულში „დაშვება“ კი არ იქნებო-  
ლა, არამედ „მიშვება“. „დაშვების“ გამოყენება ზემოღასახელე-  
ბული მნიშვნელობით თვით ქართულის მიერ გამონახული საშუ-  
ალებაა სრულებით აუცილებელი ახალი შინარ-  
სის გამოსახატავიდ, თუმცა სხვა ენათა მაგალითის  
როლს, რაღაც ზომით, უერ გამოვრიცხავთ (შევნიშნავთ ფრჩხი-  
ლის).

1 ეს დებულება მნილოდ მანამდეა ჰეშმარიტი, სანამ ვვარაუდრობთ, რომ  
უამოთქმის „დარტყმა კარის მიმართულებით“ ზუსტად იგივე მნიშვნელობა აქვს,  
რაც გამოთქმის „დარტყმა კარის კვენა“.

2 „საუკუთა“ (და არა „უარისაყოფა“) იმიტომ, რომ გამოთქმებს „ხორცის  
საწარმი“, „რომის ნაწარმი“ დაგილი უკავია სხვა „ნაწარმთა“ ერთიან სისტემიში  
(ლითონის ნაწარმი; ხის ნაწარმი და სხვ.), თორემ მხოლოდ ხორცის და რძის  
ნაწარმის რომ ეხებოდეს საქმე, პირველს ადვილად შეცვლის შუნებრივი „ხორ-  
ცეული“ და მეორეს — ბუნებრივი (დიალექტური) „წველა“.

ლებში, რომ მნიშვნელობის ეს „გადაწევა“ არც რუსულშია პირ-  
გინალური).

მაგრამ, ვთქვათ, „დაშვება“ ნებადართვის, წყვირუების მნიშ-  
ვნელობით მართლაც კალყია. განა ეს იმას ნიშნავს, რომ იგი უნ-  
და განვითაროთ ან მას შეიძლება შეველიოთ? განა სიტყვისა და  
გამოთქმის ბედის გადაწყვეტაში ერთად ერთი ფაქტორი ის  
არაა, აქვს თუ არა მას საკუთარი, მხოლოდ და მხოლოდ მისი კუთ-  
ენილი ძღვილი ენის მნიშვნელობათა (სემანტიკურ) სისტე-  
მაში? სიტყვის ან გამოთქმის აღგილისათვის ენის სისტემაში ხომ  
არაგითარი მნიშვნელობა არა აქვს მის წარმოშობას! ვ. ჭელიძის  
პოზიცია ამ შემთხვევაში მხოლოდ ენათმეცნიერების ამ ერთ-ერ-  
თი ფუნდამენტალური დებულების უგულვებელყოფას ემყარება.

ასეთი პოზიცია, ამავე კანონის გაუთვალისწინებლობით გამო-  
წვეული, მხოლოდ ვ. ჭელიძის დამახასიათებელი არ გახლავთ. და-  
იწუნებენ, მავალიოა, გამოთქმას „მოძრაობაში მოჰყავს“. ცხა-  
დია, იგი კალყია. ეს, ასე ვთქვათ, მოძრული კალყია. იგი დღეს არა  
ერთ ენაშია გავრცელებული, რომელზედაც კი მექანიკის და ზუს-  
ტი მეცნიერების ზოგი სხვა დარგის სახელმძღვანელოები იწერე-  
ბა. ამ გამოთქმას სასაცილოდ იგდებენ, როგორც არაქართულს, —  
ქართულად „ამოძრავებს“ უწინა ითქვასთ. კი მაგრამ, განა „ამოძ-  
რავებს“ და „მოძრაობაში მოჰყავს“ სემანტიკურიდ (მნიშვნელო-  
ბით) ერთია? ხელს „ვამოძრავებ“, მართალია, მავრამ, ვოქვაო,  
აღწერე რაღაც დილი სისტემა, რომელიც მუშაობს, მოძრაობს და  
მინდა ვთქვა, რომ არსებობს რაღაც ძალა. რომელიც მისი ამ  
მოძრაობის წყაროა. ვიტყვი „ამ სისტემას ესა და ეს ამოძრავებს-  
მეთქი“? ცხადია, ვერ ვიტყვი, რადგან სისტემა, როგორც მთლია-  
ნი, აღგილზეა, საუბარი ეხება მხოლოდ მისი შინაგანი მოძრაო-  
ბის, მისი ფუნქციონირების წყაროს. მაგრამ, ვთქვათ, ამ ორი გა-  
მოთქმის სემანტიკურად გარჩევაში ყველა არ გვეთანხმება. ის  
ხომ მაინც უკვევლია, რომ გამოთქმა „მოძრაობაში მოჰყავს“

1 რაღა ვცყოთ ამავე „დაწევებას“ სხვა მნიშვნელობით, მაგ. ასეთით: „და-  
უშვათ. A ჩეტია B-ზე?“ (გერმანული მათემატიკოსი იტყვის Zulassen;  
ფრანგი — admettre. რატომ დაძუნებელ ქართველი, როცა ამავე შინაგანის გე-  
მოხატვა მოუნდება?).



ეტ-ერთი ელემენტით სის ტემისა, რომლის დანარჩენი წეფებია „შხადყოფნაში მოჰყავს“, „წესრიგში მოჰყავს“ და ა.შ.! მართალია, „წესრიგში მოჰყავს“ ჰოგერ იგივეა სემანტიკურად, რაც „აწესრიგებს“, მაგრამ „მშადყოფნაში მოჰყავს“ ხომ არასოდეს არაა იგივე, რაც „აშზაღებს“! ნართალია, მთელი ეს სისტემა გამოთქმებისა („მოძრაობაში მოჰყავს“, „შხადყოფნაში წოჰყავს“ და სხვ.) საბოლოო ჯამში კალკია (ოღონდ არა რუსულისა, რა ოქმა უნდა!), მაგრამ ეს როდი ხიშნავს, რომ ეს სისტემა უნდა გადავაგდოთ, როგორც ზესტეტი და ენის დამანავეიანებელი! არ ნიშნავს იმიტომ, რომ გამოთქმითა ამ წყების დღეს საესებით გარკუული შინაარსობრივი და სტილისტური ხიუანსი აქვს ჩვენს ენაზი და მას სხვას ვერაფერს ჩაუნაცვლებთ. ამ მხრივ არავითარი განსხვავება არაა ჩვენს ეხსია და ყველა სხვა თანამედროვე ენის შორის, რომელიც კი მეცნიერული და სოციალური განვითარებულ, დიდებრენცირებულ საზოგადოებას ემსახურება. ჩვენი ენისთვისაც ეს გამოთქმები იმდენადვე აუცილებელი და იმდენადვე „ხელოკურია“, მეცნიერებისმიერია, რამდენადაც ყველა სხვა თანამედროვე ენისთვის.

რატომ ეხამუშებათ ენის კრიტიკოსებს, მათ შორის ვ. ჭელიძეს, ეს და ამგვარი გამოთქმები? რატომ ვერ ხედავენ ისინი მათ აუცილებელ ადგილს ქართული ენის მთლიან სისტემაში? იმიტომ, რომ მათთვის „ქართული“ მხოლოდ ყოველთვის და ყველა ცითარებაზე გამოიყენებათ არა ნათელი, რომ თანამედროვე კულტურულ ენის (ქართული კი სწორედ ასეთია და ასეთი უნდა იყოს) ახასიათებს სტილისტური განშტრება გვერდ ვება (სტრატიფიცია), რომ ენას გამოყენების სხვადასხვა სერერო აქვს და ყველა ამ სფეროს, სერთო ლექსიკისთვის და ფრიზეოლოგიასთან ერთად, აქვს საკუთარი სპეცი-

1 აღსანიშნავია, რომ ამ რიგის ზოგი გამოთქმა, კალკის სისი, შეიძლება წერთა კულტურულ ენებშიც იყო, მათ შორის ინგლისურშიც და ქართულშიც. მაგალითად, „არსებობაში მისელია“ („არსებობა მისელია“), to come into being აქ სხვა და „გაჩენა“ (დაბადება“, „შექმნა“) — სხვა. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ გამოთქმას, გარდა ნაკლებცხობილი თეოლოგიური და ფილოსოფიური ტრაქტატებისა, „ვეფეხისტურიაშიც“ შეეხვდებით: „ყოველი არსა შემსრული მხიარული თამაშობდა“.



ფიქტური ლექსიკა, ფრაზეოლოგია, და, ასე გასინჯეთ, ნაწილობრივ სინტაქსიც კი, რომელთაც თავისი სპეციფიკური ემოციური ელ-ფერი მოსდევს.

რას უქადის ქართულს ყველა ეს ენის ფუნქციონირებისა და განვითარების კანონთა ვაუთვალისწინებლობაზე დამყარებული აკრძალვა, ამას მტკიცება ორ სჭირდება. სტერილური არც ერთი ენა არ ყოფილი და გერც ჩენი იქნება. ლიტერატურის, ენათმეცნიერების თუ, უბრალოდ, მოლაპარაკის პირველი საზრუნვია ენის სიმღიღე, ძალა და არა სტერილობა. „სტერილობა“ ლათინური ძირის სიტყვაა და ქართულად „უნაყოფობად“ ითარგმნება<sup>1</sup>.

გრამატიკა და ინტეიცია. ვ. ჭელიძე თავის წერილში ხშირად ახსენებს „ენის მუსიკას“, ენის განუმეორებელ „იერს“, რომელიც სიტყვით ვერ აღიწერება, ენის „ჰარმონიას“ და ა. შ.. ეს ძალიან კარგია: ენაში, მართლაც, არის ისეთი რამ, რასაც გრძნობა უნდა, უშუალო ჩაწერობა უნდა და რასაც ვერავითარი ანალიზით ვერ დაიჭერთ. მაგრამ ეს იღუმილი სფერო ენაში იწყება იქ, სადაც თავდება ლოგიკური ანალიზისთვის მისაშვდომი სფერო, და მასზე მსჯელობას აზრი იქნება მხოლოდ მას შემდეგ, რაც ლოგიკური ანალიზის შესაძლებლობები ბოლომდე იმოვწურეთ. ვ. ჭელიძე არათუ ანალიზის ამ შესაძლებლობათა ამოწურებს არ ცდილობს, სანამ ენის „მუსიკას“ და „ჰარმონიას“ მიადგებოდეს, არამედ ენის უბრალო, სასკოლო გრამატიკის შესა-

1 საჭიროა აღინიშნოს, რომ ახალი (ენისთვის უჩვეულო) კონსტრუქციებისა და გამოთქმების მოწონება-დაწუნებისას იუცილებელი ამიერქტური კრიტერიუმების მოხმობა (მაგ. გრამატიკულის, ლექსიკოლოგიურის...), თორებ მხოლოდ სუბიექტური „მეხამუშება“ ცედ შედეგს მოვცემს. ამის მაგალითით თუნდაც ვ. ჭელიძის მიერ უსამართლო განაჩენგამოტანილი გამოთქმები, რომ-ლებიც გამომხატველობით არ ელვარებენ, მართალია, მაგრამ ენიდან არც განსაღებია არიან და ვერც განიღევნებიან: „ქმრის სიტუაციაში ქალი შიშის და მორჩილების მდგომარეობიდან გამოიყვანა“, მათვის არ იქნებოდა ეს მისაღები „დასიშვებია ესა?“. ეს გამოთქმები პრინციპულად სხვაა, ვიღრე ინავე ჯერდზე ციტირებული გამოთქმები, რომელთა უვარებისაც ობიექტური დამტკიცებიდანა: „წარსულ წელს“, „მე შენ გნახავდი, თუ რას იზამდი“ და სხვა. (ვ. ჭელიძე. ციტ. შრომა, გვ. 70).

ძლებლობებისასაც კი. ამიტომ იმ ხშირად მართლაც უხასის ქართულის მაგალითებს სხვადასხვა პირთა ნაწერებიდან, რომელიც მას თავისი თეორიული შეხედულებების დასასაბუთებლად მოჰყავს, იგი ყოველთვის არ არქმევს იმ ერთადერთ ნამდვილ სახელს, რომელიც იმ მაგალითებს ეკუთვნის — „უწიგნურობას“. მაგალითად, ვ. ჭელიძეს მიაჩნია, რომ წინადადება „შვილმა უორა დედას, რომ ის მიღის იქ, სადაც ამხანაგები ეგულება“ „გრამატიკულად სწორია“, თუმცა სინამდევილეში იგი სწორედ გრამატიკის უცცობეს მეტყველებს იმ უცნობი ავტორის მხრით და არა ზეღმიერ განსწავლულობას ევროპულ ენებში, როგორც ვ. ჭელიძეს წარმოუდგენია (გრამატიკა, მოგეხსენებათ, მხოლოდ ბრუნებისა და უღველილების წესებით არ ამოიწურება). ასევე, ტყუილად მიაჩნია კრიტიკოსს, რომ გამოთქმა „ამდენი და ამდენი მოწაფე ასწრებს“ იმიტომ „ჯღერს“, ცოტა არ იყოს, არაქართულად, რომ სიტყვა „მოსწრება“ „დამაკმაყოფილებელი სწავლის“ აზრით „ქართული არ არის, თარგმანია“. ნამდვილად საქმე, ჯერ ერთი, ის გახლავთ, რომ ამ გამოთქმაში („მოწაფე ასწრებს“) დარღვეულია ქართულის გრამატიკული ნორმა, რომელიც გულისხმობს, რომ გარდამავალი ზმნის პირიან ფორმას, როგორც წესი, პირდაპირი ობიექტი ანიშნული უნდა ჰქონდეს (რას „ასწრებს“ — სწავლის, ჭამას: თუ კოჭის თამაშს?). უბიექტოდ ნახმარი გარდამავალი ზმნები, მაგალითად, „სიამს“ (ლოთობს), „ხატავს“ (მხატვრობს), „წერს“ (პოეტობს) იშვიათია. ამიტომ გამოთქმის „მოწაფე ასწრებს“ დაწუნებაში ვ. ჭელიძე ნაწილობრივ მართლია, გამოთქმის „მოწაფეთა მოსწრება“ დაწუნებაში კი — საკუთხით მტკუანი.

მაგრამ ნუ გამოვეკიდებით ამ წვრილნებს. ნუ გამოვიდეთ თუნდაც იმიტომ, რომ ამავე წერიალში ცოტა ქვემოთ ვ. ჭელიძეს პირდაპირობა შესწევს, სხვა ნამდვილად უხამს გამოთქმებს (მხატვრული თარგმანებისას), რომელთა გრამატიკული გაუ-

<sup>1</sup> ჯერ ერთი, როცა მთავარი წინადადების ზმნი ჩატყო წყვირილშია, დამიკადებული წინადაღების ზმნა წმინდაში მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში (რომელში — აქ არ ვაზესტებთ) შეიძლება დაისიგას, აქ კი ასეთი ვაჩის კუთხებული შემთხვევა არ გვაქმნა. მეორეც, „ის“ აქ აუცილებელი არა. (იხ. ჭვერშოთ).



მართაობაც მან უშეცდომოდ ამოიცნო, „უპრალოდ, ენის უკვლების ხარობა და მიუტევებელი დაუდევრობა“ (გვ. 73) უწოდოს. შევე-ხებით მხოლოდ საკითხის უფრო ასევებით და, ჩვენი აზრით, პრა-ქტიკულად მნიშვნელოვან მხარეს. ვ. ჭელიძეს ტაქტილად მიუჩ-ნევია, რომ მის მიერ ესოდენი მედმაღლობით მოხსენიებული „გრამატიკა“<sup>1</sup> მხოლოდ ისაა, რაც ა. შანიძის სასკოლო სახელმძ-ღვანელოში ან მისავე ფუნდამენტურ „ქართული გრამატიკის სა-ფუძვლებში“ ჩერტია. გრამატიკა (რომელიც — შევნიშნავთ აქვა-ენის „ბუნების“ გულის გულია) მრავალ გამოუთქმელ, დაუწერებულ, ჯერგერობით დაუფორმულებულ კანონების შეიცავს. მაგრამ ის, ვისაც ენასთან პროფესიული დამოკიდებულება აქვს — მთარგმ-ნელი კი, პირველ რიგში, სწორედ ესაა — ოვით უნდა გრანთბულებეს ამ კანონებს. უფრო მეტიც, იგი მხოლოდ თავის „მეუმჯობეს გრძნობას“ კი არ უნდა ენდობოდეს (თუმცა ამ გრძნო-ბის გარეშე შორს უკიდურესად), არამედ კიდეც უნდა უფიქრდებო-დეს ენის გრამატიკის (და სემანტიკის) ამ დაუფორმულებულ კანო-ნებს, იგი რაალც ანალიზს — თუნდ ძალიან მცირედს — თავისთ-ვის დაცოცეკიდებლად უნდა ახდენდეს, რათა გაიგოს, თუ რა და რა ენაბრივი მექანიზმები გამასტედებენ, ტიპიურ შემთხვევებში მაინც, იმას, რომ ესა და ეს კონსტრუქცია „ყურს გვჭრის“, სხვა კი გესიამოუნებს, ერთზე გბორბიკობთ თხრიბისა და კითხვის დროს, მეორე, პირიქით, გვახალისებს და ა. შ. და ა. შ. ვ. ჭელი-ძის მიერ მოყვანილ უვალა მაგალითში ამგვარი ანალიზის ჩა-ტარება შესაძლებელი იყო; არც ერთ ამ შემთხვევათაგანში დარ-ღვეა გრამატიკის და სემანტიკის ფარგლებს არ გასცილებია. სი-ტრებს არ გვაგრძელებთ. საილუსტრაციოდ მხოლოდ ერთ, ყვე-ლაშე მარტივ ხიმუშს მოგიყვანთ.

დასავლეთ ეკრანის ენებისაგან, აგრეთვე რუსულისაგან გან-სხვავებით, ქართული ზმნის ცორმაში ჩინს სუბიექტის (ქვემდება-რის) პირიც და ობიექტის (დამატების) პირიც: პირველი, მეორე და მესამე. ამიტომ თარგმნისას პირის ნაცვალსახელების ყადმოტა-ნა ძალიან ხშირ შემთხვევაში ჰედმეტია. მაგ., ქართულად უნდა ითქვას (ბუნებრივია) არა „მე შენ მიყვარხარ“, არამედ მხოლოდ

1 ახ. შინი „ფიქრები ხვალინდელ დღეზე“, ციტირებული წიგნი, გვ. 66.



„მიყვარხარ“. ამ წესის დარღვევა უბრალო უვიცობაა განკუთხულის ქრისტიანულის იღუმალი „ბუნების“ ღალატი. მაგრამ საქმე ამით არ მთავრდება. ამგვარ ზმნებთან პირის ნაცვალსახელის ხმარება ზოგჯერ მაინც საშიროა, სახელლობრ, მაშინ, როცა ამ ნაცვალსახელით გამოხატულ შინაარსს კონტექსტის მიხედვით ხაზი ეს მის. მაგალითად, თუ, კონტექსტის მიხედვით, საკითხავია, ჟენ მიყვარხერ თუ სხვა მიყვარს (თუნდაც ეს კითხვა ძველიდ გამოთქმული არ იყოს), მაშინ უნდა ითქვას „შენ მიყვარხარ“ და არა მროლოდ „მიყვარხარ“. ეს ლიტერატურული ქართულის, აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტების და ძირითად ადამიანის მხრიდან მხოლოდ ძირითადად) დასავლეთი დიალექტების ნორმაა. დასავლეთის დიალექტებში ზოგჯერ გვხვდება ამგვარ ზმნებთან პირის ნაცვალსახელების ხმარება ჟენის ენებული ლოგიკური მახვილის გარეშე შეც. რატომ? როგორც ჩახს, იმიტომ, რომ აქ წინადადებუში შემოდის თავისებური ინტონაციური ფაქტორი, რომელიც წინადადების წყობაში თავისებურ (მცირე) ცალილებებს იწევს. ამ ძალიან მძრტივ, თუმცა მტკიცე კანონზომიერებას გრძმატიფის ცერც ერთ კურსში დერ ნახავთ. მაგრამ მჯერალს და მთარგმნელს, რომელსაც პრაქტიკულად აქვს საქმე ენასთან, შისი ცოდნა ჰმართებს. მას დაკირვებამ, პრაქტიკამ, გამოცდილებამ უნდა დაახახოს და ალომ უნდა აგრძნობინოს ეს. სათანადო წესსაც უნდა მიავწოს (რა თქმა უნდა, თავისთვის და არა გამოკვლევის დასაწერად). თუ ეს მოუდა, მაშინ აღარ დაგვჭირდება ენის „ბუნების“ და „რუსიკის“ მოხმობა ესთ და მარტივი საკითხისათვის და ამ მაღალ საგინთათვის განკუთხნილ გზებისა და აღმაფრენისა იმ შემთხვევისათვის შემოვინავთ, რომელსაც გრძმატიული და ლოგიკური ანალიზი ვეღარ გააწვდება.

ენის სრულყოფის გზები. ზემოთ ვთქვით; რომ ვ. ჭელიძის წერილის მიხედვით, ენაზე ზრუნვა, ძირითადად, მისი უცხო ელემენტებისაგან დაცვით შემოიფარგლება. წერილში არის ლპარაკი იმაზეც, თუ რით მდიდრდება ქართული ენა. სახელდობრ, „სიტყვებით, ტერმინებით, რომელებმაც ყველა ენში შეაღწიეს და დამტკიცრდნენ“ (გვ. 60), „გადმოქართულებული“ უცხო სიტყვებით, რომელთა ნიმუშადაც მოყვანილია „გამიხლა-



ფორტა“ (სიტყვისაგან ალიპოთ) და „გამიპუსტიაკა“ (ესეც აეტორს ენაში „დამკვიდრებული“ სიტყვა ჰგონია), და დიალექტუ-ბის საგანძურის გამოყენებით, რომლის ნიმუშიდაც აეტორს მოჰყავს მის მიერ ბედნიერად მიგნებული „საყადელი“ (შეშის წყობა, შტაბელი). კი მაგრამ, განა ესაა ეხის გამდიდრების გზა? განა „სიყადელისა“ და „ხლაფორთის“ (გვმოვნება აეტორისა) არებობა-არარსებობაშია ენის გამდიდრების პრობლემა? იმაზე დუმილი, რაც ენისათვის მართლა პრობლემაა, რაც მართლა ამდიდრებს ან უნდა ამდიდრებდეს მას, მე ამ წერილის მთავარ ნაკლად მიმაჩნია. შევეხოთ საკითხს ცოტა უფრო ვცრლიდ.

უოლელ ეხას აქვს თავისი ე. წ. „შინაფორმა“ — ცნებათა და გრამატიკულ კატეგორიათა სისტემა, რომელიც სინამდვილეს ამ-გვარედ ან იმგვარად აღწერს, მის ასეთ ან ისეთ „სურათს“ ქმნის (ყოველი ენა თავ-თავისებურს: მაგ., ქართული ენა ასხვაებს „მა-მიდაშვილს“, „დეიდაშვილს“ და „ბიძაშვილს“, მაგრამ არ ასხვა-ვებს მათ სქესს, რუსული — პირიქით). ბევრნი ფიქრობენ, რომ ენთა ამ სხვადასხვა „შინაფორმების“ მიმართ, ანუ ცნებათა და ურმეტიკულ კატეგორიათა იმ სხვადასხვა სისტემების მიმართ, რომლებითაც ეხები სინამდვილეს აღწერენ და იმეცნებენ, „უამ-თესობისა“ და „უარესობის“ საკითხი ვერ დაისწის მათი ისტო-რიის იმ ეტაპზე, რომელიც კულტურა-ცივილიზაციას წინ უსწ-რებს (ოუმცა უნდა გამოვტყდე, რომ მე პირადად ასეთი ნიველი-რების საფუძველს ვერ ვხედავ). სამაგიეროდ, ორავის ეპირება ეჭ-ვა, რომ ამგვარი საკითხის დასმას აზრი აქვს მაშინ, როცა ენებს კულტურული განვითარება უკვე დაწყებული აქვთ, მით უფრო მა-შინ, როდესაც მათ წიაღში უკვე სალიტერატურო ენა შექ-მნილა. ლიტერატურული ენის შინაფორმას (ლიტერატურამდელი ენისაზე რომ აღარაფერი ვთქვათ) განვითარებადობა ახ-სითებს. ეს შინაფორმა არა მარტო ცვალებადობას განიცდის, არამედ წინ მიღის, უფრო და უფრო სრულყოფილი ხდება. ამ სრულყოფას საუსებით კონკრეტული შინაარსი აქვს: ენა უფრო მეტი საგნების სიტყვათა შინაარსის მეტი და უფრო რთული ნიუანსების — ურთიერთობარჩევის სწავლობს, იგი სინამდვილის სულ უფრო და უფრო მეტი მხარეების გამოყოფას, სახელ-დებას და განზოგადებას ახერხებს. ექცენტ ცრადი ხდება,



რომ თუ მთარგმნელმა ორივინალის სიტყვის შინაარსის კბადმოცუ-  
მისას სიზუსტეზე კი არ ითქვა პირველ რიგში, არამედ მის  
ფარდად გამოსაყენებელი დედაენისეული სიტყვის ბუნები ბრი-  
ონბაზე, იგი არა მარტო ორიგინალის ნიუანსს დაკარგავს, არა-  
მედ დედაენის. წინაშეც უდავაწლო დარჩება — მის გამდიღრებაში  
წვლილს გერ შეიტანს. ხოლო თუ მან იმდენს მიღწია, რომ დედ-  
ნის ნიუანსი ზუსტად გადმოსცა ორი სიტყვით, რამდენიმე სიტყ-  
ვით, მთელი ახალი, ამ წუთს მონახული კონსტრუქციით ან, რაც  
ყველაზე უძმხობესია, ნეოლიტიზმით, მაშინ იგი არა მარტო  
ორიგინალთან იქნება პირნათლიად, არამედ დედაენის განვითარე-  
ბასაც ღისღებს ღვაწლს, ვინაიდან მის გათელილ გზაზე სხვებიც  
გაიღლიან და მის მოქალაქე მონახული სიახლე თანდათან ენაში მო-  
ქალაქეობის უფლებას მოიპოვებს. ასეთი პროცესი  
ერთ-ერთი მიუცილებელი კომპონენტია ყველა კულტურული  
ენის ისტორიისა უძანასკნელი ორი ათასწლეულის მანძილზე და  
ენის გამდიღრების ერთ-ერთი ძირითადი წყარო.

მაგრამ რა შემოდის ენაში ან გზით? რომელია ენის ის  
სფერო, რომელიც ყველა სხვაზე უფრო მეტად ვითარდება  
ამ პროცესში?; ცხადია, რომ იმ სფეროს, რომელიც ეროვნული  
ენისათვის ერთგარი ფუფუნებაა (თუმცა არა მარტო მისი პრეს-  
ტიუისთვის, არამედ თვით მისი პრესტიუისთვისაც კი აუცილე-  
ბელი ფუფუნება) — ფილოსოფიურ, მათემატიკურ, ტექნიკურ,  
პოლიტიკურ ტერმინოლოგიას — მეტად ახსიათებს ზემო-  
ხენებული განვითარებაღობა, ვიღრე ენის ყვილაზე ძირეულ  
შრეს, როგორიცად ნოთესობის სახელები, ბუნების ძირითად მოვ-  
ლებათა სხელები და სხვა ამგვარი. მაგრამ არის მაინც ენის ერ-  
თი სფერო, რომელიც განვითარებაღიცაა და ამავე ღროს ამ ენი-  
სთვის, ერთითვის და მისი კულტურისთვის ძირეულზე ძირეუ-  
ლიც — ეს ის ლექსიკა გეხლავთ, რომლითაც ადამიანი აღწერს,  
იმეცნებს და აფასებს თავის თავს, თავის საზოგადო-  
ებას, თავის ურთიერთობას სხვა ადამიანებთან. ეს  
ის სიტყვებია, რომლებიც ღინიშნავენ ადამიანის სულის ძრებს,  
მისი ხასიათის თვისებებს, ადამიანთა შორის ურთიერთობებს და  
მათ ნიუანსებს, ადამიანის სხვადასხვა მხარეთა ეთიკურ შეფასე-  
ბას და ა. შ. ნურავის ეგონება, რომ ლექსიკის ეს სფერო განვი-



თარებადი ანუ გამდიდრებაზი, ღახვეწადი, სხვა ენათა მონაპოვნება  
რებისთვის შეღწევადი არა! ხოლო ეისაც ეჭვი ეპარება ამშრი,  
და, ერთი საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი გაიხსენოს: ყველა  
თანამედროვე კულტურულ ენაში ამ რიგის ლექსიები იმ ენათა  
უდიდესი გაცლენითა შემუშევებული (ნაწილობრივ, რა თქმა  
უნდა, კალკინების გზით), რომელიც ქრისტიანული წიგ-  
ნები დაწერა ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საცკუნებში (და  
მანამდე „ძელი აღთქმის“ სახით).

სამშუხაროდ, ამ სფეროს ლექსიების გამდიდრებაზე მაჯე-  
ლობა არც ვ. ჭელიძის ზემოხსეხებულ წერილში, არც ზემოხსე-  
ხებული „მექრძალავი“ მიმართულების სხვა წერილებში მე არ  
წემჩვედრია. ეს წერილები, მარტივად რომ ვთქვათ, სალიტერა-  
ტურო ენის (ცერძოდ კი, თარგმნითი ლიტერატურის ენის) ამ მო-  
ცანას, როგორც ასეთს, ცერტ ამჩნევენ. (გ. შატბერიაშვილის ზემოხ-  
სენებული წერილები, რა თქმა უნდა, ამჩნევენ მას და ამ რიგის  
ლექსიებისაც სხვა რიგისათან ერთად აღნუსხავენ. მაგრამ ეს წე-  
რილები, როგორც ზემოთ უკვე ვთქვით, „მექრძალავი“ ტიპისას  
არ ეკუთვნიან).

ესლა პირდაპირ დაცუსვეთ კიოხვა ენის განვითარებაში გა ვ-  
ლენის მოწინააღმდეგებს: ტოლფასოვანი თუ არა ლიტერა-  
ტურული ქართულისთვის ისეთი სიტუაცია, რომლებიც ლიტერატუ-  
რის ძირითად საგანს — დამარცხის სულს, მის ბუნების, სხვა აღ-  
ზარნახ ურთიერთობის, ზნეობის, გრძელების, ინტერესების აღწე-  
რენ თუ გვიხსიაობენ და ისეთები, რომლებიც, „საყადელივით“,  
მეტ-ნაკლებად სშირი გამოყენების ფიზიკურ ობიექტებს აღნიშ-  
ხავენ? არა, ტოლფასოვანი არ გახლევთ და ამას ცერაფინ უარ-  
ყოფს! პირველი ლიტერატურული ენის (და, სერთოდ, ენის)  
ბირთვი, დედაძძრლვი არიან, მისი ძალა და სიქადული. მეორენი,  
ასე ვთქვათ, ენის პერიფერიაზე მდებარეობენ. დასაკარგავი არც  
ერთია და არც მეორე. მაგრამ, როცა ენის ბეჭდები ვლაპაპ-  
აკობთ, პირველ ყოვლისა, პირველთა ბეჭდს უნდა შევეხოთ.  
ამ ბეჭდს კი, როგორც უკვე ვთქვით, ახალი აღთქმის ცნებათსის-  
ტემის ამოწმებით, ძილიან მნიშვნელოვანშილად განსაზღვრავს  
სხვათა მონაპოვრის გამოყენებაც!

ნუ გვეგოხება, რომ პირველთა შემომატების წყარო მსო-

ლ რ დ ან ძირითადად კალკინუბაა, გადმოღებაა, უცხოური შედევრების შინედვით საკუთარი ენის ძალების მობილიზაციის შედევრი, რაზედც ზემოთ ყლაპარაკობდით. სრულებითაც არა! ენა პირველ ყოვლისა თვითონ იძუშვებს ამგვარ სიტყვებსა და გამოთქმებს და ამაშია ენის საკუთარი, ეროვნული გონის სიცოცხლე, მის მიერ სამყაროს ხედვა და შეფასება. ცოცხალ მეტყველებაში ასეთი სიტყვები და გამოთქმები არა მარტო არის (ზოგი, ცხადია, ლიტერატურაში ჯერ გამოუყენებელიც, თუმცა კარგი მწერალი სალხურ მეტყველებაში, პირველ რიგში, სწორედ ამ სიტყვებს ეცნობა ხოლმე), არამედ იქმნები კიდეც. მაგალითად, მნელი დასაჯერებელია, რომ ხატვანი და შინაარსობრივად ზუსტი გამოთქმა „გულის გარეთ ლაპარაკობსო“ (არც „არაგულწრფელად“, არც „უყურადღებოდ“, არც „დაუდევრად“, არც „თვალთმაქცურად“ და სხვ., არამედ სწორედ „გულის გარეთ“) უკვე რამდენიმე ოობის მანძილზე არსებობს (იგი, იღბათ. სულ 20—30 წლის აჩენილია). მაგრამ საჭმე ისაა, რომ ამ სიტყვებს და გამოთქმებს შემჩნევა უხდა. ურმის თვლის რაღაც ნაწილის აღმნიშვნელი სიტყვა თვალში გვეცემა ხოლმე (თუ საღმე ყური მოვკარით), ადამიანის სულის მოძრაობის აღმნიშვნელი კი — არა. შემჩნევას კი ინტერესი უნდა, სწორედ მიძართული ინტერესი, ენის ამოცანებისა და განვითარების სიძნელეების სწორი გაგებილან გამომდინარე.

წელან „კარგი მწერალი“ ვახსენეთ და ამიტომ თავს ნებას მივციმთ ერთი გარემოება გავიხსენოთ. ქ. გამსახურდიას ლექსიკა რაოდენობრივად არც ისე მდიდარია, როგორც პირველი შეხედვით ჩენს. მისი სიმღიდრე იმაშია, რომ მისი ნეოლითურიშმები და მოძებნილი (ძველ ქართულსა და დიალექტებში) ან გამოკორცხულებული სიტყვები ენის სწორედ იმ ზემოხსენებულ ცენტრალურ უბანს ეხება ღიღწილად და არა მის პერიფერიას. ეს სიტყვები „იქერენ“ და აჯითარებენ იმ შინაარსებს, რომლებიც შკითხველს რაღაც ბუნდოვანი სახით უკვე ცნობიერებაში აქვს. ისინი, ასე ვთქვათ, პასუხს სცემენ იმ კითხვას, რომელიც მკითხველის წინაშე უკვე დგას, და ამიტომ დავიწყებას არ ეძლევიან (მიუხედავად იმისა, რომ განმარტებით ლექსიკონში ქ. გამსახურდიას თაობის ზოგი სხვა პროზაიკოსის ლექსიკას გაცილებით უფრო დოდო აღ-



გილი უჭირავს). ცხადია, ავტორი თვითონაც უწყობს ხელს შემო-  
ხსენებული კითხვის დასმის: იგი თხრობით ქმნის საჭირო ქონ-  
ტიქსტს, ასე ვთქვათ, „ვაკუუმს“, რომელსაც საჭირო სიტყვა  
ბუნებრივად ავსებს, ასე რომ მისი საზრისი დაუძაბვად გასაგები  
ხდება.

რა რესურსებით უნდა ხდებოდეს, ძირითადად, სალიტერატუ-  
რო ქართულის ზრდა, მისი „შინაფორმის“ სრულყოფა და გან-  
ვითარება? არა მხოლოდ კალკირებით (როგორც უკვე ვთქვიო), არა  
მხოლოდ იველი ქართულიდან სესხებით. ყველა ეს საშუალება  
კარგია, მაგრამ არც რომელიმე მათგანი ცალკე, არც ყველა ერთად  
არაა ამომწურავი. გამდიღრება უნდა ხდებოდეს, ძირითადად, ნე-  
ოლოგიზმით, არსებული ლექსიკური მასალის (სიტყვების,  
აფიქსების) ახლებური კომბინირებით, რომელიც შეძლებს შინა-  
არსის ახალი ნიუანსების გამოხატვის. ცხადია, ეს ნეოლოგიზმი  
არ უნდა იყოს თვალში საცემი, როგორც ნეოლო-  
გიზმი. მისი სიახლე არ უნდა „ყვიროდეს“. იგი უნდა იყოს  
ოპტიმისტური (ყველაზე ზუსტი და ეკონომიკური) საშუალება იმ  
შინაარსის გამოსახატავად, რომელიც ენაში და მასზე მოლაპარა-  
კე ხალხში უკვე „მომწიფდა“, გამოთქმას ლამობს. რამდენადაც ეს  
შინაარსი „მომწიფდა“, ნეოლოგიზმი გასაგები იქნება. ხოლო რამ-  
დენადაც იგი ჯერ ირ გამოთქმული, მის გამოთქმას სწორედ ნეო-  
ლოგიზმი დასჭირდება.

როგორც ეხედავთ, ამოცანა რთულია და მხოლოდ იკრძალ-  
ვით აქ ფონს გრძელოთ. „აგრძალოთ“ ეს სიტყვა, „ავტორიალოთ“  
ეს გამოთქმა, „აგრძალოთ“ უპრინციპო რეცენზიებიც კი — ასე-  
თი მოწოდება უპერსპექტივო გახლევთ. აკრძალვის კრი-  
ტიკისა და შემოქმედების თავისუფლება სჯობს. უპრინციპო რე-  
ცენზიების ეკრძალვას სჯობია, პრესის ფურცლებზე თავისუფა-  
ლი გზა მიეცეს პრინციპულ რეცენზიებს, რომლებიც, როგორც  
იტყვიან, ბლოგირს გაადენენ იმ უხემსი ქართულით შესრულებუ-  
ლი თარგმანების თუ ორიგინალური თხზულებების აკტორებსაც  
და მათ გამომცემლებსაც.



\* \* \*

ერთადერთი, რაშიც ვ. ჭელიძეს უყოფმანოლ უნდა დაკეთდებოდა, ის გახლავთ, რომ სკოლის სახელმძღვანელოთა უმრავლესობას მართლაც რადგალური გაუმჯობესება, უფრო ზუსტად კი — ხელისხმა თარგმნა ან შექმნა სჭირდება. საქმე მხოლოდ მთარგმნელთა შეცოდებებს კი არ ეხება, თუნდ უალღოობის ბრალი იყო, და თუნდ არცორნისა, არამედ თვით მათი ფსიქოლოგიურ ორიენტაციას და იმ, თუ შეიძლება ასე იოქვას, უფლებრივ პოზიციას, რომელშიც თვითონ იცენებენ თავს (რადგან არა გვგონია, მათ ერთმე იძულებით ახევედეს იმ პოზიციას); ისაც გვეყოფა, რომ სახელმძღვანელოებს კი არ ვქმნით, არამედ მხოლოდ გთარგმნით. დაე, მთარგმნელმა იმის ნება მიიჩნე მისცეს თავს, რომ ორიგინალის აზრი, ზუსტად და კარგად გაგებული, თავისი სიტყვათ გადასცეს ბავშვებს და იმით ბავშვის დედაბინას, მის სულსა და თანდაყოლილ გემოვნების (რადგან გემოვნებას საესებით მოკლებული ადამიანი არ არსებობს) მათი კუთვნილი პატივი სცეს!

□ □

## ტომას ელიოტის პოემის ესატატად თარგმნის გამო

□

თამაში პოგავიძე

□

გასული წლის 26 ივნისს „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე გამოქვეყნდა ტომას სტერნის „ბერწი მიწის“ თარგმანი, შესრულებული ოთარ ჩერიძის მიერ. ჩემს წერილში ამ

ნაწარმოებს „უნაყოფო მიწად“ მოვიხევნებ, რის მიზეზსაც ქვემოთ მოგახსენებთ.

თავიდანვე უნდა ითქვას, რომ ბატონშა ოთარ ჩხეიძემ დიდი და მეტად რთული საქმე იტვირთა — აღვილი როდია ისეთი მხატვრული ხაწარმოების ქართულად თარგმნა, რომელმაც თავის დროზე უდიდესი გაცლენა მოახდინა ანგლო-ამერიკულ პოეტურ აზროვნებაზე და ახალი გზით წარმართა წერცე საუკუნის ინგლისურენოვანი ლიტერატურის ძირითადი ნაკადი. ჯოისის „ულისეს“ და თომას მანის „დოქტორ ფაუსტუსის“ დარად, ელიოტის „უნაყოფო მიწად“ ეპოქალური ხაწარმოებია — ის ჩვენი დროს და უავლენი მხატვრული აზროვნების არს გამოჩატავს და მისი თარგმნა, მართლაც რომ, მნიშვნელოვანი მოვლენა უნდა იყოს ნებისმიერი ცივილიზაციული ერის სულიერ ცხოვრებაში. ელიოტის პოემას ადეკვატური, მოწოდების სინაღლეზე მდგარი თარგმანი აუცილებლად მოახდენს დადებით გავლენას მიშდინარე ეროვნულ ლიტერატურულ პროცესზე, ის გაიცართოვებს თანამედროვე ეროვნული მწერლობის თვალთახედის არეს, აზიარებს რა ბას ეპროპული მხატვრული აზროვნების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მონაბროვარს. სხვაენოვან პოეტურ სამყაროში „უნაყოფო მიწის“ სრულუფლებიანი დამკვიდრება შეცვლის მოხელებულ კრიტერიუმებსა და ესოებიყურ ნორმებს, ბიძგს მისცემს ახალი მხატვრული ხერხებისა და გამომსახუელობითი საშუალებების ძიებას. აქედან გამომდინარე, ნოთელია, თუ რა დიდი პასუხისმგებლობა ეკისრუბა ელიოტის ამ პოემის მთარგმენტს და რა დიდ შრომას მოითხოვს ასეთი სამუშაო მისი შესარცლებლისაგან. სწორედ ამიტომ, მისა-სალმებელია, რომ ჩვენში ეს საქმე ითავა ცნობილმა ქართველმა მწერალმა ოთარ ჩხეიძემ.

მოკლედ რომ ვთქვათ, ნაბიჯი გადადგმულია. ამ ბოლო დროს გამოქვეყნებულ მოდერნისტული პრიზის ქართულ თარგმანთა რიცხვს დიდი ფორმის პოეტური ნაწარმოების თარგმანიც შეემატა. კარგია, რომ XX საუკუნის ანგლო-ამერიკული პოეტით დაინტერესებული ქართველი შეითხვევისათვის სულ ცატა ხნის წინანდელი ტერა ინკოგნიტა თანადათანობით უფრო ხელმისაწვდომი და გასაგები ხდება. მაგრამ ისიც აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ელიოტის პოემის სრულყოფილი თარგმანის შექმნისათვის ამჯე-



რად მხოლოდ პირვე ლი ნაბიჯია გადადგმულია მექანიზმის ღია დამოქვეყნებულ თარგმანს აღვიტვაში, როგორც „უნაყოფო მიწის“ შემდგომი თარგმანების წინამორბედს. დარწმუნებული ვარ, რომ თვით ბატონი ოთარ ჩეხიძეც მიღწეულს არ დასჭრდება და ახლო მომავალში თავის შესწორებულ თარგმანს ცალკე (სასურველია ორენოვანი და კომენტირებული) სახით გამოსცემს. ამჯერად გამოქვეყნებული ნაშრომი კი, როგორც ყველა პირველი ცდა, ჩემი აზრით, საფუძვლიან დახვეწას საჭიროებს. რადგანაც მე წლების მანძილზე მომიხდა მუშაობა ელიოტის შემოქმედებაზე, თავს უფლებას მიეცემ და ჩემს მოკრძალებულ შენიშვნებს შევთავაზებ ბატონ ოთარ ჩეხიძეს იმ იმედითა და რწმენით, რომ მათგან ყველაზე ყურადსალებს ის ანგარიშს გაუწევს თავისი თარგმანის ახალ რედაქციაზე მუშაობისას.

პირველი, რაც თვალში ეცემა საქმეში ჩახელულ მკითხველს, ისაა, რომ „უნაყოფო მიწის“ თარგმნილ ტექსტს დართული არა აქვს კომენტარების თარგმანი. მე, რა თქმა უნდა, ვგულისხმობ თვით ელიოტის კომენტარებს, რომლებიც თან ახლავს პოემის ყველა ინგლისურენოვან გამოცემას, და არა მთარგმნელის ჩვეულებრივ შენიშვნებს, რომლებიც ბატონ ოთარს სურვილისამებრ შეეძლო დაერთო ან არ დაერთო თავისი თარგმანისათვის. სამწუხაროდ, აქ ოთარ ჩეხიძეს გამოქვეყნა ა. სერგეევის შეცდომა, რომელმაც ჯერ კიდევ 1971 წელს აგრეთვე ავტორისეული კომენტარების გარეშე გამოქვეყნა „უნაყოფო მიწის“ რუსული თარგმანი. მაგრამ რუსი მთარგმნელი ბევრად უფრო შორს წავიდა — მან ელიოტის კომენტარები სრულიად გაუმართლებლად შეცვალა ვ. მურავიოვის (?!) შენიშვნებით, რაც პოემის სრული (ე. ი. კომენტირებული) ტექსტის ართარგმნის ფონზე, ცოტა არ იყოს, უცნაური და ღიმილის მომვრცელიც კია. საქმე ისაა, რომ „უნაყოფო მიწის“ ავტორისეულ კომენტარს მხოლოდ ინფორმაციული ან განმარტებითი დანიშნულება როდი აქვს. ელიოტის მშრალი და ლაკონური, საგანგებოდ „მეცნიერული“ შენიშვნები, ხან პოეტის „სამზარეულოში“ რომ ჩახელებს მკითხველს (ან ამის ილუზიას შეუქმნის), ხან კი — უამრავ ახალ კითხვას იღუძრავს, უპირველესად ავტორის მხატვრულ პოზიციას გამოხატავს და ნაწარმოების პოეტიური სისტემის განუყოფელ ნაწილს შეადგენს.



მინდა, ბატონი ოთარ ჩხეიძე სწორად მიმიხვდეს სათურავულის გადასაცემის თარგმნა დიდი ცოდვა არ იქნებოდა, ვთქვათ, „ევგენი ონეგინის“ თარგმნა ავტორის ული შენიშვნების გარეშე, რადგანაც მათ იმთავითვე ზოგიერთი დურალის დაზუსტებისა თუ ტექსტის განმარტების ფუნქცია ვკისრებოდათ და დღესდღეობით მხოლოდ ისტორიული დანიშნულება შერჩათ. მათ გარეშე პუშკინის რომანის თარგმანს მხატვრული ლირისება არ მოაკლდება. სულ სხვაა ელიოტი—მისი კომენტარი პოემის ძირითად ტექსტთან ერთად ორგანულ მხატვრულ მთლიანობას ქმნის და, შესაბამისად, მეტად მნიშვნელოვან აზრობრივ-ემოციურ დატვირთვას შეიცავს. კომენტარების საშუალებით ელიოტი გამოკვეთს პოემის საგანგებოდ მშრალსა და მწიგნობრულ, პრინციპულად ანტირომანტიკულ ხასიათს. ნაწარმოების ეს ფსევდომეცნიერული აპარატი საგანგებო ინტელექტუალიზმისა და აზრობრივი სირთულის გამოხატვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მხატვრულ ხერხს წარმოადგენს. ის აგრეთვე პოემის ელიოტიული სულისკვეთების ჩანგასმასაც ემსახურება. ბატონ ოთარს ჩემშე ნაკლებად როდი მოეხსენება, რომ ელიოტი, არსებითად, ინტელექტუალური ელიტის პოეტი იყო და შეგნებულად წერდა „რიგითი მყითხველისათვის“ ნაკლებად მისაწვდომ დონეზე. ამგვარი პოზიციის სისწორესა თუ მცდარობაზე მსჯელობა შორს წაგვიყვანდა; ის კი ცხადია, რომ ივორის სოციალური და ესთეტიკური კრედო ადგევატურად უნდა ისახოს თარგმანში. ამიტომა, რომ კომენტარების უთარგმნელად „უნაყოფო მიწის“ სრული გადშოქართულება პრაქტიკულად შეუძლებელია.

აქ, შესაძლოა, ბატონი ოთარ ჩხეიძე შემომედავოს, რომ კომენტარების ქართულად გადმოტანა კიდევ უფრო გაართულებდა ქართველი მკითხველისათვის ისედაც ძნელად გასაგები ნაწილმოების სწორ აღქმას. მაგრამ ნუ შევეცდებით ელიოტის „დემორატიზაციის“ და ნუ ვცდილობთ „აღვილი“ და „გასაგები“ გავხადოთ ქართველი ფართო მკითხველისათვის ის, რაც ინგლისელი მკითხველისათვისაც იმთავითვე რთული და გაუგებარი იყო. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, კომენტარების გარდა, ვგულისხმობ პოემის ორენვანი, ლათინურ-ბერძნული ეპიგრაფის (ტრიმალქიონის სიტყვები პეტრონიუსის „სატირიკონიდან“), ბერძნული ნაწილის ქართულად თარგმნასაც. გაუგებარია, რა პრინციპით ითარგმნა ეპიგ-



რაფის მხოლოდ ბერძნული ტექსტი. ანდა, საერთოდ, რა ცატერილი იყო ამ შემთხვევაში თარგმნა? განა უჟღველი არ არის, რომ თვით ელიოტს, ეს რომ სდომოდა, თავისუფლად შეეძლო იმავე ეპიგრაფის ინგლისურად მოტანა? მით უმეტეს, რომ იმ დროისთვის უკვე არსებობდა „სატირიკონის“ სწორედ ამ ნაწილის თარგმანი დაწერე გამრიელ როსეტისა.

სპეციალურ ლიტერატურაში კარგა ხანია ჭეშმარიტებად არის აღიარებული, რომ საგანგებო ინტელექტუალური სირთულე „უნაყოფო მიწის“ პოეტიკის არსებით და უმნიშვნელოვანეს ასპექტს შეადგენს. უჭივგარეშეა, რომ თარგმანში ამ სირთულის თუნდაც უმნიშვნელო „გამარტივება“ (მით უმეტეს, თუ ის მთარგმნელობითი უკიდურებლობით არ არის გამოწვეული) ავტორისეული ჩანაფიქრის ხელყოფაა.

მე ვიცნობ ოთარ ჩხეიძის შემოქმედებას; მისი პროზაული ნაწარმოებები ჩვენი დღევანდელი მწერლობის საუკეთესო ნიმუშთა რიცხვს განეკუთვნებიან. მითოსის პრობლემისადმი მიძღვნილი მისი წერილი „ლვინია გადაიჩეხა“ დამეხმარა კიდევ ჩემს საყუთარ ქვლევით მუშაობაში — იმ ლიტერატურათმოდნებითი აეროტესის ფონზე, უკანასკნელ ხანს მითოსის „ახლად აღმოჩენას“ თან რომ ახლავს, საღი და დამაჯერებელი აზრის მოსმენა, სხვა თუ არაფერი, ნამდვილად მანუსკრიპტებით. მე ისიც მშევნივრად მესმის, რომ სტილის ერთგვარი არქაულობა, ზოგჯერ ენის საგანგებო კუთხურობაც ბატონი ითარ ჩხეიძის ინდივიდუალური მწერლური მანერის ორიგინალური თავისებურებაა. მაგრამ ელიოტის თარგმნა ძალიან ბევრ რამეზე უარის თქმას მოითხოვს იმისაგან, ვინც ამ საქმეს ითავვებს. მთარგმნელმა უნდა მაქსიმალურად ვაითავისოს ელიოტის ესთეტიკური იდეალი და, ოუნდაც საყუთარი მხატვრული სტილის დათმობის ფასად, შეიძუშავოს ახალი, ტრადიციული-საკან ფანსხვავებული მთარგმნელობითი პოეტიკა. ეს მით უმეტეს აუცილებელია, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ამგვარი პოეზიის თარგმნის ტრადიცია ჩვენში მხოლოდ ჩასახვის პროცესშია და რომ ამჯერად საქმე ეხება ისეთი ნაწარმოების გადმოქართულებას, რომლის სტილი არა თუ ქართველ, არამედ თვით რომანტიკული და ვიტორიანული პოეზიის ტრადიციებზე აღწრლილ ინვლისელ მკითხველსაც საკმაოდ ეხსმუშება. თუ ეს არ მოხდა და



თუ მთარგმნელი ტრადიციული პოეტიკით თარგმნას დასჭერული გაშინ ვიხილავთ ჯონ დონის ტომაშევსეისეული თარგმანების მსგავს თარგმნის, სადაც XVII საუკუნის ინგლისელი პოეტის ნაწარმოებები იმდენად „გადმორუსულებულია“, რომ მკითხეველი ვერც გააჩევს, რუსულად თარგმნილ დონს კითხულობს, თუ ჟუკოვსკის ან პუშკინის ორიგინალს. ამ თარგმანების ძირითადი ნივლი ისაა, რომ მათში ინგლისური ბაროკოს პოეზიის რუსული პოეტიკური იდეკვატი კი არ ირის მოძებნილი, არამედ უბრალოდ, ბაროკოს პოეტება რუსული რომანტიზმის პოეტიკითაა შეცვლილი.

მინდა კიდევ ერთხელ ჩანი ვავუსვა იმ გარემოებას, რომ ბატონი ოთარ ჩხეიძე ურთულესი შემოქმედებითი ამოცანის წინაშე იდგა. ჩამოყალიბებული მწერლური პოზიციისა და ესთეტიკური მრრამსის ქართველი პროზაიკოსი შეეჭიდა მისთვის, როვორც შემოქმედისათვის, სრულიად უცხო და მისი მსოფლმხედველობისაგან არსებითად განსხვავებული მხატვრული სამყაროს გადმოქართულების პრობლემას. ბუნებრივია, მხატვრულ პოზიციათა ამ ჭიდლში ელიოტის ესთეტიკას უნდა გაემარჯვა და ეს იქნებოდა ბატონი ოთარის მთარგმნელობითი გამარჯვება. მაგრამ ოთარ ჩხეიძემ მსხვერპლი არ ვაიღო. მან ელიოტის სათარგმნელად აუცილებელი ახალი მხატვრული საშუალებები კი არ მოიძია, არამედ თავისი საკუთარი, დამკვიდრებული მწერლური მანერით თარგმნა სულ სხვა პოეტიკით ვამართული ნაწარმოები. ამან, ბუნებრივია, სასურველი შედეგი ვერ ვამოიღო. უპირველესად ეს თარგმანისა და დელნის სტილისტურსა და ლექსიკურ შეცსაბამობაში გამოვლინდა.

სპეციალურ გამოკვლევათა ავტორები სამართლიანად მოიხსენიებენ ელიოტს, როგორც ინგლისური პოეტური ენის რეკორდორს, რომელმაც უარყო საუკუნეთა მიწინის ვიქტორიანული ლექსის ხელოვნური და მაღალფარდოვანი სტილი. „უნაყოფო მიწის“ ავტორმა გვიანრომანტიკულ მანერულობას მოსწყვერთა და ცოცხალ სასაუბრო ენას დაუბრუნა XX საუკუნის ინგლისურენოვანი პოეზია. ამიტომ, ელიოტის ნაწარმოებთა ქართულად თარგმნის ერთადერთ სწორ და ბუნებრივ გზად თანამედროვე, მაქსიმალურად სადა სალიტერატურო ქართული უნდა მივიჩნიოთ (მე, რა თქმა უნდა, არ ვგულისხმობ ტექსტში ჩატანებულ სხვადასხვა დროის ავ-



ტორთა ციტატებს, რომელთა თარგმნისას შენარჩუნებული უნდა იქნას პირველწყაროს სტილი). დარწმუნებული ვარ, არავის აზრა-დაც არ მოუვა, ვთქვათ, კაფეს „პროცესის“ თარგმნა ლეონტის მროველის ენის მიხაძვით. შესაძლოა ეს ოდნავი ვაზვიადებაც იყოს, მაგრამ მე პირადაც არააკლებ უცნაურად მიმაჩნია იმ ნაწარმო-ების არქაული და მაღალფარლოვანი სტილით თარგმნა, რომლის დედანი სასაუბრო ენასთან დაახლოვებული თანამედროვე სალიტე-რატურო ინგლისურით არის დაწერილი. არა თუ არქაული ლექსიკა ან სინტაქსი, უფრო მეტიც, აღბათ თვით ნარ-თანიანი მრავლო-ბითიც მიუღებელია, როდესაც საქმე ექვება „უნაყოფო მიწის“ ან ელიოტის რომელიმე სხვა პოეტური ნაწარმოების თარგმნას. ელი-ოტის ენა იმდენად სადა და ბუნებრივია, რომ თარგმანში მარცვალ-თა რაოდენობის დაცვის მიზნით სიტყვის ბოლო ხმოვნის ამოცდე-ბასაც კი უნდა მოვერიდოთ. სამწუხაროდ, ბატონ ოთარ ჩხეიძის თარგმანში უოველივე ეს მრავლად მოიპოვება. („ძვირფასთა თვალთა“, „თვალნი უძინარნი“, „მათნი ამოსონნიც დირექტორთა უქნარნი ძენი“, „ოეთრნი ცხედარნი შიშველანი“, „ტრამგაი და ხეები მტვრიანნი“, „გარდასულ აბავთ ზართა ხმანი მოგვიყვებიან“ და სხვ.). XIX საუკუნის ინგლისელი რომანტიკოსის, ვთქვათ, ბაი-რონისა ან კიტსის თარგმნისას ამგვარი სტილი დამსახურებად ჩა-ეთვლებოდა მთარგმნელს, მაგრამ ოციანი წლების მოდერნისტული პოეზია ძირფესვიანად უარყოფს რომანტიკულ იდეალს და მისი ვადმოქართულებისას სხვა გზების ძიებაა საჭირო.

როგორც თეორიულ ესეებსა და წერილებში, ისე თავის პოე-ტურ შემოქმედებაში ელიოტი პრინციპული უპირისპირდება ამა-ლებულ, სტილიზებულ ენას. ბატონ ოთარ ჩხეიძეს კი სწორედ ასეთი ენით აქვს თარგმნილი მთელი „უნაყოფო მიწა“, რაც სრული-ად არ შესაბამება დედნის ირნისულ-პაროდიულ, ზოგჯერ ტრა-გიქომიქურ უდერადობას. ამ ენითვეა თარგმნილი ის ეპიზოდები, სადაც დედნის სტილი 20-იანი წლების ლონდონის გარეუბნის ეარ-გონს ბაძავს და ისიც, სადაც ჩენესანსული ან რომანტიკული მწერ-ლობის სტილია პაროდიურებული. საქმე ისაა, რომ თუმცა პოემის სტილური „ბირთვი“, მისი ძირითადი ენობრივი ფაქტურა თანა-მედროვე სალიტერატურო ინგლისურისაგან შესდგება, მასში მრავ-ლადაა ჩართული ინგლისური და მსოფლიო ლიტერატურის კლასი-



კოსების, მითოლოგიური და ბიბლიური სიუჟეტების, ბუდისტური და ინდუისტური სიბრძნის, რელიგიური და ფილოსოფიური წყაროების ციტატები და მინიშნებები. ასებითად, პოემის სტილი მერყეობს ყოველდღიურ სასუბრო ენასა (საეუთრივ ელიოტის ტექსტი) და რენესანსული დრამის ან სალრმთო წერილის ამაღლებულ ენას შორის (ტექსტში ჩართული ციტატები). მთელი ეს „სტილთა სიმფონია“ თარგმანში განურ ჩევლად გადმოცემულია ერთი სტილიზებული, მაღალფარდოვანი ენით.

მაგალითისათვის კმარა თუნდაც პოემის მეორე ნაწილის იმ ეპიზოდის მოტივი, რომელიც ცნობილია „ლუდხანის სცენის“ სახელწოდებით. აქ ასახულია ლუდხანაში ოვშეეყრილ მდაბიო წრის წარმომადგენელთა ულეგარული სიტყვებით სავსე საუბარი. ერთერთი აშკარად შემთვრალი მოქმედი პირი ყვება, თუ როგორ არ წმუნებდა ის თავის მეგობარ მსუბუქი ყოფაქცევის ქალს კბილების ჩასმისა და აბორტის გაკეთების აუცილებლობაში. მისი ტექსტის უხამსი ორაზროვნება და ცინიზმი ელიოტს ომისდროინდელი ინგლისის ზეობრივად დევრადირებული ყოფის წარმოსაჩენად სჭირდება. ზილის (ასე ჰქვია პერსონაჟს) მონოლოგი დედანში ისეა აგებული, რომ ენის მდაბიურობას ელემენტარული გრამატიკული ცორმებიც კი უწირება. ოთარ ჩხეიძეს ეს საჭმაოდ ვრცელი ეპიზოდი თავის თარგმანში გაუმართლებლად მაღალფარდოვანი სტილით გადმოაქვს:

„და როს ჯარიდან ბრუნდებოდა ქმარი ლილისა, ვუთხარ  
განა თუ იუჟე მე სიტყვები, პირდაბირ ვუთხარ...“ და ა. შ.

მაღალფარდოვანება აქ მხოლოდ ლექსიკურ დონეზე კი არ ჩანს („როს“, „ლილისა“, „განა თუ“, „ვუთხარ“ და ა. შ.), არამედ მკაფიოდ გამოიხატება ლექსის საზომშიც. დედანში ზილის მონოლოგი ხაზგასმულად პროზაულია და საგანგებოდ „მშრალი“ ვერლიბრითაა დაწერილი. გაუგებარია, რატომ გამართა მთარგმნელმა ეს ეპიზოდი საჭემო და ამაღლებული თოთხმეტმარცვლიანი ლექსით, რომელსაც ტრადიციული ბესიურისაგან მხოლოდ რითმის უქონლობა განასხვავებს:

„ამ, ალბერტიც ჩამოვა და მიშედვ შენს თავს,  
იფითხავს, თუ ფულს რა უყვით, გამოიგისათვის  
რომ დაგიტოვა. დაგატოვა. მეც აქვთ გაძლიოთ.  
ჩაგემსიხვრა ყველა, გაისწორე, მოილამაზე...“ და ა. შ.

გაუმართლებლად ამაღლებული სტილიზაციის სხვა მაგალითების მოყვანაც შეიძლება: „თოვლი იგი თავდავიწეუბის“, „პარბეროსების მეფემან რომ უბატიურპკო“, „მიცვალებულთ დაპკარგვით ჟელები თავანთი“, „ნიჩაბი იგი რომ უპყრია“ და სხვა; რაც სრულიად ირაპუნებრივია ელიოტის ენისათვის.

ამის საპირისპიროდ, იქ, საღაც რომელიმე ასოციაციური დეტალის თარგმნისას სწორედ მაღალუარდოვანი ან არქაული სტილი ვამოდგება, ხოგჯერ ქრესტომათიულ სალიტერატურო ქართულს ვაწყდებით. მაგალითად, პოემის მესამე ნაწილში გვხვდება ციტატი ნეტარი ავგუსტინეს „აღსარებიდან“, რომელიც თარგმანში ისე უდერს: „ავოლე გეზი კართაგენისკენ“. ინგლისურ დედანში შეღალუარდოვანება და არქაული ელუფერი ისვერსიით არის გამოხატული, რის შედეგადაც ამ ფრაზის სტილი მკეთრად გაშორებულია. ციტატს მეტად მნიშვნელოვანი აზრობრივი ღატვირთვა აქვს და თარგმანში უმშევლად უნდა ჩანდეს, რომ ის 7 საუკუნის ქრისტიანული სასულიერო მწერლობიდან არის ნასესხები. აյ მთარგმნელს დახმარებას გაუწევდა ქართული აგიოგრაფიული მწერლობის უმდიდრესი ტრადიცია, მიო უმეტეს, რომ ნეტარი ავგუსტინეს „აღსარება“ ბიბლიური სტილით დაწერილ ავტობიოგრაფიას წარმოადგენს. ისიც უნდა ითქვას, რომ თარგმანში აზრობრივი უზუსტობაა დაშვებული: ინგლისურ დედანში კართავენისკენ „ჩეზის აღებაზე“ კი არა, არანედ კართავენს „უკვე ჩასულაზეა“, ლაპარავი.

საერთოდ, პოემაში ჩართული ციტატებისა და სხვა ლიტერატურული რემინიცენციების თარგმნასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ მათი სტილი არ არის გამოყოფილი საკუთრივ ელიოტის ტექსტისაგან. ჩემი აზრით, უმჯობესი იქნებოდა იქ, საღაც ეს შესძლებელია, ბატონ თოარს საჭირო ციტატი ან ასოციაციური სახეები შესაბამისი ქართული თარგმანებიდან ესესხებინა. უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება „უნაყოფო მიწის“ მრავალრიცხოვან

შექსპირულ რემინისცენტრებს. პოემა საშუალებას იძლევა, რომ მთარგმელმა ფართოდ გამოიყენოს შექსპირის უკვე არსებული ქართული თარგმანები. მით უფრო დასანანია, რომ ბატონი ოთარი ჩეკიძე ამ შემთხვევაში გვერდს უვლის ქართული შექსპირიანას მდიდარ ტრადიციას. თუ პოემის დედანში ყოველ ნაბიჯზე შექსპირის ციტატი ვერცება, გთიქრობ, სრულიად ბუნებრივი და მიზანშეწონილი იქნებოდა იმავე პოემის ქართულ თარგმანში შექსპირის ქართულ თარგმანთა ციტირება. მაგალითად, „უნაყოფო მიწის“ მეორე ნაწილში ციტირებულია „სიგიდის სცენიდან“ ოფელის უკანასკნელი სიტყვები („პამლეტი“, მოქმ. IV, სურ. 5), რომელიც ის გერტრუდსა და კლივდიუსს ემშვიდობება. მთარგმნელს ისინი ასე გადმოაქვთ: „ღამემშვიდობისა ქალბატონებო, ღამემშვიდობისა, საამიურო ქალბატონებო. ღამემშვიდობისა, ღამემშვიდობისა“. აქ უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა მაჩაბლისეული თარგმანის მოტახა: „მშვიდობით, ქალებო; ღამე მშვიდობისა, ჩუმნო ძვირფასნო, ღამე მშვიდობისა, ღამე მშვიდობისა“. მოვიხშობ კიდევ ერთ მაგალითს. პოემის პირველ ნაწილში მოტახილია ფრაზა არიელის სიმღერილან („ქარიშხალი“, მოქმ. V, სურ. 1), რომელიც ბატონ თარის ასე უთარევნია: „მარგალიტები, ეს მისი თვალები იყო..“ „უნაყოფო მიწის“ მეორე ნაწილში ზუსტად იგივე ციტატი სიტყვასიტყვით მეორდება, მაგრამ რატომღაც სხვანაირად არის თარგმნილი: „შარგალიტები, თვალები რომ გახლდათ იმისი“. სასურველი იქნებოდა, მთარგმნელს ორივე ადგილის გამოყენებინა ამ პიესის ვახტანგ ჭელიძის უული თარგმანი: „მრავალიტად ექცა თვალი, ძვლები მარჯნად გადაექცა...“

თარგმანში უმართებულოდ სახეშეცვლილია ზოგიერთი პიბლიური ციტატიც. მაგალითად, პოემის პირველ ნაწილში „ადამის ძეოს“ ნაცვლად უნდა იყოთხებოდეს „ძეო კაცისაო“ (ეზეკ., 2:1), მით უმეტეს, რომ ახლა უკვე ხელთ გვაქვს ქართული ბიბლიის ძირითად წიგნით მშვენიერი გამოცემა („მცხეოთური ხელნაწერი“) და თვით ელიოტსაც ეს ორი სიტყვა უცვლელად განმოუტანია 1611 წელს ინგლისურად თარგმნილი ბიბლიიდან.

პოემის ძესამე ნაწილში მოტახილია 136-ე ფსალმუნის პაროდიული პერიფრაზი. ბიბლიის ეს ფრაზა ასე უღერს: „მდინარეთა ზედა ბაბილონისათა მუნ დაგსხედით და ვტიროდით, რაჟამს მო-

მოვიხსენეთ ჩუებ სიონი“. ელიოტის ტექსტში „ბაბილონი“ შეცვლილია „ლემანით“ (უნევის ტპის ფრანგული სახელწოდება), ხოლო „ჩვენ“ — „მე“-თი, მაგრამ ბიბლიისთან აშკარა სტილური ნათესაობა სავსებით შენარჩუნებულია. ბატონ ოთარს ასე გადმოიქცა ეს ფრაზა: „ლემანის წყალთან ვრცექი და მოვსთქვამდი ჩემთვის...“. სამწუხაროდ, აქ სრულიად არ ჩას სტილური კავშირი ფსალმუნთან და თვით მომზედებულმა მკითხველმაც შესაძლოა ვარ შეამჩნიოს, რომ ეს ბიბლიური რემინისცენციაა. ამგვარი უწუსობები თარგმანში სხვაც არის და ჩემი ღრმა რწმენით, ეს ყოველივე წვრილშანი არაა — საქმე ხომ ლიტერატურულ ასოციაციათა პოეტიკით გამართული ნაწარმოების თარგმნას ეხება. სხვადასხვა დროს ქართულად თარგმნილ ნიჭირმოყებთა ასოციაციური „დანათესავებია“ ხელს შეუწყობდა არა მხოლოდ ერთგვარი მემკვიდრეობითობის ჩამოყალიბების, არამედ სტაბილურ მთარგმნელობით ფასეულობითა შემუშავებასაც, რაც ესოდენ ესაჭიროება ჩვენს, თანამედროვე ლიტერატურულ პროცესს.

კიდევ ორიოდე სიტყვა დედნისა და თარგმანის სტილურ შეჯუაბამობაზე. „უნაყოფო მიწის“ პოეტური სამყარო უაღრესად მქაცრი და პირქუშია. შესაბამისად, დედნის სტილიც უკიდურესად „დაღაბლებული“ და ყოველგვარი რომანტიკული ელევრისაგან დაცლილია. პატიოშ, გიყვირვებას იწვევს თარგმანში უხვად გამოყენებული ზედმეტი სიტყვები, რომელთა უმრავლესობასაც მკვეთრად გამოხატული პოზიტიური დატენირებული დასიონანსი შეაქვს პოეშის სატროო განწყობილებაში. „უნაყოფო მიწის“ აპოკალიფსურ ხილვათა ფონზე შეუფერებელია ისეთი სტილისტური დატვირთვის სიტყვითა მოტანა, როგორიცაა „შხაპუნა წვიმა“, „მობიბინე ბალაზი“, „ცელქი ნიავი“, „ფაფუკი ფეხები“, „ცინცხალი ნაპერწეალი“ და სხვ., მთ უმეტეს, რომ ეს განსაზღვრებები („შხაპუნა“, „მობიბინე“, „ცელქი“, „ფაფუკი“, „ცინცხალი“ და სხვ.) დედანში არ გვხვდება. არსებითად, ეს სულ სხვა პოეტური სამყაროს ელემენტებია და ელიოტის სტილთან მათ არაფერი აქვთ საერთო.

უურადლება უნდა გივამიხვილო აზრობრივ უზუსტიობზეც, რომლებიც მრავლად გვხვდება თარგმანში. მოვიყვან მხოლოდ ზოგიერთს. პოემის პირველსაფე ეპიზოდში ნახსენები „იასამანი“ არას-



წორიად არის გადმოტანილი, როგორც „შროშანყვავილი“. ასეჭმეულია ისაა, რომ „უნაყოფო მიწაში“ გამოყენებულია უძველესი მთები მცენარეული სამყაროს მოკვდავი ღმერთების — ატისის, ოზირი-სისა და ადონისის შესახებ, ისაბამისი კი ამ მითებიდან ნასესხები ნა-კოფიერების. ერთ-ერთი სიმბოლოა. პოემის პირველსავე ნაწილში „მკვდარი მიწიდან“ მისი აღმოცენება ამ მითოლოგიური სახის, და, მასთან ერთად, რეგენერაციის მაგისტრალური სიუკეტის პა-როლიულ გადამლერებას წარმოადგენს. ნაწარმოების სიმბოლურ პლანში უნაყოფო მიწიდან ამზრდილი იასამანი სულიერ დევგრა-დაციასა და ხორციელი, ბიოლოგიური საწყისის აღზევებას მოასწა-ვებს. ასე რომ, იასამნის ნაცვლად „შროშანყვავილის“ შემოტანით ნაწარმოების შინაგანი ლოგიკა ირღვევა.

მე არ შეუჩინო დავემსგავსო იმ ლიტერატორებს, რომლებიც ხელოვნურად თხზავენ ნაწარმოებში არარსებულ მითოლოგიურ სქემებს და რომელთაც ბატონი ოთარ ჩხეიძე სამართლიანად ყრი-ტიკებს თავის პუბლიცისტიკაში. მაგრამ „უნაყოფო მიწაში“ მითო-სი შეგნებულადაა გამოყენებული და ათასგზის კომენტირებული თვით ელიტარის მიერ. ამიტომ მითოლოგიურ დეტალთა გადმოტა-ნისას „უნაყოფო მიწის“ მთარგმნელს აზრობრივი სიზუსტის მაქ-სიმალურად დაცვა მართებს. აქ მხედველობაში მაქვს ფილომელის ვაუპატიურების ქველბერძნული მითის მინიშნება პოემის მესამე ნაწილიდან. დედანში „ბარბაროსი მეფის“, ტერევსის მიერ გაუპა-ტიურებული და ბულბულად ქცეული ფილომელის გალობა ტრადი-ციული ფონეტიკური იმიტაციით არის გადმოცემული: „ჯაგ ჯაგ ჯაგ ჯაგ ჯაგ...“ ბატონ ოთარ ჩხეიძეს ეს უაზრო, მაგრამ ემოციუ-რიად დატენირებული „გალობა“ უთარგმნია, როგორც „ყველრება ყველრება ყველრება ყველრება“. ეს სიტყვა ელიოტის ტექსტში არ გვხვდება; გარდა ამისა, „ყველრების“ მომენტი აქ საერთოდ გაუგებარია, რადგანაც დედნის ქვეტექსტში აშკარად ჩივილი და სევ-და ივულისხმება. გარდა ამისა, პოემისადმი მიძღვნილ სპეციალურ ლიტერატურაში ბულბულის გალობა დამაჯერებლად არის ახსნი-ლი, როგორც ჩნებობრივი დევგრადაციის ერთ-ერთი სიმბოლო, რო-მელსაც ელიოტი სხვა ნაწარმოებებშიც მიმართავს („სუინი ბულ-ბულთა შორის“).

აზრობრივი უზუსტობაა დაშვებული პოემის პირველი ნაწილის



მეორე ეპიზოდშიც — აქ სიტყვა „ერცჰერცოგი“ მთარგმულს მოშენდა უცვლია სიტყვით „გრაფი“. უნდა ითქვას, რომ „ერცჰერცოგი“ ინგლისური სათავადახნაურო ტიტული არ არის და ინგლისელის ყურსაც ის, ცოტა არ იყოს, ხელოვნურად ჩაესმის. როგორც ხანს, „ერცჰერცოგი“ ბატონ ოთარს მაინც ძალიან ეხამუშა უცხო უღერადობის გამო და მან შეგნებულად შეცვალა იგი შედარებით ხეიტრალური „გრაფით“ (თუმცა ქართულისათვის არც ეს უკანასკნელია სავსებით ბუნებრივი). ჩემი აზრით, ამგვარი ჩანაცვლება დაუშვებელია, რადგანაც ამ შემთხვევაში თარგმანის გარეგნულ „მოპირკეთებას“ მსხვერპლიდ ეწირება პოემის სიღრმისეული ფენის აზრობრივი დატვირთვა. საქმე ისაა, რომ „უნაყოფო მიწის“ პირველი ნაწილის მოელი ეს ეპიზოდი წარმოადგენს ვრცელ მინიშნებას საუკუნეთა მიწის ავსტრიის საიმპერატორო კართან დაახლოებული სეცექალის, მარი ლარიშის განცალურებულ მემუარებში „ჩემი წარსული“ (წოვიერთ მკითხველს შესაძლოა ასეოვს ამ მემუარების კინონიტერპრეტიცია, ფილმი „მიცერლინგი“). ელიოტს აქაც შემოაქვს უნაყოფო სიყვარულის თემა, რომელიც პოემის მთელ ასოციაციურ სისტემას გასდევს. ამჯერად საქმე ეხება ერცჰერცოგ რუდოლფისა და მარი ექსერას ტრაგიულად დასრულებულ რომანს, რომელმაც თვით საგანგებოდ მომზადებული მკითხველის სტორიული პირია და შესაბამისად, სიტყვა „ერცჰერცოგიც“ ვრცელი ისტორიულ-ლიტერატურული რემინისცენციის ორგანული ნაწილია. ამ სიტყვის გარეშე მარი ლარიშის მემუარების ასოციაციური დამოწმება თვით საგანგებოდ მომზადებული მკითხველისთვისაც სრულიად შეუმჩნეველი რჩება, ხოლო მის ნაცვლად „გრაფის“ შემოტანა კი გაუგებრობას იწვევს. ყოველივე ამას შედევგად მოჰყვება პოემის შეტანა მნიშვნელოვანი ასოციაციური ფონის შლა და მისი აზრობრივი სიმწყობრის რღვევა.

თარგმანში გვხედება სხვა აზრობრივი დარღვევებიც. მაგალითად, პოემის მესამე ნაწილში მოხსენიებულია მისის პორტეტი და მისი ქალიშვილი, რომლებიც ფეხებს იბანენ სოდიან წყალში. მისის პორტეტის ერთი ქალიშვილი თარგმანში რატომდაც მის „გოგონებად“ იქცევა. მისის პორტეტი რომ კახაა, ეს დედანში

სრულიად ნათელია. მაგრამ ის და ისი ქალიშვილი მარტონი ირიან, ირავითარ „გოგონებს“ აქ არ ვხვდებით. თარგმანში კი „გოგონების“ შეციტაციით ეს ქალბატონი მთელი სარისკიპოს მეპატრონედ წარმოვიდგება.

პოემის მესამე ნაწილში ინგლისური სიტყვა „რეგ“ არასწორად არის გაღმოტინილი, ოთვორც „კითხვანი“; თანაც მას დართული აქვს განსაზღვრება „ძეველნი“, ომელიც დედანში არ ვვხდება. „რეგ“ პოლისემანტური სიტყვაა; ამ შემთხვევაში ის ნიშნავს „ხუმრობას“ ან „ოსუნჭობას“. მისი საშუალებით ელიოტი თავისი ასციაციური მეთოდის „გასაღებს“ სთავაზობს მკითხველს, თითქოს „აფრთხილებს“ მას, რომ სრული პერიოდულობით არ მაუდგეს ამ ნაწილის უამრავ შექსპირულ რემინისცებურიას, არ დაიბნეს და მხედველობაში მიიღოს შექსპირის დრამატურგიასთან პოემის ირონიულ-პაროდიული მიმართება. ამასვე მოწმობს ის, რომ დედანში სიტყვა „რეგ“-ს წინა აქვს წმძღვარებული შექსპირის სახელის პაროდიულად გადასხვაფერებული ვარიანტი, რომელიც მთარგმნელს სწორად გადმოუჩინია („შექსპირპულნი“).

არასწორადაა თარგმნილი ზოგიერთი საკუთარი სახელც. ელიზაბეტ პირველის საყვარლის, ლესტერის სახელი რატომღაც „ლესისტერადაა“ გადმოტანილი. ზუსტად ისევე, „მერი ეულნოთის“ ნაცვლად თარგმანში ვკითხულობთ „მარი ეულნოთს“, „ფინიკიულის“ ნაცვლად „ფინიკელს“, „ფლებასის“ ნაცვლად „ფლებსს“, „წმ. მაგნუს მოწამის“ ნაცვლად „დიდ მოწამეს“ (ამ შემთხვევაში ლათინური „მაგნუს“ წმინდანის საკუთარი სახელია).

დაბოლოს, რაც შეეხება პოემის სათაურს. აქ აღნით ისევ ელიოტის სტილის პრობლემას უნდა დავუბრუნდეთ და ყურადღება შევასწროთ ტრადიციული ლექსის სპეციალისთან მის პრინციპულად დაპირისპირებულ ხასიათს. „ბერწი მიწა“ არ გამოდგება, რადგანც ქართული ლექსის დახვეწილ კეთილმოვანების შეჩევული მკითხველი აქ აუცილებლად ილიქვამს ილიტერაციას. როგორც ჩინს, ბატონ თთარ ჩეხიძეს ასც ჰქონდა ჩაფიქრებული, მაგრამ ამგვარი ხერხი „უნაყოფო მიწის“ პოეტიკისათვის სრულიად უცხოა აღიტერაციას, როგორც ტრადიციულ გამომსახველობით საშუალებას, არაფერი აქვს სიერთო ელიოტის პოემის მხატვრულ სამყაროსთან, მის ექსპერიმენტულ სტილთან. ამტომ, ჩემი აზრით, უფ-

рота міністра ўнутраных справаў Беларусі «Унія ўнія» міністэрства. Існеў яго ўнія з іншымі, рота міністра ўнутраных справаў (або «Беларусь») належала да таго ж часу. Унія ўнія з іншымі, рота міністра ўнутраных справаў (або «Беларусь») належала да таго ж часу.

Даследаванні, міністра ўнутраных справаў, рота міністра ўнутраных справаў або адміністрації ўнія з іншымі, рота міністра ўнутраных справаў (або «Беларусь») належала да таго ж часу. Унія ўнія з іншымі, рота міністра ўнутраных справаў (або «Беларусь») належала да таго ж часу.

# პოეტიკა წყობილსიტყვაობა

□ □ □

## ქართული ლექსის გეზისა და რიტორის შესახებ

□  
აპოლონ ცილაგაძე

□

ვიღრე სტატიის სათაურში გამოცხადებულ თემას უშუალოდ შე-  
კეხებით, მიზანშეწონილია დადგენილი გვქონდეს ქართული ლექსთ-  
წყობის, როგორც სისტემის, მთლიანობის სახე.

ქართული სალექსო სისტემის ჩენი ინტერპრეტაცია, მოქლედ  
და ზოგადად წარმოდგენილი, ასეთია.

ჩვენ გვაქვს სტრუქტული ერთეულები, რომელთაგან თითოეულს  
თვისი პროსონდიული კონფიგურაცია შეესაბამება. ყოველი ასეთი  
რიტმული ერთეული ბინარული ხასიათისაა. ისინი თავიანთი მიმარ-  
თებებით ქმნიან იერარქიულ საფეხურებს. სულ ქვედა, პირველ  
დონეზე გვაქვს ორი შემადგენლისაგან აგებული რიტმული ერთე-  
ული, რომელიც უშუალოდ მიემართება „რიტმული სემანტიკის“



(ვიხმაროთ პირობითად ასეთი გამოთქმა) პლანის მინიმალური მომატებით რითად ელემენტს. დანაწევრების ამაზე ქვეღა დონეზე ორწევრედის შემადგენლების სახით ჩვენ ვიღებთ ისეთ ოდენობებს („მუხლი“, „სეგმენტი“), რომლებიც მხოლოდ გამოხატულების პლანში არიან მოცემული და აქვთ ზემდგომი ერთეულის დიფერენცირების ძალა. ეს არის 5-, 4-, 3-, 2- და 1-მარცვლიანი მონაკვეთები, რომელთაგან 1- და 2-მარცვლიანები თრწევრედში მხოლოდ მეორე შემადგენლის პოზიციაში ვაკვდებიან. (იქ, სადაც გვაქვს გრძელი მუხლი — 4- და 5-მარცვლიანი, სქემის ელემენტების სახით პირობითად გამოიყოფა ხოლმე უფრო მცირე მონაკვეთები: ორმარცვლიანები — ქორეები, სამმარცვლიანები — დატრილები. მაგრამ, როგორც აღნიშნულია სამართლიანად, „ლექსის რეალური რიტმი“ ტერფებისგან არ შედგება. ეს თუნდაც იქიდან ჩანს, რომ, ვთქვათ, რომელიმე ათბარცვლიან ლექსში ქორეთა და დაქტილთა ურთიერთობა მუდმივ კანონზომიერებებს არ ქმნის, ჩვენ შეიძლება გვჭონდეს  $3+2+3+2$ ,  $2+3+2+3$  და ა. შ., მაგრამ ყოველთვის გვექნება  $5+5$ , როგორც მუდმივი სტრუქტურა. ამგვარად რიტმული ფუნქციის მატარებელია უფრო დიდი რიტმული მონაკვეთი). საბოლოოდ, ორწევრედთა სისტემა სამი ქვესისტემითაა წარმოდგენილი:

I	II	III
$5+5$	$4+4$	$3+3$
$5+4$	$4+3$	$3+2$
$5+3$	$4+2$	$3+1$
$5+2$	$4+1$	$3+0$
$5+1$	$4+0$	
$5+0$		

ციფრები შარცვალთა რაოდენობას გამოხატავენ, შარცვალთრაოდენობები — ორწევრედის, როგორც ბინარული ერთეულის, შემადგენლებს; ნიშანი + ალნიშანას მუდმივ საზღვარს ერთეულის შიგნით შემადგენლებს შორის (უმცირესი ერთეულების დადგენის პრინციპი, როდესაც მათ შორის არსებობს მუდმივი საზღვარი სიტყვათგასაყრის სახით, ეკუთვნის აკად. გიორგი წერეთელს, იხ. მისი, მეტრი და რითბა ვეფხისტყაოსანში, თბილისი 1973, გვ. 11-14), ჩვენ მას ვუწოდებთ რიტმულ გასაყრის. ორწევრედებში მოქმედებს ალტერნაციის წესი, რომლის მიხედვითაც ორწევრედის მოცემულ რეპ-



რეზენტანტში შესაძლებელია რიტმული გასაყარის გადაწევა მატრიცული ხივ ორი შარკვლით ორწევრების საერთო სილაბურის სიგრძის დაურღვევლად (ძაგ., 5+3/3+5). ზოგ ორწევრებს, მაგ. 5+5-ს, ალტერნანტი არ აქვს გარკვეული მიხეზების გამო (5+5-სათვის: არ არსებობს 7-მარცვლიანი მუხლი). შემთხვევა, როდესაც ორწევრედი მატერიალურად უდრის ერთ შემადგენელს, განიხილება როგორც ბინარული ერთეული, მცორე პოზიციაში იმპლიკიტური (ნულოვანი) ვარიანტის მქონე.

შომდევხო, მცორე ღონეს წარმოადგენს სტრიქონი, როგორც რიტმული ერთეული, რომელიც უშუალოდ მიემართება რიტმული სემანტიკის პლანის უმცირეს ღიარულებულ რონაცვეთს. სტრიქონიც ბინარული ცრთეულია, რომლის შემადგენლებია ორი ორწევრედი.

ასევე ბინარული ერთეულებია მომდევნო, მესამე და მეოთხე, ღონების რიტმული ერთეულები — ორსტრიქონები და სტროფი. სტროფის, როგორც ჩვენს ინტერპრეტაციაში რიტმული ერთეულის, ცნება არ ემთხვევა სტროფის, როგორც კომპოზიციური ოდენობის, ცნებას. მაგალითად, რომელიმე ექვსსტრიქონიანი სტროფი aabccb სქემია წარმოადგენს ექვსსტრიქონიანს როგორც სტროფული კომპოზიციის სახეობა, მაგრამ მასში მოქმედებს ინვარიანტული სქემა abcb, რომელიც არის ორი ორსტრიქონებისგან აგებული სტროფი, როგორც რიტმული ერთეული; დანარჩენი ორი სტრიქონი განხილება როგორც გარკვეულ წესებზე დამყარებული დაშატებები სტროფის, როგორც რიტმული ერთეულის, სტრუქტურაზე — შიახლოებით ის, რაც ტრადიციულ ტერმინებში ცნობილია როგორც „კოდა“; ე. ი. aabccb—abcb+პირველ და მესამე პოზიციაში თთო სტრიქონის ღამატება). პირველი ორი სტრიქონისგანაა დებული, მცორე — ორი ორსტრიქონებისგან. მასთან, ქართული ლექსების ერთ, მცირე, ნაწილში სტროფი, როგორც ერთეული, არ გვაქვს (ასტროფული ლექსები), მათში მოქმედებს სამსაზებურიანი სისტემა; გვაქვს შემთხვევები, როდესაც ორსტრიქონებიც არ არის, ასეო ღროს მოქმედებს ორი სტრუქტურული ერთეული — ორწევრები და სტრიქონი.

ყოველი ერთეულის პრინციპულ სახეს განსაზღვრავს შესაბამისი რიტმული გასაყარი, როგორც სტრუქტურული ნიშანი. რიტ-



შული გასაყარი, ეს არის ერთეულის ორ წევრს შორის მოქმედი მუდმივი რიტმული ფაქტორი საზღვრის სახით, რომელიც ამ ერთეულის, როგორც ბინარული ფორმის, დონეზე მოქმედებისას გაძოყფს და აფორმებს ერთეულის ორ შემადგენელს, ხოლო მთელი სისტემის, როგორც იერარქიულად დაკავშირებული ერთეულების მთლიანობის, დონეზე მოქმედებისას კრავს ამ ორ შემადგენელს და აფორშებს მოცემულ ბინარულ ფორმას, გამოყოფს რა მას ერთეულთა იერარქიაში.

ყოველი დონის ერთეულს უესაბამება თავისი აგების წესები. მეორე მხრივ, ეს ერთეულები პრინციპულად ანალოგიურ სტრუქტურებს წარმოადგენენ. მათთვის, კერძოდ, საერთოა ერთეულთა ტემადგენლების მიმართების ერთი წესი: შემადგენლები ან ტოლნა არიან, ან შათ შორის ისეთი მიმართებაა, როდესაც პირველი მეორეზე გრძელია. ამიტომ მარკირებულია, მაგალითად, ორწევრედები  $4+4$  და  $4+3$ , მაგრამ არ არის მარკირებული ორწევრედი  $4+5$ : სტრიქონები ( $4+4$ ) + ( $4+4$ ) და ( $4+4$ ) + ( $4+3$ ), მაგრამ არ არის მარკირებული ( $4+3$ ) + ( $4+4$ ) და ა. შ. ერთეულის აგების წესი არის ამავე დროს წინა დონის ერთეულის სინტაგმატიკის წესი. აქ ზოგადი წესი დაიყვანება ორწევრედების ერთმანეთთან მეზობლობის შემდეგ წესზე: ერთმანეთის გვერდით იხმარება ისეთი ორწევრედები, რომელთაც ერთი და იგივე რიტმული გასაყარი აქვთ, რაც იმასაც ნიშნავს, რომ მათ იღენტური პირველი შემადგენლები აქვთ (ეს პრინციპი განსაზღვრავს სწორედ ორწევრედთა სამ ქვესისტემას, რომელიც ზემოთ იყო წარმოდგენილი); ამიტომ მარკირებულია, მაგალითად, სტრიქონები ( $5+5$ ) + ( $5+5$ ) და ( $5+5$ ) + ( $5+2$ ), მაგრამ არა მარკირებული ( $5+5$ ) + ( $4+4$ ).

ქართული ლექსის აგების ზოგადი, უნივერსალური პრინციპი შეიძლება განისაზღვროს როგორც ყოველი დონის ერთეულის ორად გაკვეთის პრინციპი: სტროფი იყოფა ორ ნაწილად ისე, რომ ორსტრიქონედი იყოფა ორ ნაწილად ისე, რომ სტრიქონი იყოფა ორად ისე, რომ ორწევრედი იყოფა ორად. დიაქტონიული მონაცემების გათვალისწინებით, ზოგადი პრინციპი შეიძლება ჩამოვაყალიბოთ როგორც ორ ტოლად გაკვეთის პრინციპი, ხოლო ისეთ გაკვეთა, როდესაც პირველი შემადგენელი მეორეზე გრძელია, შე-



იძლება ჩავთვალოთ ზოგადი პრინციპის ოქალიზაციის შესად ჭილა  
სხვა წესთან ერთად).

ყოველივე ზემოთქმულის საილუსტრაციოდ ავიღოთ გურამი-  
შეილის სტროფი:

ზუბოვკიდან მომავალმან ვნახე ერთი ქალი,  
მეტად ტურფა, მშვენიერი, მახე ლამრჩია თვალი.  
შავ თვალწარბას, პირად თეთრსა ასხდა შავი ხალი,  
მისმან ეშხმან დაცამლეწა, ზემიმუსრა ქვალი.

სტროფი: (4+4)+(4+2)

(4+4)+(4+2)

(4+4)+(4+2)

(4+4)+(4+2).

ორსტრიქონედი: (4+4)+(4+2)

(4+4)+(4+2).

სტრიქონი: (4+4)+(4+2).

ორწვერედები: 4+4 და 4+2.

სტროფი აგებულია ორი ტოლი ორსტრიქონედისაგან, ორსტრი-  
ქონედი აგებულია ორი ტოლი სტრიქონისაგან, სტრიქონი აგებულია  
ორი არატოლი ორწვერედისგან, რომელთაგან პირველში შემადგენ-  
ლები ტოლია, მეორეში — პირველი უფრო გრძელია. ორწვერე-  
დებს, როგორც უმცირეს ძირითად რიტმულ ერთეულებს, ერთი და  
იგივე რიტმული გასაყარი აქვთ (მეოთხე მარცვლის შემდეგ).

ასეთია ქართული ლექსთწყობის სისტემა სქემატურად (უფრო  
დაწვრილებით ამ ინტერპრეტაციის შესახებ იხ. ჩვენი, ქართული  
ლექსის სტრიქონის აგებისა და სტრიქონთშერთების პრინციპული  
სქემა. გერმან. ენაზე. გეორგიკა, 8, იენა-თბილისი, 1986, გვ. 40-44).

იმისათვის, რომ წარმოვადგინოთ სურათი, სადაც ქართული  
ლექსის რიტმული ერთეულები მოქმედებაში იქნებიან მოცუმული,  
უნდა განვიხილოთ ისინი სალექსო საზომის ანუ მეტრის წევრებად  
(ეს ორი ცნება ერთი მნიშვნელობით გვაქვს ნახმარი, თუმცა ისინი  
ყოველთვის არ ფარავენ ერთმანეთს). მაშინ ჩვენ დავინახავთ ზე-  
მოთ წარმოდგენილი რიტმული ერთეულების რელევანტურობას,  
ვინაიდან აღმოჩნდება არა მარტო ის, რომ ისინი წარმოადგენენ  
შთელის — მოცემული საზომის სქემის შემადგენელ ერთეულებს  
და ეს მთელი ამ თვალისაზრისით დასკრეტული ოდენობაა, არამედ  
აღმოჩნდება ისიც, რომ მთელის რიტმული ბუნება განისაზღვრება  
8. კრიტიკა № 3

ან პირველი დონის რიტმული ერთეულით, ან მეორე ჭრილობული შესამე, ან მეოთხე დონისა. უფრო ზუსტად, საზომის სახე განისაზღვრება ომელიმე ამ ერთეულის ფარგლებში: რიტმულ სახეს შექმნის ერთი გარკვეული განმეორებადი მონაკვეთი, ომელიც ან პირველი დონის ერთეულს დაემთხვევა, ან მეორე დონისა, ან შესამისას, ან მეოთხისას.

შესაბამისად, ქართულ რიტმულ ლექსში საზომის სტრუქტურა პრინციპულად შეიძლება გამოღვნდეს შემდეგ ოთხ შესაძლებლობაში.

1. ლექსი აგებულია პირველი დონის რიტმული ერთეულის, ორწევრების, გამეორებაზე — მეტრი განისაზღვრება პირველი დონის ერთეულის, ორწევრების, საზღვრებში. ეს ის შემთხვევაა, ომდესაც ორი იდენტური ორწევრები შედის სტრიქონის შემაღენლობაში, ასეთი ორი იდენტური სტრიქონი აგებს ორსტრიქონედს, ორი იდენტური ორსტრიქონედი — სტროფს. მეორე ვარიაციი ამგვარი სქემის აგებისა არის შემდეგი: სტრიქონი შეღვება ერთი ორწევრებისაგან — უდრის მატერიალურად ორწევრულს (სტრიქონის, ისევე ორგორუ ყველა სხვა ერთეულის, განახევრების პროცესი დაიწყო მე-17-18 საუკუნეებში, რაც შეღვებადაც ჩამოყალიბდა ლექსის ერთი ტიპი, ომელშიც ყოველი დიდი დონის ერთეულის ფუნქცია, კლასიკურთან შედარებით, იყისრა შესტაბისი მცირე დონის ერთეულმა), ასეთი ორი სტრიქონი აგებს ორსტრიქონედს, ორი ორსტრიქონედი — სტროფს. მაგალითად,

$$(5+3)+(5+3) \quad \text{ან: } 5+3$$

$$(5+3)+(5+3) \quad 5+3$$

$$(5+3)+(5+3) \quad 5+3$$

$$(5+3)+(5+3) \quad 5+3$$

რომ 5 და 3 ქმნიან ერთ ერთეულს და 16-მარცვლიან სტრიქონში გვაქვს სტრიქონი (5+3)+(5+3) სტრუქტურა და არა  $5+3+5+3$ , ამაზე პირველ რიგში მეტყველებს ალტერნაციის მოვლენა: ჩევე გვაქვს  $5+3/3+5$  ალტერნაცია და ამ ნიშნით ერთ ბირთვად ბევრება, ერთი მხრივ, პირველი და მეორე, მეორე მხრივ, მესამე და მეოთხე მუხლები, და არა — მეორე და მესამე ისე, რომ კენტად რჩებოდნენ პირველი და მეოთხე.

როდესაც ვამბჯობთ, რომ ამგვარი ტიპის საზომების სახე განი-



საზღვრება ორწევრედის ფარგლებში, იგულისხმება შემდეგი მონაცემებით: მეორედი მეორება, შემნაცვლებელი მას არ ჰყავს, იგი — უფრო ზუსტად, შისი გამეორება — აძლევს საზომის რიტმულ სტეს; მეორე მხრივ, ასეთი ტიპის საზომის სხვადასხვა ვარიანტი აქვს, მაგრამ არსებობს ერთი განმსაზღვრელი ნაშანი: მოცემული ორწევრები, ნახმარი თავში, განსაზღვრავს საზომის სახეს, საზომის სტრუქტურაში მხოლოდ ის და არა სხვა ორწევრედი უნდა გამეორდეს — ის მეორება, რადგანაც შედის ერთეულთა იერარქიაში და ქმნის როულ აგებულებებს.

ქართული ლექსის პრაქტიკაში რეალიზებული რომ იყოს მხოლოდ ისეთი ტიპის გამეორებადი აგებულებები, რომლებიც ზემოთ იყო წარმოდგენილი, ჩვენ ვიტყოდით, რომ ქართული ლექსის სახეს განსაზღვრავს მხოლოდ ორწევრედი და სტრიქონი. ორწევრედთა სისტემაში რელიქებული რომ იყოს მხოლოდ ორი ტოლი შემადგრენის შემცველი ორწევრედები (მაგ., ორი ოთხმარცვლიანი მუხლის შემცველი), მაშინ ჩვენ გვექნებოდა ლექსები, აგრძული მხოლოდ მუხლის ანუ სეგმენტის გამეორებაზე (მაგ; სტროფი 4+4+4+4/4+4+4+4/4+4+4+4+4+4, ან 4+4/4+4/4+4+4) და საფუძველი გვექნებოდა, გამოგვეურ სეგმენტი, როგორც რიტმული სემანტიკის მატარებელი უმცირესი ერთეული.

II. ლექსის აგებაში მონაწილეობს ორი სხვადასხვა ორწევრები ისე, რომ ისინი სტრიქონში განსაზღვრულ პოზიციაში არიან წარმოდგენილი. ეს ის შემთხვევაა, როდესაც ორი სხვადასხვა ორწევრედი შედის სტრიქონის შემაღებლობაში, ასეთი სტრიქონი მეორება, აგრძეს რა ორსტრიქონებს, ხოლო ორსტრიქონები, თავის მხრივ, სტროფს. ასეთი ლექსი აგებულია მეორე დონის რიტმული ერთეულის — სტრიქონის გამეორებაზე, განმეორებადი და რიტმული სახის განმსაზღვრელი მონაკვეთი აქ არის სტრიქონი. მაგალითად,

$$(4+4)+(4+3)$$

$$(4+4)+(4+3)$$

$$(4+4)+(4+3)$$

$$(4+4)+(4+3),$$

სადაც განმეორებადია მონაკვეთი  $(4+4)+(4+3)$ , სტრიქონი.



III. ლექსში მონაწილეობს ორი ან სამი ორწევრედი, განაწილებული ორ სტრიქონში შემდეგი შესაძლებლობების შიხედვით:

ა) პირველი სტრიქონი შედგება ერთი და იმავე ორწევრედებისგან, შეორენებული სტრიქონში პირველ პოზიციაში იგივე ორწევრედია, მეორეში — სხვა; ბ) პირველი სტრიქონი შედგება ორი სხვადასხვა ორწევრედისგან, მეორე სტრიქონში პირველი, მეორე სტრიქონში პირველი იღენტურია პირველი სტრიქონის მეორე ორწევრედისა; გ) პირველი სტრიქონი შედგება ორი სხვადასხვა ორწევრედისგან, მეორე სტრიქონში პირველი ორწევრედი იღენტურია პირველი სტრიქონის შესაბამისი ორწევრედისა, მეორე ორწევრედი არ იმეორებს არცერთ ორწევრედს; დ) ორწევრედი უდრის სტრიქონს, პირველი და მეორე სტრიქონი სხვადასხვა ორწევრედისგანაა აგებული. ყველა შემთხვევაში განმეორებადი მონაკვეთია მეტამეტონის რიტმული ერთეული — მისი გამეორება განსაზღვრავს ლექსის რიტმულ სახეს. მაგალითად,

- |                  |                  |                  |          |
|------------------|------------------|------------------|----------|
| ა) $(3+3)+(3+3)$ | ბ) $(4+4)+(4+3)$ | გ) $(4+4)+(4+3)$ | დ) $5+5$ |
| $(3+3)+(3+2)$    | $(4+3)+(4+3)$    | $(4+4)+(4+2)$    | $5+2$    |
| $(3+3)+(3+3)$    | $(4+4)+(4+3)$    | $(4+4)+(4+3)$    | $5+5$    |
| $(3+3)+(3+2),$   | $(4+3)+(4+3),$   | $(4+4)+(4+2),$   | $5+2$    |

განმეორებადი მონაკვეთებია ორსტრიქონედები: ა)  $(3+3)+(3+3)/(3+3)+(3+2)$ , ბ)  $(4+4)+(4+3)/(4+3)+(4+3)$ , გ)  $(4+4)+(4+3)/(4+4)+(4+2)$ , დ)  $5+5/5+2$ .

IV. განმეორებადი მონაკვეთია მეოთხე დონის რიტმული ერთეული, სტროფი.

$$\begin{array}{lll} 5+5 & 5+5 & 4+4 \\ 5+5 & 5+5 & 4+4 \\ 5+5 & 5+5 & 4+4 \\ 5+3, \quad 5+0, \quad 4+2 & \text{და} & \text{სხვ.} \end{array}$$

ლექსის სტრუქტურის პრინციპულ სახეს ქმნის სტროფი: მეორება არა ერთი სტრიქონი — სამჯერ პლუს მეოთხე განსხვავებული, არამედ მონაკვეთი, რომელშიც პირველი სამი წევრი ერთნაირია, ხოლო მეოთხე — განსხვავებული.

ამრიგად, ქართული ლექსის მეტრი, თუ, ერთი მხრივ, წარმოადგენს ქართული ლექსის რიტმული ერთეულებისა და იერარქიაში მათი მიმართებების რეალიზაციას, მეორე მხრივ, თავისი კონკრეტული სახის სპეციფიკას იმულავნებს რომელიმე ამ ერთეულის, როგორც მოცემულ საზომში განშეორებადი მონაკვეთის, მიხედვით.

სხვადასხვა საზომების მიხედვით გამართულ ქართულ ლექსში, რო-  
გორც რეგულარული მეტრული მონაკვეთი, მეორდება ან ორწევრე-  
დი, ან სტრიქონი, ან ორსტრიქონედი, ან სტროფი.

ამ დებულებას სჭირდება ერთგვარი ქორექტირება, ვინაიდან  
თქმული ერთნაირი ძალით არ ეხება, ერთი მხრივ, ორწევრედს (და  
სტრიქონს), მეორე მხრივ, ორსტრიქონედს და სტროფს (და სტრი-  
ქონს). საქმე შემდეგშია.

ერთი მხრივ, საზომის სპეციფიკა მართლაც განისაზღვრება იმ  
მონაკვეთით, რომელიც ლექსში განმეორებადია. ჩვენ მართლაც  
ვხედავთ, რომ, თუ ავიღებთ ორ, ვთქვათ, ასეთ აგებულებას:

5+5	5+5
5+5	5+2
5+5	5+5
5+5	5+2,

პირველის სპეციფიკას განისაზღვრავს 5+5, რომელიც რეგულარუ-  
ლად მეორდება, მეორისას — 5+5/5+2, რომელიც აგრეთვე რე-  
გულარულად მეორდება; პირველში განმისაზღვრელია ორწევრედი,  
რომელიც უდრის სტრიქონს, მეორეში — ორსტრიქონედი, რომე-  
ლიც ორი სხვადასხვა სტრიქონისგან შედგება.

შაგრაძ, მეორე მხრივ, აშკარაა, რომ სტრიქონში (თუ იგი არ უდ-  
რის ორწევრედს), ორსტრიქონედში და სტროფში მხოლოდ მაშინ  
განისაზღვრება საზომის რიტმული სახე, როდესაც თითოეული მათ-  
განი შეიცავს განსხვავებული და ორი იდენტური იგებულების შე-  
ძალგენლებს. თუ სტრიქონი შედგება იდენტური ორწევრედებისგან,  
ვთქვათ (5+3)+(5+3), მაშინ საზომის სახეს განისაზღვრავს ორ-  
წევრედი 5+3. სტრიქონში მაშინ განისაზღვრება საზომი, როდე-  
საც იგი განსხვავებული ორწევრედებისგან შედგება, ვთქვათ  
(4+4)+(4+3). ორსტრიქონედში მაშინ განისაზღვრება საზომის  
სახე, თუ იგი განსხვავებული სტრიქონებისგან შედგება, ვთქვათ  
5+5 და 5+2-ისგან. სტროფში მაშინ განისაზღვრება საზომი, თუ  
იგი განსხვავებული ორსტრიქონედებისგან შედგება, ვთქვათ 5+5/  
5+5 და 5+5/5+3-ისგან. მიგრამ თითოეული ერთეულის — სტრი-  
ქონი იქნება ეს, ორსტრიქონედი, თუ სტროფი — აგებას განისა-  
ზღვრავს საყუთარი წესები, რომლებშიც განისაზღვრულია ორი შე-



შადგენლის მეზობლობის შესაძლებლობები. სტრიქონში შესავალიდა  
ორი ისეთი ორწევრები უნდა იყოს, რომელთაც ერთი და იგივე  
რიტმული გასაყარი აქვთ (ვოქვათ, 4+4 და 4+3). თავისი წესები  
ქვეთ თარსტრიქონებსაც და სტროფსაც, მაგრამ ეს წესები საბოლო-  
ოდ დამოკიდებულია ერთნაირი გესაყარის მქონე ორწევრების პრინ-  
ციპზე. თუ ჩეენ თავში ნახმარი გგაქვს 4+4, სტრიქონში მის მეზობ-  
ლად შეიძლება სხვა ორწევრები, მაგრამ აუცილებლად ისეთი, რო-  
მელიც იმავე რიტმულ გასაყარს შეიცავს, ანუ რომლის პირველი  
შეძალებელი ასევე 4 იქნება, ვთქვათ 4+3 (მაგრამ არ შეიძლება,  
ვთქვათ, 5+2); მომდევნო სტრიქონში შეიძლება კიდევ ერთი განს-  
ხვავებული ორწევრები გამოჩნდეს, მაგრამ კვლავ იმავე გასაყა-  
რით, ვთქვათ 4+2 (მაგრამ ისევ არ შეიძლება, ვთქვათ, 5+2) და  
ა. შ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სტრიქონი შეიძლება შედგებოდეს  
სხვადასხვა ორწევრებისგან და ამიტომ იყოს განმეორებადი ერთე-  
ული, მაგრამ სტრიქონის სტრუქტურა, განსხვავებათა გათვალის-  
წინებით, განსაზღვრულია პირველი ორწევრებით: ორწევრების  
ჟეცვლა შეიძლება, მაგრამ მხოლოდ ისეთით, რომელსაც იგივე  
გასაყარი აქვს, რაც პირველს. ორსტრიქონებში შეიძლება ორი გან-  
სხვავებული სტრიქონი გვეონდეს და ამიტომ ორსტრიქონების გა-  
მეორებაში განისაზღვროს საზომის სახე, მაგრამ განსხვავებული  
სტრიქონები ისეთი ორწევრებისაგან უნდა შედგებოდნენ, რო-  
მელთა რიტმული გასაყარი დაადგინა ლექსის აბსოლუტურად პირ-  
ველშა ორწევრებმა და ა. შ. საბოლოოდ, ორწევრები (ხოლო თუ  
იგი უდრის სტრიქონს, მაშინ — სტრიქონი) განსაზღვრავს ლექსში  
ეველა შემდგომი დონის ერთეულის რიტმულ სახეს; მართალია,  
სტრიქონის შემადგენლობაში შესვლისას იგი შეიძლება შეუერთ-  
დეს არა იდენტურ ორწევრებსაც, შემდეგ — ასე აგებული სტრიქო-  
ნი ორსტრიქონებში შესვლისას შეიძლება შეუერთდეს ისეთ  
სტრიქონს, რომელშიც კიდევ ერთი განსხვავებული ორწევრები  
აღმოჩნდება, შემდეგ — ასე აგებული ორსტრიქონები შევლენ  
სტროფის შემადგენლობაში, მაგრამ ყველა შესაძლებელი ცვლი-  
ლება შეზღუდულია და განსაზღვრული ლექსში ნახმარი პირველი  
ორწევრებით: მის ვვერდით სტრიქონში მხოლოდ ისეთი განსხვავე-  
ბული ორწევრები შეიძლება იყოს, რომელსაც იგივე რიტმული გა-  
საყარი აქვს; მომდევნო სტრიქონშიც მხოლოდ ისეთი განსხვავებუ-



ლა ორწევრედი შეიძლება იყოს, რომელსაც იგივე რიტმული გასა-  
ყრი აქვს; ორი ორსტრიქონედიც შეიძლება ერთმანეთისგან გახსო-  
ვდებოდეს, მაგრამ მათი შემადგენელი სტრიქონება თრწევრედ-  
ებში კვლავ იმავე გასაყარს უნდა გვიჩვენებდნენ და ა. შ.

შესაბამისად, საზომის სტრიქტურულ სპეციფიკაზე მსჯელობი-  
სას უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი:

1. ქართული ლექსის მეტრის განსაზღვრელი ბაზაა ორწევრედი.
2. თქმული ეხება იმ შემთხვევებსაც, როდესაც საზომის სქემა-  
ში მონაწილეობენ განსაზღვებული ორწევრედები. ამ შემთ-  
ხვევაში, ერთი მხრივ, საზომის სახე გამუღანდება ან სტრი-  
ქონის გამეორებაში, ან სტრიქონედის, ან სტროფისა. მაგრამ,  
შეორე მხრივ, ყურა შემთხვევაში განშეორებადი მონაკვეთების  
რიტმული სახე განსაზღვრულია ორწევრედით, მისი რიტმული გა-  
საყარით: თუ პირველი ორწევრედი არის, ვთქვათ, 4+4, მეორე და  
უკელა სხვა ორწევრედი უნდა იყოს 4+x, ე. ი. განსაზღვრულია მოძ-  
დევნო სტრიქონის რიტმული სხეული და ა. შ.

საბოლოოდ, წესი ასეთ სახეს მიიღება. 1. ქართული ლექსის სა-  
ზომის სპეციფიკას განსაზღვრავს ორწევრედი იმ შემთხვევაში,  
როდესაც საზომის სქემაში იდენტური ორწევრედებია წარმოდგე-  
ნილი. 2. სხვა შემთხვევაში საზომის სტრიქტურა გახსისაზღვრება  
ორი ფაქტორით: ა) საზომის სახე განსაზღვრულია განმეორებადი  
მონაკვეთით. რომელიც ან სტრიქონია, ან ორსტრიქონედი, ან სტრო-  
ფი; ბ) განმეორებადი მონაკვეთის — და, შესაბამისად, მოელი სა-  
ზომის — პრინციპულ სტრიქტურას განსაზღვრავს ორწევრედი,  
კინაიდან განმეორებადი მონაკვეთის და მოელი საზომის აგება გან-  
პირობებულია ორწევრედთა ერთი და იმავე გასაყარის წესით.

ქართულ ლექსში საზომის დაღვენის პოზიციებიდან მეტოდო-  
ლოგიურად დიდი მნიშვნელობისა იყო პროფ. ა. გაწერელის დე-  
ბულება იმის შესახებ, რომ „მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს  
ტაქტს, როგორც ლექსის ძირითად და მთლიან აზრობრივ-რიტმულ  
ერთეულს“ (ა. გაწერელი, რჩეული ნაწერები, ტ. III). ეს  
დასკვნა, კერძოდ, საფუძველს აცლიდა ე. შ. ტერფების ერთეულე-  
ბად გამოყოფას და აშკარას ხდიდა ქართული ლექსისთვის მათ ფიქ-  
ტიურ ხასიათს. ზემოთ წარმოდგენილი ინტერპრეტაცია გარკვეულ-  
წილად არ ეწინააღმდეგება ა. გაწერელის დებულებას. 1) ჩვენს ინ-

ტერპრეტაციაშიც საზომის რიტმული სახე მიემართება, ჩვენი მარკაზე  
წევრების მინიმალურ ერთეულს, რომელსაც არ აქვს რიტმული სე-  
მანტიკის პლანი, არამედ უფრო მაღალი დონის ერთეულს, რომელ-  
საც რიტმული სემანტიკის პლანი აქვს; ასეთი ძირითადი ერთეული  
სეგნოვის არის ორწევრედი. 2) მაგრამ, თუ, ერთი მხრივ, ორწევ-  
რელს საზომის განსაზღვრაში ცენტრალური ადგილი უჭირავს, რო-  
გორც განმეორებადი მონაცემთის რიტმული ბუნების განმაპირობე-  
ბელ ფაქტორს, შეორე მხრივ, მოცემული საზომის რიტმული სპე-  
ციფიკა შემართება განმეორებად რიტმულ მონაცემს, რომელ-  
საც ქმნის ან ორწევრედი, ან სტრიქონი, ან ორსტრიქონედი, ან  
სტროფი. თუ ფაქტობრივ ვითარებას გადავხედავთ, ვნახავთ, რომ  
ჩვენს ინტერპრეტაციაშიც ორწევრედთან ერთად მთავარი ადგილი  
უჭირავს სტრიქონს: ა) ლექსების ერთ ტიპში საზომის სახე გამ-  
უდავნებულია სტრიქონში, როგორც განმეორებად ერთეულში.  
ბ) ლექსების იმ ტიპში, რომელშიც საზომის სახეს განსაზღვრავს ორ-  
წევრედის გამეორება, ჩვენ გვაქვს ისეთი ლექსები, სადაც ორწევ-  
რედი ემთხვევა სტრიქონს (სტრიქონი მატერიალურად ემთხვევა  
ორწევრედს, კლასიკური ლექსის პოზიციებიდან სტრიქონი განა-  
ხევრებულია — საერთო განახევრების შოლენა, რომელიც ზემოთ  
უკვე ვახსენეთ); გავითვალისწინოთ ისიც, რომ ასეთი ლექსები მე-19  
საუკუნიდან დოშინანტურ მდგომარეობაში არიან; ამრიგად, ლექ-  
სების ამ ნაწილში ჩვენ შეგვიძლია მეორენაირი ინტერპრეტაცია  
გავაყენოთ: საზომი განისაზღვრება სტრიქონში. გ) ლექსების იმ ნაწ-  
ილში, რომელშიც სტრიქონი ორი ორწევრედისგან შეღვება, იშვია-  
თად გვხვდება ორსტრიქონედი, როგორც საზომის განსაზღვრას  
ძალის მქონე განმეორებადი ერთეული; იგი ამ ფუნქციით ძირი-  
თად ლექსების იმ ნაწილში გამოდის, რომლებშიც სტრიქონი ეშ-  
თხვევა ორწევრედს ( $5+5/5+2/5+5/5+2$  ტიპის ლექსები) საბო-  
ლოოდ, შემთხვევები, როდესაც საზომი განისაზღვრება ორსტრიქო-  
ნედში, უფრო ნაკლებია, ვიდრე ის შემთხვევები, როდესაც გან-  
საზღვრულია ორწევრედში და სტრიქონში. დ) რაც შეეხება  
სტროფს, იგი შეუდარებლად უფრო ნაკლებ შემთხვევებში განსა-  
ზღვრავს საზომს; ასეთ როდეში ზემოთ ჩვენ იგი წარმოვიდგინეთ  
ძირითადად თეორიული მოსაზრებების გათვალისწინებით, თუმცა

ფაქტია, რომ იშვიათად, მაგრამ გვაქვს ისეთი ტიპის სტრუქტურის გამეორება, როგორიცაა  $4+4/4+4/4+4/4+2$ .

იმისათვის, რომ განვაგრძოთ მსჯელობა ქართული ლექსის მეტრისა და რიტმის შესახებ, უნდა შევეხოთ ზოგ თეორიულ საკითხს, დაკავშირებულს, კერძოდ, ამ ცნებების განსაზღვრასთან.

შეტრის ცნების გენსაზღვრისას, როგორც ჩანს, უნდა ამოვიდეთ შემდეგი პოსტულატებიღან.

ჩვენ გვაქვს ლექსაზუკობის სისტემა და ამ სისტემის მთლიანობა; გვაქვს მთლიანობის ელემენტები ერთეულების სახით, რომელთაც ავების ზოგადი წესები აქვთ; გვაქვს ერთეულთა მიმართებებისა და იერარქიული დონეების განსაზღვრის ზოგადი წესები. მაგრამ არსებობს აგრეთვე ერთეულთა კონკრეტული რეპრეზენტრიტები, მიღებული სტრუქტურული წესების მოქმედებით, და მათა კონკრეტული სინტაგმატური ურთიერთობები, განსაზღვრული ზოგადი სტრუქტურული წესებით; გვაქვს, ასე ვოქაო, რიტმული მეტყველების დონე.

მაშინ ლექსის რიტმულ მეტყველებად რეალიზაციისას, სინტაგმატიკაში (ის, რასაც ზემოთ ვუწოდეთ — „სალექსო ერთეულები შორისებრივი“) არსებობს გარკვეული რიტმული მთელი, როგორც ის მონაკვეთი, რომელიც განსაზღვრავს რიტმულ მეტყველებაში შორცემული ფორმის სპეციფიკას. ეს მთელი წარმოადგენს ერთეულთა კონკრეტული რეპრეზენტრიტების სინტაგმატური პლანის მინიჭალურ განმეორებად ღლენიბას, რომელიც ემთხვევა სისტემის რომელიმე ერთეულს, ქვევიღან დაწყებულს ზედამდე: თუ რიტმულ რეტყველებაში, ერთი მხრივ, წარმოდგენილია სისტემის სტრუქტურა ერთეულთა მიმართებების სახით და გვაქვს მონაკვეთები, რომელიც იერარქიას სრულად წარმოადგენს, — საბოლოოდ იქმნება რიტმული მეტყველების მოცემული კონკრეტული ფორმა, რომელშიც რეალიზებულია ერთეულთა იერარქიის ამსახველი ერთი ან რაშდენიშე მონაკვეთი; მეორე მხრივ, მოცემულ კონკრეტულ ფორმაში გვაქვს განმეორებადი რიტმული მთელი, რომელიც ამ ფორმის სპეციფიკას განსაზღვრავს და პირისპირებს მას ყველა სხვა შესაძლებელ ფორმასთან. დაპირისპირება შესაძლებელი ხდება იმის გამო, რომ ერთეულთა დისტრიბუცია განსაზღვრულია და შეზღუდული შესაბამისი წესებით და მთელს აქვს გარკვეული სიგრძეც.



თუ, ერთი მხრივ, სალექსო სისტემის თითოეული ღონის ერთეულა მიემართება რიტმული სემანტიკის პლანის შესაბამის ელემენტს, უმ-ცირესი — უმცირესს, უდიდესი — უდიდესს (ქართულისაოვის: ორ-შევრები მიემართება რიტმული სემანტიკის პლანის მინიმალურ ელ-ემენტს, სტრიქონი — მინიმალურ დასრულებულ ელემენტს, ორ-სტრიქონები და სტროფი — უფრო დიდ დამოუკიდებელ ელემენ-ტებს), და ეს შესაბამისობები რეალიზდება რიტმული მეტყველე-ბის კონკრეტულ გამოვლინებებში, მეორე მხრივ, ამ გამოვლინებებ-ში რიტმულ სპეციფიკას, განსხვავებულს ყველა სხვა ფორმის სპე-ციფიკისგან, ქმნის ერთი განმეორებადი მონაკვეთი, რომელსაც ზე-შოთ პირობითად „რიტმული მთელი“ გუწიფეთ. იგი დაემოხვევა ერთეულთა სისტემის რომელიმე ღონის წარმომადგენელს (არ არის გამორიცხული, რომელიმე სისტემაში განმეორებადი მონაკვეთი ერთ რიტმულ ერთეულს ემთხვეოდეს — უმცირესს, ან სტრიქონს): ქარ-თულისოფის ესენი არიან ორწევრები, სტრიქონი, ორსტრიქონე-ბი, სტროფი, ამგვარად, ყველაფერი, რაც ზემოთ ითქვა ამ მონაკვე-თის შესახებ, რომელშიც განისაზღვრება მეტრის პრიციპული სა-ხე, განეჯუთნება რიტმულ მთელს.

მეტრის (საზომის) განსაზღვრის სიძნელე მდგომარეობს არა სა-ერთოდ სიზოდულეში, რომელიც ახლავს ნებისმიერ დეფინიციას, არამედ იმაში, რომ მეტრის ცნებასთან დაკავშირებით ჩნდება მეო-რე ცნება — რიტმი.

რიტმი ჩვეულებრივ უპირისპირდება მეტრს, როგორც რეალუ-რი, მეტერიალური მოვლენა. მეტრი ამ ასევეტში განიხილება ხოლ-მე როგორც აბსტრაქტული ან იღეალური ფორმა, რომლის არსის გასრულევად მოაქვთ სხვადასხვა პარალელები; მაგალითად, მეტ-რი — იდეა: მეტრის დასახელება ისევე არაფრის მთქმელია მოცე-ჭული ლექსის ინტერპრეტაციისათვის, როგორც მისი სიერთო იღე-რის დასახელება, — ორივე აბსტრაქცია (პ. პრუშიავსკი, თავისუფა-ლი რეტმების შესახებ თანამედროვე პოეზიაში. ინგლ. ენაზე. კრე-ბულში: სთაილ ინ ლენგვიზ, კემბრიჯი, მასაჩუსეტსი, 1966., გვ. 180); ან მეტრი — ემბლემა, მეტრი — ქვესათაური: მეტრის ფუნ-ქცია მეტადოეტურია, იგი მიმართულია ლექსის კომენტირებაშე; როგორც უმბლემა, ან ქვესათაური (პ. პოლანდერი, მეტრიკული სი-ზოლო. ინგლ. ენაზე. კრებულში: სთაილ ინ ლენგვიზ, გვ. 192). სა-



სოლომო, მეტრი, ყველაზე გავრცელებული აზრის მიხედვით განკუთხული ტრაქცია („რომელიც არავის არასდროს ზუსტად არ ესმოდა“, — ბ. პრუშვისკი, გვ. 179).

რომ მეტრი გარკვეული აბსტრაქტული ფორმაა რიტმით შედარებით, ეს თეზისი ზოგადად მისაღებია. ასევე მისაღებია აზრი იმის შესახებ, რომ მეტრი ანალიზის ელემენტია, ან გარკვეული ანალიზიური ფორმა. მაგრამ ასეთი ფორმულირებებისას გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოებები. მეტრი აბსტრაქტული ან იფეალური ფორმაა მხოლოდ რიტმით შედარებით, მაგრამ თავის-თვალი იგი კონკრეტულ და რეალურ თვისებებსა და მიმართებებს ეშუარება. ასევე, მეტრი ანალიზის ელემენტია, მაგრამ იგი კელავ და კელავ რეალური რიტმული ფაქტორების განზოგადებაა. თუ რუსულ სილაბურტონურ ლექსში, მაგალითად, ჩვენ გვაქვს მეტრი. რომელიც განისაზღვრება როგორც ოთხტერთვიანი იამბი, მაგრამ ლექსით ნაწილმოებში რეალიზებისას იგი სტრიქონში რომელიმე ტერფის პოზიციაში გვაძლევს პირიქს („გადახვევა“) — ა. ბელის მიხედვით, „იპოსტასა“ — ვ. ბრიუსოვის მიხედვით, „რეალური თანამიმდევრობა“ — ბ. ტომაშევსკისა და ვ. ჟირმუნსკის მიხედვით) — ეს იმას ნიშნავს, რომ: 1) გვაქვს მეტრის ან მეტოული ნორმა. 2) გვაქვს მისი რეალიზაცია რეალური ინტერპრეტაციის სიხით. 3) მაგრამ მეტრი, რომელიც რეალური რიტმულა გვაძლევებისთვის საერთო ნიშხებზე დამყარებულ ინვარიანტულ ფორმას წარმოდგენს და იმ პოზიციებიდან იდეალური ფორმაა, შეორე მხრივ, რეალური ელემენტებისა და რეალური მიმართებების სახვათ: ა) ჯერ ერთი, რეალიზაციიებში ჩვენ გვხვდება იგივე 4-ტერფიანი იამბი „წმინდა“ სახისა; ბ) მეორეც, მეტრული ნორმა, 4-ტერფიანი იამბი“, ემყარება რეალურ ელემენტებს — ძლიერ და სუსტ. შეხვილიან და უმახვილო მარცვლებსა და მათ რეალურ თანამიმდევრობებს, რომლებიც სტრიქონში ლუწი მარცვლების პოზიციაში ძლიერი მარცვლის ყოფნას განაპირობებენ; ვ) მეტრი საერთო ფორმას წარმოადგენს რეალური რიტმებისათვის, იგი ასახავს მათ საერთო ნიშანას: თუ ერთ ან სხვადასხვა ნაწარმოებში 4-ტერფიანი იამბის რიტმებში ჩვენ გვაქვს ერთ სტრიქონში ოთხი იამბი, სხვაგან



— სამი იამბი და ოთხიდან რომელიმე პოზიციაში — პირტქით, უკავშირის გვაქვს შემდეგი რიტმები — (1) უ—| უ—| უ—| უ—, (2) უ უ | უ—| უ—| უ—, (3) უ—| უ უ | უ—| უ—, (4) უ—| უ—| უ უ | უ— და ა. შ. ეს იმას ნიშნავს, რომ მეტრი უ—| უ—| უ—| უ— წარმოადგენს რიტმების მატერიალური თვისებებიდას გამომდინარე საერთო ფორმას, ხოლო რიტმი ენაბრივი სუბსტანციასა და მეტრული ნორმის ურთიერთმოქმედების შედეგია.

თუ ჩვენ კონკრეტულ სალექსო ფორმაში ავიღებთ განმეორებად რიტმულ მონაკვეთს, რომელიც განსაზღვრავს ფორმის რიტმულ სახეს, და პირობითად ვუწოდებთ მას რიტმულ მოელს, მაშინ:

მეტრი არის ამ განმეორებადი რიტმული მოელის მუდმივი ფაქტორი, რომელიც აფორმებს მოცემულ მოელს, განასხვავებს რა მას ყველა დანარჩენისგან.

რიტმი არის ამ განმეორებადი მოელის ცვალებადი ფაქტორი, რომელიც, მოქმედებს რა მეტრით განსაზღვრულ ფორმაში, აფორმებს მოცემული რიტმული მოელის რეალურ სახეს იმ წესებით, რომლებიც სხვა მეტრებით განსაზღვრულ ფორმებშიც მოქმედებენ.

ბაშასადამე, მეტრი ქმნის დაპირისპირებას ყველა შესაძლებელ რიტმულ მოელს შორის. რიტმი ქმნის დაპირისპირებას მეტრით განსაზღვრულ მოცემულ რიტმულ მოელში რეალური მოღილების სახით. ეს იმას ნიშნავს, რომ შესები, რომლებიც ამ შორისში აცილებას ქმნიან, საერთო ნებისმიერი რიტმული მოელისათვის, უფრო ჟუსტად — ნებისმიერი მეტრიდან რიტმების მიღებისათვის.

ბუხებრივია, რომ მოცემული მეტრი რამდენიმე სხვადასხვა რიტმითაა წარმოდგენილი, თანაც განსხვავებანი რიტმებს შორის შეიძლება საგრძნობიც იყოს, მაგრამ ეს განსხვავებანი მხოლოდ გარე-ვაულ ფარგლებშია შესაძლებელი. ამგვარად, ანალიზისას, თუ მოელ მოცემულ ლექსით კორპუსს წარმოვიდგენთ როგორც რეალიზებული რიტმების სის, ჩვენ გვექნება საშუალება, მოგნახოთ ტიპოლოგიურად „მონათესავე“ ფორმები, რომელთაც რაღაც საერთო თვისება აქვთ, შემდეგ ამ საერთო თვისებებით შეკვეთ გარკვეულ სქემა და დამკიდებულებას ამ სქემასა და „მონათესავე“ ფორმებს შორის ვუწოდოთ მეტრისა და რიტმების დამკიდებულება. იმავე ოთხტერციანი იამბის ძირითადი ექვსი რიტმი (1) უ—| უ—| უ—|



(2) უ-უ-უ-უ-, (3) უ-უ-უ-უ-, (4) უ-უ-უ-უ-  
უ-უ-, (5) უ-უ-უ-უ-უ-, (6) უ-უ-უ-უ-უ-გვიჩე-  
ნებს საერთო თვისებას, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ შავი-  
ლიანია ლუწი მარცვლები. ამიტომა მეტრის სახე უ-უ-უ-  
უ-, რომელიც რეალიზაციისას უშვებს რომელიმე ამ პოზიციაში  
სუსტი მარცვლის გამოჩენას (პირიქირებული ტერფი). ამავე მეტრის  
რიტმებში შეიძლება სუსტი მარცვლის პოზიციაში გამოჩნდეს მახვი-  
ლიანი და ა. შ.—საბოლოოდ არსებობს 127 შესაძლებლობა, თუ  
მხედველობაში არ მივიღებთ სტრიქონთშეერთების ვარიანტებს.

ზემოთქმულის მიხედვით, ჩვენი აზრით, რიტმების მეტრად გა-  
ერთიანების სინთეზური გზა უნდა გულისხმობდეს შემდეგ ოპერა-  
ციებს: 1. სტრუქტურულად ახლოს მდგომი რიტმების ტახტის მო-  
ნახვა, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს; 2. სტრუქტურული სიახლო-  
ვის კრიტერიუმის დადგენას; 3. ასეთი სიახლოვის მქონე ფორმები-  
სათვის მონაცელეობის რეაქცის დადგენას: ერთი მეტრის წარმო-  
მადგენელი რიტმები, რეალიზებული სტრიქონების სახით დიდ მო-  
ნაკვეთში — სტროკსა თუ ლექსით ნაწარმოებში, უნდა ენაცვლე-  
ბოდნენ ერთმანეთს; ამასთან, მონაცელეობა ყველა შესაძლებელი  
სახით სრულად ყოველთვის ეერ იქნება წარმოდგენილი ერთი მო-  
ნაკვეთის ან ლექსის ფარგლებში, შეიძლება ორი მოცემული რიტ-  
მისთვის ცერც მოინახოს მონაცელეობის უშუალო მაგალითი, მაგრამ  
გაშუალებული მონაცელეობა უნდა არსებობდეს: a ფორმას ენა-  
ცვლება ს, ა-ს არ ენაცვლება c, მაგრამ მონაცელეობენ ს და c,  
ამიტომ a და c მონაცელე სტრიქონებია.

ქართულ ლექსში მეტრისა და რიტმის პრობლემებს უკანასკნე-  
ლიდ შეეხო იყალ. გ. წერეთელი, რომელმაც რამდენიმე საყურად-  
ღებო დასკვნა ჩამოაყალიბა: 1. საკითხი მეტრისა და რიტმის დონე-  
ების დამოკიდებულების შესახებ უნდა წყდებოდეს კონკრეტულად  
— სხვადასხვა სალექსო სისტემებისათვის სხვადასხვანირად; 2. ამ  
ასპექტზე ქართულში მეტრი საგსებით რეალური სიღრღეა, რომე-  
ლიც შეიძლება განიზომოს მარცვალთა რაოდენობის მიხედვით (მეტ-  
რი და რიტმი ვეფხისტყაოსანში, გვ. 52). კონკრეტულად ვეფხის-  
ტყაოსანში გ. წერეთელი ხედავს ერთ მეტრს და მის ორ რიტმს —  
დაბალ შაირსა და მაღალ შაირს. უნდა ითქვას, რომ საერთო ნიშნე-  
ბისა და გარკვეული განხოგადების მომენტი მეტრის ცნებას მაინც



ყოველთვის ახლავს. ინავე ვეტენტყაოსანში ჩვენ რეალურად გვაქვს 16-მარცვლიანი და 8-მარცვლიანი ოდენობები, რეალურად ჩვენ გვაქვს ან  $4+4$ , ან  $5+3$ ; მაშასადამე, გამოთქმა „რეალურად გვაქვს აბსტრაგირებას, კერძოდ  $4+4$  რეალობიდან,  $5+3$  რეალობიდან,  $(3+0)+(3+2)$  რეალობიდან (მათთვის დაბახასიათებელი სტრუქტურული ოვისებებიდან, რაც ერთეულთა სიერძეებში, შემადგენელთა მატერიაში, გასაყირის იცვლებში გამოიხატება), და სერტოთ ნიშნის — სტრიქონში (ან ნახევარსტრიქონში) მარცვალთა რაოდენობის — განხოგადებას. ასე ვე ჩვენ რეალურად გვაქვს არა, უთქვათ, თომარცვლანი ოდენობა, არამედ  $5+5$ , ან  $(4+0)+(4+2)$ , ან  $(3+3)+(3+1)$  და ა. უ მაშასალაშე, გარკვეული აბსტრაგირების მომენტი გვაქვს ჭართულ კვეშის მეტრშეც, რომელიც თავისთვალ რიტმთა რეალურ თვისებზეა დამყარებული.

შაგრამ აჭვერად ჩვენთვის მთავარი შემდეგია. თუ, როგორც ზე-მოთ ითქვა, კონკრეტულ რიტმულ რეალიზაციებში ჩვენ შეგვიძლია ვნახოთ ტიპოლოგიურად მსგავსი ფორმები და მათთვის სერტო ნიშნებით შევქმნათ სქემა-მეტრი, — მაშინ ჩვენ, პირველ რიგში, უნდა დავადგინოთ ობიექტური კრიტერიუმი ფორმების სტუქტურული სიახლოვის განსასახლვრად. ასეთი კრიტერიუმი არსებობს, ეს არის განსხვავებული რიტმული აგებულების სტრიქონების (ან ნახევარსტრიქონების) ერთმანეთის უშუალოდ გვერდით ხმარების შესაძლებლობა ან გამორიცხულობა, რაც გამოავლენს ჩიტომული რონცვეთების სტრუქტურულ ნიშანს და სიახლოვეს. ამისი შემოწება, ვეფხისტყაოსნის დაბალი და მაღალი შაირისათვის, შეიიღება ამ და სხვა აგებულებების ჰეტერომეტრულ სტროფებში მონაწილეობის ანალიზით. ჩვენ, შედეგად, ვნახეთ, რომ სრტუქტურული სიახლოვე განისაზღვრება არა მარცვალთა ერთი და იმავე რაოდენობით, არამედ ერთი და იმავე გასაყირით. აგებულება  $5+3$  (დაბალი შაირის ორწევრები) ქართულ ლექსში იტანს მეზობლობას  $5+5$ -თან,  $5+4$ -თან,  $5+2$ -თან,  $5+1$ -თან,  $5+0$ -თან, მაგრამ ვერ იტანს  $4+4$ -თან,  $4+3$ -თან,  $4+2$ -თან,  $4+1$ -თან,  $4+0$ -თან; ასევე მარკირებულია  $4+4$ -ის მეზობლობა  $4+x$ -თან:  $4+4/4+3$ ,  $4+4/4+2$ ,  $4+4/4+1$ ,  $4+4/4+0$ , მაგრამ არ შეიძლება  $4+4/5+5$ ,  $4+4/5+4$ ,  $4+4/5+2$  და ა. უ. როგორც ზემოთ ვნახეთ, სტრუქტურულად ერთმანეთთან ახლო

დგანან ისეთი ორწევრიანი აკებულებები, რომელთაც ერთი და იგ-ივე პირველი შემადგენელი აქვთ, ანუ რომელთაც გასაყარი ორ შემადგენელს შორის ერთსა და იმავე ადგილზე აქვთ. ამიტომ  $5+3$  და  $4+4$  (დაბალი და მაღალი შაირი) არ შეიძლება ერთ მეტრს ქმნიდნენ, ისინი სხვადასხვა შეტრის წარმომადგენლები არიან (მიუხედავად იმისა, რომ ერთი და იგივე სილაბური სიგრძე აქვთ, ან სწორედ იმიტომ, რომ ერთი და იგივე სილაბური სიგრძე აქვთ, ვინაიდან ამის გამო სხვადასხვა გასაყარი აქვთ); ერთ მეტრს შეიძლება ქმნილნენ (ვმსჯელობთ მხოლოდ თეორიულად)  $5+5$ ,  $5+4$ ,  $5+3$ ,  $5+2$  და ა. შ., ისევე  $4+4$ ,  $4+3$ ,  $4+2$  და ა. შ. (მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა სილაბური სიგრძე აქვთ, ან სწორედ იმიტომ, რომ სხვადასხვა სილაბური სიგრძე აქვთ, ვინაიდან ამის გამო არსებობს შესაძლებლობა ჰქონდეთ ერთი და იგივე გასაყარი).

ესედ ენახოთ მეტრებისა და რიტმების ინტერპრეტაციის რა შესაძლებლობები პრეზენტაციაზე.

1. მეტრებს წარმომადგენენ  $5+x$ ,  $4+x$ ,  $3+x$  (სიმარტივისათვის ამჯერად ვიღებთ ისეთ შემთხვევებს, როდესაც სტრიქონი ერთი ორწევრედისგან შედგება — სტრიქონი, როგორც ერთეული, მატერიალურად უდრის ორწევრებს). მაშინ  $5+x$  მეტრის რიტმები აქნება:  $5+5$ ,  $5+4$ ,  $5+3$ ,  $5+2$ ,  $5+1$ ,  $5+0$  (საერთო ოვისება: გასაყარი 5 მარცვლის შეშდეგ, ან — პირველი წევრი 5-მარცვლიანია).  $4+x$  მეტრი რეალიზდება შემდეგი რიტმების სახით:  $4+4$ ,  $4+3$ ,  $4+2$ ,  $4+1$ ,  $4+0$  (საერთო ნიშანი: გასაყარი 4 მარცვლის შემდეგ, ან — პირველი წევრი 4-მარცვლიანია).  $3+x$  მეტრის რიტმები აქნება:  $3+3$ ,  $3+2$ ,  $3+1$ ,  $3+0$  (საერთო ნიშანი: გასაყარი 3 მარცვლის შემდეგ, ან — პირველი წევრი სამშარცვლიანია).

თუ სტრიქონი ორი ორწევრედისგან შედგება, მაშინაც სამი მეტრი გვექნება:  $(5+x)+(5+x)$ ,  $(4+x)+(4+x)$ ,  $(3+x)+(3+x)$ . პირველი მეტრის რიტმებია:  $((5+5)+(5+5)$ ,  $(5+5)+(5+2)$ ,  $(5+3)+(5+3)$  და ა. შ. მეორის —  $(4+4)+(4+4)$ ,  $(4+4)+(4+3)$ ,  $(4+3)+(4+3)$  და ა. შ. მესამის —  $(3+3)+(3+3)$ ,  $(3+3)+(3+2)$  და ა. შ. — ორი ორწევრედისგან აგებული სტრიქონების 225 ოეორიული შესაძლებლობა პირველი და მეორე შემადგენლის სიგრძეთა მიმართების წესს, ერთნირვასაყარიანი ორწევრელების წესს (და ზოგ სხვას) დაჰყავს 50-მდე.



შაგრამ ამგვარი ინტერპრეტაცია ნაკლებად მისაღები ჩანს, რომ იდან: а) მეტრი უკიდურესად აბსტრაქტული ფორმის სახეს იღებს; б) რიტმშიც ვხედავთ აბსტრაქტული გარევეულ მომენტს, რადგანაც  $5+5$  იქნება ეს,  $4+4$ , თუ სხვა ფორმა, თავის შიგნით აგრეთვე გვიჩვენებს სხვადასხვა კონკრეტულ რეალიზაციებს; გ) ამ რეალიზაციების ჩათვლით, „რეალური დანართი“ „იდეალური მდე“ სამსაფეხურიანი გზა გვაქვს, რომელშიც რიტმი არ არის პირველ საფეხურზე, ხოლო მეტრი — მეორეზე.

2. ეს სამსაფეხურიანი სხვაობა, როგორც ჩანს, ფაქტია კონკრეტულ ფორმებსა და კონკრეტულ საერთო ნიშნებზე დამყარებულ ზოგად ფორმებს შორის რეალურისა და იდეალურის მიხედვით.

ამიტომ მისაღები ჩანს ასეთი ინტერპრეტაცია.

$5+x$ ,  $4+x$ ,  $3+x$  წარმოადგენენ მეტრთა კლასებს. მაშინ გვაქვს: მეტრთა კლასი  $5+x$ , მეტრები —  $5+5$ ,  $5+4$ ,  $5+3$ ,  $5+2$ ,  $5+1$ ,  $5+0$ ; მეტრთა კლასი  $4+x$ , მეტრები —  $4+4$ ,  $4+3$ ,  $4+2$ ,  $4+1$ ,  $4+0$ ; მეტრთა კლასი  $3+x$ , მეტრები —  $3+3$ ,  $3+2$ ,  $3+1$ ,  $3+0$ .

მეტრთა კლასების არსებობა იმას ნიშნავს, რომ თითოეულ კლასში შეშვალი შეტრები ერთშანოების ჰომოგენურნია არიან, ხოლო სხვადასხვა კლასის წარმომადგენერილი მეტრები — ჰეთეროგენულნი.

თუ შეტრების განსაზღვრავს სტრიქონი ან ორწევრედი, როგორც განმეორებადი მონაკვეთი, მაშინ ჩვენ გვექნება მეტრები: а)  $5+5$ ,  $5+4$ ,  $5+3$  და ა. შ.;  $4+4$ ,  $4+3$ ,  $4+2$  და ა. შ.;  $3+3$  და ა. შ.; ბ)  $(5+5)+(5+5)$ ,  $(5+5)+(5+2)$ ,  $(5+3)+(5+3)$  და ა. შ.;  $(4+4)+(4+4)$ ,  $(4+4)+(4+3)$ ,  $(4+2)+(4+2)$  და ა. შ.;  $(3+3)+(3+3)$ ,  $(3+3)+(3+2)$  და ა. შ.; გ)  $(5+5)+(5+0)$ ,  $(5+4)+(5+0)$ ,  $(5+0)+(5+2)$  და ა. შ.;  $(4+0)+(4+3)$ ,  $(4+0)+(4+2)$  და ა. შ.;  $(3+3)+(3+0)$ ,  $(3+0)+(3+2)$  და ა. შ.;

როდესაც შეტრების განსაზღვრავს ორსტრიქონედი, როგორც განშეორებადი ერთეული, მაშინ გვექნება მეტრები: а)  $5+5/5+3$ ,  $5+5/5+2$  და ა. შ.;  $4+4/4+3$ ,  $4+4/4+2$  და ა. შ.;  $3+3/3+1$  და ა. შ.; ბ)  $(5+5)+(5+5)/(5+5)+(5+2)$  და ა. შ.;  $(4+4)+(4+4)/(4+4)+(4+3)$ ,  $(4+4)+(4+3)/(4+3)+(4+3)$ ,  $(4+4)+(4+3)/(4+4)+(4+2)$  და ა. შ.

როდესაც შეტრების განსაზღვრავს სტროფი, როგორც განმეორე-

პალი ერთეული, მაშინ შესაძლებელია მეტრები:  $5+5/5+5/5+5/5$   
 $5+3$  და ა. შ.;  $4+4/4+4/4+4/4+2$  და ა. შ.

3. ოღწერის გამარტივების მიზნით, ზემოთ, მეორე პუნქტში,  
 წარმოდგენილ ინტერპრეტაციას მიზანშეწონილია შემდეგი სახე მი-  
 კვეთს.

შეტრს განსაზღვრავდეს **სტრიქონი**. მაშინ ზემოთ მოცემული  
 ოღწერა რჩება ძალაში, ოღონდ ის შემთხვევები, როდესაც განმეო-  
 რებადი მონაკვეთის როლში გვაქვს ორსტრიქონები, ან სტროფი —  
 $5+5/5+2$  ან  $5+5/5+5/5+5/5+3$  ტიპისანი — ოღიშერებიან რო-  
 გორც პოლიმეტრული (ერთხე მეტი შეტრის გაერთიანება, ჩვენს  
 შემთხვევაში — ორმეტრიანი) სქემის წარმომადენლები.

ოღწერაში მეტრის განმსაზღვრელ მონაკვეთად სტრიქონის დაშ-  
 ვება არ ნიშნავს უარყოფას ზემოთ ჩამოყალიბებული დებულები-  
 სა იმის შესახებ, რომ მეტრის სტრუქტურული სახის განმსაზღვრელ  
 მონაკვეთს წარმოადგენს ან პირველი დონის ერთეული — ორწევ-  
 რები, ან შეორე დონისა — სტრიქონი, ან მესამე დონისა — ორ-  
 სტრიქონები, ან მეოთხე დონისა — სტროფი; ეს დებულება ძალა-  
 ში რჩება.  $5+5/5+2$ -ის შემთხვევაში, მაგრამ აღწერის პოზიციებიდან ჩვენ გამოვ-  
 ყოფთ სტრიქონს, ხოლო განმეორებად და განმსაზღვრელ მონაკვეთს  
 (როდელიც წარმოადგენს ორსტრიქონებს) უწოდდებო არმეტრიანს;  
 ეს პოლიმეტრულობა ორმეტრიანობის სახით წარმოადგენს სწორედ  
 მოცემული მეტრის სპეციფიკას (განმეორებადი მონაკვეთი ორ-  
 სტრიქონებია), შედარებით, კოქით,  $5+5$  სტრიქონზე აგებულ  
 შეტრთან, რომელშიც გაშეორებადი მონაკვეთი წარმოადგენს სტრი-  
 ქონს.

ამრიგად, ჩვენ გვაქვს სალექსო შეტრველების დასრულებული მო-  
 ნაკვეთები — ლექსითი ნაწარმოებები, აგებული ა) მეტრით, რო-  
 დელიც ემყარება ერთ სტრიქონს, ბ) მეტრით, რომელიც ემყარება  
 სხვადასხვა სქემის სტრიქონებს, ძირითადად — ორს. მეორე შემ-  
 თხვევას აქვს შემდეგი გარიანტები. 1) პოლიმეტრული ნაწარმოე-  
 ბები აგებული არიან პომოგენურ მეტრებზე, რომლებიც მეზობ  
 ლობენ ან სტროფის ფარგლებში (უფრო ზუსტად, ორსტრიქონებ-  
 ში, მაგ.,  $5+5/5+2$ , ან სტროფში, მაგ.,  $5+5/5+5/5+5/5+3$ ), ან  
 ლექსითი ნაწარმოების ფარგლებში — სტროფების სახით (მაგალი-  
 9. კრიტიკა № 3



თაღ,  $5+5+5+5$  სტრიქონებისგან აგებული სტროფების შემთხვევაში 5+4+5 სტრიქონებისგან აგებული სტროფების მონაცემება-ლექსში); ბ) პოლიშეტრული ნაწარმოებები აგებულნი ირიან ჰე-ტეროგენულ მეტრებზე; ეს შემთხვევა ძვიათად რეალიზდეს, თუმცა ჩვენ გვაქვს რუსთველური ლექსი, რომელიც ჰეტეროგენული  $4+4+4+4$  (მაღალი შეირი) და  $5+3+5+3$  (გაბალი შაირი), ატრიქონებისგან აგებული სტროფების მონაცემებაზეა აგებული: გარდა ამისა, ზოვჭერ ასეთი პოლიშეტრული ნიმუშები თანამედროვე ლექსშიც გამოჩნდება ხოლმე; XVIII ს-ში შეიძლება ოშოვაჩი-ხოთ ცდები ჰეტეროგენული შეტრების ერთ სტროფში მოქცევისა. (საერთოდ, როგორც ჩანს, ქართული ლექსის პოზიციებიდან მიზანშეწონილია პოლიშეტრული ვურთლოთ პომოგენურ მეტრებში დამყარებულ ლექსს, ხოლო ჰეტერომეტრული — ჰეტეროგენულ შეტრებზე დამყარებულს).

რა იქნება ასეთი ინტერპრეტაციისას რიტმი, რაც ის სახე, რომ-ლითაც წარმოდგება მეტრი სალექსო მეტყველების დასრულებულ შონაკვეთში? რიტმი იქნება თითოეულ სტრიქონში წარმოდგენილი კონკრეტული სურათი, დამყარებული ორწევრედთა რეალურ გა-ფორმებაზე. გავიხსენოთ ზემოთ თქმული იმის შესახებ, რომ მეტრი განისაზღვრება რომელიმე ერთულის გამეორებაში, ხოლო განმეორებადი შონაკვეთის ზოგად სტრუქტურას განსაზღვრავს ორწევრედი. შეცვლაროთ თქმულს რიტმის შესახებ: რიტმს განსაზღვრავს ორწევრედთა რეალური გაფორმება. ეს ინას ნიშნავს, რომ რიტმი არ „ცვლის“ ერთეულებს, მათ მიმართებებს, წრიონქშინილ რეტრიულ შონაკვეთს, მის პრინციპულ სტრუქტურას, აგრეთვე ორწევრედთა შერჩევას შათი ზოგადი სტრუქტურის განსაზღვრის პოზიციებიდან; რიტმი „ცვლის“ და აფორმებს, კონკრეტულ სახეს აძლევს მხო-ლოდ ორწევრედს ხითუვიერი გაფორმების დონეზე.

ამგვარად, რიტმი არის თითოეულ სტრიქონში წარმოდგენილი სურათი, დამყარებული ორწევრედთა რეალურ გაფორმებაზე, კერ-ძოდ: 1. იმაზე, თუ რით არის წარმოდგენილი ორწევრედი ან ორ-წევრედები — ძირითადი სახეობით, თუ ალტერნანტით, რაც არია ორწევრედისგან აგებული მონაკვეთებისთვის გვაძლევს შემდეგ კომ-ბინაციებს: ა) ძირითადი სახეობა + ძირითადი სახეობა (ვთქვათ,  $5+3$  და  $3+5$ ), ბ) ძირითადი სახეობა + ალტერნანტი ( $5+3$  და



3+5), ვ) ალტერნანტი + ალტერნანტი (3+5 და 3+5), გ) ალტერნანტი + ძირითადი სახეობა (3+5 და 5+3). 2. იმაზე, თუ ორგორ ფორმას იღებენ სიტყვიერი გაფორმების დონეზე ორწევრების შემადგენელი მუხლები; ვოქვათ, 5+5 (ორწევრები, ორშელიც ან ნახევარსტრიქონს წარმოადგენს, ან სტრიქონს) ქმნის გარკვეულ ვარიაციებს იმის მიხედვით, სეგმენტში 3+2 განლაგებაა სიტყვებისა, თუ 2+3 (უფრო გავრცელებული). 3. დაბოლოს, იმაზე, მეტრული სერვის სახე ზუსტადა დაცული რეალიზებისას, თუ — გარკვეული პოზიციებიდან დარღვეულია. ამ, მესამე, პუნქტზე ოდნავ უფრო დაწერილებით უნდა შევჩერდეთ.

შეტრი რიტმულ ვარიაციებად რეალიზებისას ხანდახან ვეაჩვენებს ზოგ ისეთ ფორმას, რომელიც ერთოვალოა აგების სტრუქტურულ წესებს არღვევს, ეს კურძოდ ეხება ორწევრებს (ორგორიც ჩანს, სიტყვა — დარღვევა მაიც ბრჭყალებში უნდა ჩაისვას).

ვადრე ვაჩვენებდეთ ფაქტობრიცე სურათს, უნდა ჩემოვაყალიბოთ შემდეგი წესი: რიტმულ ვარიაციებად რეალიზაციისას „დარღვევები“ გამოჩენდებიან ისეთ ვითარებაში, როდესაც მთელ მოცემულ ლექსით ნაწარმოებში მეტრის სახე განსაზღვრულია, ასენილია, ე. ი. „დარღვევის“ შემცველი სტრიქონი ან სხვა სიგრძის მონაკვეთი წარმოდგენილია „სწორი“ ფორმების ფონზე ძალზე იშვიათ და ერთეულ — გარკვეული მოდერნიზაციების ამსახველ — შემთხვევებში შეიძლება გვქონდეს ნაწარმოები, რომლის უმეტესი ნაწილი (ან ბოლიანიდ ნაწარმოები — კიდევ უფრო გამონაკლის შემთხვევებში) „დარღვევის“ შემცველ ფორმებზეა აგებული, მაგრამ ამ დროსაც პრინციპულად იგივე მექანიზმი მოქმედებს: „სწორი“ ფორმები, თუ ისინი მოცემულ ტექსტში ნაკლებად არიან წარმოდგენილი (ან სულ არ არიან) მაიც მოქმედებენ განმსაზღვრელი ძალით ზოგადი პოზიციების ვითარებიდან (უნდა გავიმეოროთ, რომ ასეთი შემთხვევები იშვიათია).

„დარღვევების“ შემცველი შემთხვევები, რომლებიც გარკვეულ რიტმულ ვარიაციებს ქნიან, თუ ძირითად ჯგუფში ერთიანდებიან.

1. ენობრივი საზღვრები სიტყვებს შორის არ ემთხვევა ორწევრებში რიტმულ გასაყარს. ლაპარაკია, რა თქმა უნდა, არა ორწევრების რიტმული გასაყარის მოშლაზე, არამედ იმაზე, რომ ამ, მოცემულ, ადგილზე არ ვვაქს ენობრივი სიტყვათვასაყარი, მაგრამ

ლექსის შოცუმული ერთეულის, ორწევრების, რიტმული გასაყრაო  
შთელი მეტრული სქემის შიხედვით, მოქმედებს. არსებობს შემდეგი  
ძირითადი შემთხვევები.

1) ენობრივი სიტყვაგასაყარი არ ემთხვევა რიტმულს ისე, რომ  
იგი მასთან შედარებით გადაწეულია მარცხნივ ერთი მარცვლით.  
განსაკუთრებით ხშირია  $4+3$  მეტრულ სქემაში  $3+4$  სიტყვიერი  
გაფორმების გამოჩენა: „თქვე მაისმა: „მე თქვენგან/დაბმულვარ,  
ისე ვარ-და“ ( $3+4$ ) — ბესიყი; ასევე —  $3+3$  ორწევრების ადგილ-  
ზე  $2+4$  გაფორმების გამოჩენა: „ანგელოზს ეჭირა გრძელი პერგამენ-  
ტი“ ( $2+4$ ) — გ. ტაბიძე; ასეთი შემთხვევის მაგალითია  $5+3-ში$   
 $4+4$  გაფორმების გამოჩენა, რაც სიკმაოდ ხშირად შეიძლება აღ-  
ძოვაჩინოთ, და სხვ. (რომ მართლაც სიტყვათგასაყარისა და რიტ-  
მული გასაყარის არდამთხვევასთან გვაქვს საქმე — მათ შორის მან-  
ძილი ერთი მარცვალია, და არა რიტმული გასაყარის გადაწევასთან  
ერთი მარცვლით, ეს თვალსაჩინოდ გამოჩხდება, თუ, მაგალითად,  
 $3+3-შე$  აგებული ლექსიდან, ვთქვათ „ანგელოზს ეჭირა გრძელი  
პერგამენტი“, სიტყვიერ გაფორმებას  $2+4$  „გრძელი პერგამენტი“  
გადავიტანთ ლექსში, ვთქვათ „მზეო თიბათვისა“, რომელიც მთლია-  
ნად აგებულია  $4+2$  ორწევრების  $2+4$  ალტერნაციზე; ჩვენ ადვი-  
ლად ვნახავთ, რომ  $2+4$  „გრძელი პერგამენტი“ სულ სხვა რიტმუ-  
ლი აგებულებაა, როდესაც იგი წარმოადგენს  $2+4$  ორწევრიან კონ-  
ბინაციაზე დამყარებული ლექსის წევრს, და — სულ სხვა, როდე-  
საც  $3+3$  კომბინაციაზე დამყარებული ლექსის წევრს).

2) სიტყვებს შორის ენობრივი საზღვრი რიტმულ გასაყარ-  
თან შედარებით გადაწეულია უკან, მარცხნივ სამი მარცვლით. ეს  
არის უიშვიათესი შემთხვევები, რამდენიმეჯერ გამოვლენილი, მა-  
გალითად, დაბალი შაირის სტრიქონში, როდესაც  $5+3$  ორწევრები  
სიტყვიერად გაფორმებულია როგორც  $2+6$ : „მან უთხრა: ფრიდონ  
ხელმწიფე, მეფე მულლაზაზარისა“ — რუსთველი; გეხვდება დღე-  
ვანდელ ნიმუშებშიც, მაგალითად,  $4+2$  ორწევრებში — გაფორ-  
მება  $1+5$ .

3) ენობრივი საზღვარი არ ემთხვევა რიტმულს ისე, რომ იგი მას-  
თან შედარებით გადაწეულია წინ, მარჯვნივ, ძირითადად — ერთი  
მარცვლით.

მაღალი შაირის სტრიქონში ( $4+4)+(4+4)$  — სიტყვიერი გა-



ცორშება  $(5+3)+(4+4)$ : „იგი მპყრობელი ხელმწიფე  $(5+3)$  სამართლია რესა მიღებულა, /დიდებულთა პირი სისხლით, ტანი შავად მიღებულა“. — თეიმურაზ I; ან —  $(4+4)+(5+3)$ : „პატრონისა ბრძანება-ზედ მონანი მალ გააქცია./ხამს იცოდეს ყველა რამე, ყინ რის კარგი კაცია  $(5+3)$  — არჩილი; იგივე ვითარება შეიძლება შევ-ხდეს რვამარცვლიან სტრიქონში, როდესაც  $4+4$  მეტრული სახე გაფორმებულია როგორც  $5+3$ , მაგალითად, აკაკის ზოგ ლექსში: „დე მისთვის გავლარიბდეთ, /ზურგს მოვიდვათ საწყლის გუდა; პატიოსან ლარიბს რით სჭობს/გამდიდრებული იუდა?“  $(5+3)$ .

გაფორმება  $5+2$ —ორწევრედში  $4+3$ . მაგალითად, აკაკის „ციტი-ნათელაში“: „აბრეშუმის პეპელა, /ფურტკარი და წურბელა, /შენზედ სარგებლიანი/შენ გენაცვალოს ყველა“/ზოლო სტრიქონში გვაქვს  $5+2$  — უფრო ზუსტად  $1+4+2$  — სიტყვიერი გაფორმება); იგივე შემთხვევაა  $(4+0)+(4+3)$  სტრიქონში, როდესაც გვაქვს გაფორ-მება  $(4+0)+(5+2)$ , მაგალითად, პირველი სტრიქონი ბარათაშვილის „ჩილის“ შემდეგ სტროფში: „მძი სოფელი უზრუნველობით შენობს, /გარდა დედის ოლერსისას არრას ჰერიცნობს, /ნებიცრობით და ღიშილით სულდგმულობს, /ყოველსავე შეუპოვრად მჭვრეტელობს“, იგივე — „სული ობლოში“ და სხვ.

გამონაკლის შემთხვევებში რიტული გასაყარის ადგილსა და ენ-ობრივ სიტყვათვასაყარს შორის სხვაობა ორი მარცვლითაც შეიძლება იყოს, მაგალითად,  $4+4/2+6$  მეტრულ ფორმაში  $6+2$  გა-ფორმების გამოჩენა ზოგ თანამედროვე ნიმუშში: „სასწაულებრევი ქალის/პირეელყოფილების მლოცველს/ყოვლისმწყალობელშა წყა-ლის/სილრმე, გამძლეობა მოგცეს“ — ოთ. ჭელიძე და სხვ.

4) ორწევრედის ფარგლებში სიტყვათვასაყარი არ გვაქვს. მაგა-ლითად, ა. კალანდაძის ლექსში „განა ნუშის ტოტი“, რომლის სტრი-ქონები აგებულია  $4+2/2+4$  ორწევრედზე, ერთხელ სტრიქონი შარმოადგენს ერთსიტყვიან ფორმის: „ლურჯი ქერუბინი/დგას სიყ-ვირთა ხშობად/უსისრულობისკენ.../ ისიც... ისე ობლად“. ასეთივე რიგის შემთხვევები შეიძლება უფრო აღრეც აღმოვაჩინოთ: გურამი-შვილის ერთი ლექსი, კერძოდ,  $(4+4)+(4+2)$  სტრუქტურის სტრი-ქონებში ყოველთვის ერთ სიტყვად გაფორმებულ  $4+2$ -ებს შეი-ცავს: „ყრძავ, გონება უგუნური აგონიარეო, /თავს ნუ გახდი ულო-ნოდა, აღონიარეო“ და სხვ.



2. მეტრული სქემით ნაგულისხმევი სიგრძეები ერთეულებით შეასრულდებია, ან დამკლებული. ამ ჰუნტებში ფაქტიურად შემოდის დამატება ან მოკლება ა) მარცვლის ან მარცვლებისა, ბ) სეგმენტისა, გ) რომელიმე რიტმული ერთეულისა.

1) სეგმენტის გაზრდა — სეგმენტისთვის ერთი მარცვლის დამტება. ემატება ორწევრების პირველ შემაღენელ მუხლსაც, მეორესაც.

პირველი მუხლის შემთხვევაში განსაკუთრებით გავრცელებულია 5-მარცვლიანის აღგილზე 6-მარცვლიანის გამოჩენა.

სტრიქონს  $(5+3)+(5+3)$  ენაცვლება  $(6+3)+(5+3)$  ან  $(5+3)+(6+3)$ : „ხვაშიადთ თქმასა მრავალთან დაპეგმობენ ბრძენთა დასები, /სადაცა ვლე ვერცად ვნახე  $(6+3)$  საიდუმლოთა მფასები“ — საბა, „ლეგნდებში და ფაფრებში გახვეულია კოლხეთი, /ეს მხარე სულ სხვა მხარეა, ღმერთო დიდებულო, მოხედე  $(6+3)$  — შ. ნიშნიანიძე;

სტრიქონს  $(5+4)+(5+0)$  ენაცვლება  $(5+4)+(5+0)$ : „ამ საღარენი განისაკვენებს შშვილი სინათლე/სავსე უდიდეს მწუხარებით და სიყვარულით./ამ წიგნის ფურცლებში დაპერის მისი 6+4 სასახლის ლანწინი“ — გ. ტაბიძე;

სტრიქონს  $5+5$  ენაცვლება  $6+5$ : „თუ ბრძოლა არ არის ამოებით,  $(6+5)/$ მათ ენატრებათ ისევე ძველი/ფანტასტიკური საღამოები.../ვიგონებ, ველი.“ — გ. ტაბიძე. ასევე სტრიქონს  $5+4$  ენაცვლება  $6+4$  და სხვ.

რა ოქმა უნდა, მხოლოდ 5-მარცვლიანი მუხლის 6-მარცვლიანით შეცვლასთან არ გვაქვს საჭმე:

სტრიქონს  $4+4$  ენაცვლება  $5+4$ : „ეგ კი არაღა, სისხლის მოხევარ  $(5+4)/$ წიგნს დავდებ და დავიძიდებ —/მე რომ ვარ, მე რომ მე ვარ, /ორზევს წიგნისას არ ვიყადრებ“. — გ. ლებანიძე;

სტრიქონს  $4+3$  ენაცვლება  $5+3$ : „კუბოზე ჭრიანი გინთია  $(5+3)/$ არა როგორც დამხრჩვალი. —/სახრჩობელას ჭყიდია/ჩანგი, როგორც ხინჯალი.“ — გ. ლებანიძე.

სტრიქონს  $4+2$  ენაცვლება  $5+2$ : „არაფერი! არწიოს/მოკლებია ლურჯი./თავჩალებით გასწიოს/წუთისოფლის ხნულში —/სასაფლაოთი გულში“  $(5+2)$  — გ. ლებანიძე და ა. შ.

მეორე სეგმენტში მარცვლის დამატების ნიმუშები:



$(4+4)+(4+4)$ -ის ადგილზე —  $(4+5)+(4+4)$ : „ალიონინ მარცხენა ბეჭედით გა-ცა-ესნა“. — საბა;

$(5+3)+(5+3)$  სტრიქონის ადგილზე —  $(5+3)+(5+4)$ : „მა-დ-ლობელი ვარ, შენი ვარ, ჩემო დედულო და მამულო  $(5+4)$ , მაგ უწარე კვალმა მატიროს, მაგ მწვანე კვამლმა გამმუროს“. — შ. ნიშ-ნიანიძე;

$(3+3)+(3+3)$  სტრიქონის ადგილზე —  $(3+3)+(3+4)$ : „დიუენ-სის გმირივით ცეცხლთან ჩაფიქრება.. /ღამეა, საცაა სანთელი ჩა-მიქრება  $(3+4)$ “ — გ. ტაბიძე; ან —  $(3+4)+(3+3)$ : „ერთ დილას ბაცშვებშა ცისკილურს გახედეს:/იწიელეს რაჭეტებმა  $(3+4)$  ლუ-კარდი ვაკვეთეს“. — მ. ლებანიძე.

$(5+4)+(5+0)$  სტრიქონის ადგილზე —  $(5+5)+(5+0)$ : „ადეჭ-ბულბულო, ვარდის სიტყვით მებალე ნახე,/თუ წყრომით იყოს, თავი მოიკალ  $(5+5)$ , კარს დაენარხე“ — ბესიძე;

$5+5$ -ის ადგილზე —  $5+6$ : „ააჭიატებს წითელი მზე და/ლურჯი აზონი კახაშბლის ქენწეროს  $(5+6)$ “ — მ. ლებანიძე;

$4+4$ -ის ადგილზე —  $4+5$ : „ამიტომაც ხუთივე ჭიქას  $(4+5)$ ,/ — სიტყვა თუ ვთქვა, ენა გახმეს“. — მ. ლებანიძე;

$4+2/2+4$ -ის ადგილზე —  $4+3/2+5$ : „ყოველივე საგანს/ეში-ია, /სციფა და გადანაქანს  $(2+5)$ /ტყეში ნიაგეს“. გ. ტაბიძე. და ა. შ.

შეიძლება დაემატოს ორსავე მუხლს. მაგალითად,  $4+4$ -ის ად-გილზე —  $5+5$ : „წერს: არ ვამბობ, რომ ერთი ვარ!“/წერს: „რამე-თუ ვლექსობ, /მაშასადამე, პოვტი ვარ!“ და  $5+5/ინვე დასტენს:$  „ეგზომ“. — მ. ლებანიძე.

შეიძლება შეგხვდეს დამატება ერთზე მეტი მარცხლისაც. მაგა-ლითად,  $7+5$  სტრიქონი —  $5+5$ -ის ადგილზე: „ჩემს გალაკტიონს შე გვითხე ერთხელ/(ის მთვრალი იყო, როგორც ყოველთვის):/— ბატონო გალაკტიონ, ოქვენ პირველი ხართ.  $(7+5)/დაგვისახელეთ$  შეორე პოეტი“. — მ. ლებანიძე.

2) სეგმენტის დამოკლება — სეგმენტისთვის მარცხლის დაკლება. ყულდება პირველ სეგმენტსაც, მეორესაც.

პირველ სეგმენტში:  $(5+4)+(5+0)$  სტრიქონის ადგილზე —  $(4+4)+(5+0)$ : „მე დავემალო კვლავ, გავექცე ჩემს მბრწყინავ ცოლილს./ასე დიდებულს ლამაზ ცას და ჭვეუანას შორის, /და და-კინზეა იმ უძირო სიცარიელეს“.  $(4+4)+(5+0)$  — ა. კალანდაძე:



ახ — (5+4)+(4+0): „მე ჩა ვიცოდი, თუ სწყუროდა პატარა ქალაქში (5+4)+(4+0)/ნაყენი დამრჩა მშვენიერი პატარა ფური“. — გ. ლებანიძე;

5+5-ის ადგილზე — 4+5: „თან დაგიმარხეს, როგორც მარგალიტა, ჩემი გულის მდუშარე ფსკერი (4+5)“ — ა. კალანდაძე,

4+3-ის ადგილზე — 3+3: „ვარსკვლავები ბზუიან/იდუმალს, იდუმალს, (3+3)/გვპირდებიან, სტყუიან.../მშვიდობას, მშვიდობას“. — გ. ლებანიძე.

4+2/2+4-ის ადგილზე — 3+2/1+4: ყოველივე საგანს/ადგილი აქვს, თვითნიავთაგანს (1+4), ბილიკს“. — გ. ტაბაძე (აქვთ, ბოლო სტრიქონში, 4+0-ის ადგილზე გვაქვს 2+0) და სხვ.

ტეორე სეგმენტში: (5+5)+(5+0)-ის ადგილზე — (5+4)+(5+0): „შროშანთა შლილნი, ყარამფილნი, შეგნით ზვეობენ, (5+4)+ (5+0)/თვალნი ლამაზად ეშეის სიმღიღრით მიმოარობენ, /სუმბულ-კინძო, ვარ-ცვარ-მინამო, შევრეტნი ხარობენ, /ვფიცავ, იგ შეხა ერმი და დია მაზედ დარობენ“. — ბესიკი;

(3+3)+(3+3)-ის ადგილზე — (3+2)+(3+3): „არიან კაცნი (3+2) — მცხოვრებნი წარსულით, არიან კაცნი — მცხოვრებნი აწ-მყოთი; მომავლის ოცნებით მე ვიყავ ჯვარცმული, /კოშკებს მომავლისას ვშლიდი და ვაწყობდი“. — გ. ლებანიძე. და სხვ.

პირველი სეგმენტშიც და მეორეშიც შეიძლება იშვიათად შეგვეღეს დამოკლება ერთზე მეტი მარცვლით. მაგალითად, (5+5)+(5+5)-ის ადგილზე საბა ერთხელ ხმარობს (5+3)+(5+5)-ს: „ძლიერებისა წან დიდად (5+3) მოღვაწეთ ხალხნი ვამოჩნდებიან, /პატიოსნების შესამოსელი სიწმინდის ტანთა მისგან შევნიან“: 4+3-ის ადგილზე ნახმარია 2+3: „მიძასუხებს მეგობარი/ყურჩე ტუნის დადებით/დაგვიმარცხეს მეომარი, /ჭურში ბრძანდებით“ (2+3) — გ. ლებანიძე და სხვ.

3) ორწევრების ადგილზე მოკლე მონაკვეთი რიტმული გასაყარის გარეშე.

ეს არის ძალზე იშვიათი შემთხვევა. ნიმუში: „დონ უჟანი საყდრისთვის ცდებოდეს! /ეპისკოპოსი ბარდელში დადიოდეს! /ზარემ ესეც თქვას, ესეთიც ხდებოდეს, — /სამშობლო ხელო ეპყრის ბობოლის ათიოდეს!“ — გ. ლებანიძე. ლექსში ყველა სტროფის სტრუქტურაა — (3+3)+(3+3)/(3+3)+(3+4)/(3+3)+(3+3)/(3+3)+(3+4),

მოცემულ სტროფში კი, პირველ და მეორე სტრიქონებში, გვაქვს ერთგან —  $4 + (3+3)$ , მეორეგან —  $5 + (3+4)$ .

#### 4) სეგმენტის დანატება.

ვ. ტაბიძის „სასაფულაოში“  $(5+5) + (5+5)$  სტრუქტურის სტრიქონებია. პირველ სტრიქონში გვაქვს კიდევ ერთი  $5$ -მარცვლიანი შუხლი, ჩამატებული ორ ათმარცვლებს შორის: „სარკოფაგიდან დგება შუმია. რა სიჩუმეა. ჰაერი ღურჯი აბრეშუმია“ (ლექსი შეიძლება განვიხილოთ იგრეოვე როგორც  $5+5$  სტრიქონებისგან შემდგრინი; ამ შემთხვევაშიც საქმე გვექნება ერთი სეგმენტის დამატებასთან), შემდეგ ბოლოშდე — ჩვეულებრივი სტრიქონები: „ორხიდეები ეცემა ნილოსს, როს მხურვალება ქვიშაზე კვნესის, /უნდა, რომ სული არ მიისილოს, უნდა სამარე ჰპოვოს რამზესის“ და ა. შ.

ხშირად გვხვდება ასეთი დამატება  $(5+4) + (5+0)$  სტრიქონებისგან იგნიულ ლექსებში. აქ შეიძლება გამოჩნდეს:  $(5+5+4) + (5+0)$  სტრიქონი („წითელი კაცი მოახტა მერანს, ვაიარა წითელი შარა“ — გ. ტაბიძე),  $(5+4) + 5 + (5+0)$ ,  $(5+4) + (5+5)$  და სხვ.

#### 5) სეგმენტის დაკლება.

$(5+4) + (5+0)$ -ის ადგილზე —  $4 + (5+0)$ : „შენ გისმენ ისე, ვით მზე უსმენს ოკეანეებს/და ციმციმებ, ბრწყინავ მისავით“. — ა. კალანდაძე;

$4+3$ -ის ადგილზე — 3: „თოვს და ჭერს ველოდებით, /თოვს და „ვოლგა“ ბრმავდება, /ლიხის ქედზე ვპრკოლდებით, /თოვს, საძილელ ვსწორდებით — /ღამდება“. — მ. ლებანიძე. და სხვ.

ყველა ჩამოთვლილი დამატება-დაკლების შემთხვევებში სტრიქონები არ ქმნიან დარღვეულ რიტმს, ან დესტრუქციულ ლექსს — როგორც ითქვა, ყველაფერი ეს ხდება „სწორი“ ფორმების ფონზე. ისიც უხდა აღინიშნოს, რომ ლექსში ერთ ან ერთზე მეტ ადგილზე „დარღვეული“ ფორმის გამოხენა თავისთავად ქმნის შესაძლებლობას შეიქმნას ლექსი, რომელიც მთლიანად ასეთ ფორმაზე იქნება აგებული; ბუნებრივია, რომ ასეთი შესაძლებლობების რეალიზაციები შოთიქებნება კიდეც, როგორც მოღერნისტული ნიმუშები.

ხელოვნება



შიშით, ცდილობდა თვალი დაეხუჭია, ჰესეს თქმისა არ იყოს კატეგორია ეგონა ახალი თამაშები" — ატრაქციონები და ქროსვორდები, დაევალუებინა ის, რაც მას ელოდა.

ახალი ხელოვნებია თავდა წარმოადგენდა ამ ატრაქციონს — „ქროსვორდების ეპოქის“ პროდუქტს. თავდაპირველად მას მხოლოდ ობივატელთა გართობა ეკისრებოდა. შავრამ ლროთა განშავლობაში კინემატოგრაფს ახალი თვისებები აღმოუჩინეს.

ბნელ დარბაზში ეკრანული ხელოვნების ჰიპნოქტელებამ ნათელი გხინდა, რომ კინემატოგრაფს შეეძლო არა მარტო აღედგინა ერთობა ხელოვნებისა და მაყურებელს შორის, ესოდენ შესუსტებული „კროსვორდების ეპოქაში“, არამედ თვით მაყურებლის, ადამიანთა შორის კავშირის ღამისარების უნარიც აღმოაჩნდა: ყველას ერთნაირი ჩეიქცია უჩნდებოდა, მაგალითად, ლიუმიერების მატარებლის შემოსვლაზე.

ფილმის ყურება უნდა გადაქცეულიყო რიტუალად, ადამიანთა სულიერი შეკვაშირების საშუალებად. ეკრანული სამყარო, რომელიც სარკისებურად იმეორებდა რეალურს, ქმნიდა ნაცნობი გარე-შოს ილუზიას. მაყურებელი ძალდაუტანებლად „შედიოდა“ ამ სამუაროში, ყერთდებოდა ფილმის გმირებს, ტოვებდა საკუთარ თავს, იხსნებოდა სხვისთვის.

ეიზენშტეინთან ეკრანული ხელოვნების ამ თვისებამ მაყურებლის ექსტაზი გამოიწვია.

„ექს-სტაზის“ — საკუთარი თავიდან გამოსვლას ნიშნავს.

„ექს-სტაზის“ — აღმაფრენაა...

კინემატოგრაფმა დაუბრუნა „ქროსვორდების კაცს“ აღმაფრენის უნარი.

— ერთობის ერთობის ერთობის — ინტენსივ სტრუქტურა მარტივობის მიღებულობების შა \* \* \*

ელდარ შენგელაიას „შერეკილებმა“ — ქრისტეფორემ და ერთონზმა არა მარტო თავად გაარღვიეს საპყრობლის კარები, დროისა და სივრცის შემოსაზღვრულობიდან უსასრულობაში გაციდნენ, არამედ ჩვენც. — მაყურებელიც „აგვიყვანეს“ ამაოებაზე მაღლა და იქიდან, უსაზღვროებიდან, დაგვანახეს ჩვენივე ბუნების სილამაზე და განუმეორებლობა.



ძნელი ყოფილა ამ საპყრობილიდან განთავისუფლებულ წერტილი ყოფილა — იყო ის, ვინც ხარ, იყო სხვანაირი და „შერეკილი“ გერქვას. ძნელი ყოფილა საკუთარი თავიდან გამოსვლა და საკუთარი საპყრობილის დატოვება.... საპყრობილისა, რომელიც აჩერებს განვითარებას, წინსელას, მიწაზე ტოვებს აღმაფრენისთვის დაბადებულ ადამიანებს.

საპყრობილის მეტაფორა განუწყვეტლივ თავს იჩენს ელდარ ჰენგელაის შემოქმედებაში. მონობას ნიშნავს დახავსებული აღათწესების დაცვა „მიქელაში“, მონობაა აგული ერისთავის უუნარობა, განთავისუფლდეს თავისი კლიენტების „შეკვეთებისგან“, გადალახოს „ნორმალური ცხოვრების“ ნორმები, მონობას, საკუთარ თავში ჩაკეტვასა და უკიდურეს ეგოცენტრიზმს გულისხმობს პლატინ სამანიშვილის ამაო ზრუნვა საკუთარი სამყოფელის შესანარჩუნებლად, რაც საბოლოოდ ამ სამყოფელის დავიწროებითა და შემოფარგლით სრულდება.

საკუთარ თავში ჩაკეტვა აღამიანს სასაცილოსაც ხდის და ტრავიკულსაც. ეს მისი ბრალიცა და მისი ბედიც.

ასეთ აღამიანს დახმარება სჭირდება. ბიძგი სჭირდება, რათა ბოლოს და ბოლოს გაარღვიოს საპყრობილის კარები... გაარღვიოს საკუთარი „ეგო“ და აღმაფრენის ნეტარება იგრძნოს, შეიცნოს ის. რისთვისაც დაიბადა, გაჩნდა ამქვეყნად.

საპყრობილის მეტაფორას ქმნის ელდარ ჰენგელაია სცენარის ავტორ რეზო ჭეიშვილთან ერთად ფილმში „ცისფერი მთები ანუ დაუჭერებელი მმაგი“. ოღონდ, განსხვავებით აგული ერისთავისაგან, რომელშიც ჯერ კიდევ ცოცხლობს საპყრობილის გარღვევის სურვილი, ჯერ კიდევ ცდილობს მიღებული „როლიდან“ გამოსვლას, „ცისფერი მთების“ გმირები — ობილისის რომელიაც რედაქციის თანამშრომლები იმდენად შეგუებულან საპყრობილები ცხოვრების რიტმს, იმდენად ჩართულან ამაოებაში, რომ საერთოდ ვეღარ გრძნობენ მოახლოებულ კატასტროფას, შენობის დანგრევის საფრთხეს.

რედაქციის თანამშრომლებს, როგორც ჩანს, დიდი ხანია „გაუნაწილებიათ“ თავიანთი როლები, უპოვიათ საქმე, რომელიც კვლავ ჰესეს „ქროსვორდების ამოხსნასა“ და „ფელეტონებით გატაცებას“ ჰგავს: ერთი თანამშრომელი განუწყვეტლივ ფრანგულს სწავლობს, იროდიონი სულ შვებულებაში წასვლას აპირებს, მღებ-



ავი კიბეს დაატარებს, ბელა ყავას ხარშავს, მოლარე მუდამ ჰანგარისებს დაეძებს და თავის ტკივილს უჩივის, ახალგაზრდები ჭაღრაკს თამაშობენ...

ფანჯრიდან ერთი და იგივე პეიზაჟი მოჩანს — მოტოციკლისტები ბურთს დასდევენ წელიწადის სხვადასხვა დროს — გაზაფხულზე, ზაფხულში, შემოღომასა და ზამთარში.

მიღებული „როლიდან“ გამოსვლა არავის სურს. მით უმეტეს, რომ ეს „საქმიანობა“ საუკეთესო საშუალებაა იფიქრო... ფიქრმა ხომ შეიძლება არჩეული „როლის“ უაზრობა დაგანახოს, განთავისუფლების, პროტესტის სურვილი გაგიჩინოს. ამას კი ძალა სჭირდება!

ამიტომ სჯობს ისევ რაღაც სხვა აკეთო!

ბატონ ვასოს ღროის „მოვლის“ საუკეთესო საშუალებისთვის შეუგნია — უსაქმობითა და გულგრილობით დაგროვილი ქვეცნა-ბიერი აგრესია, შინაგანი გალიზიანება მას განუწყვეტლივ „გამოაქვს გარეთ“, როცა საქმე ამ დაწყევლილ გრენლანდიის პეიზაჟს ეხება. უცნობი მხატვრის ნამუშევრის ასლი — მელნისფერი ზღვითა და თეორი დათვებით, სურათი, რომელსაც არავითარი მხატვერული ღირებულება არა აქვს, როგორც ჩენს, დიდი ხანია ჰკილია ბატონი ვასოს მაგიდის თავზე და არც არავინ ხსნის მას რედაქტორის არაერთგზის თხოვნის, მუდარის, ბრძანების მიუხედავად. ამისთვის ხელმძღვანელობის ნებართვაა საჭირო. ბატონ ვასოს უკვე დაუწერია განცხადება, მაგრამ ამ განცხადებას რამდენიმე კაცმა უნდა მოაწეროს ხელი. რედაქტორის ბრძოლა კომენდანტთან „გრენლანდიის“ თაობაზე მთელი წელიწადი გრძელდება. ბოლოს და ბოლოს სურათს სხვა ოთახში — საზეიმო შეხვედრების ოთახში გაიტანენ... მაგრამ „გრენლანდია“ მაინც ბატონი ვასოს თავზე „აღმოჩნდება“.

ბატონი ვასოს ბედი ყოფილა ეს „გრენლანდია“... ეს სურათი არ მოასვენებს არც ახალ შენობაში, რომელიც რედაქტიამ ძველის დანგრევის შემდეგ მიიღო. ფილმის ფინალში ახალი, კომენდანტებელური შენობიდან კვლავ მოისმის ბატონი ვასოს სასოწიორკვეთილი თხოვნა — გაიტანონ, სხვაგან დაკიდონ ეს დაწყევლილი სურათი.

ბატონი ვასოს ხმა ახალი შენობიდან მოგვესმის, მაგრამ



ვგრძნობთ, რომ რეაქციის ახალ გარემოში ყველაფერი ძველებულებად გრძელდება, ვგრძნობთ, რომ არავის მიუტოვებია არჩეული როლი. უბრალოდ ძველი საპყრობილე ახლით — უფრო კომფორტუაბელურით შეიცვალა, რამაც აღბათ უფრო მტკიცე გახადა რეაქციის მკვიდრთა — ამ პატიმართა შემგუებლობის უნარი, უფრო ღრმად „მიაძინა“ თითოეული მათგანი.

მთელი რედაქციის ბედი ყოფილა ეს საპყრობილე!

ბედის ეს განცდა — დამახასიათებელი ელდარ შენგელიას შემოქმედებისათვის — განსაკუთრებულს ხდის სატირულ საღებავებს „ცისფერ მთებში“ და, ჩემი აზრით, სწორედ აქ იჩენს თავს ფილმის მთავარი ღირსებაც.

„ცისფერი მთების“ ექრანებზე გამოსვლამდე რამდენიმე წლით აღრე ჩენში აჩრთა სხვადასხვაობა გამოიწვია ელდარ რიაზანვის სურათმა „გარაჟი“ — მძაფრმა სატირულმა კომედიამ, რომელშიც იგრეთვე გაშიშვლებულია ჩეენი ცხოვრების ისეთი ნეგატიური მხარეები, როგორცაა ბიუროკრატიზმი და გულგრილობა, მოჩვენებითი კეთილდღეობა და ეგოიზმი. ფილმში ერთ-ერთ ეპიზოდურ როლს თავად ივტორი ასახიერებს — მის გმირს მთელი ფილმის მანძილზე სძინავს.

სძინავს არა მარტო გმირს, არამედ თვით რეჟისორსაც — ელდარ რიაზანვის... ის ცდილობს არ ჩაერიოს მოქმედებაში, გააზრებულად უარს ამბობს, თავისი გმირების გამოძერწვისას მიმართოს უფრო მდიდარ პალიტრას, განსხვავებულ საღებავებს, მეტი ყურადღება დაუთმოს მათ, ამის გამო შეუძლებელი ხდება ივტორის ული პუბლიცისტური პათოსის მხატვრული განზოგადება, რაც, თავის მხრივ, სატირული ინტონაციების უხეშ, „ბრტყელ“ მოწოდებას, სწორხაზოვნებას განაპირობებს.

ელდარ შენგელიას პიროვნული კეთილშობილება ნათლად ვლინდება „ცისფერი მთების“ ნებისმიერ ეპიზოდში. უელა, ვინც არ უნდა გამოჩნდეს კადრში, თანაბარ ყურადღებას იმსახურებს, რადგან ავტორისთვის ნებისმიერი ადამიანი, როგორიც არ უნდა იყოს, გარკვეული ბედის, გარკვეული მდგომარეობის გამომხატველლია. ამიტომაც „ცისფერი მთების“ ივტორი, განსხვავებით რიაზანვისგან, თავიდანვე უარყოფს ხასიათების გამძაფრებას, პედალირებას, ზედმიწევნით გროტესკს, მსახიობებთან ერთად, რომლებ-



იც არსად მიმართავენ თეატრალურ გამომსახუელობით საშუალებრივად ებს გძირთა სახეების გამოძერწვის პროცესში, „ცისფერი მოქანდაკი“ ბუნებრივი ატმოსფერო, მოკლებული ზედმიწევნით გამიძაფ-რებას, ოპერატორ ლევან პაატაშვილისა და მხატვარ ბორის ცხა-კაიას შემოქმედების ნაყოფია. ფილმის პლასტიკურ რიგში ძინი უარს ამბობენ მძაფრ რაკურსებზე, უტრირებულ ფორმებზე, გაშ-არებულ გამოსახულებაზე, რასაც, ერთი შეხედვით მოითხოვდა ფილმის იგავისებური დრამატურგია, სატირული იხტოხაცები.

თავად რეჟისორის — ელდარ შენგელაიას ბუნება უარყოფს ასეთ პლასტიკას — „ბაროკალურს“, გადაჭირებულს თავისი ფორ-მებით, რაკურსებით.

ჯერ კიდევ „შერეკილებში“ პოლიციელისა და ექიმის სახეები იძერწებოდა მსუბუქი იუმორით, თანაგრძნობით, რათა არ ყოფილიყო ამ გმირების მკვეთრი გამიჯვნა შერეკილებისგან და თანაც ავტორისეული სათქმელი. მაქსიმალურად ზუსტად მისულიყო მაყ-ურებლამდე.

„გარაფი“ ასეთ შერბილებას მოკლებულია. პირიქით, ნაყურე-ბელზე უფრო მძაფრი ზემოქმედების მიზნით, რიაზანოვი არ ერ-იდება ხასიათების უტრირებას, გროტესკს, რისთვისაც შიმართავს ძაშტაბების, ფოკუსის დარღვევას გამოსახულებაში, დაძაბულ რა-კურსებს, მკვეთრად დაპირისპირებულ შუქ-ჩრდილს. უკიდურესი ვროტესკი და „ბაროკალური“ გამომსახუელობითი საშუალებების ქრიური გამოყენება დამახასიათებელი იყო აგრეთვე ფედერიკო ფელინის „ორკესტრის რეპეტიციისთვის“, რომელსაც აგრეთვე აღარებენ ხოლმე „ცისფერ მოქბს“.

ელდარ შენგელაია, წინა ფილმების მსგავსად, „ცისფერ მოქა-ნდაკი“ ინარჩუნებს სიცხადეს, სისალავეს, გასაოცარ სიმშვიდეს გა-მოსახულებაში. ფილმის აგტორები უარყოფენ ლრმა ჩრდილებისა და ფანტასტიკური სინათლის კონტრასტს, რომელიც დღეს სატი-რული ჟანრის ფილმების სპეციფიკად მიაჩნიათ ხოლმე.

ლევან პაატაშვილი ნორმაზე მეტად ანათებს გარემოს, სადაც მიმდინარეობს ფილმის მოქმედება. ძლიერი შუქი შემოდის ფახ-რებიდან, ეფინება ოთახებს, ანათებს ნაოურებიდან, ჰერიდანაც ა. ცარანზე ჭარბობს თბილი ტონები — მომწვანო კედლები, კაქ-ტუსები, ყვითელი ავეჯი.



ეს თავად ავტორის სინათლეა, ის სითბოა, რომლის უძრავი ბითაც ფილმის გმირები — უსიცოცხლო, მოღუნებული, ინერტული ხალხი „ჯერ კიდევ ინარჩუნებენ ადამიანურობას. მათ თითქოს თავად არ აურჩევიათ ის როლი, რომლითაც ცხოვრობენ და „მუშაობენ“. ეს როლი მათ „ერგოთ“ იმ მექანიზმიდან, რომლის ნაწილს წარმოადგენს თითოეული მათგანი. ამიტომაც თავად ავტორი, ასე აქტიურად რომ იბრძვის „ცისფერ მთებში“ ბიუროკრატიზმისა და გულგრილობის, ეგოცენტრიზმისა და ინერტულობის წინააღმდეგ, არ კიცხავს კონკრეტულად არც ერთ გმირს. როგორც ამას აკეთებდა რიაზანოვი. ის ცხოვრობს ამ ადამიანებში და ჩვენც საშუალებას გვაძლევს გავითავისოთ თითოეული მათგანი.

ადამიანისაღმი ასეთი დამოკიდებულება ყოველთვის დამანასიათებელი იყო ელდარ შენგელაიასთვის. მისი აგული ერისთავი თითქოს დამნაშავეა იმის გამო, რომ კომპარომისზე წავიდა — ჭეშმარიტ შემოქმედებას მატერიალური ინტერესები ამჯობინა... მაგრამ თავად ავტორი არსად ასამართლებს თავის გმირს.

ერთდროულად უყვარს და ეცოდება იგი.

შითუმეტეს, რომ აგული არ კლავს თავის თავში ყველაზე წმინდას — სიკეთეს, არ ანადგურებს უფრთხილდება და ინარჩუნებს ფაროსის მარმარილოს. ამიტომაც ვუთანაგრძნობთ მას.

ამავე მიზნით უარყოფს ელდარ შენგელაია „ცისფერ მთებში“ კარიკატურასა და ეროტესტს. მას სურს გვაგრძნობინოს, რომ ეს ჩვეულებრივი რედაქციაა, არაფრით გამორჩეული, და ეს ადამიანებიც რაღაც არაადამიანურ ეგოზიმსა და სისასტიკეს როდი განასახიერებენ. ისინი ჩვეულებრივ ეგოისტები არიან, მათი გულგრილობა ჩვეულებრივია, მათი ინდეფერენტულობა ნაცნობია თითოეული ჩვენთაგანისთვის.

ამიტომაც ვიღებთ ასე ახლოს ეკრანულ სამყაროს, ამიტომაც ქრება ბარიერი ფილმის ყურების პროცესში ჩვენსა და ამ ადამიანებს შორის, ამიტომაც ვცნობთ თითოეულ მათგანში საკუთარ თავს. უფრო ღრმად ვუკვირდებით მათ ბედს, მთელი რედაქციის ბედს, საპყრობილების რომ არსებობდა და კვლავ საბყრობილები რომ განაგრძობს ყოფნას.

ამ თვალსაზრისით ელდარ შენგელაიას შემოქმედებას კიდევ ერთი თავისებურება ახასიათებს. რეასორტი ყოველთვის უარყო-



ფლა გატაცებას „ანალიტიკური კინოთი“, რომელიც დამახასიათებდებოდეს განდა 70-იანი წლების საბჭოთა კინემატოგრაფისათვეში „განასხვას სხვავებით „ანალიტიკური“ ფილმებისგან „ცისფერი მთების“ პუბლიცისტური პათოსი შენიდბულია, ფილმის არც ერთ ეპიზოდში არ იგრძნობა ძალდატანება — ვფიქრობთ, თავი ვიმტვრიოთ რედაქციის თანამშრომელთა ყოფის ხასიათზე. რედაქციის ცხოვრება. უკრანზე იხატება საღად, ორაზროვნების გარეშე... და ენ იცის; იქნებ სწორედ ეს სისაღავე, სიცხადე განაპირობებს მაყურებლის ნდობას ავტორის მიმართ, ეკრანული სამყაროს მიმართ.

**კინომონტაჟის შესანიშნავი ოსტატი** — ელდარ შენგელაია, ისევე როგორც თავის წინა სურათებში, უპირატესობას ანიჭებს კადრების სწრაფ მონაცემების. არსად არ არის ტემპის შეჩერება, მისი ნაძალადევი „ჩაგდება“, რასაც ესოდენ ხშირად მიშართავენ „ანალიტიკური კინოს“ ოსტატები მაყურებელში ფიქრის იმაულსების გამძლავრების მიზნით. მითუმეტეს, რომ ცნობილია გრძელი, ხანგრძლივი კინემატოგრაფიული ხედების უხარი — „გამოიყვანონ“ მაყურებელი დროებით ეკრანული სინამდვილიდან, საშუალება მისცენ მას საკუთარ თავში ჩაიხედოს, საკუთარ ფიქრებში „იმოგზაუროს“.

ელდარ შენგელაის ფილმებში (მათ შორის „ცისფერ მთებშიც“) არჩეულია ისეთი რიტმი, ისეთი კომპოზიციური სტრუქტურა, რომლითაც მაყურებელი ჯერ გრძნობს და შემდეგ ფიქრობს, ჯერ უყურებს და მხოლოდ შემდეგ ავტორის ჩარცეს, ძალდატანების გარეშე იწყებს ჭრიელის. თითქოს გული, გრძნობა ფიქრობს, გული აფასებს სიტუაციას.

გული კი ყოველთვის მართალია... ამიტომაც გვიჩნდება არა-სწორნაზოვანი დამოკიდებულება „ცისფერი მთების“ სიტუაციის მიმართ, ამიტომაც ერთდროულად გიცხავთ, და თანაც გვებრალება ფილმის გმირები, არაერთნიშნაა ჩვენი დამოკიდებულება მათ მიმართ, მთელი ამ საპყრობილის მიმართ.

ელდარ შენგელაია თავის ფილმებში ყოველთვის უარს ამბობდა ზედმიწევნით რაციონალიზმზე, რომელიც როგორც წესი, გმირის, ფილმის პრობლემატიკის სწორნაზოვანი გაგებით მთავრდება ხოლმე. ამ თვალსაზრისით შენგელაია ნამდვილი მუსიკოსია. მისი ფილმები მუსიკალური ნაწარმოებივით ზემოქმედებენ — უპი-  
10. კრიტიკა № 3



რველესად მაყურებლის გრძნობის ორგანოებს აღიხიანებულ შემთხვევაში ეს როგორც მუსიკალური ნაწარმოები, მისი ფილმებიც მხოლოდ ბაშინ „იხსნებიან“ ბოლომდე, როცა მათ სტრუქტურაში შემცველი რამდენიმე თემა მთლიანად დაუკავშირდება ერთმანეთს. კეშარიტი პოლიფონიური ნაწარმოების მსგავსად, ამ თემათი ხისველობა — მათი ხასიათი და განწყობილება მხოლოდ შემდეგ, მომდევნო თემასთან კავშირში ისატება. არც ერთი თემა არ ვითარდება ცალკე, ლოკალურად, ვანუწიავერლივ ერწყმის სხვას, „შედის“ სხვაში.

ასეთი სტილის გამო, „ცისფერ მთებს“ მხოლოდ რაციონალურად თუ მიუუდევით, ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ მიშვრული პუბლიცისტური სურათი შეგვრჩება. არა და ფილმი გაცილებით უფრო დრმა, მარადიულ პრობლემებს სვანს.

„ცისფერი მთების“ მხატვრულ სისტემიში ძირითადია, როგორც აღინიშნა, განმეორების მოტივი. მეორედება არა მარტო თახებშრომლობის საქმიანობა, არა მარტო „გრენლანდიის“ ამბავი, მეორედება თვით ეპიზოდების, მიზანსცენების აგების ხასიათიც, მსახიობების მოძრაობა, უსტი, შეფასება, გამომეტყველებაც კი (თუნდაც გურამ პეტრიაშვილის გმირი რომ ავიღოთ). მხოლოდ დრო რცვლება, ისიც თითქოს მხოლოდ ფანჯრის იქით და არა რედაქტირება. თუმცა დრო არც იქ — ფანჯრის მიღმა ცვლის რაიმეს — ცვლავ ერთნაირად დასდევენ ბურთს მოტოცილისტები.

ჭრითნაირად მეორედება მუსიკალური მოტივიც — გია ყანჩელის მელოდია. თითქოს რათეური იცვლება მასში.

...და მხოლოდ ამ მელოდიის განმეორების შედევრად ვგრძნობთ, რომ ეს მუსიკალური თემა ზოგან ლაპია, ზოგან კი — გვსლიანი, ზოგანაც — გროტესკული.

მხოლოდ რედაქციის თანამშრომლების გადაჭარბებული ყურადღებისა და გულისხმიერების ვანმეორება გვადგრნობინებს ამ ყურადღების მიღმა (თუნდაც დირექტორის „ძალიან კარგი!“ გავისეენთ) გასაოცარ პირმოთნეობას, მოჩვენებითობას, ფარისევლობას.

სოსოს მიმართ რედაქციაში ხომ არავინ იჩენს გულგრილობას — სულ „სადა ხარ, ბიჭოს!“ ეუბნებიან, იროდიონი კი შვებულებაში წასვლის გადადებასაც პირდება, ოღონდ სოსოს თხჩუ-



ლება წაიკითხოს... და მხოლოდ ამ გულისხმიერების ვანმეტყველების თე ვცვლებით, რომ რედაქციის ცხოვრებაში ერთიმეორი, მიმართ აურადლება ყალბ რიტუალად ქცეულა.

უჩვეულოა თითქოს — ცალკეულ ეპიზოდებზე გვეცინება, ამ ეპიზოდების განმეორებისა და ფილმის დასრულების შემდეგ კი გული გვტკივა იმის გამო, რომ ალერსიანობისა და თბილად შეხვედრის ერთვნული თვისება ათასჯერ განმეორებულ, უსუსურ სპექტაკლად ქცეულა. ცალკე — რედაქციის თითოეული თანამშრომელის მიმართ სიმპათია გვებადება, მთლიანობაში კი ეს ჩაკეტილი, ჰერმეტიკირებული გარემო ჩვენს შეშფოთებას იწვევს, პროტესტის გრძნობას ბადებს.

ელდარ შენგელაიას ფილმში მხატვრული სახეც და ავტორის ეული იღეაც იბადება არა ცალკეულში, არამედ მთლიანში, ფილმის მხატვრული სტრუქტურის საბოლოო შექმნის, დასრულების შემდეგ, დროსა და სიერცეში მისი განვითარებისა და ჩამოყალიბების შემდეგ, და რადგანაც ნებისმერი მთლიანობა ერთობას, ჰარმონიას გამოხატიას, განსხვავებული თემების შერწყმის შედეგად, ცლდარ შენგელაიას ფილმის მხატვრული სამყარო, როგორც მთლიანობა თავის თავში მოიცავს ანტიონშიებს, რომელთა საბოლოო გაერთიანებას უკვე მაყურებელი ახდენს თავის გრძნობებში, თავის ფიქრებში ფილმის დასრულების შემდეგ.

ანტიონშიების მაღალმხატვრული დაკავშირების უნარი კერ „სამანიშვილის დედინაცვებლში“ ვამოვლინდა. პლატონ სამანიშვილის დრამა ელდარ შენგელაის ფილმში, ერთის მხრივ, უკოიზმას, რაინდობის კვდომის გამომხატველია, ნეორეს მხრივ, კი ადამიანური ღირსების შენარჩუნებისთვის ბრძოლის მანიშნებელი.

ამ ერთიანობაში არ არის დუალიზმი, მთლიანობის მიღწევა ფილმის დასრულების შემდეგ ხდება. ე. ი. ამ მთლიანობის დასრულება უკვე მაყურებლის ნიჭე, მის მერძნობელობაზე, მის ინტელექტზე და, რაც მთავარია, ჰარმონიის, მთლიანობის შეგრძების მისეულ უნარზეა დამოკიდებული. ამრიგად, ავტორის სათქმელი მუსიკალური ნაწარმოების მსგავსად ლოგიკურად შეიძლება ბოლომდე გამოუხატავიც იყოს (ალბათ ამიტომაცაა, რომ „ცის-ფერი მთების“ ეკრანებზე გამოსვლისთანავე ჩვენს პრესაში გამოქვეყნებულ რეცენზიებში ავტორის სათქმელი, მისი პოზიცია გან-



სხეავებულად არის წარმოჩენილი), რადგანაც სათქმელია უკვე თავად  
რკვეულ საზღვრებში მოქცევას ნიშავს, ჩაკეტილ, დასრულებულ  
აზრს. ელდარ შენგელაია კი გამუდმებით იბრძვის ჩაკეტილობის  
წინააღმდეგ (ამაზე ქვემოთ). ავტორის სათქმელი მის ფილმებში  
ძირითად მაყურებლის ინტეიციამ, მისმა სულმა უნდა „გაარკვიოს.“  
სული კი, როგორც ცნობილია, საზღვრებს მოკლებულია, ანტინო-  
მიათა გერთიანება მასში ბუნებრივად ხდება.

საყურადღებოა ამ თვალსაზრისით რამაზ გიორგობიანის გმი-  
რი — სოსო, ცხადია, მხოლოდ ტიპაჟური თვისებურების გამო არ  
იყვანა ამ როლზე რეასორტმა მსახიობი.

შაყურებლის ხსოვნაში რამაზ გიორგობიანმა უკვე დაიმკვ-  
ილა ადგილი, როგორც ნიკოს როლის შემსრულებელმა ოთარ  
ისახელიანის ფილმში „გიორგობისთვე“. ამ როლით დაიმკვიდრა  
ადგილი, როგორც სიმართლისთვის, სიმართლის აღდგენისთვის მე-  
ბრძოლმა კიმა, რომელსაც ბოლომდე ამოძრავებს სიყალბისა და  
ფარისევლობის სიძულვილი.

ანალოგიურ კონფლიქტს, ანალოგიურ გმირს ველით „ცის-  
ფერი მთების“ პირებლ ეპიზოდებში, როცა რედაქტირის თანამშრ-  
ომლები ენთუზიაზმით ხვდებიან სოსოს, ნაწარმოების დაუყოვნე-  
ბლივ წაკითხვის პირდებიან — შემდეგ კი არ კითხულობენ, ამსო-  
ლუტურ გულგრილობას იჩენენ მის მიმართ.

მაგრამ ნიკო აქ სოსოდ იქცა. უწინდელი ბრძოლისუნარიანო-  
ბა დაკარგა, მოღუნდა და ოანდათან საერთო ფერხულში, საერთო  
მექანიზმში — მთლიანობაში მოექცა. რედაქტირის ატმოსფერო მას  
სწრაფად გადაედო — მოტობურთის ფედერაციის კომისრის ლე-  
ქსები დაუფიქრებლად მისცა სხვას წასაკითხად და მოიქცა ზუს-  
ტად ისე, როგორც სხვები ექცეოდნენ.

ელდარ შენგელაიას ფილმის მხატვრული სისტემა თავისი  
მთლიანობით უკვე აღარ შეიცავს იმ დაპირისპირებას, რასაც ად-  
გილი პქონდა „შერეკილებში“, როცა აღმაფრენის ვნებით აღსავს ე  
რომანტიკოსები, მიწაზე მცოცავ ობივატელებს უპირისპირდებო-  
დნენ. მაგრამ აქცა ერთ პარადოქსს აქვს ადგილი. ფილმის საერთო  
ტონალობას, აღნიშნულ მთლიანობას, ერთობას, მისი საპირისპირო  
მხარე, მისი ანტინომია უპირისპირდება — დაქსაქსულობა, გაუც-  
ხოება, კავშირის რღვევა.



აქ არა მარტო ადამიანთა ურითერთობაა დარღვეული ცენტრული შეკვეთისათვის, არა მარტო კი განუწყვეტლივ დუმს), დარღვეულია და აბსურდამდე მიყვანილი თვით ენაც... აღარც ის არის საკმარისი კონტაქტის დასამყარებლად. ამიტომაც სიტყვა-პასუხი მოიცავს ალოგიურობას, უაზრობას. ივანე საყვარელიძის გმირის შეკითხვაზე — მიიღებს თუ არა მას დირექტორი, მდივანი ქალი პასუხობს: „მიღებით არა, მაგრამ თქვენ უარს არ გეტყვით“ (?)

რედაქციის თანამშრომლების უკონტაქტობას ემატება მათი გაუცხოება საკუთარი საქმისაგანაც, თითოეულ მათგანს თითქოს დავიწყებული აქვს თავისი საქმე, რის გამოც „სიცარიელეში ექცევა“ (სოსოს სიტყვებია. სიცარიელე კი ადამიანს მუდამ აშინებს, ცდილობს როგორმე თავი შეიქციოს — უაზრო „როლი“ აირჩიოს, „როლი“, რომელიც არ მოითხოვს განსაკუთრებულ ენერგიას, ძალას, არ მოითხოვს ცოცხალი კუნთის დაძალვას, იმ კუნთისა, რომელიც თითოეულ მათგანს — რედაქციის თანამშრომლებს მოდუნებული აქვთ, ატროფირებული. ამიტომაც გაპყავთ დრო ფრანგულის სწავლით, სამსახურში საუზმის მომზადებით, ჭიდრაკის თამაშით.

საკუთარი საქმისაგან გაუცხოებას საგნებან (და არა მარტო ადამიანებთან) უკონტაქტობაც ემატება. ამ მხრივ ნამდვილი ომოჩენაა თეიმურაზ ჩირგაძე — რედაქციის დირექტორი. მისი დამოკიდებულება ნივთებთან ისეთივეა, როგორც ადამიანებთან — ხელით ეხება, მაგრამ თითქოს ვერ გრძნობს, ვერ აღიქვამს ამ საგნებს, ნივთებს. თანაც შეხების ეს აქტი ყოველთვის გამძაფრებულია, დანახვისთვის გამიზნული, როგორც მისი პირმოთნეობა, მოჩვენებითი ყურადღებიანობა.

წინააღმდეგობა მოჩვენებით გულისხმიერებასა და გულგრილობას შორის...

ამ ორი განსხვავებული მხარის ერთად არსებობა კომიკურ ეფექტს ქმნის „ცისფერ მთებში“. კომიკური მთელი ფილმის განმავლობაში სურათის მხატვრული სისტემის ზედა შრებს იქავებს და პუბლიცისტიურ პათოსს საშუალებას არ აძლევს წინ გამოვიდეს.

განმეორების მოტივი კი იმდენად თვალშისაცემი ხდება, რომ მაყურებელი თანდათან გრძნობს, რომ ამ გაუთავებელმა განმეორებამ — რედაქციის თანამშრომლების არსებობის ერთფეროვანმა



რიტმმა თავისი ლოგიკური ფინალი უნდა პპოვოს. მითუმეტყველობაში ინერტულობიდან ყოველთვის ერთი ნაბიჯია სიკვდილამდე. ამიტომაც რედაქტიის შენობის ნგრევა არ არის მოულოდნელი ფილმის მხატვრულ სისტემაში. ის აფეთქებაა, რაც მოჰყვება ხოლმე ერთფეროვნებას. განვითარების შეჩერების შედევრია.

მთლიანობა, ერთობა, რომელიც იგრძნობოდა რედაქციის თანამშრომელთა ინერტულ ცხოვრებაში, თავისი მოჩვენებითობის გამო მაღლ დაინგრა.

მექანიზმი დროებით მოაშალა, თუმცა ახალ შენობაში კვლავ განაგრძო მუშაობა.

ამ ადამიანთა ბედი ყოფილა ეს საპყრობილე!

მაგრამ განა შეიძლება მხოლოდ „ბედით ცხოვრება?“ განა შეიძლება მთელი სიცოცხლე ანომალიური მექანიზმის ერთ-ერთი დეტალის როლს თამაშობდე და მთელი ცხოვრება ემსახურებოდე ამ მექანიზმს?

ამ ადამიანთა ბრალც ყოფილა ამ საპყრობილეში ყოფნა!

რადგანაც არა მარტო გარემო ქმნის ადამიანს, არამედ ადამიანიც ქმნის გარემოს, უპირველესად საკუთარ თავს, საკუთარ გარეშოს ქმნის. მეტიც, ადამიანს უნდა შეეძლოს გაარღვიოს სცუთორი თავიც და შეზღუდული გარემოც, რომელშიც უხდება ცხოვრება, გაარღვიოს და ამაოებაზე მაღლა ავიდეს.

თავის ერთ-ერთ ინტერვიუში ელდარ შენგელაია აღნიშნავდა: „ჩემი იდეალია, როცა ადამიანები მიღიან ზევით დაწინ, და არა ერთ იდეილს ტკეპნიან“ ამიტომაც არიან იდეალურნი ქრისტეფორე და ერთობზი, რომლებმაც გაარღვიეს შეზღუდული სიცრცე — შეზღუდულობა, ჩაკეტილობა გაარღვიეს და უსაზღვროებაში გასვლა შეძლეს.

„ცისფერი მთების“ გმირები ამ სიცრცეს გარღვევას ვერ ახერხებენ.

ალბათ შეუძლებელიცაა ამ ჩახუთული საპყრობილიდან განთავისუფლება, როცა ფილმის გმირები ჭერ საკუთარი თავიდან, საკუთარი „ეგოდან“ ვერ გამოსულან. თითოეული ისე „ჩაინებულა“, რომ ვერც გრძნობს მოახლოებულ კატასტროფას, და არც უნდა ამაზე ფიქრი. მათი სული გაზარმაცებულია, პარალიზებული.

ქრისტეფორეს შინაგან ენერგიას, მის რწმენას ვერ ზღუდვედა



სატუსალოს კედლები. პირიქით, სწორედ კედლებზე იქმნება ფრაგმენტები, რომლებიც „აღმაფრენის ხარისხს“ იკვლევდნენ. საკუთარი თავიდან გამოსვლა, საკუთარი საზღვრებიდან გამოსვლა, სხვა სივრცეში შესვლა, სხვაში შესვლა, რაც „შერეკილებში“ აღამიანის ჰერმარიტი სიყვარულის ანალოგია ხდება, ძალზე რთულია — შინაგანი ძელების თავმყრის, ფიქრს, გრძეს მოითხოვს. ეს მოსაზრება შენგელაიასთვის დამახასიათებელი კომიკური პასუხებით არის გამოხატული — ფორმულებით, რომელიც იმას მიგვანიშნებს, რომ აღმაფრენის მიღწევა მეცნიერების საჭიროა.

შერეკილები იმიტომაც არიან შეჩეკილები, რომ „რეალური“ სინამდვილის ნორმებს უარყოფენ, გამოდიან ამ ნორმების მოთხოვდან, რათა ახალ, ჰერმარიტ რეალობის შეუერთდნენ. მიწაზე დარჩენილთათვის კი შერეკილებად ჩატარდა.

„ცისფერი მთების“ გმირები ამ რეალურობის მონებად რჩებიან. მათ პრ შეუძლიათ გამოიიდნენ საკუთარი თავიდან, არ შეუძლიათ გაუგონ სხვას, არ შეუძლიათ მოუსმინონ სხვას იშირობ, რომ საკუთარი თავის „დატოვება“, უკეთ არსებული საზღვრებიდან გამოსვლა გაართულებს მათ ცხოვრებას, შეცვლის მთი ცხოვრების რიცხს, შეცვლის რისებულ დამოკიდებულებებს.

შეცვე მიღებული, დადგენილი რიტმიდან და ნორმებიდან „ამოვარდნილი“ კაცი ყველასთვის შერეკილად რჩება, რაღაც ანომალია, რომელსაც ირონიულად უყურებენ გარშემომყოფნი და, როგორც წესი, ცდილობენ მის თავიდან მოშორებას. მსგავსი სახეა „ცისფერ მთებში“ ივანე საყვარელიძის გმირი — მარკშეილერი, რომელიც პშვარად უცხოა ამ სიტუაციაში.

ატრიგად, თავის თავში ჩაეტილი ყოფა, ობივატელთა მიერ შექმნილი ნორმები და კანონები, რომლებიც გადახალისების, განვითარების გარეშე იმსურდული ხდებიან და პუმანურობას კარგავენ, ხელს უშლის ადამიანს, იყოს მგრძნობიარე სხვის მიმართ — გულისხმიერება არ დაიკარგოს, უაზრობის დინებაში არ ჩაიძიროს.

ადამიანიც და ყოფაც ერთნაირადაა დამნაშავე, როცა განვითარება ჩერდება. ელიაზ შენგელაის ფილმების — „არაჩეულ-გარივი გამოცენას“, „შერეკილების“, „სამანიშვილის დედინაცაბლის“ კვლევისას გივი ორჯონიშვიდე აღნიშნავდა: „სამივე ფილმში მღლარ შენგელიი დაუინებით ამკვილრებს აზრს, რომ ადამიანი



ვერ აირიდებს თავიდან თავისი ყოფის მაშტაბებს თუ უფრო მეტად ფრთხოების არ გააჩნია თავისი თავიდან გარეთ გასვლის საშუალებაც („საბჭოთა ხელოვნება“, 1983, № 5 გვ. 93) მაგრამ ვერც ყოფა შეძლებს განთავისუფლდეს პროვინციული კარჩაკეტილობისგან, თუ ადამიანმა არ გახსნა საკუთარი თავის საზღვრები, არ გახსნა გულისხვა ადამიანებისთვის, ჰეშმარიტი ადამიანური ურთიერთობისთვის.

ელდარ შენგელაიას ფილმების მთლიანი მხატვრული სამყარო, რომელშიც ანტინომიები ყოველთვის პარმონიულად უკავშირდება ერთმანეთს, მოყლებულია ერთჯერად მნიშვნელობას, სწორხაზოვან ახსნას. ასეთი ხასიათისაა მისი ფილმების სტილისტიკა, ასეთი ხასიათისაა მისი სურათების ფანრიც, რომელიც არასდროს არ არის „სუფთა“, ყოველთვის შეიცავს თავის შიგნით საპირისპიროს, რის გამოც ავტორის მრავალხმიანი მხატვრული სამყაროს ძირეულ შემადგენელს წარმოადგენს.

იგავისებური თხრობა დამახასიათებელი იყო შენგელაიას ფილმებისთვის. იგავის ელემენტებს შეიცავს „ცისფერი მთებიც“. ამზადი, რომელსაც გვიამბობს ავტორი, გარევეული თვალსაზრისით, დლეგორიული ხასიათისაა და, როგორც ეს იგავის შეეფერება, ზნეობრივ-დამრიგებლური დასკვნებიც ახლავს. ამიტომაც განუწყვეტილი განმეორების მოტივი, სისოს „ცისფერი მთების“ წაუკითხვობის ამბავი, მოტოციკლეტი რედაქციაში და, ბოლოს, შენობის დანგრევა მოგონილია, შეოჩეული, მას „დოკუმენტური“ საფუძველი არა აქვს.

და მაინც, ფილმის ბოლომდე არც ამბის მნიშვნელობის პირველიდობა შეიგრძნობა და არც ამ ამბის ალეგორიულობაა თვალშისაცემი, რომ აღარაფერი ვთქვათ ზნეობრივ-დამრიგებლურ დასკვნებზე, რომლებიც, როგორც უკვე აღვნიშნე, არსად არ არის გაშიშვლებული, პირიქით, ყველგან, ფილმის ნებისმიერ ეპიზოდში შეფარულია.

ამრიგად, იგავს აქვე, ერთი და იმავე მხატვრულ სისტემაში უერთდება მისი ანტინომია — ანტიიგავი — ნატურალური, დოკუმენტური სინამდვილე, რომელიც ხაზგასმულია ფილმის ნებისმიერ ცპიზოდში. მსახიობების თამაში მოყლებულია თეატრალურ პირობითობას, გროტესკს (ტიპაუების სისტემას ბრწყინვალედ უერთდება).



ება სესილია თაყაიშვილიც, კადრის კომპოზიციები თითქოს უშემსებისადმი თარევებითია, ქრონიკალური. იგრძნობა იმპროვიზაცია, მოულოდნელობა, მოულოდნელობა თითოეულ მიზანსცენაში. თვით ნგრევის ეპიზოდიც კი გამოხატულია არა „ფილმი-ქატასტროფებისთვის“ და: შეხესიათებელი გამძიფრებული რაკურსებით, არამედ ძალიან სადაც, ჩხოლოდ ყველაზე მნიშვნელოვანის გემოყოფტები, მსუბუქი შინიშნებით.

წინააღმდეგობათა ერთიანობა შეიგრძნობა ოპერატორის ნაშრუშევარშიც. როგორც აღინიშნა, ლევან პაატაშვილი გადაჭირდებულ სინათლეს იყენებს — სინათლის წყაროთა სიმრავლით კადრში, რაც განათების ბუნებრივ ეფექტს (დოკუმენტური!) ქმნის ეკრანზე. ეს ეფექტი არ იქნებოდა ბუნებრივი და ხაზგასმული პირობითი დარჩებოდა, რომ არა ოპერატორის მიერ კამერაზე დამაგრებული ნისლოვანი ფილტრი, რომელიც ნათურების ირგვლივ განსაკუთრებულ ჰქონდა „ველს“ ქმნიდა. იქმნებოდა საშუალება ფილმის პლატიკურ რივში ორგანულად დაკავშირებულიყო პირობითი — ნატურალურს, „გაგეოებული“ — დოკუმენტურს.

ანტიონომიათა ასეთი კავშირის შედეგად ელდარ შენგელაია ახერხებს შექმნას ნაცნობი, ბუნებრივი რეალობა (მით უმეტეს, რომ სურთი ნატურაზეა გადაღებული) და მხოლოდ ამ რეალობრის შიგნით მოათავსოს იგავისებური კონსტრუქციები, არ ჩაერიოს მოქმედებაში და მხოლოდ ამ მოქმედების შენიშვნულ შედებში მიმართოს ზნეობრივ-დამრიგებლურ დასკვნებს. ასეთი სტილი თითოების თავისთავიდ განაპირობებს მაყურებლის ნდობას ეკრანული სამყაროს მიმართ.

პირობითისა და დოკუმენტურის სინთეზის უნარი თავის ავტორის შინაგანი პარმონიის გამოხატულებაა, „სისწორის“ ის გრძნობაა, რომელიც ყოველთვის იჩენდა თავს ელდარ შენგელაიას ფილმებში. ამიტომაც მის სურათებში იგავისებური თხრობა არასდროს, გადადის არაკინებატოგრაფიულ პირობითობაში, არც პირობითი და არც ზედმიწევნით დოკუმენტური არასდროს ბატონობდა მის სტილში, ისინი ყოველთვის უერთდებიან ერთმანეთს.

საერთოდ, ელდარ შენგელაია არსაც ანიჭებს უპირატესობას ცალკეულს, ლოკალურს, შემოსაზღვრულს. ამ მხრივ ნიშანდო-



ბლივია კომიქურის ბუნება მის ფილმებში და განსაკუთრებულად „ცისფერ მთებში“.

სასაცილოს აქ ქმნის უპირველესად ის, რაც ბუნებრივია, ნაცნობი თითოეული ჩერენთაგანისთვის. გვეცინება ამ ადამიანთა მოჩვენებით გულისხმიერებაზე, გვეცინება დარექტორის პირმოთნეობასა და უკვე გაცვეთილ არტისტიზმზე. მაშინაც კი გვეცინება, როცა რედაქციის შენობა ინგრევა და ადამიანთა სიცოცხლე ხიფათის წინაშე დგება.

კლდარ შენგელაია თათქოს განზრას ირჩევს იმ ცხოვრების-ეულ, ნაცნობ სეტუაციებს, რომლებიც სასაცილონი არიან თავიანთი დრომოჭმულობის, ან თავიანთი გაცვეთილობის გამო. ეს სამუშაოს სიცილია, როცა კომიქური სცილდება თავის საზღვრებს და ღრმავდება, ახალი აზრით იტეართება. ილბათ ამიტომაცაა, რომ „ცისფერ მთებში“ საუბარი ხშირად გადაიზრდება ხოლმე კამათში მის კომიქურ ბუნებაზე.

„არაჩვეულებრივ გამოფენაში“ კომიცური პირდაპირ შეუკაც-შირდა მის ანტინომიას — ტრაგიკულს, „ცისფერ მთებში“ — კომიცურმა ერთგვარად შენიშვნა ავტორის პუბლიცისტური პათოსი და მძაფრ სატირად იქცა ეკრანზე.

როგორც ჩანს, შემოსაზღვრულობა, „სუფთა ჟანრის“ თუ „სუდოთა სტილის“ ნორმებს დამორჩილება საერთოდ უცხოა „ცისფერი მთების“ ავტორისთვის. ელდარ შენგელაია განუწყვეტლივ ხსნის საზღვრებს, როთაც უფრო მდიდარს, უფრო მრავალ-ემიანს ხდის თავის მხილვრულ სისტემას.

ამ მხრივ ელდარ შენგელაია, როგორც ფილმის ავტორი და როგორც პიროვნება, მოქალაქე, მკვეთრად უპირისპირდება თავის გმირებს. აქ იხენს თავს „ცისფერი მთების“ კიდევ ერთი, ყველა-ზე მნიშვნელოვანი თავისებურება.

„ცისფერი მთები“ კოლექტიური პორტრეტია. ფილმის დასტულების შემდეგ დიდხანს მიგვებდა თან რედაქციის მუშაკთა სახეები. ჩვენს მეხსიერებაში აღიბეჭდება ისიც კა, ვინც წამით გაიღვა ეკრანზე.

შეიქმნა, ერთის მხრივ, თვით რედაქციის, ჰერმეტიზირებული საბყრობილის პორტრეტი, მეორეს მხრავ, კი მთლიანობის ნაწილების — „ცალკეულთა“ პორტრეტები. ამ თვალსაზრისით გემოვ-



ლიხდა ელდარ შენგელაიას ნიჭი, მსახიობისა და ტიპაჟის შეგრძელება  
გვის უნარი, კინემატოგრაფიული რიტმის, პლაზების გინიაღმოსის  
ბული გრძელება, როცა კამერა „ცოტა წნიო მაინც“ ჩერდება შემთ-  
ხვევითზე, როცა კადრის პლასტიკურ კომპოზიციაში აქა-იქ აკო-  
ნტირებულია, ზოგან კი წინ გამოტანილი ის, რაც მიზანსცენის ში-  
ნაარსის თვალსაზრისით მეორე პლანის როლს ასრულებს (მიგალი-  
თად, მოებავი, რომელიც სოსოს ნაწარმოებს ფურტლავს). კოლე-  
ქტიური პორტრეტის დამიჯერებელმა შექმნან გამოივლინა ელდარ  
შენგელაიას უნარი, თავისი განუმეორებელი ორტისტიზმის შემწე-  
ობით, გამოვიდეს საკუთარი სახლვრებილინ და „შევიდეს“ თავის  
გმირებში, შეუერთდეს მათ. მეტიც, მათი პორტრეტები მსახიობ-  
თან და ოპერატორთან ერთად ისე გამოიქარისტოს, რომ ინდიგილუ-  
ლური შეუკავშირდეს ზოგადს, პიროვნეული, განუმეორებელი —  
ნაცნობს.

არიგად, ელდარ შენგელაია არ ემიჯნება გარემოს, რომელ-  
საც ასახეს ეკრანზე, არ ცდილობს თავი მოგვაწონოს სხვისი მან-  
კიერების მხილებით. ავტორი თავად „შედის“ რედაქციის, თავად  
ხდება გმირთა ცხოვრების თანამონაწილე. ამიტომც „ცისფერი  
მოების“ სარკაზმი ავტორის მხიარულ და თანაც სევდიან ლისარე-  
ბად იქცევა.

ავტორი, მაცლანგბელი, ეკრანული სამყარო ერთმანეთს უკავ-  
ზირდება იმისთვის, რომ ჩეენს თავში, ჩეენს სულერ სამყაროში  
დომინირება ის, რასაც განუწევეტლივ ვაბრალებთ სხვეს — გულ-  
გრილობა და სიუალებები იდიმიანთა ურთიერთობაში, ეგოიზმი და  
„სულიერი ბიუროკრატიზმი“.

ამიტომაც „ცისფერი მოებს“ ჰყავს ერთი დადებითი გშირი,  
ჰყავს თავისი რაინდი, თავისი ქრისტეფორე — თუთ ავტორი. მას,  
ისევე როგორც შერეკოლების, აქვს უნარი გამოვიდეს თავისი პირ-  
ოვნული სახლვრებიდან და ჰეშმარიტების, ერთობის აღდგნისკენ  
მოვალეობის, საკუთარი თავიდან გამოსვლისკენ, აღმაფრენისკენ  
მოვალეობის.

მიზეზი კი იმ კატასტროფისა, რომელიც დაწესებულებას ატ-  
ყდება თავს, უსაქმურობისა და დაუინტერესებლობის ზოგადი მე-  
ქანიშმად, რომელიც კონკრეტული სახით არ ჩანს ფილმში, ისევე  
როგორც არ ჩანს თვით ავტორი, რომელიც ამ მექანიზმს ებრძვის.

ეს შექანიშხი ისევ ჩვენშია, ჩვენი ეგოცენტრისტული მეცნიერება რომელიც ბორგავს, იმონებს ჭეშმარიტ „შეს“, საკუთარ თავიში გვკეტავს, საკუთარ თავიდან გამოსვლის, განთავისუფლების საშუალებას არ გვაძლევს.

მაგრამ თითოეულ ჩვენთაგანში ხომ რაინდიც ცხოვრობს, რომელსაც, ისევე როგორც „ცისფერი მთების“ ცვტორს, უნარი შესწევს დამარცხოსკი ის, რაც გვზღუდავს, ხელს გვიშლის გავხსნათ საზღვრები და შევუკავშირდეთ ჩვენთის უცხოს და თანაც ესოდენ ახლობელს — გვერდით მყოფ ადამიანს!

\* \* \*

—ჩიტი-გვრიტი მოტრინავდა“ — მღერის ერთაოზი „შერევილების“ ფინალში — მღერის იმ განცდაზე, რაც ფრენისთვის, ფრენის ნეტარებისთვისაა დამახსხიათებელი.

ადამიანი თავისუფლებისთვისაა დაბადებული.

არაფერი ყოფილა იმაზე სასიამოგნო, როცა სული თავისუფლდება შეზღუდული სივრცისგან და უსაზღვროებაში პოულობს ადგილს.

ასეთ ღროს ის მართლაც ფრინველს ემსგავსება, ბუნებას უერთდება, ბუნების ორგანული ნაწილი, მთლიანის ნაწილი ხდება.

ნეტარება ყოფილა საკუთარი სამყოფელის შეზღუდული სივრცის გარეთ გასვლა, სხვის სიყვარული.

ნეტარება ყოფილა საკუთარი თავის ღატოვება... სხვისთვის დატოვება...

\* \* \*

ლიუმიერების პირველი კინოსეანსები უჩვეულოდ დასრულდა. ეკრანულ სამყაროს შეკავშირებული მაყურებელი წამოხტა და თავის შველა განიზრახა, ეკრანიდან წარმოსული მატარებლის შეეშინდა. საკუთარი სკამი დატოვა. ეს სიმბოლურადაც შეიძლება გვიაზროთ.

„ექს-სტაზის“ — საკუთარი თავის, საკუთარი სამყაროს დატოვება, აღმაფრენა!

ადამიანი აღმაფრენისთვის დიაბადა და არა ჩაეტილ, ჰერმეტიზირებულ სამყოფელში არსებობისთვის.

## საზღვარგარეთის

## ଲୋକୀର୍ଷାଫ୍ରଣ୍ଡ୍ସ

□ □ □

□ ၁၄၈၅၇ ၂၁၂၀၃

დ რ თ — დიდი მსაჭული ყოველგვარი შემოქმედებისა და ყოველი შემოქმედისა, პირუთვნელი განმიჯნელი და განმაცალკევები ჭეშმარიტისა და ყალბისა, სიცოცხლისუნარიანისა, „უამთა შიგან გამძლისა“ და წარმავლისა. „მომავალი განსჯის“, „დრო თავისის იტყვის“, — ვამბობთ და გულდამშვიდებული ჩვენივე საქმეების განსჯის მონავალს, შორეულ დღეებს და თაობებს ვაკისრებთ. მავრამ, ჩვენს ცხოვრებას და ღვაწლს, ისევე როგორც მასზე თქმულ ყოველ ხმამალობ სიტყვას ჯერ ჩვენვე უნდა მოვუნახოთ გამართლება, რადგანაც მისი აუცილებლობის თუ „თანადროულობის“ დადგენა სწორედ რომ თანამედროვეთა გონიერისა და ცოდნის საქმეა. უფრო ხშირად ამ შემწყნარებელ ფორმულებს მაშინ მოვიშველიყებთ, როცა საქმე მწერალსა და მის შემოქმედებისა



შედებას ეხება. ნუ დავივიწყებთ, რომ ისიც ჩვენია ცენტრული ბით ცხოვრობს, ჩვენი სიხარულისა და ჭმუნგის ვამზიარებელია, და ჩვენი დროის პრობლემები მისთვისაც თავსატერ გამოცანად ქცეულია. განკერძოების და განზე გასვლის არავინ აროდეს შეხვედრია სიხარულის ყიფინით. ყოველი ხელოვანი კი უპირველეს ყოვლისა „შვილია იმა სოფლისა“. „სად არის ჰეშმარიტება?“ — კითხულობს შეშფოთებული ადამიანი და პასუხს, სხვებზე მეტად ხელოვანისა და მისი ხელოვნებისაგან გამოელის. მართლაცდა, ვინ უნდა აღიმაღლოს ხმა სიკეთისა და ადამიანურ ღირსებათა დასაცავად, ვინ უნდა იტვირთოს პირველმა კეთილ საქმეთა მქადაგებლის ხშირად ესოდენ რთული მისია, თუ არა იმან, ვისაც უფრო უჭრის თვალი, ვინც უფრო შორს და უფრო ლრმად ხედავს, ვისაც ხელეწიფება ჰეშმარიტ სიტყვად აქციოს ადამიანთა სპეტაკი და ნათელი ფიქრი თუ განცდა! დღევანდელ პრობლემებს დღევანდელმა ადამიანმა უნდა მოუძებნოს პასუხები და მწერალი „მაძიებელთა“ პირველ რიგებში დგას. ეს არის მისი დანიშნულება და უმაღლესი ვალი...

ალბერ კამიუს პასუხები, რომელთაც დღეს ვთავაზობთ მკითხველს ნათლად წარმოგვიჩენს თანადროულობის მიერ „ანგარიშებული“, ატიური სოციალური მრწამსის დამცველი დიდი ხელოვანის ნაზრევს.

### მთარგმნელისაგან

— როგორც ხელოვანი პირუთენელი მოწმის როლს ხომ არ ამკობინებთ?

— აშის არც პრეტენზია მაქვს და არც მოწოდება. პირადად შეირავითარ როლს არ ვკისრელობ, მოწოდება კი ერთი მაქვს: ვითარცა ადამიანი, ბელნიერებას ვესწრაფეო, როგორც ხელოვანი, ვიმედოვნებ, რომ წინ კიდევ ბევრი საქმე მიდევს, ბევრი პერსონაზი მსურს გავაცოცხლო. მისათვის კი არც ომებია აუცილებელი და არც სამხედრო ტრიბუნალები. სხვებისა არ იყოს, მეც ეპოქის ფერხულში ვარ ჩაბმული. გარდასული დროის ხელოვანთ შეეძლოთ



მორჩილად ყეტანთ ძალმომრეობა. ღლევანდელი ტირანები უფრო მარტინი და აზვეწილნი არიან და დუმილი ან ჩაურევლობა ახლა უკვე არგის ეპატიება. ან მათი მომხრე უნდა იყო, ან მოწინააღმდეგი. პოდა, თუ კი ასეა, შოქიშპერთა ბანაკში მიგულეთ.

შაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, თითქოს მოწმის მეტად მონერხებულ და კომფორტულ პოზიციას ვირჩევდე. მე მხოლოდ იმის აქმა შეუტის, რომ ეპოქა ისეთი უნდა მივიღოთ, როგორიც იყი სიხამძღვილებია. ერთი სიტყვით, შენი საქმე უნდა აეთო. ნურც იმას დავიგიძევებთ, რომ დღეს მოსამართლე, ბრალდებული და მოწმე ერთურთისგვი ძნელი გისარჩევი ხდება. თუ კი ოდესმე არჩევანზე შიდგება საქშე, მერწმუნეთ, ბევრი ჩენი ფილოსოფოსის საწინააღმდეგოდ, მსახულის სავარძელოზე უარს ვიტყვი. აღამიანური მოწმე-დების არე საქმოდ ვრცელია.

— თქვენი ნაწარმოებების კითხვისას, შთაბეჭდილება გვექმნება, რომ ხელოვანის როლს იდეალისტურ და რომანტიკულ, ან, თუ გნებავთ, ღონისძიების ელფერს ინიშებთ.

— დროთა განმავლობაში ცნებებია, შესაძლებელია, სახე იცვალონ. შეგრძნ პირგნდელ მნიშვნელობას მათ მაინც ცერ წავართდევთ. ჩემთვის აშკარაა, რომ რომანტიკოსი, უპირველეს ყოვლისა, ის არის, ვინც ისტორიის მარადიულ მდინარების აუწყობს ფეხს, გრძნდოთხულ ეპოსს ქმნის და სასწაულებრივ მოვლენებს ქადაგებს. მე კი ადამიანსა და ისტორიის ერთობას უამტკიცებ, ვცდილობ, რაც შეიძლება მეტი სინათლე და სიმჭირვალე შევძინო აღამიანის ყოველდღიურ ცხოვრებას და წინ აღეცდეთ საკუთარი თვეისა და სხვების დეგრადაციას.

შემინდა იდეალიზმი იმაში მდგომარეობს, რომ ყოველი ქმედება და აღამიანური ჟეშმარიტება მხოლოდ და მხოლოდ ისტორიის აზრს დაუკავშირო, რომელიც ამჟღვნიურ მოვლენებში არ ცხადდება და რომელიც რაღაც მითიურ მიზანს გულისხმობს. მაგრამ, საკითხავია. შეიძლება თუ ერა რეალისტად მივიჩნიოთ ის, ვინც ისტორიის ერთადერთ კანონად მომავალს ხეხვდს, ე. ი. იმას, რაც ჯერ კიდევ ისტორიის კუთხინილებად არ შევულა და რომლის შესახებ აღამიანებს წარმოდგენაც არა აქვთ?!

შე კი, ყოველგვარ ლოგიკას მოკლებული, მომაკვდინებელი მითოლოგიისა და ბურუუანიული ყაიდის რომანტიკული ნიშილიშმის



საპირისპიროდ ჭეშმარიტი რეალიზმის მხარეზე დგომას ვპირჩევ. ერთი სიტყვით, რომანტიზმისაგან შორს მდგომი, გარეკეული წეს-რიგისა და წესების აუცილებლობის თავგამოდებული დამცველი გახლავართ. განა საოცარი არ იქნებოდა, რომ ჩვენთვის ესოდენ საჭირო წესრიგის დაფუძნებას, სწორედ ამ უწესრიგო და ქათტური საზოგადოების, ან კიდევ დღევანდელი სქელშუბლა დოგმატიკოსებისაგან გამოველოდეთ?

— რა ძალუძს ხელოვანს დღევანდელ სამყაროში?

— მთავარი ის არის, რომ ფხიჩელი თვალით შევხედოთ სინამდვილეს და გავითავისოთ ტანჯვა, რომლის მსხვერპლადაც ისტორია ჩეენს გვერდით მყოფ ადამიანებს აქცევს. თქვენ მოხვევთ ჩემი საკუთარი აზრი მოგახსენოთ, მაშ მეც გულახდილად გიბასუხებთ. როგორც ხელოვანს, შეიძლება არც კი მომეოთხვებოდეს სამყაროს საქმეებში ჩარევა, მაგრამ მე, უპირველეს ყოვლისა, აღამიანი ვარ.

უწოდო ექსპლუატაციით სიკვდილის პირის მიყვანილი, ჩაგრული და დაბეჭავებული მაშვრალნი, რომელთა რიცხვი დედამიწის უზარმაზარ სივრცეშე დღითი დღე იზრდება, ითხოვენ, რომ ყოველი ჩვენგანი, ვისეც კი სიტყვის თქმა ძალუძს, გამოეპასუხოს მათ დუმილს და მათი ჭირის მოზიარე შეიქმნას. როს გზნებით საეს წერილებს ვწერ, ან კიდევ საერთო ბრძოლაში გმონაწილეობ, სულაც არ ვითარე იმას, რომ სამყარო ბერძნეული ქანდაკებებით ან სხვა რამ ჭელუქმნელი შედევრებით დამშვენდეს. რა თქმა უნდა, სულის სილრმეში, მსგავს სურვილსაც გმაღლავ, მაგრამ გაცილებით მიჯობს წერიყე წარმოსახვით მოვლენილ პერსონაჟებს შევასხა ხორცი. იმ დღიდან მოყოლებული, რაც კალამს მოვკიდე ხელი, დღემდე, ჩემს ბოლო წიგნამდე, ერთი დიდი მიზნით ესულდგმულობ: მუდამ იმათ გვერდით დავრჩე, ვისაც დღეს უჭირს, ვინც იტანგება და ვისაც ესოდეს თრგუნავს სამყაროს ბოროტება. ისინი ხომ იმედით ცოცხლობენ და, თუ კი არვინ ილაპარაკებს ამ იმედზე, ბეღის ანაბარა ჟთენილო, უკურნებელ უსასოებაში გადაჩეხვა ელით. ამას კი ვერ დავუშვებო და, თუ კი ასეა, მაშ, „სპილოს ძელის კოშქშიც“ აღარ დაგვედგომება.



რაღაც ზეადამიანური სათნოების სახელით კი არ გილვწიო, უმართება  
რალოდ ამდენი უბელობის ხილვა და ატანა აღარ ძალგვის. ჰქონი  
კარგად ვუწყო, რომ ბევრი თვალს იძრმავებს და ყურებს იხშობს.  
შერწმუნეთ, მათი სიმშვილისა არ მშერს!

თქმა არ უნდა, ხელოვანის ბუნება უა მრწამისი რაიმე სოცია-  
ლური რეცეპტების ძიებას არ უნდა შეეწიროს. სხვა დროსაც მი-  
ოქვემს და აქლაც გავიმეორებ: დღეს ხელოვანის არსებობა უფრო  
უცილებელია, ვინმე ოდესმე. მაგრამ ცხოვრების ორთმტრიალში  
ჩარევა ჩვენს მხატვრულ მეტაველებას ხომ არ დაატყობს კვალს?  
თუ კი ჩვენმა ენამ მხატვრულობა დაგირგა, რაღა ხელოვანი ვვეოქ-  
მის? მთავარი ერთია: თუ მართლაც მეტობლები ვართ და ერთხელ  
და საჭუდამოდ აქტიური პოზიცია ავიტრიეთ, ხოლო ჩვენს ნაწარმო-  
ებში უდაბნოსა და ეგოისტურ სიყვარულზე ვწერთ, ჩვენი მეტობლი  
სულისკვეთება ამ სიყვარულსა და ამ უკაცრიელ უდაბნოს  
დამიანურ სითბოს შესძენს და ცოცხალი არსებებით დასახლებს.  
პუმანიზმის ღირებულებათა დაცვა შემოქმედების ღირებულებათა  
უგულეუბელყოფას სრულიადაც არ გულისხმობს, მით უფრო ახლა.  
როს ეს-ეს არის ნიპილიზმის ტყვეობას დავაღწიეთ თავი. ჩემთვის ღი-  
რებულებათა ეს ორი რკალი განუყოფელია და ხელოვანის (მოლიე-  
რი, ტოლსტიო, მელვილი,) სიდიადეს იმით ვწომავ, თუ როგორ  
ახერხებს იგი მათ გაწონასწორებას. დღეს საქმე იმკვარად აეწყო,  
რომ ეს წონისწორობა თუ თანხვდომა ჩვენს ყოველდღიურობაშიც  
უნდა გადმოვიტანოთ და დავამკვიდროთ. შეიძლება ამიტომაცაა,  
რომ ბევრი ხელოვანი ტვირთის სიმძიმეს ვერ უმკლავდება და  
„სპილოს ძელის კოშკს“ აფარებს თავს. ამას კი აშკარა ღალატის  
სუნი ასდის. ჩვენ ერთდროულად, მშეენიერებასაც უნდა ვემსახუ-  
ოოთ და ადამიანური ტკიფილის დაამებასაც ვეცადოთ. ხანგრძლივი  
თშენა და ძალისხმევა, რასაც ჩვენი ამოცანა ითხოებს, სწორედ ის  
სიქველეების, საიდანაც ესოდენ აუცილებელი აღორძინება იკვირ-  
ტებს.

და ბოლოს, კიდევ ერთი: ჩვენს ქმედებას საფრთხე და გულის  
ტკიფილი ახლავს. მაში, თვალი ვუსწოროთ სიძნელეებს: კაბინეტებ-  
ში გამოკეტილი მწერლების დრომ თავისი მოჭიათ. მაგრამ, ტკიფილ-  
11. კრიტიკა № 3

სა და უიმედობას ქედს ნუ მოვუდრევთ! ყოველი ხელოვანის ერთი დაიდი სწრაფვაც ხომ ის არის, რომ სხვების თანამოძმედ და თანა-შდგომად დაიგულოს თავი. ხელოვანი სხვების ღონებზე უნდა დადგეს, არც ზემოთ და არც ქვემოთ, ზუსტად იმათ ღონებზე, ვინც შრო-შობს და იბრძვის. მონობის მოძულე, იგი მოწოდებულია ძალით შეანგრიოს დილეგის კარი, აახმიანოს ადამიანების ტანჯვა და სი-ხარული. სწორედ ამაში მოიძებს ხელოვნება საკუთარ გამართლე-ბას და კიდევ ერთხელ დაამტკიცებს, რომ იგი არვის მტრობას არ ეპირება. ეჭვს გარეშეა, მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი ძალებით იგი შორს ვერ წავა და სამართლიანობას და თავისუფლებას ვერ და-ამჟიდრებს. მაგრამ მის გარეშეც ადამიანის აღორძინება სათანადო ფორმას ვერ შეიძენს, ესე იგი ვერც იარსებებს. კულტურის გარე-შე შთენილი თვით სრულქმნილი სახოვადოებაც კი ჭუნვლებს ემს-გავსება.

1953 წ.

**ფრანგულიდან თარგმნა გიორგი ეკიზაშვილმა**

# რეცენზია მიმოხილვა

□ □ □

## აკადემიკოს ღიათშვილი ლისაჩოვის ახალი ნიგნის გამო

□  
ლაურა გრიგოლაშვილი  
□

მიმდინარე წელს სერიაში „მეცნიერება, მსოფლიხედველობა, ცხოვრება“ გამოქვეყნდა ძველი რუსული ლიტერატურისა და კულტურის ილიარებული მკვლევრის აკად. დ. ლიხაჩივის წიგნი „წარსული — მომავალს“. წერილები და ნარკვევები. ამ სერიის განსაზღვრული ამოცანა აქვს. მეცნიერმა უნდა წარმოადგინოს ერთგვარი საზოგადოებრივი თვითანარიში, რომელშიც მეცნიერული მოღვაწეობა განხილული იქნება საზოგადოებრივ მოღვაწეობასთან ერთიანობაში, როგორც ერთგვარი მთლიანობა. ამიტომ დ. ლიხაჩივის წიგნში შესულია მნიშვნელოვანი გამოკვლევები და პუბლიცისტური ხასიათის წერილები, აგრეთვე ნარკვევები. იმ მეცნიერ



შოღვაწეებზე, რომელიც, ავტორის აზრით, გამოირჩევიან პირობებით. წიგნში წარმოდგენილი მასალის შერჩევის პრინციპი დაქვემდებარებულია დიდ მიზანს: დაიწეროს და ითქვას ის, რაც მნიშვნელოვანია არა მხოლოდ დღევანდელობისათვის, არამედ მომავლისთვის, წიგნის სათაური ზედმიწევნით ზუსტად განსაზღვრავს ნაშრომის მიზანდასახულობას. წიგნში ეკვსი განყოფილება: I. მეცნიერული ინტერესების ფორმირება, II — რესიერება, III — ძველი რუსული ლიტერატური და თანამედროვეობა, IV — წინასიტყვაობანი და გამოსცვლები, V — მეცნიერების აღამიანები, VI — აზრები მეცნიერების: წიგნს დაერთვის წინათქმა და დასკვნა. ყოველ განყოფილებას ორი ძირითადი ასპექტი აქვს: მეცნიერული და ეთიკურ-ზნეობრივი და მნელია განსაზღვრა იმისა, რომელი მათგანია უფრო მნიშვნელოვანი და აქტუალური დღეს. ერთი კი უდავოა, დღესდღეობით გაჭირდება მეორე ისეთი წიგნის დასახელება, სადაც მეცნიერული ეთიკის პრობლემატიკა ასეთი სიმწვავითა და სილრმით იყოს წამოჭრილი და გაანალიზებული, როგორც ეს ლ. ლიხიძის წიგნში გვაქვს. თუ რა ადგილი უკავია მეცნიერის შეგნებაში აღნიშნულ პრობლემას, კარგად ჩანს მისსავე გამონათქვამში: „მის შემდეგ: რაც მეცნიერება აღარ არის ერთეულთა საქმე და კოლექტიური ხასიათისა გახდა, მეცნიერული ეთიკის საკითხებმა, მეცნიერთა ეთიკისა და მეცნიერთა ურთიერთობის პრობლემებმა შეიძინეს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა“ (გვ. 14).

შეეხო ამ წიგნში აღნიშნულ ყველა საყითხს, შეუძლებელია. მე შეხედები, გამოვკვეთო მეცნიერულ პრობლემათა ის წრე, რომელიც ირსებითია არა მხოლოდ ძველი რუსული მწერლობისათვის, არამედ საერთოდ მედიეგილური კულტურისათვის, მათ შორის ჩვენი, შეა საუკუნეების ქართული მწერლობისა და კულტურისათვისაც. შევჩერდები იმ ზნეობრივ გადვეთილებზეც, რომელთა შნიშვნელობა სრულიად განსაკუთრებულია ყველა მოქალაქისთვის, უინც სამეცნიერო და სასწავლო პროცესთან არის დაკავშირებული.

პირველ რიგში „დაგვსვათ კითხვა: რა არის ლიტერატურისმცირნეობა, როგორ განსაზღვრავს მას დ. ლიხიძის?“

საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს, რომლებიც თვლებიან „ზუსტ“ მეცნიერებებად, ხშირად უპირისპირებინ ლიტერატურის-

